# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№ 22 (267) ◆ 29 მაისი — 4 ივნისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ვერ იქნება ქვანია-შევარდნაძის „პუტინი"



... წყნეთის ფეშენებელური აგარაკებიდან დედათბილისისაკენ მომავალ ხელისუფალთ უპენსიო მოპიკეტეებმა გზა ბაგებთან გადაუკეტეს... მოაგარაკე ჩინოსნების ნაწილმა „დააზვია" და კოჯრიდან შემოუარა... ზოგმა ტყე-ტყე, მალულად ჩამოინაცვლა და ისე მიაშურა „საუფროსო" კაბინეტებს...

გვ.3

... „ერთი ბარტყი გადმომიგდეს" პრინციპით, შევარდნაძემ ჟვანიას გუნდს გულუა გადაუგდო, თუმცა იქვე გასცა ბრძანება — „ბაკურს ექნება პრობლემები, მაგრამ ადეიშვილს და ჩხობაძეს პრობლემები არ უნდა ჰქონდეთო!"

## ჰაა, რისი მესაზღვრე ხარ, თუ საკუთარი წვეტი არ გაგეხსნია?!

— იმ ორკილომეტრიანი საზღვრის ჩვენს კუთვნილებას ადასტურებს 1929 წლის რუკა... რუკებს ეძებენ ყველგან, რუსეთშიც კი, როგორმე უნდა მოვიპოვოთ.

*ნინო ბურჯანაძე*

— რას ბრძანებთ! ჩემი თვალით მაქვს ნანახი დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდება, რომ ეს ტერიტორია ჩვენ გვეკუთვნის.

*ირაკლი გოგავა*

გვ.5



## დღეს ჟორდანიას დაახლოებით 7 მლნ დოლარს ვედავებით...



— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დღეს ჩვენი გუნდი საშინელ მდგომარეობაშია და ეს არის მისი ყოფილი და ამჟამად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას და მისი თანამოსაქმეების პირადი დანაშაული. თანხა მაგისი ოჯახის ბიუჯეტში წავიდა.

*ვაჟა ჟვანია*

გვ.24

## ქართველებს უწიგნურობა ყველაზე ნაკლებად აწუხებთ

გვ.27

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## მე ვიცი და გეტყვით, სინამდვილეში როგორ მოკლეს ლავრენტი ბერია

მოღალატე უნდა იყო, ეს ქვეყანა რომ დატოვო. ბატონი მამია ბერიშვილი პატარა საქართველოდან — ლევილიდან ჩამოვიდა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

გვ.22

## „თავს ლომივით ვგრძნობ"



— „რუსთავი-2" და გოგიჩაიშვილი იმ ჯგუფთან იგივდება, რომელიც მე მებრძვის...

— სად მცალია იმის საანგარიშოდ, ყოველთვიურად რამდენი შემოსავალი მაქვს.

— რაც სათქმელია ვიტყვი... თუ ჩემი ეშინია ვინმეს, არ ურჩევნია, ახლოს ვყავდე?

გვ.7

## ფ.ა.ქ.ტ.ი: სოხუმელი თევზაძის მდგმური სასაფლაოზე შეიტყუეს და დაწვეს...

— დგებუაძემ განმიცხადა, თუ ამდენი ფულის მშოვნელი არ ხარ, ორი კაცის თავი უნდა ჩამაბაროო...

შებინდებისას, სასაფლაოზე ავედით. დავარწმუნე, რომ მისთვის მისაცემი ფული იქ მქონდა ჩამარხული. ხელჩანთაში მცირე ზომის ნიჩაბი, ფარანი და ნავთით სავსე ბოთლი მეწყო. სასაფლაოზე არავინ შემხვედრია... ჩუმად ამოვიღე „პარაბელუმი" და ორჯერ ვესროლე სახეში. მერე ჩემი პასპორტი და ფული ამოვართვი, თავზე ნავთი გადავასხი და ცეცხლი წავუკიდე. მეორე მსხვერპლიც ასე გავისტუმრე საიქიოს.

გვ.10

ე.შ. — მაგ ფასად, ჩემო ბაკურ, ბაზრის დირექტორის მოადგილედ გაგიშვებ, თუ გინდა!..

გვ.27

### ფოტოპალიტრა

## პლანეტის განუკურნებელი სენი...

დაინტერესებულ მკითხველს ვაწვდით კვალიფიციურ სტატიას შიდსზე.

გვ.21

## ეკონომიკური დანაშაული — სქემები, მექანიზმები და შემსრულებლები...

...მთავარია ეძებო და იპოვო ყალბად გაწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

...არარსებული სავაჭრო ოპერაციიდან კონტრაბანდისტი მშრალი გამოდის... ანუ — შუამავლები რაიონული საგადასახადო ინსპექციებიდან;

...ვინ აკავშირებს ერთმანეთს გაყალბების მსურველ და გამყალბებელ ფირმებს.

გვ.6



## სამხედრო თემაზე: აქაც — ვინ ვის?

მთავარია დაპირისპირება იმ დაჯგუფებებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და მეორეში მთავარი სამხედრო პროკურორის ახლო ნათესაობა იმყოფება.

გვ.9


**შპს „ევროამერიკან"-ი**



**ხმარებაში მყოფი IBM 486 და Pentium-ის ტიპის კომპიუტერები**

კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა

**IBM 486 კომპლექტის მინიმალური ფასია 110$**

**Pentium კომპლექტის მინიმალური ფასია 190$**

დანარჩენი კომპლექტების ფასები დამოკიდებულია პარამეტრებზე. ანგარიშსწორება შესაბამისი კურსით ლარებში.

*მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23 ☎94-28-33*

*ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 13 ☎2-21-16*

*ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №11*

**ფირმა „ბერმუხა"**



**ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.**

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

ALLIGATOR
EXCALIBUR
APS
MAGNUM



**დისტანციური სიგნალიზაციის, შუშების ამწევის მონტაჟი**

შეღავათიან ფასად

გარანტია 1-5 წლამდე

მის: ვაჟა-ფშაველას 37

☎: 899-50-31-52


### საკვირაო



ტელე-კინოგიდი 29 მაისი 4 ივნისი

გვ. 14-15

Неделя

Коммандос

Частная жизнь

Телохранитель

За рубежом

Московские новости

Newsweek

Focus

Общая газета

Der Spiegel

Комсомольская правда

Stern

Сегодня

Известия

Труд

Совершенно секретно

Аргументы и факты

Иностранец

Le Figaro Magazine

Paris Match

ТВ Парк

Лица

Огонёк

daily

Le Nouvel Observateur

Итоги

## იკითხეთ „კვირის პალიტრის" ახალი ჟურნალი — „გზა"

## გათიშულობის სინდრომი — მოურჩენელი სენი

ეკონომიკური სიდუხჭირით და იმავდროულად, სახელისუფლებო ბატალიებით გადაღლილმა მოსახლეობის უმრავლესობამ ვერც დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი აღნიშნა ჯეროვნად და ვერც ამ დღეს მომხდარ ეროვნულ და ამაღელვებელ მოვლენას მიაქცია სათანადო ყურადღება.

დიდი ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი მეუღლის, ნინო პოლტორაცკაიას ნეშტები დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს და ილია ჭავჭავაძის საფლავის გვერდით მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი. იმავე დღეს და იქვე, კიდევ ერთხელ გამოიხატა ქართველთა საუკუნოვანი უბედურებისა და მოურჩენელი სენის — გათიშულობის სინდრომი. მოგეხსენებათ, 26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა და, ბუნებრივია, ბევრმა ქართველმა მიაგო პატივი ეროვნული გმირის ხსოვნას, უწინარესად, მერაბ კოსტავას ახლობლებმა და მეგობრებმა, ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ და მისმა „მრგვალმა მაგიდამ“. უბედურება კი ის იყო, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვას ედუარდ შევარდნაძე და ისთებლიშმენტი ესწრებოდა, მერაბ კოსტავას ხსოვნის აღნიშვნას კი შევარდნაძის დაუძინებელი მტრები. „სანუგეშო“ ისღაა, რომ ორივე ცერემონიალი რიგრიგობით გაიმართა, ასე რომ, გათიშულ-გახლეჩილი ქართველი საზოგადოების ამ ორ ნაწილს ერთმანეთთან შეხვედრის „ბედნიერება“ არ ჰქონია.

## ახლა ჯერი ჩვენზეა!

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო პროექტი საზოგადოებისა და პარლამენტის სამსჯავროზეა უკვე გამოტანილი. შექმნილია ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის რეალიზაციის ისეთი სახელშეკრულებო პაკეტი და საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მისაღებია ყველა საბანკო და საფინანსო სტრუქტურისათვის. მიღწეულია შეთანხმება გარემოს დაცვის, მიწის მფლობელის, ტარიფისა და პასუხისმგებლობის საკითხებზე, ანუ, ფაქტობრივად, იწყება დიდი ნავთობსადენის რეალურად ამოქმედების ხანა. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი, რომლის მთლიანი ღირებულება ნავთობის ექსპორტიდან მიღებული მოგებითურთ 30 მლრდ დოლარია, საქართველოს 40 წლის მანძილზე 2 მლრდ 500 მლნ დოლარს მოუტანს, რაც წელიწადში, საშუალოდ, 62 მლნ დოლარია. ცნობისათვის: აზერბაიჯანის პარლამენტმა გაუკეთა რატიფიცირება ბაქო-ჯეიჰანის პროექტს, ახლა ჯერი საქართველოს, თურქეთსა და ყაზახეთის პარლამენტზეა!

## დედაქალაქში ჩეხეთის საკონსულო გაიხსნა

თბილისში გაიხსნა ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსულო და ამიერიდან ამ ქვეყანაში წასვლის მსურველ საქართველოს მოქალაქეებს აღარ მოუწევთ ვიზის დამოწმებისათვის მოსკოვში გამგზავრება. გახსნის დღესვე ჩეხეთის საკონსულომ 40-მდე მოქალაქის განაცხადი მიიღო. საქართველოში საელჩოს გახსნის ცერემონიალი კი ერთ თვეში გაიმართება, როცა ჩეხეთის ელჩი რწმუნებათა სიგელს გადასცემს პრეზიდენტ შევარდნაძეს.

## ნარკომანიის უდანაშაულო მსხვერპლი

ნაძალადევის რაიონში საზარელი ტრაგედია დატრიალდა. ნარკობიზნესთან ბრძოლის პოლიციის განყოფილების ჯგუფი ნარკომანების ბინას დაეცა და სანამ თანამშრომლები ნარკომანი ცოლ-ქმრის აყვანის ოპერაციით იყვნენ დაკავებულნი, ოჯახის ერთ-ერთი წევრი, ნარკომანი ქალის ძმა, 30 წლის ემზარ მიროიანი მე-8 სართულიდან გადახტა და თავი მოიკლა! გაირკვა, რომ დაღუპული ძალზე განიცდიდა დის საქციელს და გამუდმებით საყვედურობდა, რომ პოლიციას ატალახებული ჰქონდა მათი ბინა. მეზობლები უაღრესად დადებითად ახასიათებენ გარდაცვლილს.

## არძინბა შევარდნაძესთან შეხვედრას ითხოვს

**(კავკას-პრესი)** აფხაზთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან უახლოეს მომავალში შეხვედრის გამართვის მომხრეა.

როგორც არძინბამ გასულ კვირას სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „მოლაპარაკებები კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის არ შეიძლება ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდეს და იმისათვის, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის პრობლემები მოგვარდეს საჭიროა ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნება“.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამგვარმა შეხვედრამ დადებითი შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოიღოს, თუკი განსახილველად მომზადდება შესაბამისი შეთანხმებები, კერძოდ, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით. თავის მხრივ, არძინბას ურჩევნია შეხვედრები მშვიდ ატმოსფეროში ჩატარდეს, მისი თქმით, საქართველოში ბევრი პიროვნებაა, რომლებიც სიტუაციის გამწვავებას ცდილობენ და აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა ძალისმიერი მეთოდით სურთ. უპირველეს ყოვლისა, ასეთებს შორის არძინბას თამაზ ნადარეიშვილი ჰყავს მხედველობაში. აფხაზეთის ლიდერმა იმედი გამოთქვა, რომ „საქართველო თვითონ დაამყარებს წესრიგს ქვეყნის შიგნით“. თან დასძინა, რომ ედუარდ შევარდნაძესთან სატელეფონო საუბარში განიხილეს მთავრობის თავმჯდომარეებისა და ძალისმიერი უწყების ხელმძღვანელების შეხვედრის ორგანიზების შესაძლებლობა.

## აღარ შეიძლება... ლობიოს ჭამა!

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, იპოდრომზე ცხენოსნობაში საქართველოს ჩემპიონატს „მხედრიონელები“ დაესწრნენ და გამარჯვებულიც მათ დააჯილდოეს. ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ შეკრება მიზნად ისახავდა „მხედრიონელთა“ რიგების დათვალიერებას, ასევე ხალხის განწყობის გამოკვეთებას, რადგან აღარ შეიძლება... ამდენი ლობიოს ჭამა!

**(გეა)** 29 მაისიდან „მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე ბერიშვილი კონსულტაციებს გამართავს პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოების კომისიის წევრებსა და საქართველოს უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან იმასთან დაკავშირებით, რომ არ ტარდება არანაირი ღონისძიება პატიმრობაში დარჩენილი იმ მხედრიონელების გასათავისუფლებლად, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის იბრძოდნენ.

ბერიშვილის თქმით, უკანასკნელ ხანს შესამჩნევი შეიქნა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს არანაირი ნაბიჯის გადადგმას პატიმართა ამ კონტინგენტის გასათავისუფლებლად. სამომავლო პროგნოზის გაკეთებისას, თორნიკე ბერიშვილმა განაცხადა, რომ შესაძლოა ამასთან დაკავშირებით პროცესი უმართავი გახდეს და „მხედრიონმა“ დაიწყოს საპროტესტო აქციების ჩატარება.

## „თბილგაზს“ ვალში წაგვართმევენ?!

რუსული კომპანია „იტერას“ დელეგაცია სამი დღის მანძილზე ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა თბილისში აქაურ „გაზის მამებთან“, რის შემდეგაც ცნობილი შეიქნა, რომ „იტერამ“ შეიძლება დავალიანების საფასურად მიიღოს „თბილგაზი“, რომლის დავალიანება „იტერას“ მიმართ 9 მლნ 600 ათას დოლარს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ „თბილგაზი“ თავდაპირველად თავის თავს 14 მლნ დოლარად აფასებდა. საკითხი საბოლოოდ ივნისში გადაწყდება.

## — კონტროლის პალატას ახალი თავმჯდომარე ეყოლება

სულ მალე კონტროლის პალატას ახალი თავმჯდომარე ეყოლება. პრეზიდენტმა ამ პოსტზე თავისი საპარლამენტო მდივნის, სულხან მოლაშვილის კანდიდატურა წარადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ მის კანდიდატურას ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საპარლამენტო პოზიციაც და ოპოზიციაც. ამ ეტაპზე მისი კანდიდატურის განხილვას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ყველა წევრმა (15 კაცი) მის სასარგებლოდ მისცა ხმა.

კონტროლის პალატას, რომელიც ერთგვარი პლაცდარმი უნდა გახდეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკმაოდ მტკიცე და შეუვალი ხელმძღვანელი ესაჭიროება. მას ალბათ, იმ დიდი პოლიტიკური და სახელისუფლო წნეხის გაძლება მოუწევს, რომელსაც შავიშვილი გაექცა. საპარლამენტო უმრავლესობის მხარდამჭერად შეიძლება მივიჩნიოთ კობა დავითაშვილი, რომელიც მოლაშვილს პრინციპულ, მყარ და სწორედ ასეთი თანამდებობისთვის შესაფერის პიროვნებად სახავს. მისი აზრით, კონტროლის პალატის მომავალი თავმჯდომარის ყველაზე დიდი დამსახურება ის გახლავთ, რომ მან შეძლო ძალიან სწრაფად შეეჩერებინა სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ აგორებული კამპანია. რამდენიმე თვის წინ ძალოვანი სტრუქტურები სასამართლოს ბრალს სდებდნენ ლოიალური, არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებაში. მაშინ სულხან მოლაშვილმა შეძლო იმ სტატისტიკის მოძიება, რომლის მიხედვითაც დადასტურდა, რომ თავად პროკურორები (და არა მოსამართლეები) არ ითხოვდნენ მკაცრ აღმკვეთ ღონისძიებებს. მაშინ რეფორმირებული სასამართლო დისკრედიტაციას გადაურჩა.

## გოგლა ალექსანდროვის ბაღში „დასახლდა“

თბილისში ქართული მწერლობის კლასიკოსის, საქართველოს სახალხო პოეტისა და აკადემიკოსის გოგლა ლეონიძის ძეგლი გაიხსნა. პოეტის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მონუმენტური ქანდაკება ბრინჯაოშია ჩამოსხმული და პოეტის ბობოქარ სულს გამოხატავს. ქანდაკების ავტორები არიან მამა-შვილი თენგიზ და დავით ღვინიაშვილები, არქიტექტორი კიაზო ნახუცრიშვილი.

## ფინანსთა სამინისტროს უტევენ!

ახალმა ფინანსთა მინისტრმა რიგიანადაც ვერ მოასწრო ახალ სავარძელში მოკალათება, რომ ფინანსთა სამინისტროს აქცია-შტურმით მიაწყდა კოოპერაციული ბინათმშენებლობის მოტყუებული წევრების არმია, რომლებმაც ახალ მინისტრს, ზურაბ ნოღაიდელს კატეგორიულად მოსთხოვეს ბიუჯეტის სეკვესტრირებისას ხელი არ ახლოს „გადაგდებულ“ კოოპერატორთათვის ბიუჯეტით განსაზღვრულ თანხებს1

მიუხედავად ამისა, ზურაბ ნოღაიდელს წარბი ვერ შეახრევინა ამ აქციამ, მით უმეტეს, რომ კოოპერაციული ბინათმშენებლობის წევრთა ფინანსური დაკმაყოფილება ბიუჯეტში დაცული მუხლით არ არის განსაზღვრული. ნოღაიდელი დაიმუქრა, რომ აქციებითა და ზეწოლით მას ვერავინ მიაღებინებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, მით უფრო მაშინ, როცა სეკვესტრირების საკითხში იგი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. მაგრამ, მისივე თქმით, თუ აქციები მაინც გაგრძელდება, იგი ნებისმიერი ასეთი ღონისძიების დღეს საერთოდ აკრძალავს ხაზინიდან თანხების გაცემას!

## ნადარეიშვილი „იძულებითი მშვიდობის“ მომხრეა —

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არაეფექტური საქმიანობის გამო, თამაზ ნადარეიშვილმა გააკეთა განცხადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანამდებობიდან გადადგომისა და საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლის შესახებ. მას უმალ აუბა მხარი ფრაქცია „აფხაზეთმაც“, რომელმაც ასევე გადაწყვიტა უმრავლესობიდან გასვლა. ნადარეიშვილი, როგორც ყოველთვის, ითხოვს აფხაზეთის საკითხის გადაჭრას ძალისმიერი მეთოდებით, მათ შორის, აპრობირებული, ე. წ. „იძულებითი მშვიდობით“, თუმცა მისი ძალისხმევა დიდი ხანია, რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

**(გეა)** ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრი ანზორ წოწონავა ფრაქციის ამ ნაბიჯს არ უკავშირებს ბაკურ გულუას ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს. ცნობილია, რომ ფრაქციის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას. წოწონავა უარყოფს დაპირისპირებას „მოქალაქეებთან“. მისი თქმით, ფრაქცია გააგრძელებს მასთან მჭიდრო თანამშრომლობას. არაოფიციალური ინფორმაციით, ფრაქციის მიერ უმრავლესობის რიგების დატოვებას არ ეთანხმებიან პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია და ფრაქციის ორი წევრი. ფრაქცია „აფხაზეთი“ დღეისათვის 16 წევრისაგან შედგება, თუ იგი სამმა წევრმა დატოვა, ფრაქციის წევრის, დიმა ჯაიანის განცხადებით, ფრაქციის შესაქმნელად 13 წევრი სავსებით საკმარისია.

## რუშაილომ იქნებ ერთი თალიბი დაიჭიროს...

კახა თარგამაძეს თავისი რუსი კოლეგა, ვლადიმირ რუშაილო ეწვია დელეგაციითურთ. ვიზიტის ფარგლებში გაიმართება ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროების კოლეგიათა გაერთიანებული სხდომა, სადაც იმსჯელებენ საერთაშორისო ტერორიზმთან, ნარკობიზნესსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლის გეგმებზე! საინტერესოა, რომ უშუალოდ რუშაილოს ვიზიტის წინა დღეებში რუსეთის მასმედია და რუსული არმიის გენერალური შტაბი დღედაღამ გაჰკიოდნენ, რომ საქართველოში ათასობით ჩეჩენი მებრძოლი და თალიბია, რომლებიც ჩეჩნეთში გადასვლას აპირებენო. იმედია, რუშაილო ერთ თალიბს მაინც დაიჭერს და ჩაიყვანს მოსკოვში...

**(კავკას-პრესი)** „ჩვენ არ ვმალავთ, რომ ახმეტის რაიონში არიან ოდიოზური ფიგურები და მათი გამოვლენა ოპერატიული ღონისძიებების შედეგად უნდა მოხდეს, ოპერატიული ინფორმაცია კი არ ხმაურდება“, — განაცხადა გამართულ პრესკონფერენციაზე ვლადიმირ რუშაილომ.

## ყორღანაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა

მიმდინარე წლის 14 მაისს, საზოგადოებისათვის ცნობილი შეიქნა, რომ ელექტროენერგიის გადასახდი 12 თეთრამდე გაიზრდებოდა. „მოძრაობა „სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარემ, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილის შტაბის უფროსმა გიორგი ყორღანაშვილმა პროტესტის ნიშნად შიმშილობა დაიწყო. აღნიშნულის გარდა, იგი უარყოფითად აფასებდა საქართველოში შექმნილ დღევანდელ ვითარებას და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღებას ითხოვდა. ყორღანაშვილის შიმშილობა 12 დღეს გაგრძელდა, რამაც მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა. ამასთან, გასულ კვირას მას პრესკონფერენცია ჰქონდა დანიშნული, რომელიც მასმედიის უინტერესობის გამო ჩაიშალა. „მივხვდი, რომ არანაირი აზრი არ აქვს პროტესტს, მით უმეტეს, ამ ფორმით. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ შიმშილობა შევწყვიტო“, — განაცხადა მან.

## შეიქმნა ჟურნალისტთა ახალი პროფკავშირი

**(გეა)** ხელოვნების მუშაკთა სახლში საქართველოს ჟურნალისტთა თავისუფალი პროფესიული კავშირის დამფუძნებელი კრება გაიმართა.

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბეჟან მესხმა შეკრებაზე განაცხადა, რომ ჟურნალისტთა პროფესიული კავშირი დამოუკიდებელი არასახელმწიფოებრივი, არაკომერციული გაერთიანებაა, რომელიც იქნება ლობისტური ორგანიზაცია. მისი შექმნის აუცილებლობა ბოლო ხანს ჟურნალისტების მიმართ სამართალდამცავების მიერ განხორციელებულმა ფაქტებმა უფრო დააჩქარა.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, ელიზბარ ტრაპაიძის განცხადებით, კავშირის შესაქმნელად მინიმუმ 100 წევრია საჭირო. ჟურნალისტების უფლებების დასაცავად პროფესიული კავშირი ხელშეკრულებას გააფორმებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“.

## რას გვპირდებიან სინოპტიკოსები?

**(გეა)** საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივნისი საშუალო მრავალწლიან მაჩვენებელთან შედარებით, გრილი იქნება. დეპარტამენტის პროგნოზირების განყოფილების ცნობით, ივნისის პირველი დეკადა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, გრილი და უხვნალექიანი იქნება. მეორე დეკადაში ტემპერატურა შედარებით მაღლა აიწევს, მაგრამ ნალექების რაოდენობა კვლავ უხვი იქნება.

## რუსეთი თავისსავე ხანძარში ამოიბუგება



**(გეა)** ავღანეთის მმართველმა ისლამურმა მოძრაობა „თალიბანმა“ დაიმუქრა, რომ თუ რუსეთი ავღანეთის ტერიტორიას სარაკეტო დარტყმებს მიაყენებს, ამას საბედისწერო შედეგები მოჰყვება, არა მარტო მოსკოვისათვის, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომელთა ტერიტორიებიდან განხორციელდება შეტევა. „რუსეთი გამოიწვევს ხანძარს, რომელშიც თავადვე ამოიბუგება“, — აცხადებენ თალიბები.

თალიბების მძაფრი რეაქცია გამოიწვია ოფიციალური კრემლის განცხადებამ ავღანეთის იმ ტერიტორიების პრევენტიული დაბომბვების შესახებ, სადაც განთავსებულია ბოევიკების ბაზები, რომლებზეც ჩეჩენ ბოევიკთა დასახმარებლად მზადება მიმდინარეობს.

## დავამარცხებთ შიდსს?!

**(რუსული პრესის მიხედვით)** ამერიკული კორპორაციის, „კროპტექსის“ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ თამბაქოს ფოთლისაგან გამოყოფილი პროტეინის საფუძველზე შექმნილი ვაქცინა-პრეპარატი შიდსის საწინააღმდეგო იმუნიტეტს გამოიმუშავებს ადამიანის ორგანიზმში. ბიოინჟინრების აზრით, თამბაქოს ეს ვაქცინა შიდსის ინფექციის გავრცელებას შეუშლის ხელს. მეცნიერები განაგრძობენ ვაქცინაზე მუშაობას, ჯერჯერობით, კი „მე-20 საუკუნის ჭირის“ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია (შიდსის შესახებ მასალა იხ. 21-ე გვ.-ზე).

## — ისრაელის პრეზიდენტი ვადამდე ადრე გადადგება

**(გეა)** ისრაელის პრეზიდენტი ეზერ ვაიცმანი თანამდებობიდან გადადგება ვადამდე სამი წლით ადრე. ოფიციალურ განცხადებაში ამ ნაბიჯის დეტალები მოხსენიებული არ არის.

როგორც ცნობილია, ისრაელის პრეზიდენტს ქვეყნის პროკურატურა ბრალად სდებდა რამდენიმე წლის წინ, მინისტრის პოსტზე ყოფნისას, ფრანგი მილიარდერისაგან გარკვეული თანხის აღებას. თუმცა პროკურატურამ გადაწყვიტა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე არ აღძრას, მაგრამ კრიტიკის, ზეწოლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მოტივით, ვაიცმანმა განაცხადა, რომ წლის ბოლომდე თანამდებობიდან გადადგება.

## პრემიერ-მინისტრს მობოდიშება არ უშველის

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოშირო მორიმ საჯაროდ მოიხადა ბოდიში ახლახან გაკეთებული განცხადების გამო, კერძოდ, მან ერთ-ერთ გამოსვლაში იაპონიას უწოდა „წმინდა მიწა“, რომელიც იაპონელებს მეორე მსოფლიო ომის დროს ლოზუნგად და დროშად ჰქონდათ. ამ განცხადებამ გააცოფა იაპონიის საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი. შედეგად, პრემიერმა დაიფიცა, რომ იგი სულაც არ იწონებს 1941-45 წლებში წარმოებულ იაპონიის იმპერიალისტურ პოლიტიკას, მაგრამ ოპოზიცია უკვე მის გადადგომას ითხოვს.

**„...სახელმწიფო არის ნელ ცეცხლზე მოთუხთუხე, სალაფავიანი ქვაბი და მოქალაქე — ამ ქვაბთან ჭიპლარით მიერთებული არსება. დგება დღე, თავს იჩენს სრულიად გაუგებარი საჭიროება, რომ საკვები მილი ვიღაცამ მაკრატლით გადაჭრა და აი, მაშინ ატაცებულ-აფოფინებული დარბის მილიონობით ადამიანი, ყოველ მათგანს თავისი ჭიპლარი უჭირავს და ზოგი ძველ ქვაბთან კვლავ მიერთებას ლამობს, ზოგი ახალს დაეძებს, ზოგი მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებულის პოვნას არის გადაგებული... და ეს ორომტრიალი გრძელდება იქამდე, სანამ ვინმე ძველსავე ქვაბს სხვა საღებავით შეალამაზებს და ახალ სახელს შეარქმევს. მაშინ ჭიპლარები ისევ ტკიპებივით ეკვრიან ქვაბს და „ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე".**

***ჭაბუა ამირეჯიბი***

ის, რაც ქვეყანასა და ხელისუფლებაში ხდება, ვფიქრობ, ერთგვარად შეესაბამება ზემომოყვანილ ციტატას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დიდი ხნის მანძილზე ხელისუფლების მიზეზით და მის მიერვე ჭიპლარგადაჭრილ საქართველოს მოსახლეობას იმის იმედიც აღარა აქვს, რომ ვინმე ამავე ხელისუფლებიდან „შეალამაზებს სხვა საღებავით ძველსავე ქვაბს..." უკვე შეჭმული და ჯერ კიდევ შესაჭმელი სალაფავის შესარგებად. ხოლო საპარლამენტო „აბორტმახერთა" ხელით, ფაქტობრივად, ძალით ჭიპლარგადაჭრილ ხელისუფალთ იმის იმედი მაინც აქვთ, რომ თანგაყოლილი ჭიპლარები კიდევ დიდხანს ასაზრდოებს მათ ოჯახებს და შთამომავლობასაც... აი, მთელი კომენტარი მიმდინარე სახელისუფლებო ბაკქანალიისა!

პარალელურად კი, ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის გათხრილი უფსკრულის დამადასტურებელი „ორიგინალური" ფაქტის მოწმენიც გავხდით, როცა უპენსიობით გაწამებულ ლტოლვილთა ჯგუფმა წყნეთის გზა გადაკეტა, რათა დილით ფეშენებელური აგარაკებიდან თბილისისკენ მომავალ ხელისუფალთათვის პასუხი მოეთხოვა. აი, აქ გათამაშდა ქრესტომათიული სცენა, რომელიც ჭკუის სასწავლებლად გამოადგება მომავალ ხელისუფალთაც: ლტოლვილთა რისხვისგან თავდასაღწევად ბევრმა მოაგარაკე ხელისუფალმა „დაახვია" და კოჯრის შემოვლით მოაშურა თბილისს. ზოგმა კი — ბენზინი „დაზოგა", ცარიელი მანქანა მძღოლითურთ პიკეტის გასავლელად გაუშვა, თვითონ კი მალულად, ტყე-ტყე, ბილიკებით დაეშვა გზის იმ მონაკვეთისკენ, სადაც ლტოლვილები აღარ იდგნენ... იქ ჩაბრძანდნენ უკვე მომლოდინე ავტომანქანებში და მიაშურეს სამინისტროებს, პარლამენტსა და კანცელარიას... ამ სამარცხვინო ფაქტს ვეღარ უშველა მხოლოდ ვანო ჩხარტიშვილის „გაბედულებამ", რომელმაც დახმარება მაინც აღუთქვა გაწამებულ ხალხს...

„დანარჩენზე" ვესაუბრები რესპუბლიკური პარტიის ლიდერს **დავით ბერძენიშვილს.**

— „საშოვარს გადაგებული ყოფილი ერი", სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველოს რეალობაც არის! კიდევ უფრო მძიმეა მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, რომ ერი არის მუდმივად განახლებადი კატეგორია, ერს არ შეუძლია დადგეს დიდი ხნის განმავლობაში და პერპეტუუმ მობილესავით, რაკი ერთხელ შეიქმნა, იღვაწოს და იარსებოს! ეს არის მუდმივი შობის მდგომარეობაში მყოფი ერის კატეგორია, ეს არის პერმანენტული პლებისციტი და ჩვენც სწორედ ეს მდგომარეობა გვაქვს სახეზე: ძველი ქართველი ერი სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე, ფაქტობრივად, გაიყონა ისტორიაში, დაიკარგა და ილიას თაობის მიერ დაწყებული ქართველი ერის გაცოცხლება, ახალი პირობების შესაბამისად, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. თანამედროვე გაგებით, ჩვენ არ წარმოვადგენთ სამოქალაქო ერს, არა გვაქვს ცნობიერება საქართველოს მოქალაქეობისა. ამის შედეგია ჩვენი ფრაგმენტული სახელმწიფო.

— **რასაც ემატება გაუცხოება არა მარტო უმდიდრეს და ღატაკ ფენებს, არამედ ცენტრსა და რეგიონებს შორის.**

— დიახ, მძვინვარებს გაუცხოება ხელისუფლებასა და ხალხს, თბილისსა და ცალკეულ რეგიონებს შორის. აფხაზეთში მიმდინარეობს საქართველოსაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბების პროცესი და მე-7 წელია, აფხაზობა ამას ეჩვევა. მას ჰყავს საკუთარი კორუმპირებული და უვარგისი ხელისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლება მათი საკუთარია და ჩვენ ვერაფერს ვეუბნებით, თუ რატომ აჯობებს აფხაზეთის რეინტეგრაცია საქართველოში.

გაუცხოება წარმოიშვა თბილისსა და ბათუმს შორის. ეს არ არის მხოლოდ თბილისისა და აჭარის ხელისუფალთა ერთმანეთის მიუღებლობის, პერმანენტული დაპირისპირება-გარიგებების შედეგი, ამას გარკვეული საფუძველიც ჰქონდა, მაგრამ ხელისუფალთა ამგვარმა მოქმედებამ განსაზღვრა ის, რომ დღეს აჭარაში ყალიბდება განსხვავებული ქართველის ტიპი და ეს არამხოლოდ ჩვენნაირი დაულაგებელი და სუსტი ინტეგრაციის მქონე ქვეყნის პრობლემაა, არამედ საერთოდ ერისა, როცა ეროვნული ფასეულობები, ცხოვრების ერთიანი წესი იკარგება ცალკეულ რეგიონებში. მაგალითად, აჭარაში მე-10 წელია, არის ხელისუფლება, რომელიც თბილისისგან იზოლაციაში ამყოფებს აჭარის მოსახლეობას, ხოლო როდესაც თბილისისა და ბათუმის ხელისუფალთა ერთობლივი ბრიყვული ქმედებებით აჭარის მცხოვრებნი ვერ აზროვნებენ, ვერც ცხოვრობენ და ვერ საქმიანობენ იმ ტერიტორიაზე ისე, როგორც თუნდაც თბილისში, თელავში, ან ქუთაისში, ეს ქმნის გაუცხოების მნიშვნელოვან პარამეტრებს.

ქვეყანაში ბევრი მიმართულებით მიმდინარეობს დეზინტეგრაციის პროცესი. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აშკარად აცხადებს, რომ არ სურთ საქართველოსთან თანაცხოვრება და დეზინტეგრაციის ყველაზე მაღალი ხარისხიც აქ არის გამოვლენილი. ქვემო ქართლში, ფორმალურად, ჩვენ არა გვაქვს პრობლემები. იქაური აზერბაიჯანელები თვინიერი მოქალაქეები არიან და თითქოს, ერთი შეხედვით, საშიშროებას არ უქმნიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას. მაგრამ ის, რომ იქ თვინიერი მოსახლეობაა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ქვეყნისთვის სასარგებლოა. საქართველოს ყოველი ხელისუფლება ქვემო ქართლს და სამცხე-ჯავახეთს უყურებს, როგორც ერთ დიდ საარჩევნო ურნას. დასჭირდა, ვთქვათ, ლევან მამალაძეს 31 ოქტომბრის არჩევნებში 100%-ზე მეტის ჩვენება, მან დაუბრკოლებლად იშოვა ხმათა 110-120%. ამასთან, მიმდინარეობს პროცესი, როცა ქვემო ქართლის არათუ მთელი მოსახლეობა, არამედ მათი აქტიური და ნომენკლატურული ნაწილიც კი, არ არის ინტეგრირებული ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის, რომ მოქკავშირი თითო-ოროლა აზერბაიჯანელს სიით შეიყვანს პარლამენტში, არ ნიშნავს იმას, რომ აზერბაიჯანელთა ნომენკლატურული ჯგუფები ინტეგრირებულნი არიან ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საერთოდ, ეროვნულ უმცირესობათა თვინიერ წარმომადგენლებს ყოველთვის ეშინიათ ხელისუფლებისა, რათა არ დაისაჯოს იმისთვის, თუ არჩევნებში ხმას არ მისცემს მას; მაგრამ ეს შიშიც გაპირობებულია გაუცხოებით დანარჩენ

# წყნეთში „მოაგარაკე" მთავრობა სამსახურში ბილიკ-ბილიკ დადის...

*...საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასაც ჩამოუყალიბდა ბუნკერის ცნობიერება.*

*...საქართველოს პარლამენტში ტრადიციულად წიგნიერებისადმი ალერგია აქვთ და წიგნიერი და კომპეტენტური ხალხი გაცილებით ნაკლებ ხმას იღებს, ვიდრე მსუყე, კორუმპირებული სისტემის წარმომადგენლები...*

*...საქართველოს ხელისუფლება ეს არის „კოლექტიური შევარდნაძე".*

საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი.

არადა, მათ მეხსიერებაში შემორჩენილია ისტორიული ფაქტი, როცა მათი წინაპრები მეფე ერეკლეს ჯარში მსახურობდნენ და ებრძოდნენ საქართველოს მტრებს.

ჯავახეთში არსებული გაუცხოება კი საშიშია ჩვენთვის, რადგან იქაურ სომხურ მოსახლეობას ასეთი ისტორიული მეხსიერება არა აქვს, რადგან ისინი მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ჩამოსახლებულთა შთამომავალნი არიან. ამასთან, თუ საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან, საქართველოსა და სომხეთზე ამას ვერ ვიტყვით. ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტირი გვაქვს. ამიტომ იმის მაგივრად, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს ჯავახეთში მცხოვრები ნორმალური და არაკლანური ძლიერი და გავლენიანი ჯგუფების დაწინაურებას ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მთლიანად ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ინტეგრირებაში, ხდება პირიქით. ახალქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, რაკი ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსის წევრი იყო, ჩვენმა „ბრძენმა" ხელისუფლებამ გადააყენა თანამდებობიდან. შედეგად მივიღეთ ის, რომ ჯავახეთში არსებული ორი მძლავრი კლანიდან, როცა ერთ-ერთი თბილისზეა ორიენტირებული, მეორე კლანი გარბის ერევანში! საუბარი მაქვს რაისიანებისა და მკოიანების კლანებზე. აქედან, მოქკავშირის ფორმალურად მომხრე რაისიანების კლანი მთლიანად აკონტროლებს ვითარებას ახალქალაქში და ყველანაირად უშლის ხელს ნორმალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ინტეგრირებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

ნიკო ნიკოლაძეს უყვარდა მსგავს სიტუაციებში ერთი ფრაზის მოყვანა: „ეს არის „დურაკული" პოლიტიკის შედეგი..." როდესაც ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულებაში ცენტრალური ხელისუფლება ინარჩუნებს ისედაც არსებულ გაუცხოებას, როგორც კი სიტუაცია შეიცვლება, ეს გაძლიერებული კლანი, რომლისთვისაც თბილისთან ლოიალური ურთიერთობა მექანიზმია დიდი ფულის საკეთებლად, ისევე გადაუდგება ცენტრალურ ხელისუფლებას, როგორც მსგავსი შემთხვევები უკვე ყოფილა ბოლო წლების საქართველოს ისტორიაში...

— **და მაინც, ყველაზე დიდი უბედურება ჩვენთვის არის ის, რომ არ ისპობა გაუცხოების ტენდენცია საკუთრივ ქართული საზოგადოების ფენებს, წრეებს, კუთხეებს შორის...**

— უწინარესად, ეს არის სოციალური გაუცხოება ხელისუფლებასა და ხალხს შორის. სულ უფრო აგრესიული ხდება საქართველოს მოქალაქეების ცალკეული ფენების მოთხოვნები და საპროტესტო აქციები. ჩვენი კორუმპირებული სახელისუფლებო სისტემა ბოლო დრომდე თითქოს ახერხებდა, რომ ლუკმა-პური ეშოვა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას. კორუმპირებული სისტემა, ელემენტარულადაც, ვეღარ აკმაყოფილებს მოსახლეობის უმრავლესობას. ეს კი უკიდურესად საშიშია... რაც შეეხება სხვა ხარისხის გაუცხოებას, დავაკვირდეთ შევარდნაძის ქმედებებს: მან კატასტროფულად წააგო არჩევნები კახეთში, სადაც ოფიციალური მონაცემებითაც კი, პატიაშვილს მასზე ორჯერ მეტი ხმა აქვს აღებული და შევარდნაძემაც გადადგა „საპასუხო" ნაბიჯი: ქართულ ნომენკლატურაში გააჩინა კახური წარმომავლობის გია არსენიშვილი. ეს შევარდნაძის სტილია და აგერ ბაკურ გულუაც რომ წავიდა, რაღაც ფორმით, მეგრელი ან მეგრული გვარის ხალხი გაჩნდება ხელისუფლებაში... არადა სასაცილოა, რომ კახელები არც აქამდე ითხოვდნენ არაფერს. კახელების და ქართლელების შექმნილია ეს ქვეყანა და კახელებმაც ჩათვალეს, იმდენი დამსახურება მიუძღვით ქვეყნისადმი, რომ შეუძლიათ დაისვენონ. დავანებოთ თავი ყველაფერს, რადგან ფაქტია, რომ ხელისუფლების მიმართ გაუცხოება უკიდურესად გაიზარდა და ეს დაადასტურა 9 აპრილის არჩევნებმაც. თვით ამ არჩევნების შედეგების ფალსიფიცირების მასშტაბით თავზარდაცემული დასავლეთიც გაუცხოვდა საქართველოსადმი და უკვე აგდებულად გვექცევიან.


დავით ბერძენიშვილი

— **შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენა დასავლეთიდან წამოსული ყველანაირი მხარდაჭერა და დახმარება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისა და ძალაუფლების განმტკიცებას მოახმარა. ამასთან, ვხედავთ, რომ თავად ხელისუფლება აღმოჩნდა შავ დღეში, რომელიც თავიდან ბოლომდე კომპრომეტირებულია უკვე ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც...**

— დასავლეთის იმ პოლიტიკურმა წრეებმა, რომლებიც უაპელაციო მხარდაჭერას უწევდნენ შევარდნაძის რეჟიმს და ჟვანიას იმედად იყვნენ შევარდნაძის შემდეგ, დღეს გააცნობიერეს, რომ თურმე შეცდომა დაუშვიათ, ჟვანია არცთუ სანდო ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ კაციშვილმა არ იცის, იქნება თუ არა ჟვანია შევარდნაძის „პუტინი". საერთოდ, პოლიტიკური „პუტანობა" სამარცხვინოა, როცა ქართული პოლიტიკური სპექტრის ბევრი წარმომადგენელი პოლიტიკური „პუტანობის" გზით ცდილობს ადგილის დამკვიდრებას შევარდნაძის ოჯახის „მზის ქვეშ..." დიახ, ასეთ ვითარებაში დასავლეთი დაბნეულია. ეს კი არის ის ვითარება, რომელიც, გარკვეულწილად, წააგავს 1991 წლის სიტუაციას. ვფიქრობ, იმდროინდელი უზენაესი საბჭოს „სანგრებიდან და ბუნკერიდან" დღევანდელ ცეკა-კანცელარიის მე-11 სართულამდე ძალიან მცირე მანძილია არა მარტო მეტრების რაოდენობის მიხედვით... საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასაც ჩამოუყალიბდა ბუნკერის ცნობიერება. დღეს იწყება ცალკეული სოციალური ჯგუფების გააქტიურება საკუთარი სიცოცხლის უზრუნველსაყოფად. ხალხი ელემენტარული ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა მისული, რასაც შეიძლება მოჰყვეს სერიოზული პროცესები. არ გამოვრიცხავ, რომ არსებული პოლიტიკური სისტემა თვითმმართველობის არჩევნებამდე დაინგრეს!

— **და ეს პროცესი შეიძლება დააჩქაროს სწორედ „პრეზიდენტის ოჯახის მზის ქვეშ" ადგილის დამკვიდრებისთვის ხელისუფალთა შორის გაჩაღებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ. საერთოდ, არ მსურდა პარლამენტში გათამაშებულ ამაზრზენ სპექტაკლებს შევხებოდით დღევანდელი საუბრისას, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და, რას იტყოდით?**

— „ერთი ბარტყი გადმომიგდე", აი, მთელი ტექნოლოგია სახელისუფლებო ცვლილებისა. შევარდნაძემ ეს ერთი, მაგრამ ძალიან მსუყე ბარტყი გულუას სახით ჟვანიას გუნდს გადაუგდო, თუმცა იქვე გასცა ბრძანება: „ბაკურს ექნება პრობლემები, მაგრამ მერაბ ადეიშვილს და ნინო ჩხობაძეს პრობლემები არ უნდა ჰქონდეთო!" საერთოდ, სასაცილოა, როდესაც ხმათა უდიდესი უმრავლესობით გადიან მინისტრები, როცა კახა თარგამაძე „რეფორმატორად" ცხადდება და მიშა სააკაშვილიც მადლობას უხდის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ... ერთადერთი მოტივი, რისთვისაც ალეკო კარტოზიას ხმა მისცეს, ის არის, რომ 60 მილიონი დოლარი მოიპოვა თავისი ავტორიტეტით მსოფლიო ბანკისგან და ეს ფულიც ჯერ არ არის ჩამოსული და „ათვისებული"... მაგრამ, მაინც, თუ დააკვირდით, კარტოზიამ სხვა მინისტრებთან შედარებით ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო. საქართველოს პარლამენტში ტრადიციულად წიგნიერებისადმი ალერგია აქვთ და წიგნიერი და კომპეტენტური ხალხი გაცილებით ნაკლებ ხმას იღებს, ვიდრე მსუყე, კორუმპირებული სისტემის წარმომადგენლები... საერთოდ, დღევანდელ საქართველოს არ მართავს მხოლოდ პერსონალურად ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს ხელისუფლება ეს არის „კოლექტიური შევარდნაძე", ანუ შევარდნაძე პლუს მისი სანათესაო და მასთან დაკავშირებული პოლიტიკურ-ფინანსურ-ეკონომიკური კლანები. თითქმის ყველა ბოლოდროინდელი პოლიტიკური სკანდალის საფუძველი გახლავთ შევარდნაძის ძმისშვილის, მძახლის თუ სიძის ეკონომიკური ინტერესები. დღეს თითოეული მათგანი ცდილობს ოჯახიდან გააგდოს დანარჩენები. შევარდნაძეა შემქმნელი ამ კორუმპირებული სისტემისა და იმავდროულად მისი მძევალიც! აქედან, აშკარად შეიმჩნევა ჟვანიას არჩევანი, რაც 31 ოქტომბრის არჩევნებზეც დადასტურდა — მან, ფაქტობრივად, უარი თქვა საკუთარი თაობის პოლიტიკურ ძალებთან შესაძლო სამომავლო ურთიერთობებზე და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ხრამში გადაჩეხილიყო ქართული პოლიტიკური სპექტრი, თუმცა, ვფიქრობ, მას ეს არ გამოუვიდა! იგი ქართულ პოლიტიკურ სპექტრთან, ოპოზიციასთან თანამშრომლობის გზას კი არ დაადგა, რაც მნიშვნელოვანწილად მისცემდა შანსს, რომ პოსტშევარდნაძისეულ პერიოდში ყოფილიყო ქვეყნის ხელმძღვანელი, არამედ იგი შევარდნაძის ნომენკლატურაში საბოლოოდ დამკვიდრების გზით წავიდა. ეს არის არა მხოლოდ ქვეყნისთვის მძიმე ნაბიჯი, არამედ სახიფათო ჟვანიასთვისაც. იგი ვერ მოახერხებს შევარდნაძის „პუტინობას"...

— **მიუხედავად ხელისუფლების კრიტიკისა, ჩვენ არა ვართ ის ხალხი, რომ რაღაც შურისძიებაზე ვფიქრობდეთ, მაგრამ თუ რადიკალურად არ შეიცვალა ვითარება, ხელისუფალთ წყნეთის ბილიკებით კი აღარ მოუწევთ ხალხის რისხვისგან თავის დაღწევა, არამედ... თვითმფრინავებით (თუ რა თქმა უნდა, გაასწრებენ)!**

— ეგონათ, რომ ხელშეუხებელნი იყვნენ, მაგრამ არ ყოფილა საქმე ასე. ხოლო, თუ დევნილების პატარა აქციამ ხელისუფალნი ტყე-ტყე ატარა და ამჯერად სამსახურამდე მიაღწიეს, სულაც არ არის გამორიცხული, რომ შემდეგში ვეღარც სამსახურამდე მიაღწიონ... ვნახოთ, ჩვენი ხელისუფალნი ბუნკერის ნანგრევებში მოჰყვებიან, თუ მათი ნაწილი მაინც ეცდება სამომავლოდ ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მაინც დაიტოვოს.

***ზურაბ მჭედლიშვილი***




„მოდიოდა ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი“. 16 საუკუნეზე მეტი ხნით ადრე საქართველოში ფარავნის ტბიდან შემოსულმა კაპადოკიელმა ქალწულმა ამ ვაზის ჯვარზე გადმოსული ღვთის მადლითა და ძალით აზიარა ქართველები ქრისტიანობას.

„გადიდებთ შენ, ფრიად მშვენიერო, ქალწულო ნინო და პატივს ვცემთ წმიდასა სნებასა შენსა, რომელმან მრავალი იღვაწე ჩვენთვის, და ღვაწლითა შენითა ვიხილეთ ქრისტე“ — ამგვარად უგალობებდა საუკუნეების მანძილზე ქართველი ქრისტიანი წმიდა ნინოს. აგებდა მისი სახელობის ეკლესია-მონასტრებს. ანთებდა სანთელს მის წმიდა ხატთან და ევედრებოდა ქვეყნისა თუ ოჯახის კეთილდღეობას.


„გადიდებთ შენ, ფრიად მშვენიერო, ქალწულო ნინო!..“

წმიდა ნინოს სახელობაზე აგებული ეკლესიებიდან თბილისში სამი შემორჩენილა. მათგან ყველაზე ხნიერი — ჩუღურეთის რაიონში, ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე ეკლესია XV საუკუნეშია აგებული და იგი ადრე ღვთისმშობლის სახელს ატარებდა. ტაძარი გვიანი, შუა საუკუნეების ბაზილიკას წარმოადგენს. კომუნისტური მმართველობის წლებში, ეკლესია საცხოვრებელ სახლად აქციეს და მასში მობინადრეები შეასახლეს. 1978-79 წლებში ტაძარში სამხატვრო გალერეა იყო, შემდგომ საკონცერტო დარბაზი. 1991 წელს მერაბ კოსტავას საზოგადოების თაოსნობით დასრულდა ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები და 1991 წლის 26 იანვარს იგი აკურთხეს. 27 იანვარს ჩატარდა საზეიმო წირვა.



წმ. ნინოს სახელობის ტაძარი მთაწმინდის რაიონში წარმოადგენს აგურით ნაშენ სამნავიან ბაზილიკას. 1850 წლით დათარიღებულ წერილში ათონის ივერთა მონასტრის ბერებისადმი, ელისაბედ ვორონცოვა აღნიშნავს, რომ ათონიდან საჩუქრად ჩამოტანილი ივერიის ღვთისმშობლის ხატი შესწირა თბილისის კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის წმიდა ნინოს ეკლესიას. თავადის მეუღლემ ეს სასწავლებელი 1846 წელს დააარსა. როგორც ჩანს, ეკლესიაც ამავე პერიოდში უნდა აგებულიყო. ეკლესია ორსართულიანია. ტაძრის პირველ სართულზე უკვე რამდენიმე წელია წმინდანთა — მირიანისა და ნანას სახელობის ტაძარი მოქმედებს. ტაძრის ზედა სართულზე კი ამჟამად ორი ტრაპეზია: წმიდა ნინოსა და მისი მშობლების — წმიდა ზაბულონისა და სოსანას სახელობისა, სადაც 1999 წლის 26 მაისს ხანგრძლივი დუმილის შემდეგ კვლავ აღევლინა წირვა-ლოცვა.

მესამე წმ. ნინოს სახელობის ეკლესია თბილისში კუკიაზე — ნორიოს აღმართზე მდებარეობს და იგი 1907 წელს ააშენა დეკანოზმა იოსებ ილიას ძე ბერიძემ. 1989 წლამდე ტაძარს რუსული გუმბათი ჰქონდა. 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდგომ მოხდა ტაძრის სრული რეკონსტრუქცია — ტაძრის რუსული სტილი ქართულით შეიცვალა. თავად ტაძარი სპილენძის სახურავით გადაიხურა. ტაძარში დაკრძალულია 9 აპრილს გარდაცვლილი თამრიკო ჭოველიძე.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე კიდევ ერთი წმ. ნინოს სახელობის ტაძარი შენდება. ტაძრის არქიტექტორია ბატონი რევაზ ჯანაშია. მშენებლობის იდეა კი ეკუთვნის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის აწ განსვენებულ რექტორს ბატონ ზურაბ ბუაძეს. ამჟამად ტაძრის მშენებლობა მამა იოსებისა და მისი მრევლის ღვაწლით საცაა დასრულდება და მოკლე ხანში ტაძარი საზეიმოდ ეკურთხება.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, წმიდა ნინოს სახელთან დაკავშირებულ ტაძართა შორის უპირველესი — ბოდბის ეკლესია, წმიდა გიორგის სახელს ატარებს. ალბათ ეს არცაა მოულოდნელი, თუ გავიხსენებთ, რომ წმიდა ნინო და წმიდა გიორგი კაბადოკიელები გადმოცემით ახლო ნათესავები — ბიძაშვილები იყვნენ.

როგორც ისტორია მოგვითხრობს, მეფე მირიანს სურვილი ჰქონია წმ. ნინო მცხეთაში გადაესვენებინა და სვეტიცხოვლის ტაძრის მახლობლად დაეკრძალა. მაგრამ მისი ნეშტის „ვერ შეუძლეს ძვრად სიმრავლემან ერისამან, ვიდრემდის მასვე ადგილსა, ბოდბესა, სადა იგი აღესრულა. მუნვე დაკრძალეს ფრიადი პატივითა და დიდებით (ქართლის ცხოვრება)“. საუკუნეების განმავლობაში ბოდბის ეკლესიასთან, ვიდრე კომუნისტების პერიოდამდე, მონასტერი ფუნქციონირებდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ბოდბის მონასტერი გაუქმდა და მონაზვნები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. მონასტრის ტერიტორიაზე საავადმყოფო გაიხსნა. რამდენიმე მონაზონი მოწყალების დის სახით მონასტერში დარჩა და ფარულად ემსახურებოდა წმიდა ნინოს საფლავს. ამჟამად ბოდბის მონასტერს ახალგაზრდა იღუმენი დედა თეოდორა (მახვილაძე) განაგებს.

***ნინო ტარყაშვილი***



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ვანო მელიაშვილის ნახატების გამოფენა გაიხსნა. ეს არის ახალდაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის — „ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრის“ პირველი ღონისძიება.

ვანო მელიაშვილი თითქმის ჩვენი თანამედროვე იყო. ის 1988 წელს გარდაიცვალა, 110 წლის მოხუცებული. ცხოვრობდა თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის სარდაფში. როგორც მისი ნაცნობები იხსენებენ, საკმაოდ დაქვეითებული ჰქონდა სმენა, ბოლო წლებში კი მხედველობასაც ძალიან უჩიოდა. მაინც ხატავდა...

ტექნიკური მიღწევებითა და ფილოსოფიური იზმებით სავსე ჩვენს ეპოქაში ვანო მელიაშვილი ხატავდა ადამიანებს ღვთით ბოძებული სიმართლითა და უბრალოებით. როცა გარეთ „შეშლილი სახით კიოდა ქუჩა“, მის სარდაფში ცოცხლობდნენ მშვიდთვალებიანი, შუბლნათელი ქალები, ბავშვები, მამაკაცები. და ეს ყველაფერი მზის სხივივით შემოდიოდა ჩვენს რეალობაში, სხივივით, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან გვიან შეამჩნიეს. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ვანო მელიაშვილის სახელი და გვარი დღეს ბევრმა არც კი იცის. არადა ის მხატვართა წრეში ანრი რუსოს, ნიკო ფიროსმანის გვერდით მოიაზრება. აქვე მინდა რამდენიმე მოგონება გაგაცნოთ მის შესახებ:

**რუსუდან ბაინდურაშვილი**: „ერთხელ, შემთხვევით შევესწარი საოცარ სცენას: ვანო ტელევიზიით უსმენდა გადაცემას, სადაც ვიღაც მამაკაცი საუბრობდა. მთელი ყურადღებით უსმენდა მოსაუბრეს და თან ხმამაღლა უდასტურებდა ნათქვამს. როცა მამაკაცმა საუბარი დაამთავრა, ვანომ სერიოზულად ჰკითხა, — რა გვარი ხარ, ბიჭო, ჰა?

ასე აღიქვამდა იგი ირგვლივ ყველაფერს, ასეთი უშუალო და გულწრფელი იყო ურთიერთობებში“.

**პაატა მოისწრაფიშვილი:** „ერთ დღეს დაუპატიჟებლად ვეწვიე მის სარდაფს. კარი თავად გამიღო. დავათვალიერე კედელზე დაკიდებული ნახატები. ძალიან მომეწონა. მგონი, ვუთხარი, — ძალიან დიდი მხატვარი ხართ-მეთქი. კი, ასე იყო... გაუხარდა. გული გადამიშალა და მიამბო თავისი გასაჭირი, — მთელი სხეული მაწუხებს, საღებავები არა მაქვსო...

...უკანასკნელად შემოდგომაზე ვნახე. რუსთაველზე მიდიოდა... მოვიკითხე. მითხრა, — ველარაფერს ვხედავო. პირველად წამოსცდა, — დაუფასებლად მივდივარ ამ ქვეყნიდანო“...

**ნიკა თოფურიძე**: „მახსენდება ბნელი სარდაფის კედლებიდან თუ იატაკზე დაყრილი სურათებიდან მომზირალი გაკვირვებული, გარინდული, ტრაგიკული, შარავანდმოსილი ადამიანები. თითქმის არაფერი ჩანს, ისინი კი ჩანან... კართან შევაგროვებდი ჩუმად ნამუშევრებს, — ცოლი ჰყვება, — და თუ ვერ შეამჩნევდა, ნაგავს გავატანდიო...

მახსენდება დავარდნილი მოხუცის სიკვდილჩამდგარი თვალები. მხოლოდ ბეწვით რომ იყო დაკავშირებული სააქაოსთან. აღარ ლაპარაკობს, არ სვამს, არ ჭამს, არ სძინავს... ხატავს... ხატავს კვლავ ადამიანებს, ახლა მხოლოდ სულეთის საუფლოდან, საითაც გზა უდევს.“

ვანო მელიაშვილის ნამუშევრების გამოფენა არ ჰგავდა სხვა გამოფენებს. ჩვენთვის, ადამიანებისათვის მნიშვნელოვანია, რომ დროის ულმობელ მანქანას არ გავატანოთ განურჩევლად ყველაფერი... იმდენად საჭიროა, დავიტოვოთ ჩვენი შვილიშვილებისათვის, მათი სულებ-



ისთვის მშვენიერების გამოვლენის ყველა ნიმუში, რომ უფრო მნიშვნელოვნად არაფერი გვესახება.

ეს გამოფენა იმედის სხივივით გაჩნდა, რომ მომავალში არაფრის და არავის დაკარგვას აღარ დავუშვებთ.

ვანო მელიაშვილის დასაფლავებაზე სულ რამდენიმე კაცი ყოფილა. უხმაუროდ მიუბარებიათ მიწისათვის ანრი რუსოსა და ნიკო ფიროსმანთან მდგომი კაცი, რომელმაც „საოცარ მთლიანობას მიაღწია ადამიანის ზოგადი სახის გამოხატვაში, რომელიც აღბეჭდილია კაცობრიობის მოდგმის საერთო დარდით და ტკივილით, განცდით და ტრაგიზმით“ (ნ. თოფურიძე).

***ლელა ჯიყაშვილი***






# საზანურ ძალებთან თანამზრახველობის ბრალდებით(?)

ერთი უბედურება დაგვჩემდა ქართველებს ამ ბოლო დროს: თუ ვინმე რაიმე კარგს გააკეთებს, იმწამსვე გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც მზად არიან, ლაფში ამოსვარონ სხვისი სიკეთე და ბოროტებად წარმოაჩინონ. ამის გამოვლინება იყო ერთ-ერთი გაზეთის ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს გადაცილებული, ერთობ ულოგიკო პუბლიკაცია, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და გაზეთი „კვირის პალიტრა“ შავ მაგიასა და სატანურ ძალებთან კავშირში იყო დადანაშაულებული. მკითხველს დიდი ბოდიში გვინდა მოვუხადოთ, რადგან განმეორებით გვიწევს იმ საჩუქარზე საუბარი, რომელიც „კვირის პალიტრამ“ სააღდგომოდ უძღვნა თავის მკითხველს. საჩუქარი კი ნომერში მოთავსებული აღდგომის ხატის რეპროდუქცია და იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმიდა სანთელი იყო. ამის გახსენება კი იმისთვის დაგვჭირდა, რომ სწორედ ეს სანთლები გახდა იმ აბსურდული და ამაზრზენი ბრალდების საფუძველი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

ამაზე ყურადღების გამახვილება და რეაგირება ჩვენი მხრიდან არასერიოზული იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ამ პუბლიკაციით აღშფოთებულმა რამდენიმე ადამიანმა ჩვენთან, რედაქციაში დარეკა და სათანადო რეაგირება მოგვთხოვა. ეს ბუნებრივიცაა — აბა, რა გუნებაზე დადგება ადამიანი, რომელმაც წმიდა სანთელი მიიღო საჩუქრად „კვირის პალიტრისგან“ და შემდეგ ერთ-ერთ გაზეთში (ამ გაზეთს ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ, მათ მხოლოდ მისი უწმიდესობის ილია -ის სიტყვებს შევახსენებთ, რომელიც მან მასმედიის მისამართით ბრძანა „კვირის პალიტრისათვის“ მიცემულ ინტერვიუში: „გახსოვდეთ, თქვენი სიტყვა ათასობით და ათიათასობით მრავლდება, ასევე მრავლდება თქვენი ცოდვა-მადლიც“) წაიკითხავს: „ილია -ის ლოცვა-კურთხევით, გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ დაარიგა მაგიური შავი სანთლები“. შემდეგ კი გაზეთი, რომელმაც, თავისი, რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად უპასუხისმგებლო სტატია ზემოთ მოყვანილ საზიზღრობაზე ააგო, ასეთ შესავალს აკეთებს — „უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულად გახშირდა ვითომ წმიდა მიწიდან, იერუსალიმიდან ბედნიერების მომტანი ნივთების ჩამოტანა. სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ ამჩნევენ, ეს ყველაფერი ადამიანის სულის საზიანოდ არის გამიზნული და ქმედებაში მოყვანილიც...“ და მერე სამაგალითოდ „კვირის პალიტრის“ სააღდგომო აქცია მოჰყავს.

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „კვირის პალიტრის“ მიერ გავრცელებული წმიდა სანთლები უფლის საფლავზე იქნა შეძენილი და იქიდან გამოგზავნილი, — ბრძანა ჩვენთან საუბარში საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა დეკანოზმა დავით შარაშენიძემ.

სანთლებთან დაკავშირებით, ამავე პუბლიკაციაში კიდევ ერთ უსუსურ კომენტარს აკეთებს განკვეთილი მღვდელი ბასილ მკალავიშვილი: „სანთელსაც ეტყობა, იგი შავი იყო, ესე იგი, მაგიური“. ვერ გეტყვით, გამიზნულად ცრუობს ბასილ მკალავიშვილი თუ უბრალოდ დალტონიკია. ვისაც ეს სანთლები უნახავს, ყველა დამეთანხმება, რომ ისინი შავი კი არა, მუქი ფერისა იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სანთლის ძირითადი მასალა ცვილია. ისევე, როგორც სხვადასხვა მცენარის თაფლი განსხვავდება ფერით (მაგ.: წაბლის თაფლი მუქია, ცაცხვისა კი ღია ფერისა), ასევე სანთლებიც შეიძლება შეფერილობით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მთავარია, ის იყოს წრფელი გულით და ღვთის სიყვარულით დანთებული. დეკანოზმა **დავით შარაშენიძემ** ისიც აღნიშნა, რომ მაცხოვრის საფლავიდან ჩამოტანილი ეს სანთლები განსაკუთრებული სიწმიდეა და, სხვათა შორის, იყო ცნობები, რომ უამრავ ოჯახში შეიტანა სიხარული. როგორც სახარება გვამცნობს, — ხე ნაყოფით შეიცნობა. ეს ნაყოფი იყო ის სიხარული, რომელიც გაიზიარეს ადამიანებმა. ასეთი სიხარულის მიზეზი კი არ შეიძლება დემონი და სატანა იყოს. ალბათ ზედმეტი იყო ყოველივე ამის ახსნა იმათთვის, ვინც სიღრმისეულად აფასებს მოვლენებს, რადგან აშკარად დაინახავდნენ, რომ აქ სანთლები არაფერ შუშია. უბრალოდ, საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით განხორციელებული „კვირის პალიტრის“ საკმაოდ მასშტაბური და გარკვეული რეზონანსის მქონე აქცია, გარკვეულმა პირებმა გამოიყენეს (უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უხეიროდ და უგუნურად) საქართველოს ეკლესიის კომპრომეტირების მცდელობისათვის.

*რედაქციისაგან: როგორც ვთქვით, ერთ-ერთმა გაზეთმა, რომლის ჟურნალისტს, თუ არ ვიცით რედაქტორს, ყურთ ჩასწვდა „სკანდალური თემა“, არც აცია, არც აცხელა და არაკეთილსინდისიერად მოიქნია კალამი და შემდეგ რიტორიკულად დაასკვნა: „რასაკვირველია, ამ საკითხის გარკვევა ჟურნალისტს არ შეუძლია, მაგრამ ამის სურვილი კი ნამდვილად გვაქვსო“. თუ სურვილი გაქვს, შე დალოცვილო, გაისარჯე და იკითხე, — კოლეგებო, თქვენს აქციას მავანი ასე „ნათლავს“ და ჭეშმარიტება სად მოვიძიოთო... გეტყოდით, ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაში უნდა ეძიოთ... ჭეშმარიტება ერთია! ერწმუნეთ ეკლესიას, წმიდა სანთელს და ხატს, ენდეთ ეკლესიის წინამძღოლს... ნუ ეძებთ მუქ ფერებს ყველგან და ყველაფერში...*

P.S. ეს სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც იმავე გაზეთმა მკითხველის, პროფესიით ჟურნალისტის, გამოხმაურება დაბეჭდა სწორედ იმ არაკეთილსინდისიერ პუბლიკაციაზე. წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი სწორედ იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, ვინც სიღრმისეულად, საღად აფასებს მოვლენებს. ჩვენც ვეთანხმებით ამ წერილის ყველა სიტყვას და გაზეთის რედაქციას ვურჩევთ — უპირველესად საკუთარ თავთან იყოს მართალი.

***მამუკა გიორგაძე***

# „ჩემთვის რომ ვინმეს ცეცხლი გაეხსნა, აუცილებლად ვუპასუხებდი...“



***უკიდურესად დაძაბულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს ამ ბოლო დროს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პრობლემებიც დაერთო.***

***არცთუ დიდი ხნის წინ უამრავ დაკარგულ ქართულ ტერიტორიას დუშეთის საზღვართან ორკილომეტრიანი მონაკვეთიც დაემატა. თუმცა ხელისუფალნი გვარწმუნებენ, ამჟამად რუსეთის გამგებლობაში მოქცეული ფიჭვნი ჯერ მთლად დაკარგული არ არის, ცოტა გვაცალეთ, ბატონო, და მალე დავიბრუნებთო. საკითხის ერთგვარმა გაჭიანურებამ კი შესაბამისი ეჭვი წარმოშვა — ეს „მუხრუჭი“ თავად ხელისუფლებისგან არის ვიზირებული(?!). მართლაც, საკითხავია, რეალურად რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება პრობლემის გადაჭრის მიზნით?***

**ნინო ბურჯანაძე** — საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:

— არავინ აპირებს საქართველოს ინტერესების შელახვას და თუნდაც ერთი მტკაველი მიწის დათმობას, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად მოგვეცემა საშუალება, სამართლებრივად და დოკუმენტურად დავუმტკიცოთ რუსეთის მხარეს, რომ ის ორი კილომეტრი სწორედაც საქართველოს კუთვნილებაა. არის დოკუმენტები, რომლებიც ამას ეჭვქვეშ აყენებს, მაგრამ არის დოკუმენტები, რომლებიც იძლევა მეტ-ნაკლები ბრძოლის საშუალებას. ასე რომ, როდესაც 100%-იანი არგუმენტი არ გიჭირავს ხელში, სჯობს, მეორე მხარის კეთილ ნებაზე გააკეთო აპელირება და მუშტების ქნევა არ დაიწყო.

— **კონკრეტულად, რა დოკუმენტებზეა საუბარი?**

— ეს არის რუკები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჩვენთვის ხელსაყრელია მხოლოდ 1928 თუ 1929 წლის რუკა. ყველა დანარჩენი რუკის მიხედვით რუსებს საზღვარი არ დაურღვევიათ და სწორედ იქ დგანან, სადაც უნდა იდგნენ.

— **სად არის ეს რუკები. იცით მაინც სად უნდა ეძებოთ?**

— რუკებს ეძებენ არქივებში, კარტოგრაფიის და გეოდეზიის დეპარტამენტში, ბიბლიოთეკებში, როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც.

— **რუსები ხელს არ შეგიშლიან მათი მაკომპრომეტირებელი რუკის მოძებნაში?**

— ბუნებრივია, არსებობს, დახურული რუკები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, რომ ისინი მოვიპოვოთ. ახლა რომ ვიძახოთ, რატომ არ გვაძლევს რუსეთი იმ რუკას, რომელიც ჩვენთვის ხელსაყრელია და მისთვის არაო, მგონი, არალოგიკური იქნება. რუსეთს ამაში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ.

**ირაკლი გოგავა** — დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე:

— **როდესაც ჩეჩნები აკონტროლებდნენ საზღვრის ამ მონაკვეთს, მაშინ თუ იყო მსგავსი მცდელობები მათი მხრიდან?**

— ასეთი მცდელობები მათი მხრიდან არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ რუკაზე დაყრდნობით მათაც შეეძლოთ ამ ორი კილომეტრის მოთხოვნა, მაგრამ ჩეჩნები რუსებისგან განსხვავებით მთის კანონებით მოქმედებენ. მთის კანონი კი კრძალავს საგვარეულო სალოცავების და საძოვრების მიტაცებას და მითვისებას. ამის გამო ჩეჩნებთან ეს პრობლემა არ იდგა, ხოლო რუსებმა არ იციან მთის კანონები. ამიტომაც არის, რომ ასე თვითნებურად გადმოსწიეს თავიანთი პოსტი. დოკუმენტურად ისინი მართლებიც რომ ყოფილიყვნენ, შეტყობინების გარეშე ეს არ უნდა გაეკეთებინათ.

— **ასე რატომ მოიქცნენ, აშკარა პროვოკაციაზე წამოვიდნენ?**

— იცით რა, არა მგონია, რომ რუსეთისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს, საზღვარი 2 კილომეტრით აქეთ იქნება თუ იქით. უბრალოდ, ყველაფერი ეს ხდება ერთადერთი — პროპაგანდისტული მიზნით. რუსებს სურთ დააფიქსირონ, რომ საქართველოს აქვს გარკვეული ანტირუსული დამოკიდებულება ჩეჩნეთის საკითხთან მიმართებაში. ფაქტია, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. არავინ იცის, რა შედეგი მოჰყვება ამ ბრძოლებს. რუსეთს კი სჭირდება თავის გასამართლებელი არგუმენტები, თუ რატომ ვერ ახერხებს მოაგვაროს ჩეჩენ მეამბოხეთა საკითხი. ამ შემთხვევაში განტევების ვაცი საქართველოა. ხომ ხედავთ, როგორი განცხადებები ვრცელდება რუსეთის მიერ.

**გელა ხუციშვილი** — საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:

— საერთოდ, პოსტის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა ტექნიკური მომენტია და ეს დიდ ხმაურს არ გამოიწვევდა, მაგრამ აი, რა მოხდა: როდესაც ადგილობრივმა ხევსურმა მოსახლეობამ შეიტყო, რომ მიწა, რომელიც ოდითგანვე მათ ეკუთვნოდათ, თურმე რუკების მიხედვით მათი არ ყოფილა, განგაშის ზარები შემოჰკრა.

— **ამბობენ, რომ შატილთან მესაზღვრეებმა რთული ეკონომიკური პირობების გამო დატოვეს პოსტი. მართლა ეს იყო მიზეზი, თუ ისინი უბრალოდ რუსებთან სიტუაციის გამწვავებას მოერიდნენ?**

— თუ ასეთ ფაქტს იქ მართლაც ჰქონდა ადგილი, ეს მხოლოდ და მხოლოდ დაუდევრობის ბრალია, მაგრამ მაინც არა მგონია, ასე ყოფილიყო. ჩემი აზრით, იქ უფრო უსუსურობამ „იმუშავა“.

— **იქნებ დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?**

— შეიძლება ვინმემ დამწამოს, პროვოკაციების მომხრეაო, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, ჩემთვის რომ ვინმეს ცეცხლი გაეხსნა, აუცილებლად საპასუხო ცეცხლს გავუხსნიდი. აბა, სხვა რისთვისღა დგას საზღვარზე მესაზღვრე? ასე შეიძლება, რომ თბილისამდეც ჩამოვიდნენ. კიდევ ვიმეორებ — არ შეიძლება დათმობა იქ, სადაც მოვალე ხარ, რომ არ დათმო.

— **ეი. ეს ინციდენტი ქართველი მესაზღვრეების უნიათობის ბრალი იყო?**

— როგორ გითხრათ, შეიძლება საკითხს მეორე მხრიდანაც შევხედოთ. მე წარმოვადგენ ხელმძღვანელ რგოლს და უფლებამოსილი ვარ, კონკრეტულ სიტუაციაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მივიღო. საზღვარზე კი შედარებით დაბალ რგოლში მომუშავე ოფიცრები არიან და ეტყობა, იმ ვითარებაში პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარ თავზე ვერ აიღეს.

— **არსებობს შანსი, რომ ამ ტერიტორიას დავიბრუნებთ?**

— არსებობს დოკუმენტები, რომლითაც მტკიცდება, რომ ეს ტერიტორიები ჩვენ გვეკუთვნის. ეს დოკუმენტები ნანახი მაქვს.

— **ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რუკები ჯერ არ გვიპოვია, ვეძებთო და თქვენ სად ნახეთ?**

— რას ბრძანებთ, ჩემი თვალით ვნახე. ეს არის 1929 წლის საკავშირო ცაკ-ის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) დადგენილება, რომელშიც წერია, რომ დამტკიცებულ იქნეს 1927 წლის ტერიტორიული გაყოფის საკითხი და 1928 წლის კოორდინატები, რომელიც მაშინდელ რუკაზეა დატანილი. მისი შესაბამისობაში მოყვანა ახლანდელ მოქმედ რუკებთან ადასტურებს, რომ ჩვენსა და ჩეჩნეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის გამყოფი ხაზი ალაქოს ხევი ყოფილა, ანუ ეს ტერიტორია საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენს.

— **ხელისუფლება, რაღაც მიზეზით, განგებ ხომ არ აჭიანურებს საკითხის გადაწყვეტას? იქნებ რუსეთის მიმართ რაღაც შიშის თუ „მოკრძალების“ გამო, ხელისუფლება იძულებულია, გარკვეულ დათმობებზე წავიდეს?**

— როგორ გითხრათ, ვერ ვამჩნევ ასეთ ტენდენციას. ორ კილომეტრს ჩვენთვის, ადგილობრივი ხევსური მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ისინი არ დათმობენ. პოლიტიკური მოსაზრებების, რაიმე სხვა მიზეზების და თუნდაც ვინმეს მიმართ კეთილი განწყობის გამო ტერიტორიების დათმობა დაუშვებელია. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავარკვიოთ, რას ვთმობთ ან რის დათმობას არ ვაპირებთ.

— **ფიჭვნთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, როგორც ვიცი, სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ. გავიგე, რომ თქვენზე ზეწოლის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. კონკრეტულად რაში იყო საქმე?**

— სიმართლე გითხრათ, არ მინდა ამ თემაზე საუბარი. აქ გულისტკენის მომენტები უფროა. ჩემი ბრალეულობა იმაში მდგომარეობს, რომ მქონდა, მაქვს და მექნება პრინციპული დამოკიდებულება თითოეული გოჯი ქართული მიწის მიმართ და ამას ჩემი სამსახურებრივი კარიერა რომც შეეწიროს, უკან დამხევი არ ვარ. შეიძლება ვინმემ დამწამოს, პროვოკაციების მომხრეაო, მაგრამ თუკი სხვა არ ერიდება ამ პროვოკაციებს და უბოდიშოდ, თავხედურად იჭრება ჩემს მიწაზე, მე რატომღა უნდა მოვერიდო? ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ის „დავაშავე“, რომ რუსების თვითნებობის პასუხად თურმე უკანონოდ გადავკვეთე მათი საზღვარი, შემდეგ კი შვეულმფრენით გადავიფრინე ანუ დავარღვიე საერთაშორისო ფრენის წესები. ასე წერია მოკვლევის მასალებში.

— **ამის გამო კი, შესაძლოა, სამსახურიდანაც დაგითხოვონ, არა?**

— მოდით, ნუ ვიქნებით ზედმეტად ცნობისმოყვარენი — იყო თუ არა ჩემზე ზეწოლა, ახორციელებს თუ არა ვინმე ჩემს სამართლებრივ დევნას — ეს უფრო სუბიექტური მომენტებია და ამის განზოგადება სახელმწიფოებრივ დონეზე დაუშვებლად მიმაჩნია. ისე კი, ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ, შესაძლოა სამართლებრივი დევნა ველარ გამიბედონ, მაგრამ სხვა ხრიკებს კი აუცილებლად მოიფიქრებენ. საკმაოდ მრავალფეროვანი არსენალი ჰქონდა ყოფილ КГБ-ის მე-5 განყოფილებას. ამ მხრივ პროფესიონალები არ გვაკლია.

***ხათუნა ყვირალაშვილი***


**MBG - Microfinance Bank of Georgia**

**საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი**



- ᲛᲘᲑ გაიხსნა 1999 წლის 13 მაისს;
- ᲛᲘᲑ-ს მთავარი დამფუძნებელია გერმანიის სახელმწიფო ბანკი KfW, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და წამყვანი ქართული ბანკები;
- ᲛᲘᲑ მუშაობს გერმანული სტანდარტებით;
- ᲛᲘᲑ-ს მიზანია საქართველოში ბიზნესის განვითარება;

**სიახლე**

**ევროპასთან მომუშავე ბიზნესმენებისათვის გამოყოფილია სპეციალური საკრედიტო ხაზი ევრო-ში შეღავათიანი პირობებით.**

თქვენ მიკროსაფინანსო ბანკის სასურველი კლიენტი ხართ.

MBG

- კრედიტები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;
- საპროცენტო განაკვეთი - თვეში 1,5%-2%
- მოქნილი საგარანტიო სისტემა;
- სწრაფი, სასიამოვნო და საიმედო თანამშრომლობა;
- სრული საბანკო მომსახურეობა;
- კრედიტის გაცემის ვადაა 3-7 დღე;
- დასავლური მომსახურების სისტემა.



ჩვენთან კონსულტაცია უფასოა

თბილისი, 380012, თამარ მეფის გამზ. 18,
ტელ.: 92 16 16, 25 05 76, 25 05 77, 25 05 78; ფაქსი: 25 05 80.

# ყალბი ანგარიშ-ფაქტურები

დიდმა კომბინატორმა ფულის „კეთების“ ოთხასზე მეტი გზა იცოდა. რამდენი ვიცით ჩვენ, ქართველებმა? ამის დათვლა, ალბათ, შეუძლებელია, იმის თქმა კი შეიძლება, რომ როგორც მაქსიმალისტები, პატარას არაფერს წავეპოტინებით, ანუ ჩიტი ყოველთვის გვილირს ბდღვნად.

ჩვენი გამოკვლევა სწორედ ერთ-ერთ ასეთ გზას ეძღვნება, რომელიც მარიფათიანმა „საქმოსნებმა“ სახელმწიფო ბიუჯეტისკენ გაიკვლიეს. საქმე მკაცრი აღრიცხვის დამატებითი ღირებულების გადასახადის, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების გაყალბებას ეხება. სახელმწიფო ფულის ჩაჯიბვის ეს მეთოდი შედარებით ახალია. იგი, დაახლოებით 2-2,5 წლის წინ, ანგარიშ-ფაქტურების თითქმის შემოღებისთანავე აღმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მექანიზმში რამდენიმე რგოლია ჩართული, იგი საკმაოდ გამართულად მუშაობს, რადგან „დასაზეთი საშუალება“ — ფული, თითოეულისთვის სამყოფია. ფული მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტს არ ჰყოფნის. სულ რაღაც ორიოდე თვის წინ დამტკიცებულ 2000 წლის ბიუჯეტს უკვე 150 მლნ ლარით კვეცენ. არადა, აღნიშნული მაქინაციით მისთვის მიყენებული ზარალი ამ რიცხვს, ალბათ, ბევრად არ ჩამოუვარდება. დანაშაულის გავრცელების მასშტაბების სოლიდურობას ყველა აღიარებს, მაგრამ ამ კრიმინალის თავისებურებათა გამო, მისი დადგენა საკმაოდ რთულია. აფერის მექანიზმი კი, უმეტეს შემთხვევაში, ასე მუშაობს:

არალეგალური გზით შემოტანილი საქონლის მფლობელს შესაძლოა, რეალიზაციასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნას, თუკი პოტენციური მყიდველი მასთან სავაჭრო ოპერაციის კანონიერ გაფორმებას მოისურვებს. ამ შემთხვევაში, მყიდველი გამყიდველისგან ანგარიშ-ფაქტურიან პროდუქციას ითხოვს, რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელს არ გააჩნია. ამიტომ იგი ეძებს და შოულობს კიდეც (საკმაოდ ადვილად) ყალბად გაწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. ამ ყალბი პროდუქციით ვაჭრობენ ასეთივე ყალბი ფირმები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ ერთადერთი მიზნით იქმნებიან.

პირადობის დამადასტურებელი ყალბი საბუთები და ნაცნობობა რაიონულ სასამართლოსა თუ საგადასახადო ინსპექციაში, საკმარისი პირობაა ყალბი ფირმის შესაქმნელად. როგორც წესი, სასამართლოში მათი რეგისტრაცია გარდაცვლილი პიროვნებების ან დაკარგული საბუთებით ხდება. ამგვარად შექმნილი ინდივიდუალური საწარმო საგადასახადო ინსპექციაში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირდება და ანგარიშ-ფაქტურების პირველ პარტიას (მინიმუმ, რამდენიმე ათეულ ცალს) იღებს. სწორედ ამ ინდივიდუალური მეწარმის მიერ გაწერილი ანგარიშ-ფაქტურა ადასტურებს, რომ ზემოხსენებულმა კონტრაბანდისტმა საქონელი მისგან შეიძინა. რა თქმა უნდა, ფასი „გაბერილია“ და 20%-იან დღგ-საც შეიცავს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტმა ინდმეწარმისგან, როგორც გამყიდველისგან უნდა მიიღოს, ხოლო კონტრაბანდისტს, როგორც მყიდველს — გადახდილად ჩაუთვალოს.

ამ მექანიზმის მოქმედების უფრო უკეთ გასაგებად, კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ. ვთქვათ, ფირმა N კონტრაბანდული გზით შემოტანილი საქონლის მფლობელია, რომლის ღირებულება 10 ათას ლარს შეადგენს. მისი რეალიზაციისთვის ფირმა N-ს ანგარიშ-ფაქტურა სჭირდება, რომელსაც, რა თქმა უნდა, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, ყალბად რეგისტრირებული ფირმა X სთავაზობს. ამ მოცულობის საქონლის „გაპრავებისთვის“ ეს საზღაური, დაახლოებით 4%-ს, ანუ 400 ლარს შეადგენს. ამ თანხის გადახდის შემდეგ, ფირმა N ფირმა X-გან იღებს ყალბად გაწერილ ანგარიშ-ფაქტურას, რომელიც ადასტურებს, რომ ამ უკანასკნელს, როგორც გამყიდველს, ფირმა N-გან მიღებული აქვს საქონლის ღირებულება 10 ათასი ლარი, მათ შორის, შესაბამისი დამატებითი ღირებულების გადასახადი 1.667 ლარი. ეს თანხა კი სახელმწიფო ბიუჯეტმა წესით ფირმა X-გან უნდა მიიღოს.

ამ ყალბი ანგარიშ-ფაქტურით ფირმა N-ს უკვე გულდამშვიდებით შეუძლია მიჰყიდოს თავისი „გათეთრებული“ საქონელი ფირმა Z-ს. როგორც წესი, შესასყიდ და გასაყიდ ფასებს შორის მინიმალური სხვაობა ფიქსირდება, რაც გადასახადების შემცირების მიზნით კეთდება. ფირმა Z-თვის საქონლის 10.100 ლარად მიყიდვის შემთხვევაში, დღგ სწორედ ფასთა სხვაობიდან, ანუ 100 ლარიდან იანგარიშება და 16,67 ლარს შეადგენს. ამ თანხას კონტრაბანდული ფირმა N, რა თქმა უნდა, უპრობლემოდ გადაიხდის. მთელი ამ ოპერაციიდან სახელმწიფოს დღგ-ის სახით თითქმის 1.684 (1667+16,67) ლარი უნდა მიეღო, ამ თანხის ნაცვლად კი სრულ 17 ლარსაც ვერ ეღირსება.

ასეთი ხერხით კონტრაბანდისტი ორ კურდღელს კლავს: „ათეთრებს“ თავის არალეგალურ პროდუქციას და სახელმწიფოს წინაშეც პირნათელი გამოდის. არარსებული სავაჭრო ოპერაციიდან კი, სახელმწიფო ერთ თეთრსაც ვერ იღებს და ამის შესახებ ის ვერასდროს, ან უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე თვის შემდეგ იგებს. სახელმწიფო აფერის გახსნის შემდეგაც სრულიად უსუსურია: კონტრაბანდისტს ვერაფერს შეედავები, ყველა საბუთი წესრიგში აქვს, ხოლო იმის გამო, თუ რატომ არ გადაუხადა საქონლის გამყიდველმა (ფირმა X) ბიუჯეტს კუთვნილი დღგ, მყიდველი (ფირმა N) პასუხისმგებელი არ არის.

როცა გაცურებული სახელმწიფო მოხელე ინდმეწარმეს დოკუმენტებში მითითებულ მისამართზე მიაკითხავს, აღმოაჩენს, რომ იქ მსგავსი ფირმა არასდროს ფუნქციონირებდა, ანდა მეტიც, შენობა მითითებული ნომრით იმ ქუჩაზე საერთოდ არ არსებობს. კურიოზული შედეგების მთელი სპექტრია. დაფიქსირებულია ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრირების ფაქტი ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტის სახელზეც. უმეტეს შემთხვევაში კი, ფირმების „მფლობელებმა“ საკუთარი „ქონების“ შესახებ არაფერი იციან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მათ პირადი საბუთები კარგა ხნის წინ დაკარგეს, მოპარეს ან ახლობელ-ნაცნობებმა გაურკვეველი მიზნით დროებით ითხოვეს.

დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის გაყალბების ჩვენ მიერ აღწერილი მეთოდი, სამწუხაროდ, იძლევა იმის საშუალებას, რომ იგივე მაქინაცია, საერთოდ, საქონლის (მომსახურების) გარეშე განხორციელდეს. მკითხველს შეუძლია პირველ მაგალითში მოყვანილი კონტრაბანდისტის ნაცვლად ნებისმიერი ფირმა წარმოიდგინოს, რომელსაც, უბრალოდ, ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების დამალვა სურს. ამ შემთხვევაში, იგივე ოპერაცია ანალოგიური წარმატებით ჩაივლის. განსხვავება ის არის, რომ, თუ კონტრაბანდისტს კონკრეტული საქონლის „გათეთრება“ სურდა, ამჟამად საქმე არარეალურ პროდუქციასთან გვაქვს.

აღწერილი მეთოდები ერთ მნიშვნელოვან დეტალს წარმოაჩენს. ანგარიშ-ფაქტურის გაყალბების მსურველ და გამყალბებელ ფირმებს ერთმანეთის პოვნა ჰაერივით სჭირდებათ. ვინ და როგორ აკავშირებს მათ?

თბილისი პატარა ქალაქია. ჰოდა, არც ჩვენ გაგვიჭირდა ამ საქმეში ჩახედული ადამიანის პოვნა. მისი ინფორმაციით, არსებობენ შუამავლები, რომლებიც რაიონულ საგადასახადო ინსპექციებში უნდა ვეძებოთ. სწორედ რაიონულმა ინსპექციამ უწყის ყველაზე უკეთ, მის გადამხდელთაგან ვის რა უჭირს. მისივე ხელშეწყობით იქმნება და საქმიანობს ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამწერი ფირმები. მათი ერთმანეთთან დაკავშირება კი, საკმაოდ სარფიანი საქმეა. ჩვენი ინფორმატორის თქმით, ამ „ბიზნესის“ გარიჟრაჟზე ყალბი ფაქტურების გამწერი ფირმა გასაწერი თანხის 15%-ს ითხოვდა. მოგვიანებით კი, როცა ანგარიშ-ფაქტურები გასაყიდად თბილისის ბაზრობებზეც (!) კი გამოიტანეს, „სტავკა“ 3-3,5%-მდეც კი დაეცა. „ელიავას“ ბაზრობაზე თითო ანგარიშ-ფაქტურის ფასი 20-50 ლარის ფარგლებში მერყეობდა.

# ეკონომიკური დანაშაული — სქემები, მექანიზმები და შემსრულებლები




სწორედ აქ მიაკვლია შსს-ს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარმა სამმართველომ ანგარიშ-ფაქტურების გაყალბების 10 ფაქტის კვალს, რაც ცხადყოფს, რომ საგადასახადო ინსპექტორები და ყალბი მეწარმეები ერთად მოქმედებენ. უნდობლობას იმსახურებს სასამართლოების უგულისყურობაც.

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გამოძიების მასალებიდანაა: ამ დანაშაულებრივი საქმიანობის ქსელი ჰქონდა გაბმული ბრალდებულ, თბილისელ შორენა კაპანაძეს. მან, სხვადასხვა პიროვნებების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოყენებით, 1999 წლის ივლის-აგვისტოში ნაძალადევის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორის, ი. იოსელიანის მეშვეობით, ინდივიდუალურ მეწარმეებად რეგისტრაციაში გაატარა მოქალაქეები: გ. ბექაური და დ. წივწივაძე. ამის შესახებ მათ მხოლოდ წინასწარი გამოძიების პროცესში შეიტყვეს.

გაწეული სამსახურისთვის კაპანაძემ იოსელიანს გარკვეული თანხა გადაუხადა და მისივე შუამდგომლობით, ამავე ინსპექციის სარეგისტრაციო განყოფილებიდან ბექაურის და წივწივაძის სახელზე შეუფერხებლად, ეტაპობრივად მიიღო 500 ცალი ანგარიშ-ფაქტურა.

იმავე წლის სექტემბერში კაპანაძემ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა რ. ჯაშისგან მოტყუებით მოპოვებული პასპორტი და საკუთარი ფოტოსურათები. ინსპექტორ დ. კახიძის დაუდევრობის წყალობით იგი, როგორც ინდ. მეწარმე, აღრიცხვაზე დადგა და ახლა უკვე ჯაშის სახელით 80 ცალი ანგარიშ-ფაქტურა მიიღო.

თბილისელმა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულმა, ბრალდებულმა ლაღიძემ, იმავე კაპანაძის დახმარებით, მოტყუებით ხელში ჩაიგდო მისი მეზობლის, ფსიქიკურად დაავადებული მოძმანაშვილის პასპორტი, შემდეგ თბილისის საგადასახადო ინსპექტორის, გვაზავას ხელშეწყობით, დიდუბის რაიონის ინსპექციაში ინდ. მეწარმედ გატარდა და თებერვალ-ივლისში 300 ცალი ანგარიშ-ფაქტურა გაიტანა. დახმარებისთვის გვაზავამ, რა თქმა უნდა, გასამრჯელო მიიღო.

გარდა ამისა, ლაღიძე 1997 წლიდან თავად იდგა აღრიცხვაზე ნაძალადევის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში, როგორც ინდ. მეწარმე. მან 1997-98 წლებში მიიღო 500 ცალი ანგარიშ-ფაქტურა, რომელთა ხარჯვაზე საგადასახადო ინსპექციაში არავითარი ანგარიში არ წარუდგენია.

აღნიშნულმა პირებმა, ყალბი რეკვიზიტებითა და ბეჭდით დამოწმებული 1.380 ცალი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის რეალიზება განახორციელეს.

დადგენილია ამ ანგარიშ-ფაქტურების შემსყიდველი ორგანიზაციების ნაწილი, რომლებმაც მათი გამოყენებით ბიუჯეტს დიდი ოდენობით გადასახადები დაუმალეს. ეს ფირმებია:

შპს „ინტურისტმშენი-9“ — 107 ათასი ლარი (ამ თანხის გაწერისთვის მას „სულ რაღაც“ 16 ცალი ანგარიშ-ფაქტურა დასჭირდა).

შპს „არქსტუდია“ — 98 ათასი ლარი;

შპს „ხიდი“ — 104 ათასი ლარი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია „საქაერონავიგაციაში“ ჩატარებული მაქინაციების მასშტაბები. იქ ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამოყენებით 746 ათასი ლარია დატაცებული.

ყალბი ანგარიშ-ფაქტურების ზემოხსენებული პარტიიდან მხოლოდ ამ ოთხი ორგანიზაციის მიერ გამოყენებული 91 ცალი ანგარიშ-ფაქტურით სახელმწიფო ბიუჯეტს 1.055.000 ლარი დაუმალეს. რა გზას გაუყენეს დანარჩენი 1.289 ანგარიშ-ფაქტურა და რამდენი მოჰპარეს მათი მეშვეობით ბიუჯეტს, ჯერჯერობით, უცნობია. თუმცა, საშუალო სკოლის მათემატიკის კურსის ფარგლებში ნასწავლი მარტივი პროპორციული გამოსახულების შედეგი, დაახლოებით, 15 მლნ ლარს შეადგენს, რაც რეალურ რიცხვთან, ალბათ, საკმაოდ მიახლოებულია.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ანგარიშ-ფაქტურებით მანიპულირების აღწერილი მეთოდი, ბევრი ფირმისთვის, ჩვეულებრივ, საკმაოდ დაბალ დონედ მიიჩნევა. უფრო რისკიანები და მადიანები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ამავე ანგარიშ-ფაქტურების მეშვეობით მიღებული ჩათვლებით სახელმწიფოს სოლიდურ ვალებსაც ადებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსი, **დავით კაჭკაჭიშვილი**:

— ჩვენ, ძირითადად, სამშენებლო და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ფირმები შევამოწმეთ. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა სპირტისა და ღვინომასალების შეძენისას სასმელების მწარმოებელი ფირმები ყალბ ანგარიშ-ფაქტურებს იყენებენ. შემდეგ, საგადასახადო სამსახურში ბალანსის წარდგენისას აჩვენებენ, რომ დღგ და აქციზის გადასახადი ჩათვლილი აქვთ, თანაც ზედმეტობით. ამის საფუძველზე, ვითომ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დღგ-ის სანაცვლოდ ამ ფირმებს გამოაქვთ აქციზური მარკები და ფარავენ სხვა გადასახადებს.

ასეთ ქმედებებში მხილებულია ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი რამდენიმე ფირმა. მაგალითად: „გირუნაკო“, რომელსაც ყალბი ანგარიშ-ფაქტურების წარდგენისა და მათი მეშვეობით მიღებული ჩათვლების საგადასახადო ინსპექციის მიერ დადასტურების შემდეგ, აქციზური მარკების სამსახურიდან უკანონოდ აქვს გატანილი 46 ათასი ლარის აქციზური მარკები. ამავე ფირმას ბიუჯეტთან ასევე უკანონო ანგარიშსწორებით ჩათვლილი აქვს 170 ათასი ლარი.

მოწმდება ერთ-ერთი მსხვილი ფირმა, რომელსაც იმავე გზით გატანილი აქვს 50 ათასი ლარის აქციზური მარკები, ხოლო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში ჩათვლილი აქვს 250 ათასი ლარი.

— ***რამდენად რთულია ყალბი ანგარიშ-ფაქტურის აღმოჩენა?***

— საკმაოდ რთულია. აუცილებელია, რომ, როცა საგადასახადო ინსპექცია საწარმოს შემოწმებას ახორციელებს, იგი ორმხრივად წარმოებდეს. არის შემთხვევები, როცა ვერ დგინდება, თუ ვის გაჰქონდა ანგარიშ-ფაქტურები რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან. ამ დროს, თუ მათი უშუალო გამყიდველი ვერ აღმოვაჩინეთ, დანაშაული, პრაქტიკულად, გაუხსნელი გვრჩება.

— ***რატომ არ ხვდება ყალბად გაფორმებული ინდივიდუალური საწარმოები საგადასახადოს შემოწმების არეში?***

— როცა საგადასახადო სამსახურს ამ კითხვას ვუსვამთ, გვპასუხობენ, რომ ფირმების რაოდენობა ძალიან დიდია, ამიტომ კადრების უკმარისობის გამო, ყველა მათგანის შემოწმებას ვერ ახერხებენ, გარდა ამისა, მათი თქმით, არც დღგ-სა და აქციზის სახით ბიუჯეტში შესული თანხების კონტროლი ევალებათ. ყოველივე ეს დიდ გაურკვევლობას იწვევს.

თავად მეწარმე ვალდებულია, გაწეული საქმიანობის შესახებ საგადასახადო ინსპექციაში ყოველთვიურად წარადგინოს ანგარიში. საგადასახადოს მხრიდან ასეთი შემოწმებები რომ ტარდებოდეს და თანაც რეალურად, მსგავსი დარღვევები მანამდეც უნდა გამოვლენილიყო.

— ***ახლა რა მდგომარეობაა საგადასახადოში ამ პრობლემასთან დაკავშირებით?***

— ამჟამად იქ კონტროლი გაძლიერებულია და ჩვენ ერთად ვმუშაობთ ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამოსავლენად. ძალიან დიდი თანხებია ბიუჯეტიდან დაკარგული.

სხვათა შორის, ამ დანაშაულის წარმოშობაში თავისი „წვლილი“ ანგარიშ-ფაქტურის მექანიზმის არასრულყოფილებამ შეიტანა. ანალოგიური პრობლემები სხვა ქვეყნებსაც შექმნიათ. მაგალითად, პოლონეთმა, სადაც საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენებამ ასეთივე კრიმინალური სახე მიიღო, ერთ წელიწადში მასზე უარი თქვა.

— ***სისხლის სამართლის კოდექსით, რა სასჯელია გათვალისწინებული ანგარიშ-ფაქტურების გაყალბებისთვის?***

— დღგ-ის ყალბი ანგარიშ-ფაქტურების დამზადება, გასაღება ან გამოყენება სისხლის სამართლის კოდექსის 173/1 მუხლით ისჯება. მისი პირველი ნაწილი 2-დან 5 წლამდე, ხოლო მეორე — 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მართალია, ეს მუხლი კოდექსში თავიდანვე არსებობდა, მაგრამ შესაბამისი დანაშაულის გამოვლენის პრაქტიკა არ ყოფილა.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გაყალბებით, ასევე ამ მაქინაციებში საკუთარი თანამშრომლების მონაწილეობით შექმნილი პრობლემების სერიოზულობას საგადასახადო დეპარტამენტშიც აღიარებენ.

საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, **ნუგზარ ქავთარაძე**:

— ყველა ქვეყანაში, სადაც დღგ მოქმედებს, ანგარიშ-ფაქტურების მექანიზმიც არსებობს, მაგრამ მკაცრი აღრიცხვის დატვირთვა მათ მხოლოდ საქართველოში აქვთ. ასეთი გადაწყვეტილება აღრიცხვიანობის მოშლამ მიგვაღებინა. გვსურდა, რაც შეიძლება, მკაცრი კონტროლი დაწესებულიყო სამეურნეო ოპერაციებზე, მაგრამ მარტო ამ დოკუმენტის იმედად ყოფნა არასწორია. სამწუხაროდ, ბევრი დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ არ ასრულებს.

— ***თუ არსებობს ლიმიტი, რამდენი ანგარიშ-ფაქტურა უნდა გაიცეს რაიონულ ინსპექციებზე?***

— ასეთი ლიმიტი არ არსებობს. ჩვენი გათვლებით, ქვეყანაში, ყოველთვიურად, დაახლოებით, 3 მლნ (!) ანგარიშ-ფაქტურა უნდა გაწერილიყო. პირველ ეტაპზე (ანგარიშ-ფაქტურები 1997 წლის სექტემბრიდან დამკვიდრდა) 5 მლნ ანგარიშ-ფაქტურა დაიბეჭდა. გაოცებულნი ვართ, რომ თითქმის სამი წლის მანძილზე ისინი სრულად არ გახარჯულა.

— ***ეს ისევ აღურიცხაობის ბრალია?***

— რა თქმა უნდა. ყველაზე დიდი დატვირთვა ანგარიშ-ფაქტურებს საბითუმო ვაჭრობაში უნდა ჰქონოდა. მაგრამ ფაქტია, რომ ბაზრობებზე მათ, თითქმის, არ იყენებენ. ცხადია, ეს საგადასახადო ინსპექციების უკონტროლობით არის განპირობებული, მაგრამ მხოლოდ ამის ბრალიც არ არის. რეალურად არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ამ სფეროზე ყოველდღიური კონტროლი დაწესდეს.

— ***არსებობს თუ არა შეზღუდვა მეწარმისთვის, ერთ ჯერზე გასატანი ანგარიშ-ფაქტურების რაოდენობის მხრივ?***

— შეზღუდვა გამოიხატება იმით, რომ საწარმოს საქმიანობის ანალიზის გარეშე გადამხდელზე ანგარიშ-ფაქტურა არ უნდა გაიცეს. არ შეიძლება, რეგისტრაციაში ახალგატარებულ პიროვნებაზე 500, 1.000 ცალი ანგარიშ-ფაქტურა გაიცეს. მეწარმეს შეზღუდვა არ უნდა შეექმნას, მაგრამ საგადასახადო ინსპექცია მისგან ანგარიშს უნდა იღებდეს.

— ***რა პერიოდულობით?***

— ჩვენ დავაწესეთ, რომ რაიონულმა ინსპექციებმა გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ინვენტარიზაცია ყოველთვიურად უნდა ჩაატარონ.

— ***ეს შემოწმებები სრულდება?***

— ზოგი ამ წესს კეთილსინდისიერად ასრულებს, ძალიან ბევრი კი — არა.

— ***ხშირია შემთხვევა, როცა ანგარიში მეწარმეს არ წარუდგენია, მაგრამ ანგარიშ-ფაქტურების მორიგ პარტიას იგი დაუბრკოლებლად იღებს...***

— ეს უკვე ინსპექციის მუშაკების ბედოვლათობის ბრალია.

— ***არა მხოლოდ ბედოვლათობის.***

— მართალია. მე მხოლოდ ამ ტერმინით შემოვიფარგლები, თუ იქ სხვა რამეც არ იმალება. არის ინფორმაცია, რომ ინსპექციების შეფები (ყველა არა) ხელს უწყობენ ასეთი ქაოსის შექმნას.

— ***პრობლემების სათავე ანგარიშ-ფაქტურების მექანიზმის არასრულყოფილებაშია. ხომ არ იქნება მიზანშეწონილი მათი გაუქმება, მით უმეტეს, რომ მსგავს მაგალითებს მსოფლიო პრაქტიკა იცნობს?***

— ანგარიშ-ფაქტურების გაუქმება სწორი გადაწყვეტილება არ იქნება. ჩათვლა გადამხდელს აუცილებლად ეკუთვნის, ეს კი რაიმე დოკუმენტის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. თუ ასეთი დოკუმენტი და, შესაბამისად, მასზე კონტროლი არ იარსებებს, ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდი უბედურების მომტანი იქნება.

იმის გამო, რომ თითქმის 3 წლის მანძილზე მხოლოდ 4 მლნ ანგარიშ-ფაქტურაა გახარჯული, საგადასახადო დეპარტამენტი თავს იწყნარებს, რომ ეს დანაშაული მაინცდამაინც ფართოდ გავრცელებული არ უნდა იყოს, თუმცა ბიუჯეტიდან მილიონების „მოსატეხად“ რამდენიმე ათასი ყალბი ფაქტურაც კი სრულიად საკმარისია.

თბილისში რომ ასეთი რთული მდგომარეობაა, რა ამბავს დაატრიალებს ყალბი ანგარიშ-ფაქტურები რეგიონებში, სადაც კონტროლი გაცილებით სუსტია? არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგიერთი ქართველი ბიზნესმენი საქონელს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში რეგისტრირებული ფირმებისგან იძენს (ყოველ შემთხვევაში, ამას მათი ანგარიშ-ფაქტურები ადასტურებს), რომელთა გადამოწმება, გასაგები მიზეზების გამო, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

სამართალდამცავების მიერ კონტროლის გამკაცრების გამო, ანგარიშ-ფაქტურები ბაზრობებზე, თითქმის, აღარ ხვდება. ამ „გაჭირვების ხანამ“ შუამავლებს „მარკა“ აუწია, შესაბამისად, აიწია გასაწერი თანხიდან მოსათხოვი პროცენტიც.

მდგომარეობის გამოსწორებას ხელისუფლება საკანონმდებლო ცვლილებასა და კონტროლის გამკაცრებას უკავშირებს, მაგრამ მიმდინარე დიდი სამთავრობო ცვლილებების გამო, ამჟამად მას არც ერთისთვის სცალია და არც მეორესთვის. ასე რომ, როდის გამონახავს დროს სახელმწიფო „მკაცრი აღრიცხვისას“ დაკარგული მილიონების დასათვლელად, ჯერჯერობით, უცნობია.

***გვანცა კვინიკაძე***

***„კვირის პალიტრა“ მომავალშიც შეეცდება ამ თუ სხვა ეკონომიკური დანაშაულის სქემების, მექანიზმების და შემსრულებლების გამოკვლევასა და გამომზეურებას.***

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ხუთწლიანი მოღვაწეობა გასულ კვირას მძაფრი საპარლამენტო ვნებათაღელვის ფონზე დასრულდა. პარლამენტმა გულუას კანდიდატურა ჩააგდო (78 მომხრე 91-ის წინააღმდეგ). საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება ზოგმა პრეზიდენტისა და პარლამენტის დაპირისპირებად, ზოგმა მოქალაქეთა კავშირის გახლეჩად, ზოგმა კი პარლამენტში მოსალოდნელი დიდი გადაჯგუფების დასაწყისად მიიჩნია. რატომ მოჰყვა ასეთი ხმაური და აჟიოტაჟი სოფლის მეურნეობის მინისტრის კანდიდატურის განხილვას, როდესაც არანაკლებ კორუმპირებული და სახელგატეხილი მინისტრები „გრიალით" დაამტკიცეს თანამდებობაზე. ნუთუ იმ 6 საათიანი დავიდარაბით, გულუას კანდიდატურის დამტკიცებას რომ მოჰყვა, პრეზიდენტი და პარლამენტი ერთმანეთს უსინჯავდნენ ძალას?!

კრედიტების შეჭმასა და ფლანგვას, რუსული გადაღებილი ტრაქტორების და ქართული ღვინის ბაზრის დანგრევისა და ბიუჯეტისთვის ასეულობით მილიონი დოლარის ზარალის მიყენების ბრალდებაც დაემატა.

აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტებისას, შევარდნაძემ „მრავალნაცად კადრებზე" გააკეთა აქცენტი და ახალი სახეებით მთავრობის გამდიდრებაზე არც უფიქრია. „ხალხი ჩვენგან განახლებულ მთავრობას ელის, ვინ არის ახალი?" — პათეტიკურად იკითხავს უმრავლესობის ფრაქციის ლიდერი სააკაშვილი და პრეზიდენტის „შეცდომის" გამოსწორებას გულუას კანდიდატურის ჩაგდების ხარჯზე შეეცდება.

ცხადია, სოფლის მეურნეობის მინისტრის კანდიდატად ისევ გულუას წარმოდგენამ ბევრი გააოცა, მაგრამ ბევრს ისიც აფიქრებინა, — მინისტრს, რომელიც პრეზიდენტის ერთგულებაში ათენ-ალამებს (მისივე თქმით), პრეზიდენტი არ გაწირავსო. მაგრამ იმასაც ამბობენ, — ბოლო დროს შევარდნაძემ ტაქტიკა დახვეწაო. ერთგულებს, რომლებიც თავიანთ პოზიციებს ვერ იცავენ და უმწეობის სინდრომი უჩნდებათ, პრეზიდენტი დათვურ სამსახურს აღარ უწევს, თავიდან იცილებსო (გავიხსენოთ სახელმწიფო მინისტრი). კულუარებში ითქვა, თუ რატომ მოერიდებოდა პრეზიდენტი გულუას განაწყენებას. თურმე, სოფლის მეურნეობის მინისტრს „ვიღაცაზე" რაღაც ჰქონია სათქმელი, მაგრამ სანამ პოსტზე იქნებოდა, პირში წყალს ჩაიგუბებდა. გულუას გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის კვალდაკვალ, პოლიტიკურ კულუარებში, ალაპარაკდნენ სამეგრელოში მოსალოდნელ არეულობასა და ჩვენი ქვეყნის საზღვრების სავარაუდო შეცვლაზე — გულუა ისეთ ამბებს დაატრიალებს, ინჯიები და კაკო ელიავა მონაგონი იქნება. თავის კუთხეში გავლენიანი და ავტორიტეტული მინისტრის მოხსნით პრეზიდენტი მეგრელებს არ გაანაწყენებს და ამიტომაც დაასახელებს მის კანდიდატურასო. მაგრამ პრეზიდენტის თანადგომამ და თანაგუნდელობამ გულუას მმართველი პარტიის მხარდაჭერა ვერ მოაპოვებინა; პირიქით, ფრაქციის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის „ყოფილი მინისტრის" ხელახლა გამინისტრების შემთხვევაში, ფრაქციის დატოვებით იმუქრებოდა. მმართველი პარტიისგან განწირული გულუას დაცვა „მრეწველებმა", ფრაქცია „აფხაზეთმა", მაჟორიტარებმა და უმრავლესობის რამდენიმე წევრმა იკისრეს, თუ არ ჩავთვლით ციხიდან წამოსულ სატელეფონო ზარებს, რომლებიც მუქარანარევი ტონით მოუწოდებდნენ ზოგიერთ დეპუტატს, — გულუა არ დაგვიჩაგროთო.

— თუ ეს კაცი დამნაშავეა, რატომ წამოაყენა პრეზიდენტმა მისი კანდიდატურა? — არც თუ უსაფუძვლოდ იკითხა ოპოზიციამ. კითხვა, ფაქტობრივად, უპასუხოდ დარჩა, რადგან პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მოგვიანებით გაკეთებული განმარტება — 27 წლიანი ურთიერთობის შემდეგ პრეზიდენტს გულუას შელევა უჭირსო, ზედმეტად მიამიტურად ჟღერს. ოპოზიციამ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო და სწორედ ამ ფონზე გაისმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა, რამაც მოქკავშირის ახალგაზრდა რეფორმატორებს თავზარი დასცა. არა, ისინი პრეზიდენტს ამას ვერ გაუბედავენ, ჯერ ასე არ გაძლიერებულან. გია ბარამიძემ საპარლამენტო დაძაბულობის მიღმა რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესები დაინახა, „ალორძინებამ" — სახიფათო თამაში, ხოლო აკაკი ასათიანმა — პრეზიდენტის დაბნევა პოლიტიკურ ლაბირინთებში.

„რომელ სამინისტროშია წესრიგი, სად არ არის დარღვევები", — „ბობოქრობდა" ოპოზიცია, მაგრამ მისი სიტყვები დარჩა ხმად მღაღადებლისა. მიხეილ სააკაშვილს თანაგუნდელთა დასჯის დემონსტრირებად დავით ონოფრიშვილის ფინანსთა სამინისტროდან მიბრძანება მიაჩნია, ხოლო ძალოვნების მისამართით წამოყენებულ ბრალდებებზე „მტკიცე არგუმენტები" აქვს: კახა თარგამაძეს შს სამინისტროს რევოლუციური გარდაქმნის პროგრამა აქვს, ხოლო დავით თევზაძე ევროატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს დაახლოების გარანტიაო.

გულუას „ამბავს" უკავშირებენ კონტროლის პალატის თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის თანამდებობიდან წასვლას. კულუარებში გაისმა მოსაზრება, რომ სოიოს ზეთის თაობაზე კონტროლის პალატის დასკვნა შეიცვალა (ზოგი ვერსიით — არ შეცვლილა) და ამის გამო შავიშვილი იძულებული გახდა, თანამდებობიდან წასულიყო. თავად შავიშვილმა კატეგორიულად უარყო ეს ფაქტი და საკომიტეტო მოსმენაზე თავიდან ბოლომდე გაიმეორა კონტროლის პალატის დასკვნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობაზე (კონკრეტულად სოიოს ზეთთან დაკავშირებით). მავანთ მტკიცებით, „ვიღაც" შეეცადა შავიშვილის ჩართვას რაღაც ინტრიგაში, მაგრამ კონტროლის პალატის თავმჯდომარე თამაშში არ ჩაება და თანამდებობიდან სუფთად წასვლა არჩია. „დარწმუნებული ვარ, ჩემი დასკვნა არ გადაწყვეტს მომავალი მინისტრის ბედს, გულუას ბედი ჩემი ჩარევის გარეშეც კარგა ხნის წინ იყო გადაწყვეტილი. მე არ ვეთანხმები გულუას პასუხს, რომელიც თითქოს კარგად არის არგუმენტირებული, მის პასუხებზე მე კიდევ სხვა პასუხები მაქვს. ამიტომ, დასკვნა, რომელიც ჩემი ხელით არის დაწერილი ისევ ძალაში რჩება", — ამბობს რეზო შავიშვილი.

# „ეგეც მე ვარ?!"



ფოტოპალიტრიდან
— ეგეც მე ვარ?!
ბაკურ გულუა
დანარჩენი პასუხები იხ. გვ 27

ვნახოთ რა მოხდება რამდენიმე თვის შემდეგ... როცა პრეზიდენტი წიწილებს (ანუ მინისტრებს) შემოდგომაზე დაითვლის.

„კვირის პალიტრამ" „მოქალაქეებისაგან" განწირულ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა.

*— როგორ გრძნობთ თავს, ბატონო ბაკურ, საპარლამენტო სესიის შემდეგ?*

— ლომივით. მაგრამ სესიაზე შეწუხებული ვიყავი იმ საოცარი ფარსით, რაც პარლამენტში დაიდგა. ეს იყო პარტიული, კლანური, კორპორაციული ინტერესების წინ წამოწევა და არა საქართველოს ბედზე ფიქრით განპირობებული ქმედებები. ყოველივე ამას კი თითქოს უხილავი რეჟისორი მართავდა. ჩემს ოპონენტებს ყოველთვის ვეუბნებოდი, — თქვენ ბაკურ გულუას ესხმით თავს, მაგრამ მე თქვენგან ბაკურ გულუას კი არა, პრეზიდენტს ვიცავ-მეთქი. თუ პრეზიდენტს არ ვჭირდები, თქმა არ გაუჭირდება. ამის გამო ქვეყანა არ დაიქცევა. მაგრამ ვერც უმცირესობამ და ვერც უმრავლესობამ ვერ გაიგო, რომ პრეზიდენტს ვჭირდები, თავისი პროგრამის შესასრულებლად. ზოგიერთებმა ჩემს ბიოგრაფიაში დაიწყეს ლაქების ძებნა. მათ ვუთხარი, — თქვენ რომ პირადი ინტერესებით არ იყოთ დაბრმავებულნი, არ დაიწყებდით 1995 წლის ამბების ქექვას-მეთქი. მე რომ სესიაზე პროგრამას ვკითხულობდი, ისინი ერთმანეთს ეხუმრობდნენ, არ მისმენდნენ, თუმცა მერე ირონიულად აღნიშნეს, — პროგრამა ძალიან მოგვეწონაო. მათ უნდათ გავლენის გაძლიერება სფეროზე, რომელიც გადამწყვეტია საქართველოში და ჩემს ადგილზე თავიანთი კაცის დასმა.

*— სესიის შემდეგ თქვენ პრეზიდენტთან აპირებდით საუბარს, შეხვდით მას?*

— პრეზიდენტმა მეორე დღეს დამირეკა. ჩვენ, უბრალოდ, კომენტარი გავუკეთეთ იმ ფაქტს, რაც სესიაზე მოხდა. ჩემმა ოპონენტებმა, სამეგრელოს თემის წამოწევით, თითქოს მე იქაურებს ვაბუნტებდი, — მოინდომეს ჩემთვის ძირის გამოთხრა. არა, ბატონო, ეს აზრი ჩემგან არ მოდის.

*— აბა, რა გახდა ამ ჭორის საფუძველი?*

— ეს ჭორი კი არა, პროვოკაციაა. სიტუაციის დრამატიზება ხდება ხალხის შეშინებისა და ჩემი დისკრედიტაციის მიზნით. მგონია, რომ ამ საკითხში ჩემს ოპონენტებს უცხოელი კონსულტანტები ეხმარებიან. როცა ფოთში ავანტიურა მოაწყვეს, მე ზუგდიდში ჩავედი და განვაცხადე, სამეგრელო საქართველოს ხერხემალია და მისმა მაცხოვრებლებმა იციან, რომ მხოლოდ ერთიანი საქართველოა ძლიერი-მეთქი. სამეგრელოს გამო არ დავმუქრებივარ უმრავლესობას, არამედ ვთქვი, თქვენ ისე იქცევით უმცირესობისა და აჭარის დეპუტაციის მიმართ, უფრთხილდით, კიდევ ახალ მდინარეებზე არ გაიაროს საზღვარმა-მეთქი.

*— პრეზიდენტს ხომ არაფერი უთქვამს თქვენი კანდიდატურის ხელმეორედ წამოყენების თაობაზე?*

— ეს მისი ნებაა და ამ კითხვის დასმას ვერც ვაკადრებ. თუ მკითხავს, — უთუოდ მოვახსენებ ჩემს აზრს.

*— რეზო შავიშვილზე ხომ არ ხართ ნაწყენი?*

— ძალიან. უჩემოდ არ უნდა მიეღო ეს გადაწყვეტილება.

*— რომელ გადაწყვეტილებას გულისხმობთ, თქვენი მუშაობის შეფასებას თუ თანამდებობიდან წასვლას?*

— მის განცხადებას, რომ თანამდებობიდან მიდის. ჩემს მიმართ ის საკმაოდ კორექტულად მოიქცა, მაგრამ დიდი წნეხის ქვეშ იყო. მისი წასვლის ერთ-ერთი მიზეზი გოგიჩაიშვილის ამბავიც გახლდათ. აქედან ვასკვნი, — „რუსთავი-2" და გოგიჩაიშვილი იმ ჯგუფთან იგივდება, რომელიც მე მებრძვის.

*— ამბობენ, რომ შავიშვილი თქვენს საქმეს გადაჰყვა.*

— არა, მან გოგიჩაიშვილის დასკვნას მოაწერა ხელი, მერე კი თქვა, არ ვეთანხმები ამ დასკვნასო. გოგიჩაიშვილის გადაცემის მიღმა დგას ერთი კორპორაციული ჯგუფის ინტერესები. რა, გოგიჩაიშვილი ვერ ხედავს, რომ კონსტიტუცია პარლამენტში ირღვევა?

*— უფრო კონკრეტულად?*

— კონკრეტულად მერე გეტყვით. გოგიჩაიშვილი მოვიდეს და მე მივცემ ამის მასალებს. თუ ის ამ გუნდთან შეკრული არ არის, „60 წუთში" გაიგებთ, როგორ ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტში.

*— ამბობენ, რომ თქვენ ბევრ პიროვნებაზე გაქვთ კომპრომატი და სანამ თანამდებობაზე ხართ, მანამ იცავთ დუმილს, მერე კი ალაპარაკდებით.*

— არა, მე ამ ზნეობისა არ გახლავართ. რაც არ არის სათქმელი, არასოდეს ვიტყვი და რაც სათქმელია, ვიტყვი კიდეც. მე თუ საფრთხეს ვუქმნი ზოგიერთს, არ სჯობს უფრო ახლოს ვყავდე?

*— თქვენს ქონებაზე ბევრს საუბრობენ, ყოველთვიურად რამხელა შემოსავალი გაქვთ?*

— სად მცალია მაგის საანგარიშოდ, ქონებრივ დეკლარაციაში მიწერია...

*— ჩვენი გაზეთის 27-ე გვერდზე თქვენი და პრეზიდენტის ფოტოა, თქვენ რას დაარქმევდით ამ ფოტოს?*

— ამ სურათზე მე და პრეზიდენტი სოფლად საკრედიტო კავშირების ყრილობაზე ვართ, ფილარმონიაში, 1999 წლის 13 აპრილს. ხალხმა მოითხოვა შევარდნაძის კანდიდატურის წამოყენება პრეზიდენტად და ამ დროს ვეუბნები პრეზიდენტს, — „ეგეც მე ვარ?!"

P.S. მართალია, გულუამ განგვიცხადა, — ჩემს გამო არეულობა არ მოხდებაო, მაგრამ ინტერვიუს ჩაწერის დროს მას უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა დაურეკა, რომელთან საუბარშიც ჩემი რესპონდენტი იძულებული იყო, ელიარებინა, — ერედვიდან ოსებმა დამირეკეს, სამეგრელოდანაც მიკავშირდებიან, ხალხი ფეხზე დგას — ერთი ამბავიაო...

**იზო რიკაძე**

# „მე არ დამინახავს, როგორ ამოიღო ასლან აბაშიძემ იარაღი"



სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში მყოფი პოლიტპატიმრები მათი გათავისუფლების გარდა, გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენელთა პოლიტიკური დევნის შეწყვეტასაც მოითხოვდნენ, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც, — სულ ცოტა ხნის წინ, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნის საფუძველზე, ყოფილ ვიცე-პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს მურმან ომანიძეს ძებნილის სტატუსი მოეხსნა. ცნობისათვის, მურმან ომანიძის წინააღმდეგ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, სახელმწიფო თანხების დიდი ოდენობით გაფლანგვის ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. სწორედ ამ მიზეზით გასულ წელს, ცსკ-ამ, ომანიძეს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განუცხადა. ამ და სხვა საინტერესო ამბებზე მოვუსმინოთ თავად ბატონ **მურმან ომანიძეს:**

— ბავშვობა მთაწმინდაზე, აპოლონ ქუთათელაძის ქუჩაზე გავატარე, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ზვიად გამსახურდიას კლასელი ანატოლი მიქაძე. სწორედ მასთან გავიცანი ბატონი ზვიადი და საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით კიდეც ერთმანეთს. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა რუსეთში განვაგრძე. საქართველოში დაბრუნებისას მუშაობა დავიწყე უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. იქაც ხშირი შეხვედრები გვქონდა. მახსოვს, ერთხელ რუსეთში სჭირდებოდა ზვიადს გაფრენა, მაგრამ იმის გამო, რომ უშიშროების კომიტეტი უთვალთვალებდა, ვერ ახერხებდა. ჩემი ნაცნობების წყალობით, რომლებიც ავიაციაში მუშაობდნენ, ბატონი ზვიადის შეუმჩნევლად გამგზავრება მოვახერხეთ. ბოლოს არჩევნებიც მოახლოვდა.

...ზვიადმა მთხოვა. მასთან ერთად მოვსულიყავი ხელისუფლებაში.

**— ბატონო მურმან, ბოლო დროის საკმაოდ ხშირად საუბრობენ 1991-92 წლების მოვლენების სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებაზე. როგორ ფიქრობთ, არის ამის დრო ახლა და რამდენად ობიექტური იქნება ეს შეფასება?**

— ამ მოვლენების შეფასება გარდაუვალია და ამაში ჩილეს, კოლუმბიის, საბერძნეთის, თურქეთის მაგალითებზეც დავრწმუნდით. ობიექტურ შეფასებას თაობათა ცვლა უნდა, თუმცა მომავალ თაობებს ორივე მხარემ აუცილებლად უნდა დავუტოვოთ მაშინ მიმდინარე პროცესების ამსახველი დოკუმენტური მასალა. იმასაც გეტყვით, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დღეს საქართველოში ორხელისუფლებიანობაა — ერთი, ეროვნული ანუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და დღევანდელი.

**— ე.ი. დღევანდელი ხელისუფლება უკანონოა?**

— ეს, ორნაირად შეიძლება შეფასდეს: როგორც უკანონო, რადგან ხელისუფლებაში მოვიდა სამხედრო ამბოხების შემდეგ, რომლის შეფასებაც დღემდე არ მომხდარა და პირიქით, — როგორც კანონიერი, რადგან როდესაც ქვეყანაში, პუტჩის შემდეგ 3 ან 4 არჩევნები ტარდება და ქვეყანა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის სუბიექტი ხდება, მით უმეტეს, გაეროსი, ავტომატურად იღებს ლეგიტიმურობას.

**— უკანასკნელად როდის ნახეთ პრეზიდენტი გამსახურდია?**

— პრეზიდენტს უკანასკნელად 1991 წლის 30 დეკემბერს, გვიან ღამით, დაახლოებით 2 საათზე შევხვდი ერთი-ერთზე. მაშინ ბატონმა ზვიადმა ერთი დავალება მომცა და ბუნკერი დავტოვე. გეტყვით იმასაც, რომ დავალების შემდეგ წავედი ერთ ქვეყანაში და მერე სომხეთში, სადაც 7-8 საათი დავყავი. 4 იანვარს კი, პრეზიდენტს, სომხეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის, აწ განსვენებული ვაზგენ სარქისიანის ხელით წერილი გამოუგზავნეს. როგორც ცნობილია, 6 იანვარს გამსახურდიამ ჯერ ბუნკერი, შემდეგ კი საქართველო დატოვა.

**— ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრია დამკვიდრებული. რა შეგიძლიათ თქვათ ამის შესახებ?**

— ის, რომ ზვიადი მოკლულია, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან იგი არასოდეს არ ჩაიდენდა თვითმკვლელობას. თუმცა, ჩემთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო, ამის გარკვევით არავინ დაინტერესდა, თორემ ეს საქმე აუცილებლად გაიხსნებოდა.

**— ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით რას იტყოდით?**

— ამის ინიციატივით ჯერ კიდევ 1994 წელს გამოვედით მე და აკაკი ასათიანი. ვფიქრობ, რომ რაც მალე მოხდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამშობლოში გადმოსვენება, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის. ეს დიდად წაადგება ეროვნულ შერიგებას.

**— როგორი იყო თქვენი სამოქმედო გეგმა, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ გამსახურდიას დავალება შეასრულეთ?**

— ამის შემდეგ წავედი უნგრეთში, სადაც ძალიან ბევრი მეგობარი მყავს.

**(გაგრძელება იხ. გვ.12)**

ABG

სიახლე საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკისაგან

ევროკომიის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით შექმნილი ბანკი შესაძლებლობას აძლევს სოფლის მეურნეობის, სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებსა და კერძო მეწარმეებს ისარგებლონ უფასო საბანკო მომსახურებით. ეს შეღავათი გავრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც მიმდინარე წელს გახდება ბანკის კლიენტი.

დაგვიკავშირდით
ჩვენი მისამართია:
თბილის, ბუდაპეშტის 10
ტელეფონები: 25-08-20; 25-13-52

Tacis

# ექსპერიმენტი
## ვაკეში შეჭირვებული მოსწავლეების წინააღმდეგ

თბილისის 55-ე სკოლა, რომელიც ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარეობს, კომუნისტების დროიდან მოყოლებული, დღემდე პრესტიჟულად ითვლება. სკოლაში მუდამ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი პედაგოგები მოღვაწეობდნენ, ასეა დღესაც, მაგრამ მისი მთავარი ღირსება მაინც ის არის, რომ აქ ყოველთვის გაძლიერებული პროგრამა-მეთოდით ასწავლიდნენ ინგლისურ ენას. ბოლო წლებში საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ უცხოეთის ქვეყნებთან დამყარებული კონტაქტების საშუალებით არაერთი ორმოცდამეთხუთმეტელი მოსწავლე მიუვლენიათ ინგლისურენოვან ქვეყნებში ცოდნის გასაღრმავებლად. ამიტომაც, სხვა დანარჩენი რომ იქით იყოს, 55-ე სკოლაში სწავლა თუნდაც იმიტომ არის სასურველი, რომ ამ სკოლის დერეფნებშიც გადის ერთ-ერთი უმოკლესი გზა უცხოური კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლებისკენ.



საკუთარი სკოლის ფასი კარგად იციან დირექციის წარმომადგენლებმა, ეტყობა, ისიც კარგად უწყიან, რომ მათი მთავარი კოზირი სწორედ ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება და უცხო ენათა საუკეთესო სპეციალისტებია, ამიტომაც, როცა დასჭირდათ, ამ კოზირის გამოყენება გადაწყვიტეს.

საქართველოს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კანონმდებლობით სწავლება უფასოა, ამიტომაც ამ დაწესებულებებში, ნებისმიერი ოფიციალური ფორმით სწავლებისათვის გადასახადების დაწესება და სწავლის ქირის გადახდა თვითნებობად თუ შეიძლება შევაფასოთ.

55-ე სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით, 2000-2001 სასწავლო წლიდან სკოლის დირექციასა (დირექტორი) და მოსწავლის მშობელს (კანონიერი წარმომადგენელი) შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომელიც დაარეგულირებს სკოლის დირექციისა და მოსწავლის მესვეურთა ურთიერთობას. დირექცია საკმაოდ სერიოზულ ვალდებულებებს კისრულობს, რათა მაღალ დონეზე წარიმართოს სასწავლო პროცესი, ხაზგასმულია ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. ამ სიკეთის საფასურად, ხელშეკრულების თანახმად: „სამეურნეო ანგარიშზე მოქმედ ჯგუფში ჩარიცხვის შემთხვევაში მშობელს (კანონიერი წარმომადგენელი) სასწავლო წლის დასაწყისისათვის რეგისტრირებულ კავშირ „55-ე სკოლის“ ანგარიშზე შეაქვს 120 (ას ოცი) ლარი“ (ამონაწერი ხელშეკრულების ნიმუშიდან). აქ აუცილებლად უნდა დავაფიქსიროთ ერთი მომენტი, რომ რაიმე გაუგებრობა არ წარმოიშვას. სკოლის დირექცია ქმნის „სამეურნეო ანგარიშზე მოქმედ ჯგუფებს“, რაც ნიშნავს, რომ პარალელურად ასევე იარსებებს არასამეურნეო ანუ უფასო ჯგუფებიც. ერთი შეხედვით, რა მოხდა, იყოს სკოლაში ფასიანი ჯგუფებიც, ვისაც ფული აქვს, გადაიხდის, ვისაც არა — უფასო, არასამეურნეო ანგარიშიან ჯგუფებში ისწავლონ. მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. სკოლის დირექციის ჩანაფიქრს ცოტა სხვაგვარი ელფერი დაკრავს.

უპირველესი პრობლემა ის არის, რომ სკოლის დირექციის გადაწყვეტილებას მშობელთა დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება.

ერთ-ერთი ბავშვის მშობელი, ქალბატონი ნ.: „სკოლის დირექციას არ ჰქონდა უფლება, თვითნებურად დაეწესებინა სწავლის ქირა, თანაც 120 ლარი, რომელიც საკმაოდ სოლიდური თანხაა მოსწავლეთა დიდი ნაწილის ოჯახებისთვის. თანაც, ხელშეკრულების თანახმად, მშობელი ვალდებულია, ეს თანხა ერთიანად გადაიხადოს აგვისტოს მიწურულს, 1 სექტემბრამდე. ყველა ხომ ვერ გასწვდება ამდენ ხარჯს? ზოგი ოჯახიდან 2 ბავშვი დადის 55-ე სკოლაში, მათ მშობლებს კი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში 240 ლარის გადახდა მოუწევთ. აფხაზეთიდან ლტოლვილი ბავშვებიც სწავლობენ ამ სკოლაში. რა ქნან მათმა მშობლებმა?

— *სკოლის დირექციასთან თუ გქონდათ ამ პრობლემაზე საუბარი?*

— 5-6 მშობელი, ასე ვთქვათ, ჩვენი წარმომადგენელი, ეახლნენ სკოლის დირექტორს, ბატონ პარმენ მარგველაშვილს. სთხოვეს, გაეუქმებინა ოფიციალური გადასახადი, მაგრამ იუარა. არც ნაწილ-ნაწილ გადახდაზე დაყაბულდა. მაგრამ შემდეგი სიტყვებით გამოუსტუმრებია ჩვენი წარმომადგენლები: არ არის აუცილებელი, ყველამ ამ ჯგუფში ისწავლოს. უფულონი სხვა, უფასო ჯგუფებში მიიღებენ განათლებასო.

— *მერედა, ცუდია? ერთი შეხედვით, ლოგიკური ნათქვამია, მით უფრო, რომ თქვენი შვილები იმავე სკოლაში ისწავლიან.*

— 55-ე სკოლა სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ აქ გაძლიერებულად და მართლაც საუცხოოდ ასწავლიან ინგლისურს. მშობელთა უმრავლესობასაც აქ ამის გამო დაჰყავს ბავშვები. თუ ფულს არ გადაიხდი და უფასო ჯგუფში გადაიყვანენ ბავშვს, მას მე-4 კლასიდან ასწავლიან ინგლისურს; არადა, დღემდე სკოლაში 1-ლი კლასიდან ისწავლება უცხო ენა.

ერთიც არის გასათვალისწინებელი: სკოლაში უნაკლო სწავლება სულაც არ არის დღევანდელი დირექციის დამსახურება. ის პედაგოგები, რომლებიც იქ მუშაობენ, მარგველაშვილს არ მოუყვანია, დახვდა, როცა მივიდა. მას არა აქვს უფლება, თვითნებურად შექმნას სამეურნეო ჯგუფები. მით უმეტეს, განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია ლამის ყოველ კვირა აცხადებს, რომ არც ერთ სკოლაში, რომელიც სამინისტროს ექვემდებარება, არ არის ნებადართული სწავლებისთვის გადასახადი და ასეთი რამ არც ხდებაო.

— *პედაგოგები როგორ შეხვდნენ დირექციის ამ ნოვაციას?*

— განსაკუთრებით კმაყოფილი არც პედაგოგები არიან, ზოგი შეშფოთებულიცაა. თუკი სკოლაში იმ ჯგუფების რაოდენობა შემცირდა, რომლებშიც კლასიდან იწყება ინგლისური, ბუნებრივია, რაც დღეს არის, იმდენი პედაგოგი აღარც დასჭირდება. ყველამ კარგად იცის, რომ რასაც პარმენ მარგველაშვილი იტყვის, ყველაფერი ისე იქნება. მისი სახელით კი სასწავლო ნაწილის გამგე მოქმედებს. პარმენ მარგველაშვილი, ამავდროულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია, ამის წყალობით სხვა დირექტორებთან შედარებით, უფრო უშუალო და კარგი ურთიერთობა აქვს განათლების სამინისტროსა და ქალაქის განათლების სამმართველოს ფუნქციონერებთან, ამიტომაც, რასაც და როგორც მოისურვებს, ყველაფერს ისე აკეთებს. ჯერ ისიც საკითხავია, კანონმდებლობით აქვს თუ არა პარმენ მარგველაშვილს ერთდროულად ორ თანამდებობაზე მუშაობის უფლება — სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად და ასევე სახელმწიფო სკოლის დირექტორად?

ერთი უცნაურობაც ხდება ამ სკოლაში და ისიც მარგველაშვილის დანერგილია. მშობლები ყოველთვიურად 10 ლარს იხდიან თითო ბავშვზე. ცოტა უცნაურია, მაგრამ ბავშვი სკოლიდან თუ შორს ცხოვრობს, მას 10 ლარს ახდევინებენ, თუ ახლოსაა სკოლიდან — 5 ლარს. დირექცია ასე განმარტავს ამ ამბავს: შორს მცხოვრებს ნაკლებად ეკუთვნის ამ სკოლაში სწავლება და ამიტომო. არადა რამდენი ლტოლვილი მართლაც შორიდან დადის სკოლაში და ჯერ მარტო ტრანსპორტში რამხელა ფული ეხარჯებათ! წესით, პირიქით უნდა იყოს, მაგრამ აქ უკუღმაა ყველაფერი. არა, ვინ დაადგინა, რომ 55-ე სკოლაში მარტო იმათ უნდა იარონ, ვინც სკოლიდან 100 მეტრის რადიუსში ცხოვრობს?

რაც შეეხება სხვა გადასახადებს, ის ისედაც არ გვაკლია. ამ ყოველთვიური 10 ლარის გარდა, ათასი წვრილმანი ხარჯია. გათბობის ფულს მშობლები ვიხდით, თუ ნათურა ან სხვა ასეთი დაზიანდა, ჩვენ უნდა გამოვცვალოთ, ცარცის ფულიო, ფონდის ფულიო... რა ვიცი, ყველაფერი არ მახსენდება...

ძალიან ბევრი მშობელი აპირებს ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანას. თითქმის 120 ლარს ისედაც ვიხდიდით, მაგრამ ნელ-ნელა, წლის მანძილზე. თან 12 წელი უნდა იხადო ეს ფული. არც ის არის გამორიცხული, თანხა ყოველწლიურად გაიზარდოს. თავიდან ჭირს ადამიანის შეჩვევა, თორემ მერე აღარ არის პრობლემა თანხის გაზრდა. აი, ამ მეთოდს ნერგავს მარგველაშვილი, დირექტორი, რომელსაც სკოლის მოსწავლეთა 80%-ს სახეზეც არ იცნობს, რადგან უმთავრესად უნივერსიტეტშია და სკოლაში იშვიათად შემოივლის ხოლმე.

იურისტებს მივმართეთ და მათ განგვიმარტეს, არც ერთ სკოლის დირექტორს ასეთი თვითშემოქმედების უფლება არა აქვსო. დირექცია აცხადებს, ხელშეკრულება ნებაყოფლობითია და არავის ვაძალებთ მის გაფორმებასო. ეს მართლაც ასეა, მაგრამ თუ სრულფასოვან ალტერნატივას არ მიტოვებ, სხვა რა გზა მრჩება? ან ბავშვი უსწავლელი უნდა დავტოვო, ჩვეულებრივ სკოლაში ვატარო, ანდა უნდა დავყაბულდე კაბალურ ხელშეკრულებას.

მასმედიისა გვეიმედება. ჯერ ამ გზით გვსურს პრობლემის მოგვარება, თუ არა და სხვა საშუალებას მოვნახავთ და სკოლის დირექციას არ დავანებებთ უფულო ოჯახის ბავშვებისთვის სწავლის უფლების წართმევას.

— *ხომ შეიძლება ბავშვი ძალზე ნიჭიერია და მართლაც სწავლას მოწყურებული. ასეთს თუ ექნება შეღავათები?*

— პარმენ მარგველაშვილს ესეც ჰკითხეს მშობლებმა, მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღეს. უნიჭო ბავშვები ჩვენს სკოლაში არ სწავლობენ, ყველა ნიჭიერია და შეღავათი არავის ექნებაო.

ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ. თუ პარმენ მარგველაშვილმა თავისი გაიტანა, 55-ეს სხვებიც მიბაძავენ. თბილისის ყველა სკოლას მოეპოვება რაღაც პრიორიტეტები და დაიყოფა სკოლები ფასიან და უფასო ჯგუფებად, ხოლო თბილისის საკრებულოს დადგენილება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფასიანი სწავლების გაუქმებისა და საყოველთაო უფასო სწავლების აუცილებლობის შესახებ, ისეთივე ფარატინა ქაღალდად დარჩება, რომლის მსგავსიც უამრავია ჩვენი ჩინოვნიკების „წყალობით“.

***ლევან ჯავახიშვილი***

# ქართული სკოლები „კენგურუმ“ სულ ხტუნვა-ხტუნვით შემოირბინა




ბოლო ხანს ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად საქართველოში ადგილი აქვს საეჭვო რეპუტაციის მქონე უცხოური ორგანიზაციების უკონტროლო მოქმედებას. ამგვარი განცხადების საფუძველს იძლევა ე.წ. საერთაშორისო ასოციაცია „კენგურუ საზღვრებს გარეშე“, რომელმაც მასში გაწევრებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო რეფორმის ცენტრთან“ ერთად საქართველოში 25 მარტს საერთაშორისო მათემატიკური თამაში-კონკურსი „კენგურუ“ ჩაატარა. ქართული მხარის ინფორმაციით, 25 ქვეყანაში წელიწადში ერთხელ, ერთსა და იმავე დროს ამ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია - X კლასის ნებისმიერ მოსწავლეს. მიუხედავად აკადემიური მოსწრებისა, თუ, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ასოციაციის მიერ დადგენილი წესის მიხედვით ორ დოლარს (ან მის ეკვივალენტ ლარს) გადაიხდის. თუმცა საქართველოში სამაჩაბლოს ოთხი სოფლის სამასამდე მოსწავლეს უფასოდ მიუღია კონკურსში მონაწილეობა. მაგრამ გაურკვეველია დანარჩენი კონკურსში მონაწილე 7 ათასზე მეტი ბავშვის მიერ გადახდილი თანხის ბედი. „საგანმანათლებლო რეფორმის ცენტრის“ ხელმძღვანელის ქალბატონ ლალი ბერძენიშვილის თქმით, თანხის ნაწილი კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების დასაჯილდოებელი ოქროს სახაზავებისა და სერტიფიკატების შესაძენად ყოფილა განკუთვნილი („ოქროს სახაზავი“ ჩვეულებრივი, კენგურუსგამოსახულებიანი, ფრანგული წარმოების პლასტმასის სახაზავია, რომელიც საფრანგეთში 0,5 ფრანკი (13,5 თეთრი) ღირს, სერტიფიკატი კი, ორგანიზატორების თქმით, მხოლოდ კონკურსის სახსოვარია). არადა, იმავე მიზეზით თბილისის მერისთვის წერილობით 3 ათასი ლარი უთხოვიათ (იმის გამო, რომ წერილი დაკარგულია, შინაარსი ჩვენთვის უცნობია). ბატონმა ვანო ზოდელავამ გვითხრა: ამის თაობაზე მოსული წერილი განათლების სამინისტროში უნდა განეხილათ და მათი პასუხის შესაბამისად მივიღებდით კონკრეტულ გადაწყვეტილებასო.

განათლების მინისტრის ცნობით, წერილი არ მიუღიათ; თბილისის მერიას კი, ვიცე-პრემიერ მუხრან მდივნის თანაშემწის ბატონი დავითის (მას ტელეფონით ვესაუბრეთ) თქმით, „კენგურუსათვის“ 3.000 ლარი გადაურიცხავს (საინტერესოა, რატომ არ გამოინახა კონკურსში მონაწილეებისაგან აკრეფილი სოლიდური თანხიდან სახსრები „ოქროს სახაზავისა“ და სერტიფიკატების შესაძენად. სახაზავების კილოგრამებით ჩამოტანა უფრო იაფი გვიჯდებაო, თქვა ქალბატონმა ლალიმ. თუმცა არ დაუზუსტებია, რა თანხა. 8 ათასი სახაზავი თურმე 40 კილოგრამს იწონის). განათლების სამინისტროში „კენგურუს“ და მისი ორგანიზატორების შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ კონკრეტულად მათი საქმიანობის შესახებ არაფერი იცოდნენ და გვთხოვეს, „კენგურუს“ მხრიდან ნებისმიერი დარღვევა უსათუოდ დაგვეფიქსირებინა. აქვე გამოხატეს უარყოფითი დამოკიდებულება ფასიანი კონკურსების მიმართ. წესდების შესაბამისად, ყველა ქვეყანაში ოქროს სახაზავითა და სერტიფიკატით მხოლოდ გამარჯვებული ბავშვები საჩუქრდებიან. ამ მხრივ რატომღაც მხოლოდ საქართველოა გამონაკლისი. ამის შესახებ კომენტარი გვინდოდა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელის ანდრე დელედიკისაგან, რომელსაც უშუალოდ ვერ დავუკავშირდით. ქალბატონ ლალის საფრანგეთის კოორდინატების მოცემის უფლება არ ჰქონია.

ძალიან კი გაგვიკვირდა ფრანგული მხარის ასე გასაიდუმლოებული მოქმედება. როცა ამდენ გულუხვობას იჩენს, დავიჯეროთ, თავმდაბლობის გამო იმალება? მოკლედ, ესეც და ბევრი სხვა კითხვაც უპასუხოდ დაგვრჩა, ინტერნეტში საერთაშორისო ასოციაციის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენით, რამაც საერთაშორისო ასოციაციის წარმოშობაშიც დაგვაეჭვა.

ბავშვებს ჯერ არც „ოქროს სახაზავი“ და სერტიფიკატი მიუღიათ, უფრო მსუყე პრიზების მოლოდინში ეს სულაც არ აინტერესებთ; ქალბატონმა ლალიმ გვითხრა, — თბილისელი მოსწავლეებისათვის გადასაცემ სერტიფიკატებს ვანო ზოდელავა მოაწერს ხელსო („საგანმანათლებლო რეფორმის ცენტრი“ და „კენგურუ — საზღვრებს გარეშე“ ამას საკუთარი იმიჯის ასამაღლებლად აკეთებს). ბატონმა მერმა გაკვირვებულმა იკითხა, — განა არ იცით, ასე იოლად ხელს რომ არაფერზე ვაწერო (სხვათა შორის, ავტოგრაფზე ქუთაისის მერსაც უთქვამს უარი). წესდებაში არც ის არ არის მითითებული, რაზეც ლალი ბერძენიშვილი სიამაყით აღნიშნავს — ჩვენ შევიმუშავეთ სიახლე განათლების სისტემის მუშაკებისათვის. თითოეული რაიონის განათლების განყოფილების გამგე, თუკი 500 ბავშვს ან მეტს ჩააბამს კონკურსში, ფულადი თანხით დაჯილდოვდებაო (ამის შესახებ განათლების სამინისტროში გაიკვირვეს, — ეს ჩვენ რატომ არ ვიცოდითო; არადა, მართლა საინტერესოა, რატომ არ იცოდნენ). ასევე გასამრჯელოს მიიღებდნენ სკოლის დირექტორები, რომელთა სკოლებიდან 100 ან მეტი ბავშვი მიიღებდა მონაწილეობას.

ეს ფულადი ჯილდო დიდი თანხა არ გეგონოთ — 50-დან 100 ლარამდეა. 100 ლარი გადაეცემოდა აგრეთვე სკოლებს, რომლებიც კონკურსს უშუალოდ უმასპინძლებდნენ, 10-10 ლარი — კონკურსის ზედამხედველ პედაგოგებს.

სხვათა შორის, ქუთაისში გათვალისწინებულის ნაცვლად უფრო მეტი საკლასო ოთახისა და პედაგოგ-დამკვირვებლის დასაქმების შედეგად ბევრი მათგანი დაპირებული გასამრჯელოს გარეშე რჩებოდა (ეტყობა, „საგანმანათლებლო რეფორმის ცენტრს“ ფული არ ეყო!), რომ არა ქუთაისის განათლების განყოფილების გამგის ქალბატონ ნორა ბოჭორიშვილის გულითადი ჟესტი — მისთვის განკუთვნილი თანხა მთლიანად პედაგოგებს გაუნაწილა. თუმცა ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი.

ქალბატონმა ლალიმ გვითხრა, — ამ დაჯილდოების შესახებ წინასწარ არც განათლების განყოფილების გამგეებმა და არც სკოლის დირექტორებმა არაფერი იცოდნენო. როგორც გაირკვა, იცრუა, იქნებ იმიტომ, რომ განათლების განყოფილების გამგეებისა და სკოლის დირექტორებისათვის განკუთვნილი „ჯილდო“ ქრთამად არ მიგვეჩნია.

გასაცოდავებული ხელფასების დიდი ხნით მომლოდინე მასწავლებლები სიამოვნებით მიაღებინებდნენ ბავშვებს, კერძოდ, დაბალი კლასების მოსწავლეებს, კონკურსში მონაწილეობას (სწორედ ასეთები სჭარბობდნენ კონკურსზე); პატარებისთვის ლატარიის პრინციპით გათვლილი კონკურსი მომხიბლავი და საინტერესო ჩანს. როცა ჟურნალისტური გამოძიებისას ჩვენი დაინტერესება აშკარად ყურადსაღები დეტალების მიმართ შესამჩნევი გახდა, ლალი ბერძენიშვილმა იგულისხმა, რომ ვიღაცის დაკვეთით ვმუშაობდით და გვთხოვა, დამკვეთი მიგვეშვა მასთან. იმას უკეთ გავაგებინებ ყველაფერსო, თან თითი დაგვიქნია, ჟურნალისტები თქვენს ტყავში დაეტიეთო. არც ადმინისტრაციული კოდექსის არსებობა ცნო და ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტებზე, რომელიც უცხოურ ორგანიზაციას შეეხებოდა, მხოლოდ თვალის გადავლების უფლება მოგვცა. კონკურსის საბოლოო შედეგები ერთი თვის განმავლობაში უნდა დაზუსტებულიყო. არადა უკვე ორი თვე გავიდა და სასკოლო არდადეგებიც დაიწყო. არადა, ჩვენთვის გაურკვეველი რჩება — რატომ სარგებლობს უპირატესობით ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო ასოციაციაში, რომელსაც საგულდაგულოდ მალავენ. რა განსაკუთრებული დამსახურება აქვს მას, რომ ასე იოლად რთავენ ნებას, წესდებიდან გადაუხვიოს და სურვილისამებრ განკარგოს მოსწავლეებისაგან აკრეფილი თანხები!

ძალიან კარგია, როცა განათლების სისტემაში პედაგოგებისათვის დახმარებას ცდილობენ, მაგრამ გააჩნია, ვის ხარჯზე. ბავშვები, რომლებიც ალბათ ვერასდროს დააგროვებენ საერთაშორისო სტანდარტით დამტკიცებულ უმაღლეს ქულებს („საერთაშორისო უმაღლესი ქულა“ ყველა ქვეყნის უმაღლესი ქულების შეჯამების შედეგად დგინდება თურმე), უცხოეთში გამგზავრებაზე ოცნებით გაიზრდებიან და როცა მიხვდებიან, რომ მოატყუეს, შეიძლება გაბოროტდნენ კიდეც. ეს კი ჩვენს მომავალ თაობას ნამდვილად ავნებს. სხვა ქვეყანაში რატომ აფინანსებს „კენგურუს“ კონკურსს განათლებისა და სპორტის დეპარტამენტი და არა რომელიმე კერძო ორგანიზაცია, რატომ არ ჰყოფნით ქართველ ორგანიზატორებს საკმაოდ დიდი თანხა, რომელიც მოსწავლეებიდან აიკრიფა და თანადგომას რატომ სთხოვენ სახელმწიფო სტრუქტურებს, როცა მხოლოდ „ხელმძღვანელ პირს სცემენ პატივს და არა თვითონ სტრუქტურის მუშაობის პრინციპებს,“ რატომ ცდილობენ ავტორიტეტული პიროვნებების ავტოგრაფებით სარგებლობას, მათ შორის პარლამენტარ კობა იმედაშვილისა, რომლის სახელი და გვარი „საგანმანათლებო რეფორმის ცენტრის“ გამგეობის წევრებს შორის აღმოვაჩინეთ, მაგრამ არსად ჩანდა მისი ხელმოწერა.

გაირკვა, რომ მას არასდროს მიუღია ამ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა და მის წევრადაც თავს არ მიიჩნევს.

ბატონი კობას აზრით, სკოლებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას მკაცრად უნდა აკონტროლებდეს განათლების სამინისტრო, რაც სულაც არ ნიშნავს ვინმეს უფლებების შეზღუდვას.

ცხადია, რომ დღეს ბევრი რამ მოუწესრიგებელია და რიგი ორგანიზაციები სათანადო სიმაღლეზე არ დგანან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სკოლა ხომ სახელმწიფოს ის ორგანოა, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მაღალი ზნეობა და ღირსება უნდა სუფევდეს.

***ეკა ლომიძე***

# თურქული გემის დაჭერას, შეიძლება სამხედრო პროკურორის ქრთამზე დაჭერა მოჰყვეს

გასულ ხუთშაბათს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, რევაზ ადამიას განცხადება მთავარი სამხედრო პროკურატურისთვის მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ფაქტობრივად, ის უწყება, რომელსაც კანონიერების დაცვა ევალება, თავად იქნა ეჭვმიტანილი დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვაში.

თურქეთის საელჩომ ოფიციალური ნოტით მიმართა ქართულ მხარეს იმის შესახებ, რომ ფოთში დაკავებული თურქული გემის ეკიპაჟს ფოთის რეგიონალური სამხედრო პროკურატურა გაშვებისათვის 30 ათას დოლარს სთხოვდა.



ბადრი ბიწაძე

ეს თურქული სეინერი ერთი თვის წინ ქართველმა მესაზღვრეებმა მას შემდეგ დააკავეს, რაც იგი უნებართვოდ შევიდა სოხუმის პორტში და უკან, თურქეთში ბრუნდებოდა.

თურქეთის გემებთან დაკავშირებული ეს ინციდენტი, როდესაც ისინი არღვევენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებს, პირველი შემთხვევა სულაც არ არის (უკრაინელები, მაგალითად, არც მათ ჩაძირვაზე ამბობენ უარს), მაგრამ მომხდარი ფაქტი სულ სხვა სფეროს, ამჯერად, წმინდა ქართულ პოლიტიკურ რეალობას განეკუთვნება.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ეს, ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ფაქტი, შეიძლება კულუარულ ატმოსფეროში, უშუალოდ, მთავარ სამხედრო პროკურორთან გადაეწყვიტა, მით უმეტეს, ერთი შეხედვით, რევაზ ადამიაც და ბადრი ბიწაძეც ერთ „პოლიტიკურ ალიანსში“ მოღვაწეობენ. მაგრამ რატომღაც ამჯერად ადამიამ ჯერ ამ ფაქტის საჯაროდ გახმოვანება მოინდომა, რასაც შეიძლება თავისი საფუძველი ჰქონდეს და ერთგვარ საპასუხო დარტყმადაც იქნეს მიჩნეული.



რევაზ ადამია

გაიხსენეთ მთავარი სამხედრო პროკურატურის საკმაოდ მწვავე დაპირისპირება თავდაცვის სამინისტროსთან (საქმე იქამდეც მივიდა, რომ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მთავარ სამხედრო პროკურატურას თავდაცვის სამინისტროს „კარი“ მიუხურეს), არადა დღევანდელი თავდაცვის მინისტრი, გარკვეულწილად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამოაზრედ მიიჩნევა (თუმცა ბოლო დროს მათ შორის ასევე გარკვეული უთანხმოებაც დაფიქსირდა).

მაგრამ აქ მთავარ პლანზე გამოდის არა ადამია-თევზაძის ერთიანობა, არამედ ის მზარდი დაპირისპირება, რაც მმართველი პარტიის რიგებში წარმოიქმნება იმ დაჯგუფებებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იმყოფება, ხოლო მეორეში კი — მთავარი სამხედრო პროკურორის ახლო ნათესაობა.

ეს უკვე პოლიტიკური თამაშის ელფერს იღებს, იმ პოლიტიკური თამაშისა, რომელმაც სამ-ოთხ წელში ლიდერი პოლიტიკური ფიგურები უნდა გამოაჩინოს.

რა თქმა უნდა, ცუდია, როცა კონკრეტულ, კერძოდ, ტერიტორიული წყლების დარღვევის ფაქტსაც დიდ პოლიტიკურ თამაშში იყენებენ, მაგრამ თუკი რომელიმე სამხედრო პროკურორმა მართლაც მოითხოვა ქრთამი, ის აუცილებლად დასასჯელია. საქართველოს კანონმდებლობა საზღვრის დარღვევისათვის სასჯელად მხოლოდ ერთ წელს ითვალისწინებს, მაშინ, იქნებ სჯობდეს, საზღვრის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმა დაწესდეს, რომელიც საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურისა თუ სასაზღვრო ჯარების უხელფასო პატიოსან თანამშრომლებს მოხმარდება?

საინტერესოა, კიდევ ერთი გარემოება — რა საჭიროა გამოძიების მთელი თვით გაჭიანურება, ტერიტორიული წყლების დარღვევის (რომ არაფერი ვთქვათ, არალეგალურ მგზავრებსა და თევზის უკანონო რეწვაზე) ფაქტი ხომ სახეზეა? რას იკვლევს აქ მთელი თვე სამხედრო პროკურატურა, თუკი ეს საქმე, როგორც თავად მთავარ სამხედრო პროკურატურაში აცხადებენ, შემდგომი გამოკვლევისთვის მაინც უშიშროების სამინისტროს უნდა გადაეცეს?

# საშიშროება ავღანელი თალიბებისგან...

**მათ, ჯერჯერობით, მხოლოდ ქართული Су-25-ებით იგერიებენ**

ისტორია შეიძლება ხელმეორედ გამეორდეს და ოცი წლის შემდეგ მოსკოვმა შესაძლოა ხელახლა მიიტანოს იერიში ავღანეთზე.

„კვირის პალიტრის“ გასულ ნომერში ჩვენ შევეხეთ 24 მაისს მინსკში დსთ-ის კოლექტიური უშიშროების საბჭოს მორიგ, დაგეგმილ სამიტს. თითქოსდა, სამიტი რაიმე ახალს, სენსაციურს არაფერს გვპირდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კოლექტიური უშიშროების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა — რუსეთმა, სომხეთმა, ბელორუსიამ, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და ტაჯიკეთმა, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ თუკი მათგან ერთ-ერთს რომელიმე სახელმწიფო შეიარაღებულ კონფლიქტს გაუმართავდა, ეს უკანასკნელი საერთო მოწინააღმდეგედ იქნებოდა მიჩნეული.

ამის შესახებ რუბრიკა „სამხედრო თემაზე“ წინასწარ აცნობებდა თავის მკითხველს, მაგრამ სრულიად მოულოდნელ ფაქტად იქცა რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების პირდაპირი განცხადება მინსკში — რუსეთი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ავღანეთს წინასწარი საჰაერო დარტყმები მიაყენოსო.

ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო, — ავღანეთის დაბომბვის მომავალ პერსპექტივაზე საუბრები რუსეთის ოფიციოზმა ცოტა ხნით უფრო ადრე დაიწყო.

ჯერ იყო და, ა.წ. 11 მაისს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, რუსეთის ყველა დაწესებულებას ევალება უპირობოდ შეასრულოს გაეროს უშიშროების საბჭოს გასული წლის 15 ოქტომბრის რეზოლუცია. ამ რეზოლუციის თანახმად, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფლებას ეცნობება სანქციები, რომლებიც ავღანელი თალიბების მიმართ იქნა დაწესებული — მათი ყველა ფულადი ანაბარი და საფრენოსნო საშუალება, რომლებიც სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე აღმოჩნდება, ავტომატურად პატიმრდება.

ერთი შეხედვით, თითქოსდა, როდის იყო, კრემლს ასე უხაროდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულება, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს, როგორც მოსკოვის, ისე ვაშინგტონის პოლიტიკური ინტერესების თანხვედრას.

თეთრი სახლი ავღანელ თალიბებს და მათ მიერ შექმნილ „ავღანეთის ისლამურ საემიროებს“ საერთაშორისო ტერორისტების იმ ბუდედ მიიჩნევს, სადაც თავს აშშ-ის ნომერი პირველი მტერი — ბენ ლადენი აფარებს.

თავის მხრივ, კრემლიც ყოველთვის ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ ჩეჩნეთში მისი ფედერალური ჯარების წინააღმდეგ იბრძვიან ავღანელი თალიბები, რომლებიც ჩეჩნეთში მეზობელი საქართველოდან აღწევენო.

ამ კონტექსტში საქართველოს მოხსენიება საკმაოდ უარყოფით რეაქციას იწვევს მსოფლიოში — მართალია, პლანეტის უმეტესობას უკვე დიდი ხანია, აღარ სჯერა კრემლის ზღაპრებისა, მაგრამ ძალზე ხშირად ავღანელი თალიბების დაკავშირება ჩვენს ქვეყანასთან, მომგებიანი სულაც არ არის.

გარდა ამისა, მოსკოვი ამით „კურდღლების დაჭერას“ აგრძელებს — გაეროს უშიშროების საბჭოს ზემოხსენებული რეზოლუცია მას ხელ-ფეხს უხსნის, რომ თალიბების მოსამზადებელ ბაზებს და სხვა სტრატეგიულ პუნქტებს ავღანეთის ტერიტორიაზე წინასწარი საჰაერო დარტყმები მიაყენოს.

ასეთი დარტყმების მიყენების იდეა მარტო ჩეჩნეთის ომის გამო როდი ჩასახულა კრემლში. საქმე ის არის, რომ თალიბები დღეისათვის ავღანეთის ტერიტორიის 90%-ს აკონტროლებენ. მათ ქვეყნის ტერიტორიის დარჩენილ მთაგორიან 10%-ში მოაქციეს თავიანთი ძირითადი ოპოზიცია — აჰმედ შაჰ მასუდისა და აბდურაშიდ დუსთუმის საბრძოლო ნაწილები.

მასუდი ამჟამად „ჩრდილო ალიანსის“ მთავარსარდლის პოსტზეა, ხოლო დუსთუმი კი ეთნიკური უზბეკების ლიდერია.

ბოლო ოთხი წელია, თალიბები ძალ-ღონეს არ იშურებენ, თავიანთი მოწინააღმდეგეები გაყარონ ავღანეთიდან უზბეკეთსა და ტაჯიკეთში, თუმცა ამ შემთხვევაშიც თალიბები ნამდვილად არ შეჩერდებიან და ცეცხლითა და მახვილით ეცდებიან „ფუნდამენტური ისლამიზმი“ შუა აზიის პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებშიც გაამეფონ.

არადა, პოსტსაბჭოური რესპუბლიკებიდან — ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან და თურქმენეთიდან რუსეთის ფედერაციამდე მხოლოდ ერთი ხელის გაწვდენაა. თუკი ავღანელი თალიბები შეაღწევენ რუსეთის საზღვრებში, მათ იქ მცხოვრები მილიონობით მუსლიმანის — „მეხუთე კოლონის“ დიდი იმედი ექნებათ, რაც საბოლოოდ ალბათ მთლიანად რუსეთის ფედერაციის დაშლის დასაწყისი იქნება და ჩეჩნეთის ომი მოსაგონარი გახდება.

ამას კარგად ხვდებიან მოსკოვში და ამიტომაც ბოლო წლების მანძილზე ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, ერთ დროს მოსისხლე მტრებისთვის — მასუდისა და დუსთუმის სამხედრო დანაყოფებისთვის იარაღისა და ტყვია-წამლის მისაწოდებლად.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თალიბების შესაჩერებლად, რომლებსაც, თავის მხრივ, პაკისტანელი სამხედროები დიდ დახმარებას უწევენ, საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომაც რამდენჯერმე უზბეკეთის სამხედრო საჰაერო ძალების Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბომბეს თალიბების პოზიციები უზბეკეთის ტერიტორიიდან ავღანეთში.

სხვათა შორის, შეიძლება ბევრს მოულოდნელიც მოეჩვენოს, რომ თურქმენეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა თავისი ოთხ ათეულზე მეტი Су-25 მოიერიშე თვითმფრინავების აღდგენა, რომლებიც 1992 წლიდან უქმად იდგნენ აეროდრომებზე, სწორედ ახლა და ისიც თბილისის საავიაციო ქარხანაში მოინდომეს. უბრალოდ, თურქმენბაშიც არ ივიწყებს თალიბების შუა აზიაში შეჭრის საშიშროებას და თავის დაცვას სწორედ ქართული მოიერიშეებით აპირებს.

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, საჰაერო დარტყმები მიაყენოს სხვა ქვეყნის ტერიტორიას, ახალი სულაც არ არის. ავღანეთის ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში შეჭრილი იყო მთელი მე-40 ცალკეული არმია თავისი ავიაციით, მოსკოვმა რამდენჯერმე მაინც განახორციელა მძლავრი დაბომბვები უშუალოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან.

***საბჭოთა მძიმე ბომბდამშენებმა ავღანეთის ომის დროს სამ ეტაპად დაბომბეს ავღანელი მოჯაჰედების ბაზები ზემძლავრი საავიაციო ბომბებით. მათ სამიზნეს მაშინ აჰმად შაჰ მასუდის განლაგება წარმოადგენდა, იმ მასუდისა, რომელსაც დღეს კრემლი ყოველნაირად ეხმარება. დაბომბვებში მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა სამხედრო ავიაციის თითქმის ყველა ტიპის ბომბდამშენი თვითმფრინავები:*** Ту-16, Ту-22, Ту-22М3 ***და*** Су-24М.

***შორსმფრენი მძიმე ბომბდამშენები*** Ту-22М3***-ები მოჯაჰედებს 3 ტონიან ფუგასურ*** ФАБ-3000 ***საავიაციო ბომბებს აყრიდნენ, ხოლო ავღანეთის ომის ბოლოს უკვე მოცულობით-დეტონირებადი ტონნახევრიანი*** ОДАБ-1500***-ის გამოყენება დაიწყეს. ეს საშინელი ძალის ბომბები ავღანეთის მთებს მთვარის კრატერებს ამსგავსებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ საჰაერო დაბომბვებმა დიდი შედეგი ვერ გამოიღო. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი, თავის დროზე შორსმფრენი ავიაციის ბომბდამშენი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი ჯოჰარ დუდაევი თავისი*** Ту-22М3***-ით მასუდის რაზმებისთვის ბომბებს არ იშურებდაო.***

დღეს მოსკოვს ისტორიის შემობრუნება სურს. ამ შემთხვევაში მას უკვე უშუალოდ თავისი ტერიტორიიდან მოუწევს თალიბების განადგურება. ამ შემთხვევაში რუსეთის სამხედრო ძალები, ძირითადად, ალბათ მხოლოდ Ту-22М3-სა და არ არის გამორიცხული, სტრატეგიულ რაკეტმზიდებს Ту-160-საც გამოიყენებს.



მოსკოვი თალიბების ბაზებზე სტრატეგიული Ту-160-ებით აპირებს „ნადირობის“ დაწყებას

მოსკოვი აშკარად ბაძავს ამერიკას, მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთს ნამდვილად გაუჭირდება ვაშინგტონისგან განსხვავებით „მსოფლიო ჟანდარმის“ როლის შესრულება.

ამასთან, თუკი ერაყი ან იგივე იუგოსლავია აშშ-ს ტერიტორიული სიშორის გამო დიდად ვერაფრით დაემუქრება, ავღანეთის ჩრდილო საზღვრიდან რუსეთის ქ. ორენბურგამდე არა უმეტეს 1.750 კმ-ია, რომლის „დაფარვასაც“ ავღანელი თალიბები (თუკი ასე გაგრძელდა მათი წინსვლა ჩრდილოეთისკენ) ორ-სამ წელში ნამდვილად შეძლებენ.

ეს გლობალური პრობლემა შეიძლება ერთ-ერთი იყოს, სადაც რუსეთის, აშშ-ისა თუ სულაც ჩვენი, საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესების თანხვედრა ხდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თალიბების ჩრდილო-დასავლეთით წინსვლის შეჩერების საერთო საქმეში გაჭირვებულ საქართველოს თავისი წვლილი, ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისის საავიაციო ქარხანაში წარმოებული Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებით შეაქვს (მარტო ცხრაწლიანი ავღანეთის ომის მანძილზე, იქ დისლოცირებულმა, ოღონდ თბილისში გამოშვებულმა Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებმა 60 ათასი გაფრენა განახორციელეს ავღანეთის საჰაერო სივრცეში. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ მოიერიშეს 4 ტ-მდე ბომბი და რაკეტა მიჰქონდა, წარმოიდგინეთ, რა რაოდენობის „სასიკვდილო ნობათი“ მიიღეს ავღანელმა მოჯაჰედებმა).

პენტაგონმა ბენ ლადენის გამო უკვე მიაყენა ავღანეთს სტრატეგიული ფრთოსანი რაკეტებით დარტყმა. დღეს იმავეს განმეორებას უკვე რუსეთი აპირებს. სხვათა შორის, ზოგიერთი ფრთხილი რუსი პოლიტიკოსი არც იმას გამორიცხავს, რომ თეთრი სახლი საგანგებოდ ხუჭავს თვალს და ოცნებობს რუსეთი ახალ ავღანურ ომში ჩაითრიოს.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები კვლავ გვემუქრებიან



ПМН-2

**თბილისი**. საქართველოში თითქოს ომი აღარ მიმდინარეობს, მაგრამ ადამიანები დედაქალაქში კვლავ ფეთქდებიან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებზე. 25 მაისს, უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვის საარტილერიო ბრიგადის რეაქტიულ დივიზიონში, ნაღმზე რიგითი დევი წიკლაური აფეთქდა და ქვედა კიდური დაკარგა.

საერთოდ, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რა უნდოდა საარტილერიო ნაწილის ტერიტორიაზე ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმს, თანაც ეს ნაღმი, რომელიც სავარაუდოდ ПМН-2-ის (ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, ამოუღებადი) ტიპის უნდა ყოფილიყო, უბრალოდ მიგდებული ნამდვილად არ იყო. იგი ვიღაცამ, თავის დროზე, სპეციალურად გადაიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, თორემ ისე, ფეხის დადგმის შემთხვევაში, ნაღმი არ აფეთქდებოდა.

არსებობს ვარაუდი, რომ ეს იმ რუსი სამხედროების გაკეთებულია, რომლებმაც ეს ტერიტორია ჯერ კიდევ 1998 წელს დატოვეს.

სამწუხაროდ, საქართველოს სამხედრო ძალებში ხშირად ხდება, რომ გაუფრთხილებლობისა და უცოდინარობის გამო ჯარისკაცებს სხვადასხვა საბრძოლო მასალა უფეთქდებათ.

### Су-ები МиГ-ებს აფრიკის ცაში დაერივნენ

**ადის-აბება**. სისხლისმღვრელი ომი ეთიოპიისა და ერიტრეას შეიარაღებულ ძალებს შორის კვლავ გრძელდება. 16 მაისს ეთიოპიელმა მფრინავებმა ერიტრეის გამანადგურებელი МиГ-29 ჩამოაგდეს „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტით.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ორივე მებრძოლ მხარეს ბოლო დრომდე საბრძოლო ტექნიკას სწორედ რუსეთი აწვდიდა. ეთიოპიელთა საბრძოლო წარმატებებსაც რუს გენერლებს „აბრალებენ“. ეთიოპიის საჰაერო ძალები საბჭოთა თვითმფრინავებითაა აღჭურვილი — 40 გამანადგურებელი МиГ-21МФ და 23 გამანადგურებელ-ბომბდამშენი МиГ-23БН და МиГ-27. 1998 წლის ბოლოს ეთიოპიამ მოსკოვისგან შეიძინა რვა თანამედროვე ტიპის გამანადგურებელი Су-27. ეს თვითმფრინავები მანამდე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში ითვლებოდნენ და, ზოგიერთი მონაცემით, აფხაზეთის ცაში ქართულ მოიერიშეებსაც „დასდევდნენ“ აფხაზეთის ომის დროს.



МиГ-29

რაც ყველაზე საინტერესოა, თავად ერიტრეამ გარიგებას უკვე პირდაპირ МиГ-ის გამომშვებთან მიაღწია და ექვსი МиГ-29 შეიძინა (სწორედ ერთ-ერთი მათგანი იქნა ჩამოგდებული 16 მაისს).

როგორც ჩანს, მოსკოვისთვის სულერთია, თუკი რუსეთში წარმოებული საბრძოლო ტექნიკა ერთმანეთს აფეთქებს, მთავარია, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის თვითმფრინავი და ტანკი გაიყიდოს.

### კორუფცია ამერიკელ სამხედროებსაც აწუხებთ

**ვაშინგტონი**. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა კონტრაქტების მართვის სააგენტო. ახალი სააგენტოს ჩამოყალიბება, რომლის პირადი შემადგენლობის რაოდენობა 13 ათას კაცს აღწევს (ეს მთელი დივიზიაა), სწორედ იმ კორუფციის მოსასპობადაა ჩაფიქრებული, რომელიც ქართულისა არ იყოს, ამერიკულ არმიასაც საკმაოდ აწუხებს.

სააგენტოს მთავარი ფუნქცია მოიცავს იმ კონტრაქტების კონტროლს, რომელსაც სამხედროები კერძო ფირმებთან დებენ. ასეთი ფირმების რიცხვი 23 ათასს აჭარბებს, ხოლო თავად კონტრაქტების საერთო რაოდენობა 350 ათასს, ეს კი არანაკლებ 900 მლრდ დოლარია. ამით, ფაქტობრივად, პენტაგონის ხელმძღვანელობა ცდილობს, მისმა ზოგიერთმა ოფიცერმა შესყიდვებზე „ფული არ მოტეხოს“.

სხვათა შორის, დაახლოებით ანალოგიური ფუნქციების მქონე ორგანო, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთანაც შეიქმნა, საუწყებათაშორისო მუდმივმოქმედი კომისიის ექსპერტთა ჯგუფის სახით, რომელმაც წესით უნდა გააკონტროლოს სტრატეგიული და სამხედრო მნიშვნელობის ყველა საიმპორტო და საექსპორტო კონტრაქტი. რამდენად ეფექტურად მუშაობს ეს ექსპერტთა ჯგუფი, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია.

# სოხუმელი თევზაძის მდგმური სასაფლაოზე შეიტყუეს და დაწვეს...

***1956 წლის 17 აგვისტოს, თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე ბავშვებმა ნახევრად დამწვარი გვამი იპოვეს. ექსპერტ-გამომძიებელთა დასკვნით, ეს იყო 40-45 წლის, სლავური წარმოშობის მამაკაცი, რომლისთვისაც სასაფლაოზე აღმოჩენამდე დაახლოებით 32 საათით ადრე თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ორი სასიკვდილო ჭრილობა მიეყენებინათ. ამის შემდეგ მისთვის ბენზინი გადაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ.***

გვამიდან რამდენიმე ნაბიჯში სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს გასროლილი მასრები, რომელთა შემოწმების შედეგად ცხადი გახდა, რომ დანაშაული ჩაედინათ იქვე, 9-მილიმეტრიანი კალიბრის „პარაბელუმით“. მიცვალებულის ვინაობის დადგენა შეუძლებელი ჩანდა — სახე იმდენად ჰქონდა დაზიანებული, რომ ვერავინ ამოიცნობდა. გარდა ამისა, თან არც პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი აღმოაჩნდა. სცადეს დაწვისგან გადარჩენილი მისი თითების ანაბეჭდები მოეძიათ სპეციალურ კარტოთეკაში, სადაც რესპუბლიკის თითქმის ყველა დამნაშავის ხელის ანაბეჭდი ინახებოდა, მაგრამ ამაოდ — იქ არსებული თითის ხვეულები გარდაცვლილისას არ ემთხვეოდა.



შეკითხვა-დეპეშები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დაიგზავნა — ასეთი და ასეთი მკვდარი მამაკაცი ვიპოვეთ და ეგებ, გეცნობათო. პასუხად მოვიდა ინფორმაცია უგზო-უკვლოდ დაკარგული 15 მამაკაცის შესახებ, მაგრამ მალევე დადგინდა, რომ არც ერთი მათგანის აღწერილობა არ ემთხვეოდა თბილისის სასაფლაოზე აღმოჩენილი ადამიანის გარეგნობას. ძიება ჩიხში შევიდა და აღნიშნული საქმე უიმედოთა სიაში შეიტანეს, მაგრამ მოვლენები მოულოდნელად განვითარდა.

ორი კვირის შემდეგ, 2 სექტემბერს იმავე სასაფლაოზე კვლავ აღმოაჩინეს დამწვარი გვამი... ვერც ამ ადამიანის ვინაობის დადგენა მოხერხდა, სამაგიეროდ, მილიცია დარწმუნებული გახლდათ, რომ ორივე მკვლელობის ჩამდენი ერთი და იგივე პირი (ან პირები) იყო. ამას ადასტურებდა მეორე გვამის მახლობლად ნაპოვნი „პარაბელუმის“ ტყვიების მასრები. ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სასიკვდილო გასროლა ორივე შემთხვევაში ერთი პისტოლეტიდან მოხდა.

## მილიცია ვერსიებს ამუშავებს

ძიებამ, რომელშიც რესპუბლიკის საუკეთესო სამართალდამცავები ჩაებნენ, მკვლელობის ორივე საქმე გააერთიანა და რამდენიმე ვერსიის დამუშავებას შეუდგა.

თავდაპირველად ყველაზე დამაჯერებლად მიჩნეული იქნა მოსაზრება, რომ მკვლელი შეურაცხადი პირი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში ასეთი ვერსია სრულიად გამოირიცხა — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბოროტმოქმედს კვალი არ დაუტოვებია (მასრების გარდა), რაც შეშლილი ადამიანისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. გარდა ამისა, საფუძვლიანად შემოწმდა საქართველოში მცხოვრები ყველა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი, ვისაც კი მიდრეკილება ჰქონდა მკვლელობებისადმი, მაგრამ თითოეულ მათგანს საუცხოო ალიბი აღმოაჩნდა.

ერთ-ერთი სამუშაო ვერსიის თანახმად, მკვლელი დიდ სამამულო ომში ნამყოფი ადამიანი უნდა ყოფილიყო. იმხანად პისტოლეტი „პარაბელუმი“ ძირითადად ფრონტგამოვლილებს ჰქონდათ ნადავლის სახით ჩამოტანილი, მაგრამ ასეთი იარაღის უდიდესი ნაწილი არსად არ იყო რეგისტრირებული, ომიდან დაბრუნებულთა რიცხვი კი ათობით ათასს აღწევდა და ამდენ ადამიანში ერთი კაცის ძებნა, ფაქტობრივად, უაზრობა იყო. ამიტომ ეს ვერსია მხოლოდ სხვა ვარაუდების განხილვის დროს გამოდგებოდა.

არ გამორიცხავდნენ, ე.წ. რელიგიურ ვერსიასაც. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში მკვეთრად იმატა სექტანტთა რიცხვმა. 1947-53 წლებში, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოშიც, ადამიანთა მსხვერპლშეწირვის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა და მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ რელიგიურ ფანატიკოსთა წინააღმდეგ უმკაცრესი ღონისძიებები გაატარა და მათი უმრავლესობა ციმბირში გადაასახლა, არ იყო გამორიცხული, აღნიშნული მკვლელობებიც სწორედ სექტანტთა ჩადენილი ყოფილიყო. მხოლოდ ერთი რამ აეჭვებდა მილიციას — შემთხვევის ადგილზე არ აღმოჩნდა მსხვერპლშეწირვის რიტუალის ატრიბუტიკა — ცხოველების სხეულის ნაწილები, გველის ტყავი, თიხის ჭურჭელი, სარკე, სანთლები და ა.შ.

## კვალი გამოჩნდა

9 სექტემბერს ბაქოდან ჯერ სოხუმის, შემდეგ კი იქიდან თბილისის მილიციაში ასეთი შინაარსის დეპეშა ჩამოვიდა: „ოჯახის წევრები ეძებენ 1914 წელს დაბადებულ ოლეგ გიორგის ძე საფონოვს, რომელიც ამა წლის 12 აგვისტოს, რამდენიმე დღით, დასასვენებლად გაემგზავრა ქალაქ სოხუმში. 14 სექტემბერს იქიდან სახლში დეპეშა გამოგზავნა, ზღვაზე ვიმყოფები, ყველაფერი რიგზეაო. მას შემდეგ საფონოვის ადგილსამყოფელი უცნობია. დამახასიათებელი ნიშნები: თმა — ქერა, მოკლედ შეჭრილი; სიმაღლე — 184 სმ; მარცხენა ბეჭზე სვირინგი ტანკისტის გამოსახულებით...“

თბილისის მილიციამ, როგორც იქნა, ამოხსნა ამოცანა — ჩამოთვლილი ნიშნები სრულად ემთხვეოდა სასაფლაოზე ნაპოვნი მეორე მიცვალებულის გარეგნულ ნიშნებს.

მალე გარდაცვლილი ბაქოში გადაასვენეს, საფონოვის ოჯახიდან გამოგზავნილი ფოტოსურათებით კი გამომძიებლები სოხუმს გაემგზავრნენ და ძიება ამ ზღვისპირა ქალაქში განაგრძეს.

რამდენიმე დღის შემდეგ დადგინდა, რომ 14-19 აგვისტოს ოლეგ საფონოვს ქირით უცხოვრია სოხუმის მკვიდრის, ვინმე თევზაძის კუთვნილი სახლის ერთ-ერთ ოთახში. მილიციის განყოფილებაში დასაკითხად მიყვანილმა თევზაძემ მხრები აიჩეჩა: „ეს კაცი ექვსი დღე მართლაც ცხოვრობდა ჩემთან, მაგრამ მსგავსი დამსვენებლები ყოველ სეზონზე უამრავად ჩამოდიან. საბუთები, როგორც წესი, წესრიგში აქვთ ხოლმე და აბა, საიდან უნდა ვიცოდე, პატიოსანი ადამიანია თუ არა?“

გამომძიებლებმა დაკავებულს კითხვები დააყარეს — რას საქმიანობდა საფონოვი, რაზე ლაპარაკობდა, სად დადიოდა, ნაცნობი თუ ჰყავდა და ა.შ. პასუხები ბუნდოვანი იყო — არ ვიცი, მასთან არავინ დამინახავს, წარმოდგენაც არა მაქვს... და თევზაძე მილიციის საკანში ჩაამწყვდიეს.



17 სექტემბერს სოხუმის მილიციაში გამოცხადდა თევზაძის მამიდაშვილი — კვარაცხელია და განაცხადა, რომ დაკავებული თევზაძე სრულიად უდანაშაულო იყო და მართლაც არაფერი იცოდა თავისი ყოფილი მდგმურის შესახებ. შემდეგ კვარაცხელიამ გამომძიებლებს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაც მიაწოდა:

— ჩემი ინფორმაციით, ეს საფონოვი ბანქოს დიდი მოყვარული იყო და ადგილობრივ მოთამაშეთა წრეში ტრიალებდა.

— კონკრეტულად ვისთან?

— არიან ასეთი ცნობილი შულერები: თემურ აგრბა და ვიტალი გოგოხია.

აფხაზეთის მილიციისთვის ორივე გვარი საკმაოდ კარგად იყო ცნობილი. აგრბა არაერთი დანაშაულისთვის ხუთჯერ ნასამართლევი და ციხიდან სულ ახლახან გამოსული რეციდივისტი იყო. რაც შეეხება ომის ვეტერან გოგოხიას, იგი უკვე მესამე წელია თაღლითობისთვის იძებნებოდა. ორივე ბოროტმოქმედის პირად დოსიეში მითითებული იყო, რომ აგრბაც და გოგოხიაც ნებისმიერ მძიმე დანაშაულზე წამსვლელები იყვნენ. კვარაცხელიას დაკითხვა განახლდა:

— საიდან ფლობთ ცნობებს აღნიშნულ პირთა შესახებ?

— 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათისთვის სანაპიროზე შემთხვევით მოვკარი თვალი ჩემი მამიდაშვილის მდგმურს — საფონოვს და თემურ აგრბას. ისინი სასაუზმიდან გამოვიდნენ და იქვე მდგარ ნაცრისფერ „პობედაში“ ჩასხდნენ. სანომრე ნიშნისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, სამაგიეროდ, მანქანაში მძღოლის გვერდით მჯდომ ვიტალი გოგოხიას მოვკარი თვალი. მეორე დღეს საფონოვი თევზაძის ბინაში შემხვდა (მამიდაშვილის სახლში მდგმურებისთვის ყოველ დილას მაწონი მიმქონდა). ვკითხე, რა გესაქმება იმ ბნელ ხალხთან-მეთქი. აგრბა ჩემი დიდი ხნის ნაცნობია და მის მეგობარ ბიჭებთან ბანქო ვითამაშეთო. მერე მკითხა, ხომ არ იცი, ბანქოს ახალი დასტის შეძენა სად შეიძლებაო. მიხვდი, რომ აზარტული მოთამაშე იყო.

აგრბასა და გოგოხიას საცხოვრებელი ბინების დათვალიერებამ შედეგი არ გამოიღო. არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა შინ, ოჯახის წევრებმა და მეზობლებმა ლამის ერთხმად განაცხადეს, აღარც კი გვახსოვს, უკანასკნელად როდის იყვნენ სახლშიო. უშედეგოდ დასრულდა კვარაცხელიას მიერ მითითებული სასაუზმის პერსონალის დაკითხვაც. მიმტანმა და მზარეულებმა ვერაფრით გაიხსენეს მაძებართა მიერ აღწერილი მამაკაცები. რჩებოდა ნაცრისფერი „პობედა“, მაგრამ ვერც ამ მხრივ მოიძიეს რაიმე მნიშვნელოვანი — სოხუმსა და მის მიმდებარე დასახლებებში რეგისტრირებულ ნაცრისფერ ავტომობილთა მფლობელები თითქოს არანაირ ეჭვს არ იწვევდნენ, თუმცა, შესაძლოა, მანქანა სხვა რაიონიდან იყო ჩამოყვანილი. მოიკითხეს უკანასკნელ ხანს დაკარგული მანქანები და ასეთი ინფორმაცია მიიღეს: „14 აგვისტოს გალში დაუდგენელმა პირმა, პისტოლეტ „პარაბელუმის“ გამოყენებით ამავე რაიონში მცხოვრებ გ. მამფორიას წაართვა ნაცრისფერი „პობედა“. აქაც „პარაბელუმი“! სასწრაფოდ დაჰკითხეს დაზარალებული მამფორია, რომელმაც ფოტოსურათებში ამოიცნო მანქანის გამტაცებელი — გოგოხია. აგრბასა და გოგოხიაზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა.

## დაპატიმრება

თემურ აგრბა სამართალდამცავებმა 29 სექტემბერს, ქალაქ გაგრაში დააპატიმრეს. როგორც ჩანს, მილიციამ დაკავებული ტრადიციისამებრ დაამუშავა და მანაც ყველაფერი დაფქვა: „1956 წლის 14 აგვისტოს სოხუმში შემხვდა ჩემი მეგობარი ოლეგ საფონოვი. მას 1948 წლიდან ვიცნობდი, როცა სასჯელს ორივე კულუნგის შრომა-გასწორების კოლონიაში ვიხდიდით. საფონოვმა მითხრა, ამჟამად ბაქოში ვცხოვრობ და ავადმყოფობის მოსარჩენად ცოტა ხნით შავ ზღვაზე ჩამოვედიო. ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით. ოლეგი მშვენივრად თამაშობდა ბანქოსა და ჭადრაკს და თავს ამით ვირთობდით.

18 აგვისტოს საფონოვი გავაცანი ასევე ჩემს მეგობარს ვიტალი გოგოხიას. გოგოხიაზე ძებნა იყო გამოცხადებული და მას რამდენჯერმე წვრილმანი დახმარება გავუწიე — ხან ფულს ვაძლევდი, ხანაც საკუთარ სახლში ღამეს ვათევინებდი. საფონოვთან ვიტალიმ ბანქოში გვარიანი თანხა წააგო და შეპირდა, თბილისში ჩამოდი და ვალს იქ გადაგიხდიო. ოლეგი თავიდან უარზე იყო, გოგოხია თვალში არ მოსდიოდა, მაგრამ დავარწმუნე, სანდო ბიჭია და ფულს უთუოდ მოგცემს-მეთქი. 31 აგვისტოს საფონოვი გაგრიდან თბილისს გაემგზავრა. მას შემდეგ არც ის და აღარც გოგოხია არ მინახავს“.

1956 წლის 22 ოქტომბერს ვიტალი გოგოხია სოჭში გამოჩნდა. დაზარალებულმა მოქალაქემ ადგილობრივ მილიციაში განაცხადა, რომ უცნობმა პირმა, რომელიც გარეგნულად ქართველს ჰგავდა, მას ქუჩაში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და „პარაბელუმის“ მუქარით მაჯის საათი და ფული წაართვა. როდესაც ნაცემ მამაკაცს ძებნილთა ფოტოსურათები დაათვალიერებინეს, მან უყოყმანოდ დაადო ხელი გოგოხიას პორტრეტს.

რამდენიმე დღის შემდეგ გოგოხია და სოჭელი რეციდივისტი ტიტოვი თავს დაესხნენ ადლერის შემნახველ სალაროს. რამდენიმე ადამიანის თვალწინ ისინი სალაროს შენობაში შეცვივდნენ და ინკასატორს ფულით სავსე ხელჩანთის წართმევა დაუპირეს. ინკასატორი „ტტ“-ს სისტემის პისტოლეტით იყო შეიარაღებული და მომხდურს სროლა აუტეხა. ტიტოვი ადგილზევე მოკლა, მკლავში დაჭრილმა გოგოხიამ კი შემთხვევის ადგილს სროლა-სროლით დააღწია თავი.

მეორე დღეს სოჭის მილიციაში სასწრაფო შეტყობინება მოვიდა — ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი ვინმე ვიტალი იმყოფებოდა ერთ-ერთი ადგილობრივი ექიმის ბინაში და ამ უკანასკნელს სამედიცინო დახმარებას სთხოვდა. სამართალდამცავთა რაზმი რამდენიმე წუთის შემდეგ მიადგა დასახელებულ სახლს და მძიმე ჭრილობისგან დაუძლურებული გოგოხია ყოველგვარი შეხლა-შემოხლის გარეშე დააპატიმრა.

## „ორივე სასაფლაოზე შევიტყუე და დავწვი...“

ვიტალი გოგოხიას დაკითხვის ოქმიდან: „დავიბადე 1913 წელს, ქალაქ თბილისში. 1948 წლიდან ვცხოვრობ სოხუმში, გორკის ქუჩაზე. ვარ დიდი სამამულო ომის მონაწილე. ვიბრძოდი ბელორუსიისა და უკრაინის პირველ ფრონტებზე.

... უკანასკნელ წლებში აზარტულმა თამაშებმა გამიტაცა. 1956 წლის 6 აგვისტოს ბანქოს მორიგი თამაშის დროს თბილისში, ვინმე არჩილ დგებუაძესთან წავაგე დიდი თანხა. როდესაც დგებუაძეს ვაცნობე, რომ ამდენი ფულის მშოვნელი არ ვიყავი, მან განმიცხადა, მაშინ ორი კაცის თავი უნდა ჩამაბაროო. ეს ნიშნავდა, რომ წაგებული თანხის გადახდის სანაცვლოდ ორი ადამიანი უნდა მომეკლა. ამით დგებუაძეს, რა თქმა უნდა, არავითარი ხეირი არ ექნებოდა, მაგრამ უარის გამო მან სამაგიერო გადამიხადა — რახან ფულის მოცემა არ შეგიძლია, ამგვარად უნდა დაისაჯოო... დგებუაძემ პირობის შესასრულებლად ერთი თვე მომცა და თან, მიბრძანა, ის კაცი ამა და ამ სასაფლაოზე უნდა მოკლაო.

არჩილისა მეტად მეშინოდა და უარის თქმა ვერ გავუბედე. კარგად ვიცოდი, რომ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავად გავხდებოდი დგებუაძის მსხვერპლი.

გადავწყვიტე, სოხუმში მეძებნა ჩემი მომავალი მსხვერპლი. ვცდილობდი, დასასვენებლად ჩამოსული მარტოხელა ადამიანი მეპოვა და შემდეგ, რაიმე საბაბით, თბილისში გამეტყუებინა.

14 აგვისტოს სოხუმის პლაჟზე, ვითომდაც შემთხვევით, გავიცანი ლენინგრადიდან ჩამოსული სემიონ კრუტოვი. საღამოს რესტორანში დავპატიჟე და ფულზე ბანქოს თამაში შევთავაზე. იოლად დავიყოლიე. სპეციალურად წავაგე რამდენიმე ათასი მანეთი, მერე კი ვუთხარი, ფული თან არ მაქვს, თბილისში გამომყევი და იქ გაგისტუმრებ-მეთქი.

ორი დღის შემდეგ მატარებლით თბილისში ჩამოვედით. განგებ სხვადასხვა ვაგონით ვიმგზავრეთ. მოვიმიზეზე — მილიცია მეძებს და მატარებელში რომ დამაკავონ, შენც ზედ მოგაყოლებენ-მეთქი. სინამდვილეში, არ მსურდა, ვინმეს ერთად დავენახეთ. რომ არ დაეჭვებულიყო, კრუტოვს საკუთარი პასპორტი და წაგებული თანხის ნაწილი წინასწარვე გადავეცი, არ გეგონოს, გაგექცე-მეთქი.

16 აგვისტოს, შებინდებისას, სასაფლაოზე ავედით. კრუტოვი დავარწმუნე, რომ მისთვის მისაცემი ფული იქ მქონდა ჩამარხული. ხელჩანთაში მცირე ზომის ნიჩაბი, ფარანი და ნავთით სავსე ბოთლი მეწყო. სასაფლაოზე არავინ შეგვხვედრია. როდესაც შესაფერისი ადგილი შევარჩიე, ფრონტიდან ჩამოტანილი „პარაბელუმი“ უბიდან ამოვიღე და კრუტოვს ორჯერ ვესროლე სახეში. უკვე მიცვალებულს, ჯიბიდან ფული და ჩემი პასპორტი ამოვუღე, თავზე ნავთი გადავასხი და ცეცხლი მოვუკიდე. დილით გალისკენ გავწიე და იქ მოტაცებული მანქანით სოხუმში ჩავედი.

18-ში ჩემმა ნაცნობმა თემურ აგრბამ გამაცნო ბაქოდან დასასვენებლად ჩამოსული ვინმე ოლეგ (ალიოშა) საფონოვი. პირველი შემთხვევის მსგავსად, მასთანაც წავაგე ფული და შევთავაზე, თბილისში წამომყოლოდა. თავდებად აგრბა დამიდგა, მან არ იცოდა, რას ვაპირებდი, მაგრამ გამოსულ კაცად ითვლებოდა და თუკი შეიტყობდა საფონოვის მკვლელობის შესახებ, დარწმუნებული ვიყავი, არ დამაბეზღებდა. აგრბა და საფონოვი მეორე დღეს რაღაც საქმეზე გაგრაში გაემგზავრნენ. შემდეგ ალიოშა მარტო უნდა ჩამოსულიყო თბილისში. პირველ სექტემბერს თბილისის რკინიგზის სადგურზე შევხვდი და სასაფლაოსკენ გავიტყუე.

ეტყობა, მშიშარა კაცი იყო ან კიდევ რაღაც იეჭვა და მითხრა, მიცვალებულები მაინცდამაინც გულზე არ მეხატებიან, ღობესთან დაგელოდები, შენ კი მარტო შედი სასაფლაოზე და ფული გამომიტანეო. უარი ვუთხარი — ღრმად მაქვს ჩაფლული, დახმარების გარეშე დილამდე მომიწევს თხრა, უნდა გამომყვე, რომ ფარნით მაინც გამინათო-მეთქი ის ადგილი. როგორც იქნა, დავიყოლიე, მაგრამ გამაფრთხილა, შენი იარაღი მე მექნებაო. მივეცი „პარაბელუმი“ და სასაფლაოს სიღრმეში შევედით.

ნაგვის გროვასთან შევჩერდით, ფარანი გავუწოდე, ხელჩანთიდან ნიჩაბი ამოვიღე და მიწის თხრას შევუდექი. მალე შევნიშნე, რომ საფონოვი წამდაუწუმ უკან იცქირებოდა, ალბათ, სიბნელისა ეშინოდა. თავდასხმისთვის შესაფერის მომენტის ველოდი და სწორედ ამ დროს ბუჩქებიდან შრიალი შემოგვესმა. ვიფიქრე, თავს მილიცია წაგვადგა-მეთქი, მაგრამ შევცდი — ძაღლი იყო. საფონოვმა ფარანი მიანათა. დრო ვიხელთე და ნიჩაბი მთელი ძალით ჩავცხე თავში. წაბარბაცდა და ნაგავში თავით ჩაერგო. უმალ ავართვი იარაღი და ორი ტყვია დავახალე. შემდეგ ბოთლი ამოვიღე, საფონოვს ნავთი გადავასხი და გვამი დავწვი. ცეცხლის ალს, შესაძლოა, ვინმეს ყურადღება მიეპყრო, ამიტომ შემთხვევის ადგილი სასწრაფოდ დავტოვე.

მკვლელობის შემდეგ უკიდურესად აღგზნებული ვიყავი. მუდმივად მეჩვენებოდა, რომ მითვალთვალებდნენ და ნერვიულობისგან ღამით საერთოდ არ მეძინა. გადავწყვიტე, საქართველოს გავცლოდი და სოჭელ მეგობრებთან შემეფარებინა თავი.

უფულობამ მალე მაიძულა, უცნობი ადამიანი გამეძარცვა, შემდეგ კი ბორის ტიტოვთან ერთად სალაროს დავეცი...

...ვიცი, რომ მკაცრი სასჯელი არ ამცდება, მაგრამ გულით ვინანიებ ჩადენილ ქმედებებს და სასამართლოს ვთხოვ, ოდნავი შეღავათი მაინც გაუწიოს ფაშიზმთან გმირულად მებრძოლ ჯარისკაცს...“

სასამართლო კოლეგიამ ამ ამბებში მონაწილე ყველა ბოროტმოქმედს სხვადასხვა სასჯელი შეუფარდა, ვიტალი მიხეილის ძე გოგოხია კი დამნაშავედ ცნო ორი ადამიანის განზრახ მკვლელობისა და სხვა რამდენიმე დანაშაულის გამო და მას სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა.

***მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## საპარიკმახეროში



შაბათი დილაა. ქორწილში დაპატიჟებული მერაბია ცაგარეიშვილი („ჯოდასენიჩი“) შევიდა საპარიკმახეროში თმის შესასწორებლად. გადაავლო თვალი იქაურობას და რადგან ყველას კლიენტი ჰყავდა, ბოლო სკამს მიუახლოვდა და პარიკმახერს ეუბნება, — თმა ოდნავ მომაკელი და ბაკებიც შემისწორეო. გულდამშვიდებით ჩაესვენა სკამში წინსაფარაფარებული და ფიქრებით ქორწილში გადაერთო ღვინისა და ქეიფის მომლოდინე. პარიკმახერმა 40 წუთი იცოდვილა (ეტყობა, დამწყები იყო) და როგორც იყო, მოათავა თავისი საქმე, დაბერტყა ტილო და მერაბია ფეხზე ააყენა. სახეზე წამოწითლებულმა „ჯოდასენიჩმა“ ჩაიყო ხელი ჯიბეში და 50 ლარიანი გაუწოდა პარიკმახერს.

— აუჰ, არაა, ბატონო, ამდენი საჭირო, — შეწუხდა პარიკმახერი.

— საჭირო კი არა, წადი, ბიძია და მაგ ფული საფიჩხიაზე ოურბენიე ქორწილში ჩემ სახელზე. შენ დაგექცა ოჯახი, რავა დამტოვე უქორწილოდ დღეს, — იღრიალა გადარეულმა „დე ცაგომ“ (მეორე სახელია) და გარეთ გავარდა.

**ობოლა, ქუთაისი**

## უბედურზე უბედური!!!

კოლია ეძგვერაძეს, რომელიც სულ ხულიგნობდა და მილიცია ვერაფრით იგდებდა ხელში, გზაში, ტყე-ტყე (იმალებოდა) სირბილში დაარტყა გულმა. დაარტყა საბოლოოდ და... გაჩერდა.

მესამე დღეს იპოვეს და მოასვენეს შინ.



პირველ პანაშვიდზე მოვიდა მისასამძიმრებლად მილიციის უფროსი ვაჟიკო ძაბირაძე.

— აგერაა ჩემი კოლიააა! — შემოიკრა ქვრივმა ზოიამ ხელები თავში, — აგერააა, დედააააა! — მილიციის უფროსი ძაბირაძე დაიხარა, ქალს შუბლზე ეამბორა, მიუსამძიმრა.

— კუბოს ფული მე არ მააააქ!.. ქელეხის ფული მე არ მააქ!.. აგერაა, აგერ, ეს თავის თავის უბედური... ხომ ვერ იჭერდი. აგერაა, ხმას არ გაგცემს, სტაცე ხელი, გაკოჭე და წეიყვანე შეეენთან! — მიატირა ძაბირაძეს გამწარებულმა ქვრივმა.

მთელი ოთახი აზლუქუნდა.

**მურმან მერკვილიშვილი**

## ხომ არ ჩამოგიყვანო?



ქუთაისელ სიმონა-ხუმარას სიდედრი გარდაეცვალა. ერთი მისი კაი მეგობარი სამძიმარზე რომ არ ამოვიდა, სიმონამ შინ დაურეკა:

— ბოდიში, მეგობარო, სიდედრი თქვენთან ხომ არ ჩამოგვეყვანა დასატირებლადო.

**იური ციკოლია, ბათუმი**

## დინამოსი თუ იცი რამე?

იმერელი თბილისიდან სახლში მოდიოდა საკუთარი „ჟიგულით“. უღელტეხილს რომ გამოცდა, რატომღაც მოტორი ჩაქრა. გადმოვიდა, გასინჯა, დაადგინა, რომ დინამოს ბრალი იყო. მანქანის პატრონს კი დინამოსი არაფერი გაეგებოდა.



დასახმარებლად გამვლელ მანქანას აუწია ხელი. მანქანა გაჩერდა თუ არა იმერელი მივიდა მძღოლთან და ჰკითხა: დინამოსი თუ იცი რაიმეო (ამ დროს თბილისში „დინამო“ მოსკოვის ერთ-ერთ გუნდს ეთამაშებოდა). სამით ნოლს იგებს, ჯიგარო, — მიუგო მძღოლმა, ჩართო სიჩქარე და მოკურცხლა.

**გ. გაფრინდაშვილი, ზესტაფონი**

## სიმღერა დედაზე



ძმაკაცი მყავს ერთი, ხმა აქვს ისეთი, ვირს არ შეშურდება. ერთხელ, მერვე სართულიდან მისი ხმა გაიგონეს, რაც შეეძლო, ყვიროდა: — დედა, დედა, დედა!..

მეზობლებს ეგონათ, დედა ხომ არ გარდაეცვალაო. აცვივდნენ, მაგრამ კარი არ გაუღო. შეანგრიეს კარები. ნახეს — დივანზე ზის და ხელში გიტარა უჭირავს.

— რა იყო, რა? — ჰკითხეს მეზობლებმა.

— „დედაზე“ რომ არის სიმღერა, იმას ვმღერი.

**ი. ესებუა, თბილისი**

## ქვე კაი ყოფილა ჩემი ძროხა

ქუთაისში, ბაზრობაზე, რაჭველმა ტრიფონიკამ გასაყიდად ბებერი ძროხა ჩამოიყვანა. მუშტრებს უხსნიდა, — ძროხა 15 წლისაა, თუ კარგად აჭმევ, ორ ლიტრზე მეტს იწველის, ისე კი ლიტრნახევარსო.



აბა, რომელი სულელი იყიდდა ასეთ ძროხას?

იქვე, ახლოს, ერთი ქუთაისელი მწვანილს ყიდდა. უსმინა ამ პატიოსან გამყიდველს და ბოლოს, მიმართა, — აჰა, ეს წვანილი შენ, ამდენ-ამდენად გაყიდე და ძროხას მე მივხედავო. ქუთაისელმა დასცხო და რა დასცხო...

— აბა, აქეთ!.. დეკეული იყიდება. თუ კარგად გააძღებ, 12 ლიტრ რძეს იწველის, ხოლო თუ ჩვეულებრივად — 10 ლიტრსო.

შემოეხვია მუშტარი და გაჩაღდა ვაჭრობა. გამყიდველი კი ფასს სულ უმატებდა და უმატებდა. უყურა, უყურა ტრიფონიკამ ამ სცენას, წამოხტა და მივარდა თავის ძროხას.

— თუ მართლა ამისთანა ახალგაზრდა ძროხაა და ამდენს იწველის, მაგას ქვე რავა გავყიდი! — მოკიდა საბელს ხელი და მეტად კმაყოფილი გაუძღვა თავისი სოფლისაკენ.

**ნიკოლოზ „მრავალძლეელი“**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

— რა ამბავი იყო დღეს სკოლაში, მასწავლებელმა ხომ არ გამოგიძახა?

— მე დღეს ერთადერთმა ვუპასუხე მასწავლებლის კითხვაზე.

— მართლა? რა გკითხა?

— ფანჯარა ვინ გატეხაო.

**ზაზა გიგაური**



ინსტიტუტში გამოცდაა. ლექტორი ეკითხება სტუდენტებს:

— კითხვა „ხუთიანზე“: რა მქვია მე?

ყველა ჩუმადაა.

— კითხვა „ოთხიანზე“: რა საგანს აბარებთ?

ყველა ჩუმადაა.

— კითხვა „სამიანზე“: რა ფერისაა სახელმძღვანელო?

უკანა რიგებიდან მოგუდული ხმა:

— ნახე, როგორ გვჭრის, ახვარი!

**ი.ა., თბილისი**





სვანები მივიდნენ თემის უხუცესთან და ეკითხებიან:

— თეთრი და შავი ხომ ფერებია?

დიდი ხნის ფიქრისა და წიგნებში ქექვის შემდეგ უხუცესმა დაუდასტურა.

— აი, ხომ გითხარი ფერადი ტელევიზორი ვიყიდეთ მეთქი, მიუბრუნდა სვანი მეორე სვანს.

**მ. ერგემლიძე**




ოსი აბანოში შევიდა, დაიბანა, გამოდის და გაზეთების გამყიდველი ეკითხება:

— ჰა, როგორ მოგეწონა აბანო?

— კარგია, სენი წილიმე, ახლა ყოველ წელს ვივლი

**გივი ჩოლოყაშვილი**



მოხუცებულმა ქალბატონმა ხელი უნდა მოაწეროს ჩეკს ბანკში, მაგრამ არ იცის კი როგორ. მას განუმარტეს:

— ისე უნდა მოაწერო ხელი, როგორც ჩვეულებრივ წერილს წერ. მოხუცმა ჩეკს დააწერა: „ყველას გკოცნით, დეიდათქვენი ალათი“.

**გიგა გაბრიჩიძე, ქუთაისი**



ოსი — კახელს:

— კაცო, გუშინ საკვირველი რამ ხდებოდა: გაისმის ზარი, გავაღებ კარებს — არავინაა. ისევ ზარია, გავაღებ კარებს — არავინაა.

— ბოლო-ბოლო უჩინმაჩინი იყო?

— არა, სენი წილიმე, ტელეფონი ყოფილა.

**ალექსანდრე ხუნწარია**

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# „მუზეუმებში დიდი მხატვრების „ზედმეტი“ ტილოები არ არსებობს“, პასუხი „Московские новости“-ს პუბლიკაციაზე

ქართველები, სხვათა პატივისცემის საფასურად, ხშირად გავმხდარვართ უმადურობის მსხვერპლნი, სიტყვით თუ საქმით.

ვინ არ იცის, თუ რა დიდი პატივისცემით იღებდნენ ჩვენში რუს, არა მარტო გამორჩეულ პირებს, არამედ უბრალო მოქალაქეებსაც.

რამდენ რუს შემოქმედს შეუსხამს ხოტბა ქართული სტუმართმოყვარეობისათვის, რამდენს კი უსაფუძვლოდ, ღვარძლიანად შევუგინებივართ მშობლიური რუსული პრესის ფურცლებზე — პასუხს ვინ მოსთხოვდა? ჩვენში კი ამას, უმეტესწილად, მხოლოდ „ადგილობრივი“ აღშფოთება, პროტესტი და გაკვირვება მოსდევდა — რა დავუშავეთ ამ ხალხს?

ჩვენში ნასტუმრალი რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები თავიანთ ახალ პუბლიკაციებშიც არ ივიწყებენ საქართველოს და არცთუ ყოველთვის კორექტულადაც იხსენიებენ.

ამ რამდენიმე ხნის წინ გაზეთ „Московские новости“-ში (4-10.4.2000, №13) მე-20 გვერდზე დაიბეჭდა მიხაილ სინელნიკოვის რეცენზია „Часть правды“ ეს გახლდათ განხილვა ცნობილი ლიტერატორის ლ. ლაზარევის მემუარებისა „მეექვსე სართული“. გამიტაცა სინელნიკოვის მსჯელობამ ტყუილზე, ნახევრად სიმართლესა და სიმართლის ნაწილზე, რომლის თქმასაც საბჭოთა პერიოდში, ცენზურის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ ჭეშმარიტი შემოქმედნი. როდესაც თხრობა კონსტანტინე სიმონოვზე გაგრძელდა, ასეთი რამ ამოვიკითხე: „Мне не раз приходилось общаться с Константином Михайловичем в ту пору, когда он руководил Советом по грузинской литературе, а я был одним из членов совета. Многие массовые застолья с грузинами оплачивались им из собственного кармана“. თავისი ნათქვამის უფრო გასამტკიცებლად, რომ სიმონოვი ხელგაშლილი იყო და ქართველებს უხვად უმასპინძლდებოდა (ოღონდ სად, მოსკოვში თუ თბილისში, უცნობია) სინელნიკოვი განაგრძობს: В запасниках грузинских музеев время от времени продавались как бы лишние картины хороших художников. На просмотр друзья пригласили Симонова. Он прекрасно разбирался в живописи и из всего представленного, выбрал несколько офортов Давида Какабадзе, быть может, лучшего грузинского художника, работы которого некогда покупал Пикассо. Тут друзья замялись. С одной стороны хотелось порадовать знатного гостя, с другой – цена Какабадзе (хоть и несоветского, изругнанного) была ясна. Симонов мгновенно понял ситуацию и с усмешкой сказал: „Ребята, не бойтесь меня стеснить с деньгами! У меня восемь плохих пьес идут в трехстах театрах!“.



დავით კაკაბაძე — ავტოპორტრეტი

ამას ისე ცოცხლად ყვება პატივცემული ავტორი, რომ ეჭვიც არ შეგეპარება, როცა სიმონოვი ამ ისტორიულ სიტყვებს ამბობდა, სინელნიკოვიც გვერდში ედგა და გაფაციცებული უსმენდა, ე.ი. სინელნიკოვიც ესწრებოდა იმ გამოფენა-გაყიდვებს (ზემოაღწერილ კონკრეტულ შემთხვევას მაინც), როცა ქართული მუზეუმები ქართული ინტელიგენციის დახმარებით ჩუმად ყიდდნენ ისეთი მხატვრების „ზედმეტ“ ტილოებს, როგორიც დავით კაკაბაძე იყო.

ჩვენც დავუკავშირდით მიხაილ სინელნიკოვს და ვთხოვეთ განმარტება.

— Нет, я не присутствовал на этом просмотре-продаже. Но это я знаю от искусствоведов... это было давно, примерно в начале 70-х годов, — გვითხრა სინელნიკოვმა, — Да, может быть, я позволил себе чрезмерную откровенность, но то, что я рассказываю, это истина. Это делалось неофициально, это было такое время... Тогда не ценились работы Какабадзе (თვითონ არ წერს, მამაცხონებული, კაკაბაძის ფასი ნათელი იყოო?).

— Вы не думаете, что, то о чем вы пишете, это клевета?

— Послушайте, я же пишу о Симонове, это у меня в порядке импровизации... Может быть, я наврал, но в основе - это правда...

სინელნიკოვის ლოგიკით, რახან იგი სიმონოვზე წერს, „Можно наговорить что угодно“ მის ქართველ მეგობრებსა (კარლო კალაძეზე, იოსებ ნონეშვილზე, ირაკლი აბაშიძეზე, გრიგოლ აბაშიძესა და სხვებზე) და ქართულ მუზეუმებზე. Это у него в порядке импровизации. სინელნიკოვს, რომელიც, ალბათ, ასევე არაერთგზის მჯდარა ქართულ სუფრასთან (მეეჭვება, საკუთარი ჯიბიდან დაეფაროს დანახარჯი), თუ სიმონოვის კაიკაცობასა და ხელგაშლილობაზე სურდა საუბარი, თავისუფლად შეეძლო მოეხმო უპრეცედენტო ფაქტი — ცნობილია, რომ სიმონოვმა მაშინ, როცა დავით კაკაბაძის ოჯახს საბჭოთა ხელისუფლებისგან დევნის გამო მატერიალურად ძალიან უჭირდა, კაკაბაძის კერძო კოლექციიდან ფიროსმანის ორი ნამუშევარი შეიძინა (სიმონოვს, თურმე, ფიროსმანიც ძალიან უყვარდა), იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ტილოები საქართველოში დაბრუნდებოდა. მწერალმა სიტყვა არ გატეხა. მისი გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 1979 წელს), ანდერძის თანახმად, მისმა ქალიშვილმა 1982 წელს ჩამოიტანა თბილისში ფიროსმანის ორივე შედევრი („სააღდგომო სუფრა“ და „ოჯახური არიფანა“) და სრულიად უსასყიდლოდ გადასცა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, სადაც ამჟამად ინახება.

სინელნიკოვის პუბლიკაციის თაობაზე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებს დავუკავშირდით (აქ ინახება კაკაბაძის ნამუშევრების ნაწილი, ნაწილი დავით კაკაბაძის სახლ-მუზეუმშია დაცული და მისი მეუღლის, ქალბატონ ეთერ ანდრონიკაშვილის საკუთრებას წარმოადგენს, ნაწილი კი გაფანტულია კერძო კოლექციებში. კაკაბაძის 16 პატარა აკვარელი და ერთი სკულპტურა „Z“, რომელიც კაკაბაძემ პარიზში ყოფნისას გაყიდა, ამჟამად იელის უნივერსიტეტშია გამოფენილი).

— ეს არის ცილისწამება, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ასეთი რამ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში არ მომხდარა — გვითხრა ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ ქ-ნმა **ლია დოლაბერიძემ**, — 70-იან წლებში დირექტორი ბატონი შალვა ამირანაშვილი იყო. ვინც მას იცნობდა, ყველა დამეთანხმება, რომ ბატონი შალვას დროს ასეთი რამ გამორიცხული იყო. თუ ვინმემ რაიმე გაყიდა სახლ-მუზეუმიდან ან კერძო კოლექციიდან, ეს მისი სრული უფლებაა, ჩვენგან კი არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად არასოდეს არაფერი გაყიდულა...

ასევე ძალიან აღაშფოთა პუბლიკაციამ ახალი თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილების გამგე ქალბატონი **ეთერ შელია**:

— სინელნიკოვის ეს ცილისწამება პირდაპირ ეხება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, რადგანაც დავით კაკაბაძის ნამუშევრების ნაწილი ჩვენთანაა დაცული, ეს არის აღმაშფოთებელი ცილისწამება. ჯერ ერთი, მუზეუმში დიდი მხატვრების „ზედმეტი“ ნამუშევრები არ არსებობს. მეორეც, მუზეუმში ამგვარი ფაქტი არ მომხდარა და მით უმეტეს, შალვა ამირანაშვილის დროს ვერ მოხდებოდა, ყოველი ნახატი და ჩანახატიც კი, რომელიც მუზეუმშია დაცული, გატარებულია საინვენტარო წიგნებში და მათი გატანა აუცილებლად აისახება საბუთებში — ამაზე სინელნიკოვს, როგორც ჩანს, წარმოდგენა არა აქვს. საზღვარგარეთის დიდ მუზეუმებში არსებობს პრაქტიკა, როდესაც მუზეუმი ერთი მხატვრის, ვთქვათ, 20 ნამუშევრიდან რამდენიმეს ყიდის, რათა იყიდოს სხვა მხატვრის ნამუშევრები, რომლითაც დაინტერესებულია. ჩვენში ასეთი პრაქტიკა არც არსებულა და, ჯერჯერობით, არც არსებობს. თუ იქნება ასეთი პრაქტიკა, ეს მოხდება ოფიციალურად.

სინელნიკოვი კი ამტკიცებს, რაც ვთქვი, წყალი არ გაუვაო; ოღონდ იმას კი აღარ გვეუბნება, არაოფიციალური, ნაჩუმათევი გამოფენა-გაყიდვებისას აღებული თანხების წილში ქართულ მუზეუმებს ჰყავდათ თუ არა 70-იანი წლების ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები — სიმონოვის მეგობრები. ალბათ ასეთი რამისთვის ყური არ მოუკრავს, თორემ არც ამას დაგვიმალავდა.

***ნინო ლურსმანაშვილი***

## რას გვეტყვი, მამაო?

**— ყოველთვის დიდ სულიერ ბედნიერებას მანიჭებს ყინწვისის ანგელოზის ხილვა, ოღონდ არ მასვენებს კითხვა, რას გვანიშნებს ან რაზე მიუთითებს თითით ანგელოზი?**

— ყინწვისის ანგელოზი აღდგომილი მაცხოვრის საფლავისკენ მიუთითებს და მენელსაცხებლე დედებს ამცნობს ამ დიად სასწაულს.

**— ჩემს პატარას მალე 1 წელი უსრულდება. მითხრეს, რომ ამ თარიღის აღნიშვნა არ შეიძლება.**

— საეკლესიო კანონმდებლობის მიხედვით თქვენ არავითარი წინააღმდეგობა არ გელოდებათ.

**— მიზანშეწონილია თუ არა შავი გიშრის ჯვრის ტარება; როგორც მსმენია, გიშერი ავი თვალისგან გათვალვის შემთხვევაში იბზარება; საშიშია ეს თუ არა და, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ დროს?**

— გიშრის ჯვრის გაბზარვის მიზეზი შეიძლება იყოს თვით ქვის ხარისხი და არა ავი თვალი. რაც შეეხება ამ ფაქტურის მქონე მასალისგან გამოკვეთილი ჯვრის ტარებას, თამამად შეგიძლიათ ატაროთ.

**— მაქვს თუ არა უფლება, შინ დავანთო იერუსალიმიდან საჩუქრად ჩამოტანილი წმიდა სანთელი თუ ის მხოლოდ ტაძარში უნდა დაინთოს?**

— ამ სანთლის დანთება შეიძლება როგორც ტაძარში, ასევე შინ.

**— აღსარების მოსმენის შემდეგ მღვდელი ჯვარის სახავს მონანულს და ლოცავს: „ღმერთმა შეგინდოს“. და თუ იგი არ წაიკითხავს შენდობის ლოცვას, მიიღებს თუ არა მონანული შენდობას?**

— მონანიე აღმსარებელი შენდობას მიიღებს. რაც შეეხება მღვდელს, ის პასუხს აგებს თავისი მსაჯულის წინაშე.

**— ჭაბუკობაში მაქვს უმძიმესი ცოდვა ჩადენილი, ნათლიასთან კონფლიქტის ნიადაგზე, მის ჯინაზე(!) გადავინათლე. მღვდელს, რა თქმა უნდა, დავუმალე პირველი ნათლობის ამბავი. რა ეშველება ჩემს ცოდვილ სულს?**

— არ არის ცოდვა, რომელიც ღმერთის კაცთმოყვარეობას აღემატებოდეს (სულიწმიდის გმობის გარდა). თქვენს ცოდვასაც ეშველება თუ გულწრფელი სინანულით მიხვალთ მოძღვართან, რომელიც სინანულის საგანგებო კანონს დაგიწესებთ.

**— დღეს აღდგა მონატრული ცხოვრება საქართველოში. მომლოცველები ხშირად ეწვევიან ხოლმე ამ სავანეებს. ჩემი კითხვააა: შეიძლება თუ არა ქალმა ღამე გაათიოს მამათა მონასტერში?**

— V მსოფლიო კრების დადგენილებები (47-ე მუხლი) ამ შეკითხვაზე შემდეგს პასუხობს: „დედაკაცი ნუ შევა მამათა მონასტერში ღამის გასათევად და მამაკაცი — დედათა მონასტერში, რადგანაც მორწმუნე უნდა განერიდოს ყოველგვარ მახესა და საცდურს და თავისი ცხოვრება წარმართოს უფლის მოსაწონად და კეთილად.

ხოლო თუ ვინმე გაბედავს ამას, სასულიერო პირი იქნება ის თუ ერისკაცი, უზიარებელ იყოს“.

**— როგორ შეესაბამება „არა კაც ჰკლა“ მამულის დასაცავად ომში წასული მეომრის ფსიქოლოგიას?**

— წმიდა ათანასე ალექსანდრიელის კანონიკურ ეპისტოლეში ამონ მონაზვნის მიმართ ნათქვამია: „ამ ცხოვრებაში ქმედება ორადაა გაყოფილი: უჯეროა კაცის კვლა, მაგრამ ბრძოლაში მოწინააღმდეგეთა ამოწყვეტა კანონიერია და ქების ღირსი. ამიტომ ბრძოლაში მამაცობით გამორჩეული პატივის ღირსია და მათ სახეზე მათი სიმართლის მქადაგებელი ძეგლები აღიმართება“.

**— ბავშვობიდან მაქვს გონებაში ჩარჩენილი უფროსების შეგონება: სხვისი დაცინვა ჭკუის სიღატაკის ნიშანიაო. ეკლესია რას ამბობს ამის შესახებ?**

— წმინდა მოციქულთა კანონებში (57-ე) პირდაპირ არის ნათქვამი: „თუ რომელიმე სასულიერო პირმა დასცინოს კოჭლს, ყრუს, ბრმას, ფეხებდაწყლულებულს, უზიარებლობით დაისაჯოს, ასევე ერისკაციც“.

**— ჩემთვის ცნობილია, რომ არსებობს რიგი პროფესიებისა, რომელთაც, რბილად რომ ვთქვათ, არ შეიწყნარებს ეკლესია. რა გზას უნდა დაადგნენ ამ პროფესიის ადამიანები?**

— პავლე მოციქული თავის განწესებაში ასე მოძღვრავს ამგვარ ადამიანებს: „თუ ეკლესიისაკენ პირს იზამს მომღერალი, მსახიობი კაცი ან ქალი, რაინდი, გლადიატორი, სპორტული შეჯიბრების მონაწილე, მწვრთნელი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ფლეიტაზე დამკვრელი, მექნარე, მებარაბნე, მოთამაშე, მედუქნე ან დაცხრეს მისი საქმიანობისაგან, ან უკან გაბრუნდეს“.

**— დღეს დიდი დავაა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა 35 წლამდე ადამიანი საპასუხისმგებლო საერო თანამდებობაზე დაინიშნოს. ეკლესიაში რა ვითარებაა ამ მხრივ?**

— ნეოკესარიაში შეკრებილ წმიდა მამათა დადგენილებით „მღვდელი ოცდაათ წლამდე არ შეიძლება ხელდასმულ იქნეს, თუნდაც ყოველმხრივ ღირსი კაცი იყოს იგი, არამედ უნდა მოიცადოს და დაინახოს, რომ უფალი იესო ქრისტე ოცდაათი წლისა მოინათლა და დაიწყო დამოძღვრა“.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

# „მე არ დამინახავს, როგორ ამოიღო ასლან აბაშიძემ იარაღი“

***(დასაწყისი იხ. გვ.7)***

მათი დახმარებით პატარა ბიზნესი წამოვიწყე. უნგრეთის გარდა ვიყავი მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში... 1993 წელს დავბრუნდი საქართველოში და მონაწილეობა მივიღე საპარლამენტო არჩევნებში, გამოკლებული დეპუტატის ადგილზე (გარდაცვლილი ჟიული შარტავას ნაცვლად, ქ. რუსთავში — ზ.ქ.) და მოვხვდი პარლამენტში. 1995 წლის არჩევნებისთვის კი, კვირაიამ და მისმა ბანდამ მომიწყო პროვოკაცია, წამაგებინეს არჩევნები, მანვე შემითითხნა სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც ხელმეორედ მომიხდა საქართველოს დატოვება.

**— აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, თქვენ ბრალი სახელმწიფო თანხების დიდი ოდენობით გაფლანგვაში გედებოდათ...**

— ნუ დაგავიწყდებათ, ეს მაშინ, როცა საერთოდ არ მქონდა შეხება ხაზინასა და სახელმწიფო ქონებასთან. კავშირი მქონდა მხოლოდ ერთ-ერთ კერძო ფირმა „ლაზარესთან“ და ვიყავი „გეზის“ პრეზიდენტი.

**— ზვიად გამსახურდიას საქართველოდან წასვლის შემდეგ, საქართველოს ცენტრალურმა ტელევიზიამ აჩვენა ბუნკერში გადაღებული ვიდეოფირი, სადაც თქვენი და ტარიელ გელანტიას კამათი იყო დაფიქსირებული. საუბარი რაღაც თანხებს შეეხებოდა, რაც მაყურებლისთვის საკმაოდ ბუნდოვანი დარჩა...**

— მოგახსენებთ, რომ ბიუჯეტიდან იარაღის შესაძენად 300 ათასი რუსული რუბლი იყო გამოყოფილი. აღნიშნული თანხა გაცემული იყო ბესიკ ქუთათელაძის, ნოდარ გიორგაძის და ცუგო ხელაშვილის სახელზე. სწორედ ამაზე იყო ჩემთან საუბარი, რადგან შეიარაღებული ძალების კურატორი ვიყავი.

**— თანხის მითვისებას თქვენ გაბრალებდნენ?**

— უბრალოდ მკითხეს, სად წავიდა ეს თანხაო, რაზედაც ვუპასუხე, — აქ, ბუნკერშია ყველა ის პირი, ვისაც იარაღის ყიდვა ევალებოდა და მათ ჰკითხეთ-მეთქი. ამის შემდეგ ბატონმა ზვიადმა თქვა, — რას ერჩით ომანიძეს, ვერაფერს ვერ უმტკიცებთო და დატოვა დარბაზი.

ზვიადს არ უნდოდა სისხლის ღვრა, თორემ ჩვენ იმდენი იარაღი გვქონდა, ხუთ წუთში მივაჭყლეტდით ამბოხების ორგანიზატორებს.

**— ბატონო მურმან, თქვენ გასული წლის საპარლამენტო არჩევნებშიც აპირებდით მონაწილეობას, მაგრამ თქვენ მიერ წარმოდგენილი საბუთი, რომლის მიხედვითაც ბოლო ორი წელიწად-ნახევრის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდით, არც ცსკ-ამ და არც უზენაესმა სასამართლომ არ გაითვალისწინა. იმასაც ამბობდნენ, ეს დოკუმენტი მურმან ომანიძემ ასლან აბაშიძის ნაცნობობით გააკეთაო.**

— ბატონ ასლანს თითქმის 40 წელია ვიცნობ, ჩვენ ერთ ხელისუფლებაში ვიყავით და დღესაც ახლო ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მისი კეთილგანწყობა ბოროტად არასოდეს გამომიყენებია. თქვენ მიერ აღნიშნული დოკუმენტი კი იმ უამრავი ადამიანის განცხადების საფუძველზე შედგა, რომლებიც ყოველდღე მხედავდნენ. ის არის ჩვენი უბედურება, რომ ცსკ-ში მუშაობენ ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან გია ზესაშვილი და მისი ჯგუფი და ასრულებენ ყველანაირ დაკვეთას, რაზეც თვალს ხუჭავს ან ახუჭვინებენ თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძეს. ეს იყო სპეციალური პოლიტიკური დაკვეთა.

**— თქვენი თანამდებობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეგეძლოთ რომელიმე ქვეყნისთვის პოლიტიკური თავშესაფარი გეთხოვათ. რატომ არ მოიქეცით ასე?**

— პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა პრობლემა არ იყო. საკმარისი იყო ერთი განცხადება დამეწერა ინგლისში ან საბერძნეთში; ჩემი უნგრელი მეგობრები მეხვეწებოდნენ, უნგრეთში მეთხოვა თავშესაფარი, მაგრამ ეს პრინციპულად არ გავაკეთე. არავის ვათქმევინებდი, — აი, თუ არ არის ომანიძე დამნაშავე, რატომ მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარიო.

**— ე.ი. ფიქრობთ, რომ ვინც პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს, ის გარკვეულწილად დამნაშავეცაა?**

— მე ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ რაში სჭირდება ადამიანს პოლიტიკური თავშესაფარი, თუ ის რაღაცას არ მალავს?

**— ამ ხნის განმავლობაში თუ ცდილობდით თქვენი უდანაშაულობის დამტკიცებას?**

— რამდენჯერმე წერილობით მივმართე პროკურატურას, ორჯერ პრეზიდენტს, ერთხელ პარლამენტს. მაგრამ ვერაფრით ვერ ვარღვევდი ამ კედელს, სანამ ისევ პრეზიდენტმა არ გამოიტანა შესაბამისი დასკვნა.

**— პრეზიდენტ შევარდნაძის ამ ნაბიჯს როგორ აფასებთ, იგი დარწმუნდა თქვენს უდანაშაულობაში თუ ეს ეროვნული შერიგების ერთ-ერთი ნაწილია?**

— თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა გამოაშკარავდა ბოლოს. როგორც შემდეგ ოპერატიული სამსახურის ზოგიერთმა მუშაკმა მითხრა, — თანხების გაფლანგვაში კი არა, ეჭვი ეპარებოდათ, რომ შენ 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზატორი, დამფინანსებელი იყავი და იგორ გიორგაძეს ხვდებოდიო. იგორ გიორგაძე 9 წელია არ მინახავს. ანდა ამგვარი რამ როგორ უნდა მეფიქრა, როცა ჩვენ, ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ვიყავით ტერაქტების მსხვერპლნი. მოგეხსენებათ, ჩემზე და ბატონ ასლანზე 1991 წელს თავდასხმა მოხდა.

**— აჭარის უზენაესი საბჭოს შენობაში მომხდარი თავდასხმა ახსენეთ, რომლის დროსაც დაიღუპა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წევრი ნოდარ იმნაძე. რა შეგიძლიათ გაიხსენოთ ამ ტერაქტიდან, მით უმეტეს, რომ ნოდარ იმნაძე პრეზიდენტ გამსახურდიასთან დაახლოებული პირი იყო?**

— იმნაძე სულ ორჯერ მყავდა ნანახი. უზენაეს საბჭოში შემთხვევით მოვხვდი. ქუთაისიდან წავედი პრეზიდენტის დავალებით, ამდენად იმნაძემ არ იცოდა, რომ იქ ვიქნებოდი.

**— ტერაქტის შემდეგ საზოგადოებაში მუსირებდა აზრი, რომ ნოდარ იმნაძე ასლან აბაშიძემ მოკლა.**

— არავითარ შემთხვევაში. მე, როგორც თვითმხილველი, ვამტკიცებ, რომ იმნაძე ასლანს არ მოუკლავს, მე არ დამინახავს. იმ ოთახში ვიყავით მე, ასლან აბაშიძე და ანზორ ჯაიანი. ოთახიდან გასული იმნაძე კორიდორში „წამოეგო“ ტყვიებს, რომლებსაც მეორე მხრიდან ისროდნენ. როდესაც მე და ბატონი ასლანი ოთახიდან გავედით, იმნაძეს უკვე საფარი ჰქონდა გადაფარებული.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ სკამით ცდილობდით თავდაცვას.**

— როცა იმნაძე გინებით შემოვარდა, ვიყვირე — დააგდე იარაღი-მეთქი, მომენტალურად, მისი მიმართულებით სკამი ვისროლე და კუთხეში, სკამების უკან გადავვარდი.

**— როგორც ბატონი ასლანი ამბობს, მას იარაღმა უმტყუნა...**

— მე არ დამინახავს, როგორ ამოიღო ბატონმა ასლანმა იარაღი.

**— დღევანდელ სიტუაციას დავუბრუნდეთ, როგორც ამბობენ, ქუთაისში აპირებთ ბიზნესის დაწყებას...**

— რატომღაც არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს ამას. ქუთაისში მართლაც მყავდა ჩაყვანილი ბერძენი ბიზნესმენები, რომლებიც ჩემი მეგობრები არიან. მაგრამ ამ ბიზნესში არანაირი „წილი“ არ მაქვს. პირიქით, დიდი სიამოვნებით ჩამოვიყვანდი ინვესტორებს საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

**— ახლა რას აპირებთ?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა გავარკვიო ჩემი მდგომარეობა დღევანდელ ხელისუფლებასთან მიმართებაში. მინდა ყველას დავუმტკიცო, რომ ჩემს წინააღმდეგ აღძრული საქმე შეთითხნილი იყო და ბოლოს, მინდა ყველას საყოველთაო შერიგებისკენ მოვუწოდო.

**— გმადლობთ.**

***ზურა ქაჩლიშვილი***



## თარაზულად:

7

ხელსაწყო

8

ყოველმხრივ სრული, მდიდრული და უზრუნველი ცხოვრება

10

ადგილი მუცელზე, სადაც 5 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ანჯელა ლოვეტის მიერ დაკარგული 11.000 დოლარის ღირებულების ბრილიანტი

11

ქართული წითელყურძნიანი სადვინე ვაზის ჯიში

12

მრავალწლოვანი კორდის შემქმნელი ფესურიანი ბალახი

15

რქოვანი წანაზარდი ფეხის ბოლოზე

16

ლიმონის უმცროსი ძმა, მეტად წვნიანი და უკურკო, აუცილებელი დანამატი ტეკილას მირთმევისას

18

ქალაქი ფინეთში, სადაც წყალში ჩაუშვეს მსოფლიოში უდიდესი საოკეანო ლაინერი

19

ორგანიზმის რეაქცია, რომელიც წარმოიშვება სხვადასხვა არახელსაყრელი ფაქტორის საპასუხოდ

20

ქართული ხალხური იმპროვიზირებული თეატრის მონაწილე

24

მუსიკალური ნიშანი

25

ფერადი გარსი

26

მიკროორგანიზმების წმინდა კულტურა გამოყოფილი ერთი რომელიმე წყაროდან

29

მოძრაობა

31

„მარტოობის 100 წელი", „პოლკოვნიკს აღარავინ უცდის" (ავტორი)

32

სათავსი ფულისა და წვრილმანი ნივთებისათვის

33

ნაგებობა

34

პიგმენტაციის არმქონე

## შვეულად:

1

კაციჭამია ადამიანი

2

სპექტაკლის დასრულებული ნაწილი, მოქმედება

3

ოთახში დასადგამი ნივთების ერთობლიობა

4

წყალსა და წებოში გაქნილი საღებავები, რომლებშიც შერეულია თეთრა

5

მოუსვენარი, დაუდეგარი

6

დაკუთხეული სვეტი

9
სევდიანი, ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები

13


თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება, აღტყინება

14

ძველებური პატრუქიანი მსხვილკალიბრიანი თოფი

16

საცურაო აპკი

17

ცალკეული მოძრაობა

21

მსუბუქი ნამცხვარი

22

სრული მარცხი, კრახი

23


მრავალადგილიანი ეტლი, რომელსაც დაჰყავდა მგზავრები გარკვეული მიმართულებით

27

ცხოველთა ყველა სახეობის ერთობლიობა

28

რაიმე ტერიტორიაზე განლაგებული გზების ერთობლიობა

30

გერმანული მანქანა

32


სპირტიანი სასმელი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა" №21 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. ბენეფისი; 9. ესპანელი; 10. გრაფიტი; 11. საფარი; 12. ოსტაპი; 16. მენსფილდი; 18. უმბრა; 19. წვერი; 20. კათედრა; 21. დროზერა; 25. გონგი; 26. უმწეო; 27. ამოხრახნა; 30. რიკული; 33. დეტალი; 34. ვეჯვუდი; 35. კრენდელი; 36. თავშეყრა.

**შვეულად:** 1. ყელსაბამი; 2. აფთარი; 3. ნიხრი; 4. ცენტი; 5. ოაზისი; 6. კლეოპატრა; 8. საფერფლე; 13. მელოდრამა; 14. ოდეკოლონი; 15. ორჟანგი; 17. კვორუმი; 22. კონდიტერი; 23. პარაგვაი; 24. რევოლვერი; 28. პლეადა; 29. დებოში; 31. გენია; 32. ადათი.

## ბინები

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვ მ მიშენებით (I სართულზე), სარდაფით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნით, აბანოების საყვარლად აფილით, მუდმივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

4 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა მუხიანის დასახლებაში. ტელ: 60-03-03

## მილოცვა

**გელა ქომეთიანს!**

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, დიდ ბედნიერებას შენს ლამაზ ოჯახთან და კეთილისმსურველებთან ერთად.

*კეთილისმსურველი*

## მადლობა

დაავადებული ვიყავი ფსორიაზით, ყოველგვარი რაზეც იმედი, თავის მოვლაზეც ვფიქრობდი... ვიყავი დედოფლისწყაროში ექიმთან, მაგრამ მდგომარეობა გამიუარესდა. შემდეგ ბევრგან ვიმკურნალე, მაგრამ ამაოდ. ხელი ჩავიქნიე ყველაფერზე. შემთხვევით წავიკითხე გაზეთში წერილი – მისამართი, რომლის ლმერთივით სალოცავი გახდა ჩემთვის. ეს ქალბატონი ლეილა გოგიაძეა, რომელიც მუშაობს მიცკევიჩის 29ა-ში, დედათა და ბავშვთა სამკურნალო ცენტრში. მან მოახდინა სასწაული: მისმა მალამომ და შინაგანმა მკურნალობამ უბილეთ ლამაზი გამიქრო. მადლობას ვუხდი ქალბატონ ლეილას, რომელმაც სიცოცხლე დამიბრუნა. მადლობას ვუხდი შრომის გაწევისა და გულთბილი მოპყრობისთვის. მისი ტელეფონია: 38-48-04

*თამრო წიკლაური, 63 წლის (დედოფლისწყარო)*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – ჯიბის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## მომსახურება

ეპილაცია პოლიმერული ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ცვილით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). გასწავლით კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყაველაძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კორპ., ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას პოლიმერული ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე ჩაწერით. ხასიათის რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით ქმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი ღერის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ. VI სად, III სართ., ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ქუსვიტი“, ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი: 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო შელიძე

ვაკეთებ ავეჯის რესტავრაციას სახლებში, სკამებზე შალითების შეცვლას, მატრასების აღდგენას. ტ: 95-27-88 გოჩა

ვაკეთებ ნებისმიერი ავეჯის კატალოგიდან, აგრეთვე რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სახლებში შალითების შეცვლას; მატრასების, სკამების რემონტს. ტელ: 95-50-57. ვალერი

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სახლებში შალითების შეცვლას და განახლებას; ძრავიანი ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

სილამაზის სალონი „სტილი 1“. თმის მოდელური შეჭრა-დავარცხნა – 6 ლარი, დეკორატიული მელირება, ტონირება, მზის ლაქები – 20-30 ლარი, თმის შეღებვა (WELLA KOLLESTON-2000) – 15-20 ლარი, საბანკეტო ვარცხნილობა – 20-25 ლარი, მაკიაჟი – 10-15 ლარი, ქიმიური გასწორება 20-25 ლარი, ქიმიური დახვევა – 20-25 ლარი; თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დეპილატორით (თმის მჭრელობა და ქერა); ეპილაცია ინდივიდუალური ნემსით, ანესთეზიით (გაღიზიანების გარეშე) – 1 სთ – 8 ლარი; სახის გაწმენდა – 10 ლარი. მის: რუსთაველის გამზ. №14/მესხეთის ქ. №2. ტელ: 98-78-11 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

ვაკეთებ ეპილაციას ინდივიდუალური პოლიმერული ნემსით და ანესთეზიით. განკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგრჩებათ არც ერთი ნაწიბური. შემოგთავაზებთ სიკეთესთან სახის გაწმენდა და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „ბოდვეთი-777“! თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება – 15 ლარი; ქიმიური გასწორება – 20 ლარი; შეღებვა (WELLA) – 12 ლარი; საბანკეტო და საქორწილო ვარცხნილობები – 20 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ სწრაფად ერთ გურამია. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113 (მარჯანიშვილის ეზოში). ტელ: 95-08-83 (სამს.); 68-28-17 (ბინა). 899 57-46-40 (მიღება ჩაწერით)

> „ლუიზოლი“ – საუკუნის სატერალური სისტემა – მხოლოდ ჩვენთან! 1. ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემი – ნებისმიერი საშუალებით (პინცეტი, ბიოეპილაცია, ელექტროეპილაცია, ლაზერი...) თმის ფესვიანად ამოღების შემდეგ. 2. უნივერსალური სახის კრემი – ასწორებს ნაოჭებს, აქრობს ჩირქოვან და ალერგიულ გამონაყარს, ჭორფლს, ლაქებს, ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო ეფექტით... ყველაფერი ერთ კრემში. მოგვმართეთ: იოსებიძის 53, კაბინეტი „ლუიზოლი“, რუსთაველის გამზირი 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბინეტი „ლუიზოლი“, კონსულტაცია უფასოა.

COMPUTER COMPANY "PULSAR" – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია ტელეფონით: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 მაღ. „პულსარი“

> საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მრავალწლიანი გარანტიით ვამზადებთ სხვადასხვა სიმძლავრისა და დანიშნულების ლიფტებს, უნივერსალურ, უძრავ წყალგამაცხელებლებს. აგრეთვე ვამონტაჟებთ და ვარემონტებთ ყველანაირ წყალგამაცხელებლებს, სხვა ელექტრომოწყობილობებს და გამაგრილებლებს. ტელ: 899 56-27-26; 95-09-44

ფირმა „სატურნი“ თბილისში ყველაზე იაფად დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის, რკინის კარს, გისოსებს, ჟალუზებს, ა/ფარეხებს, დახვეულ კარებს, ხეში, რკინაში. შევასრულებთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ევროსტანდარტების დონეზე. ევროშპალერებით და მოწყობილობებით. ტ: 39-57-00; 39-82-95; 62-38-87; 899 55-90-34

სს „მშვილდოსანი“ აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკვლევ ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშვილდოსანი“

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქალიდოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესიონალი რეგაზ სალაძე. მის. მარჯანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება წინასწარი ჩაწერით, სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ქ. თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი ავტომატიზებული სადიაგნოსტიკო კომპლექსზე დაფუძნებული პოლიპროფილური კლინიკით და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა კონსულტაციებით ერთ-ერთი თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებაა. მისი უპირატესობა ის არის, რომ ერთდროულად შეუძლიათ დახმარების მიღება მშობლებსაც და ბავშვსაც. აქ შეიძლება ჩაიტარონ: 1. ელექტროკარდიოგრამა, კარდიოინტერვალოგრაფია; 2. ფონოკარდიოგრაფია; 3. გულის ექოსკოპია; 4. ელექტროენცეფალოგრაფია; 5. თავისა და ტვინის სისხლძარღვთა ულტრაბგერითი დოპლეროგრაფია; 6. აუდიომეტრია; 7. თვალის ელექტროფიზიოლოგია, ულტრაბგერითი, ექოსკოპიური კვლევები ტარდება მუცლის ღრუს, გენიტალური ორგანოების, ფარისებრი ჯირკვლის, ნეიროსონოსკოპია. ფუნქციონირებს კარგად აღჭურვილი ცენტრალური, კლინიკური, ბიოქიმიური, სეროლოგიური, იმუნოლოგიური ლაბორატორიები. დაწესებულებას აქვს დღის სტაციონარი. საზ. სამედიცინო სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების საფუძველზე ორსულთა, 0-3 წლამდე ბავშვთა და უმწეოთა სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული კვლევები. მომსახურება უფასოა. მის. მიცკევიჩის 29ა. ტელ: 39-18-24; 39-19-85

ემკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, ჯლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესიონალი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ემკურნალობ უფასოდ. მის: აბრიალაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებისა და თაფლის მეშვეობით მედიცინის მუშაკი მ. ცინცაძე ამზადებს მალამოებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშვილოსნოს ნერვის ანთებას, რადიკულიტს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტის ანთებას და ჩირქოვანს, ჰაიმორიტს (იკურნება 5-8 დღეში) გარანტიით. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთლთან“). ტელ: 34-05-69. მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13სთ-დან 16სთ-მდე.

განკურნება და გამოკვლევები ცნობილი ალერგოლოგით, ბავშვებსა და მოზრდილებში (ბრონქული ასთმის, კვებითი ალერგიის, ალერგიული რინიტების, პოლინოზების...). მის. რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგიული განყოფილება. ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. ტელ: 33-56-40

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა ოპერაციული ჩარევისა და მასაჟების გარეშე. პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ტელ: 96-62-58

ხალხური მედიცინის მაქსიმალური შედეგები. ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის, კუჭის წყლულის მკურნალობა უოპერაციოდ! დ. აღმაშენებლის №115 (ეზოს ბოლოში) „ფანასკერტელის“ პოლიკლინიკა, კაბ. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება 10-18 სთ, კვირის გარდა. ტელ: 96-68-03 (ბინა); 95-83-54 (სამს.)

ბრონქული ასთმის, ალერგიული და სასუნთქი გზების, სხვა ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით, მაღალი შედეგით. მის. რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78

გახდომა უნიკალური პროგრამით, დიეტისა და შიმშილის გარეშე, დაბალანსებული სწორი კვებით, ინდივიდუალური პროგრამები, ეფექტური შედეგები. მოისინჯეთ, არ ინანებთ! ტელ: 95-31-90; 61-77-74; 899 58-25-44. მარი

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ქამლეობის მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას 18ა, რეაბილიტაციის ცენტრში. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხარაშვილი. ტელ: 39-01-12 (სამს. 10-15 სთ); 39-58-77 ბინა

ვკურნავ ძვლისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექც.), ბეწვის ჩაზრდას, დაჩირქებულ ფურუნკულს, ნაწიბურს, ნაიარევ ჭრილობებს, ძირმაგარას, გუმატომას, მასტიტს, მენისკს (ანთებითი პროცესში), შხამიანი მწერების და ქიმიური ნივთიერებისაგან კანის შეჭრილ ინფექციას, წითელ ქარს და სხვ. ტ: 68-43-10

ყურადღება! სიახლე! სიმაღლეში ზრდა 4-18 წლამდე (5-10 სმ); ფრანგული პრეპარატებით ჯანმრთელობის აღდგენა: კანჭების დამლა, ფიბრომა, მასტოპათია, ონკოლოგიის პროფილაქტიკა-შეჩერება; გახდომა ფრანგულად. ტ: 52-65-18. თამარი; 61-75-81. მზია

გთავაზობთ არაქიმიურ მკურნალობას სრული განკურნების გარანტიით: ეპილეფსია, შიზოფრენია, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, კლიმაქსი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, სკლეროზი, ფიბრომა, კისტა, მიომა, სოკო, ჭვალი, ფსორიაზი, ჰეპატიტი C. მის: მარჯანიშვილის 5, II სართ., ოთახი 214. ტ: 60-02-49

ელექტროკარდიოგრამის 24 საათიანი უწყვეტი ჩაწერა ცხოვრების ჩვეული რიტმის შეუცვლელად – ჰოლტერის მონიტორი. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №29, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, ოთახი №230. ტ: 39-22-74

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

> სწრაფად, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGEMAKER). ფასი 1 გაკვეთილი – 4 ლარი. ტელ: 34-32-79

გთავაზობთ გსურთ დაეუფლოთ უცხო ენას? – მიმართეთ ფირმა „DAWIT“-ს, სადაც თქვენ ინდივიდუალური მეცადინეობით შეისწავლით ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებს ვიდეო, აუდიო და კომპიუტერული მასალის დახმარებით. ტ: 98-78-26. „DAWIT“

ფირმა „DAWIT“-ი გთავაზობთ საზაფხულო ფასდაკლებას კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე. თქვენ შეისწავლით საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად, კოველდღიური მეცადინეობით, თანაც ყველაზე სწრაფად, იაფად და ხარისხიანად! ტელ: 98-78-26

## იყიდება

სასწრაფოდ! „მესხური“ პურის საცხობი (ფურნე) მუშაობს III მასივში. საცხობი მუშაობს ადგილზე რეალიზაციით. ტელ: 60-82-66. თეიმური

ახალი, ფოტოაპარატი OLYMPUS, მეტრაჟით, ავტორეჟიმით, ხანგრძლივი ხმის ჩაწერით, 2 სიჩქარიანი, როგორც ჩაწერის, ასევე შესაერთებელი მიკროფონით და სამაგრით. ტელ: 877 45-12-91. ზაზა

ბალზაკი, 15 ტომი – 50 ლარი (რუსულად); ასი ოპერა, რუსულად, 2 წიგნი – 10 ლარი; ლეო ტოლსტოი (წმინდა ბიბლია, საბავშვო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 5 ლარი; 2 ტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, ჰემინგუეი, მერიმე), რუსულად, 2 ტომი – 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

მეორადი მოწყობილობის საყოფაცხოვრებო ტექნიკა გერმანიიდან. წამყვანი ევროპული ფირმების ტელევიზორები, ავტომატური სარეცხი მანქანები, საშრობები, გაზქურები 250-დან 550 ლარამდე. ფართო არჩევანი, გარანტია 3 თვე. მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №9. მაღაზია „ლაბირინტი“. ტელ: 899 55-25-36

> რეგისტრირებული 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანსელტი“ ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის. კაბ. „ლუიზოლი“. ტელ: 37-38-13; „ანსელტი“ თქვენი ბავშვებისათვის არატოქსიკური, უსაფრთხო, ნატურალური არჩევანია!

გთავაზობთ ამერიკის სამედიცინო ფირმის მცენარეულ პრეპარატებს ღრძილებისა და პირის ღრუს ყოველგვარი დაავადების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის (პაროდონტიტი, სტომატიტი და სტომატოკოკი). ტ: 34-33-55. ეთერი

> ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ხერხემლიანი სავსე და დაძაბულია; „ნეიროსტიმით“ მკურნალობა ყოველდღიურ სტრესს სწრაფად უმკლავდება; დამშვიდებული, მცენარეული წვეთები „ნეიროსტიმი“ მკურნალობს ნევროზს, გაღიზიანებადობას, შიშის სინდრომებს, არეგულირებს წნევას, აძლიერებს ძილს. მის. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ოპერის პირდაპირ) კაბინეტი №26. ტელ: 37-38-13 (მოიკითხეთ ეფთიმიშვილი).

გთავაზობთ დასასვენებელი კომპლექსის – „თეთრი იალქნი“ 14 დღიან საგზურებს შეღავათიან ფასად. სანატორიუმი მდებარეობს ურეკთან, ზღვის შუაგულში. სანაპიროზე სამკურნალო მაგნიტური ქვიშა. საგზურის ღირებულებაში შედის 3-ჯერადი სრულფასოვანი კვება. ტელ: 93-28-09; 77-86-55

## სხვადასხვა

დ.ს. დარეჯან: 60-29-21

## შევიძენ

შევისყიდით ადამიანის გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი“. 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას. ტ: 68-27-35; 68-19-80

შევისყიდით მსხვილი ძაფით წინდის საქსოვ მანქანებს ტაპის მანქანებს: Деры (ჩეხეთის წარმოება); АН-6кл-7кл; ГАММА-5кл; Иголки на 6-7кл, игловоды на АН и на 5кл; иголки на ОЗДС большие, средные, малые, платины. ტელ: 899 57-86-35; ტელ/ფაქსი: 38-18-71. თემო

## ხსოვნა

### ვაჟა მუმლაძის გახსენება



უეცრად, მოულოდნელად შეწყვიტა მაჯმ სხივ სიცოცხლით და ენერგიით სავსე ვაჟკაცის ცემა თვის ავადმყოფობის შემდეგ ჩვენგან სამუდამოდ წახვედი, დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი, დარდი და ნაღველი. შენ გიყვარდა სიცოცხლე, განათებული, სიხარული, ახალგაზრდობა. ვერ იტანდი ადამიანებში ორგულობასა და ღალატს. იყავი კაცური კაცი, სიმართლისა და პატიოსნების დამცველი, შენს ქალაქზე უსაზღვროდ შეყვარებული, მუხლით მომთხოვნი და პრინციპული, ყოველთვის ერთგული შენი საქმის.

შენს ოჯახში დაისადგურა სიცარიელემ და წუხილმა. წახვედი ნატრული ოჯახის, ნათესავების, მეგობრების, ყველას მოყვარული, ყველასათვის სიკეთის მთესველი. ყოველთვის ვიხსენებთ გარდასულ ყამთა ნეტარებას, გინთებთ სახელს, შენთან ერთ სულიერად. ჩვენი დაუვიწყარო მეუღლევ და მამავ, შენ დაკარგე არა მარტო შენს ოჯახს, არამედ შენს საყვარელ ქალაქს. 4 ივნისს გახდა ერთი წელი, რაც სასუფეველში დამკვიდრდი. „ყველაფერი ტრადიციულად შეასრულეთ, მე ყველა მიყვარდით!“ – ასეთი იყო შენი ბოლო სურვილი. ვერაფრით ვეგუებით შენი ოჯახის წევრები ამხელა დანაკლისს. უშენობა წარმოუდგენელია. შენ, ლამაზი სულის მატარებელი ვაჟკაცი იყავი, ყველას – გასაჭირში თუ ლხინში მყოფ ადამიანებს თავის ადგილს მიუჩენდი, მეგობრებს ყოველთვის ხელს უწვდიდი ამ გაჭირვებულ პერიოდში. შენი ხატება ჩვენს გულებში ყოველთვის დარჩება. ღმერთმა ნათელში დაგიმკვიდროს და მსუბუქი იყოს მიწა, რომელიც შენ გადაგვფარა.

*ოჯახი*

### მარეხ სურამელაშვილის გახსენება



ჩვენო ძვირფასო მარეხ! ხუთი მძიმე წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. აღარ გვათბობს და გვატკბობს შენი საოცარი ხიბლი, ღიმილი. იგი გვავსებდა ბედნიერებით, სიხარულით. დაუსრულებლად გვაქვს ძლიერი წყურვილი და მონატრება იმ დიდი ტაქტის, სათნოების, სისადავის, მდიდარი სულიერი თვისებების ხილვის, შენ რომ გახასიათებდა. შენ ხომ ყოველთვის სამაგალითო იყავი, როგორც მოსწავლე, როგორც სტუდენტი, მასწავლებელი, როგორც დედა, მეუღლე, ზნეკეთილობით გამორჩეული ადამიანი – ამიტომაც გვაასებდნენ, ამიტომაც უყვარდი ყველას, ამიტომაც განიცადა აუნაზღაურებელი დანაკლისი ოჯახმა, შენმა ნათესაობამ, სოფელმა.

ახლა გაზაფხულია. მაისი, ვარდობის თვე იყო, ჩვენთან ტრიალებდი, გვაკვალიანებდი, ძალას და მხნეობას გვმატებდი, ამიტომაც ხარ შენს მეუღლესთან, შენგანვე დაკვალიანებულ სამ შვილთან, შენზე უსაზღვროდ შეყვარებულ შვილიშვილებთან. მრავალი ჯილდო გქონდა მიღებული, როგორც დიდებულ პედაგოგს, მაგრამ შენი ახლობლების მარადიული სიყვარულია უძვირფასესი ჯილდო. ყველა სათუთად, კრძალვით, ღრმა პატივისცემით გვიგონებთ, არც არასოდეს დაგივიწყებთ. რადგან ჩვენშია შენი სისხლისა და უკვდავი სულის ნაწილი.

და, მარადისობაში წასულის ნუგეშად გქონდეს, რომ შენი მეუღლე, რომლითაც ტკბილად და სიამოვნებით გაატარე ადამიანური ცხოვრების წლები, შენი საყვარელი შვილები და შვილიშვილები არასოდეს დაგივიწყებენ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი მომხიბლავი ადამიანური სული.

*მეუღლე, შვილები და შვილიშვილები*

### ჯემალ კაზოს ძე დუნდუას ხსოვნას



იმ აუდმისაგონარ დღეს, 31 მაისს თბილისის ზღვამ გაგიტაცა სასიკვდილოდ. რა მალე მიდის 10 წელი. დღეს ხომ ოცდამეჩვიდმეტე წელში იქნებოდი. რა იქნებოდა, ღმერთს შენთვის სიცოცხლე ეცალა, მაგრამ ამბობენ, ღმერთსაც კარგი უყვარსო. შენც ხომ კარგი იყავი ყველასთვის და ყველაფერში.

შენზე დარდმა იმსხვერპლა შენი ბაბუა – ჩვენი მამა რარიგად უყვარდი და გიყვარდა! ისიც შენი მშობლებივით გამწარებული მამა იყო – მან ხომ თავისი ხელით ჩამოასვენა ბელორუსიიდან სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული შვილი, შენი მოსახელე, უსახელო ბიძა. ოჰ, ღმერთო! რა ძნელია, ძმამ დედა წაგვართვა, ძმისშვილმა – მამა, ორი ჯემალი, ორივე ტრაგიკულად დაღუპული, ორივე მაისში, ცინკის სამოსახლოთი ერთი ოჯახიდან.

უსაზღვროა შენი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. ცრემლი არ ელევათ შენს მშობლებს, ხშირად დადიან შენს საფლავზე და გესაუბრებიან. ენატრები ყველას, ენატრები უცნობ ძმისშვილს ბექასაც, რომელიც შენით ამაყობს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვთხოვოთ ღმერთს, ნათელი დაგიმკვიდროს სასუფეველში.

*მამიდები ლაურა, გულიკო დუნდუები*

### დავით ჩხაიძეს!

დავით, საყვარელია შენი სახელი, ჩემი საყვარელზე შეყვარებულო ვაჟკაცო, ვუხსნ შენს ვარსკვლავიან თვალებს მიწიერ სამყაროში და ვერსად მივიდა. დაბადების ოცდამეერთე წლის გილოცავთ, დედა, ვიცი, „საყვარელი სიკვდილს დაამარცხებს“, „მეტრა, გამარწყინდება საქართველო“. შენთვის ტყუილი უცხოა, შვილო! რამ გაყო ცა და მიწა, როგორ დაგვაშორებს ბოროტება ერთმანეთს, ჩვენი ოჯახი ისევ ერთადაა, გენით!

*დედა*

### ვახო ქედიას ხსოვნას



3 ივნისი შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო ვახო, 25 წლის გახდებოდი. ვერაფრით ვეგუებით იმას, რომ შენ ჩვენთან აღარა ხარ. როგორ გიყვარდა სიცოცხლე, გიხაროდა ყველაფერი, გიყვარდა ყველა, მაგრამ, არ დაგვცალდა. შენ ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, არავინ შეგიწუხებია, არაფერის ნაცრობამ ტყვიამ მოგისწრაფა სიცოცხლე. წყნარად, მშვიდად მიდი შენი სული უფალმა.

წახვედი და უზოგველად დატოვე ძმებით მოსილი, დამუხრუჭებული დედ-მამა, და-ძმა, მეგობრები, რომლებსაც ძალიან გვიყვარდებოდი. ნათქვამია, დრო მკურნალიაო, მაგრამ შენგან მიღებულ ტკივილს რა დრომ უნდა უმკურნალოს. ჩვენგან ანთებული სანთლები მარადიულ სასუფეველს გვინათებს, ნათელი დაუდგომოდეს შენს წმინდა სულს, ჩვენო ვახო.

გვენატრება შენი ლამაზი, ფიქრიანი თვალები და საოცრად კეთილი ღიმილი და ეს მონატრება მუდამ, მოუშუშებელ ჭრილობად იქცა.

იძინე მშვიდად, ჩვენო სიცოცხლით გაუმაძღარო, ლამაზო ბიჭო.

*შენი ლიზიკო, ეთერი, მაკა, გია, მამუკა, გიორგი*

### ანა ვარდიაშვილის საიუბილეო გახსენება



ჩემს თაობას თქვენი შემოქმედება ბავშვობის ასაკიდან ახსოვს. მის უპირატესობაც გახლდათ, რომ პირადად გიცნობდით. ჩვენი პირველი შეხვედრა ოცდაათი წლის წინ შედგა... ახლაც თვალნათლივ მახსოვს, თქვენი საოცრად მშვიდი საუბარი, თითოეული თქვენი ჟესტი... დიდი მადლობა იმ რომანტიკული საღამოსათვის...

მე რძლად გერგებოდით და ამდენად განბედნიერებული ვიყავი თქვენთან სიახლოვით. თქვენი პიროვნული ღირსებებით მოხიბლულს, სურვილი მიჩნდებოდა კიდევ უფრო ხშირი ურთიერთობის... სამწუხაროდ, ეს სიხშირე სხვადასხვა წარიმართა... ჩვენ შორის ახალი კავშირი გაჩნდა – პაციენტისა და ექიმის... ხშირად ავადმყოფობით, ხშირად მიწევდა თქვენს საწოლთან ყოფნა...

თითქოს, წლებმა და ავადმყოფობამ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და – საუკუნოდ განშორდა სხეულს თქვენი ლამაზი სული...

31 მაისს დაბადების 100 წლისთავი გისრულდებათ. ეს სტრიქონებიც ჩემი მოკრძალებული გამოხმაურებაა თქვენი საიუბილეო თარიღისადმი... მინდა, ქეთინოსთან ერთად, ჩემი ოჯახიც ფულით თქვენს მუდმივ გამხსენებლად...

ნათელში განისვენეთ უფალმა...

*ნანი*

### საყვარელო დედა!



40 დღე გავიდა უშენოდ, 40 უიმედო დღე. ძალიან გვენატრება შენი ხმა და საუბარი. ძალიან გვიჭირს უშენობა, თითქოს დაბნეულები ვართ, მაგრამ ალბათ ღმერთის ნება იყო, რომ შენიანთან ადამიანი წაიყვანა თავისთან. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი სამშობლოს მიწა.

*მეუღლე, შვილები, რძლები და შვილიშვილები*

### რეზო მემანიშვილი

წუთისოფლის ბედუკუღმართობამ ნარ-ეკლიან გზაზე გატარა. ავიც ბევრი გამოსცადე და კარგიც, სიხარულიც ბევრჯერ გიგემია და ცრემლსაც ბევრჯერ დაუსველებია შენი თვალები. ვერგაუმხელელი დარდი ხშირად ვისერავდა გულს, რომელსაც უძლევი სიყვარულის დატევა შეეძლო. ზოგჯერ უსამართლოდ გაყვედრობდნენ, გული მიკვდებოდა. არ იყავი ღირსი ასეთი ტანჯვით სიკვდილისა, როგორ მინდება, არასოდეს ამოვა ჩემი მეხსიერებიდან შენი უკანასკნელი ამოსუნთქვა და მავედრებელი თვალები პატიების სათხოვნელად...

29 წელი გავიდა მას შემდეგ, ტკივილითა და ცრემლით აღსავსე 29 წელი. გაუსაძლისი ტკივილი გულს მისერავს, თვალთაგან გადმოსკდარი მდუღარება მინაგანად მწვავს, შორეთში მომზირალს შენი ხატება შემომცქერის. პატარა რეზიკო შენი სიცოცხლის დიდი გაგრძელება იქნება, ჩემი გული კი სამუდამოდ განერიდა ულმობელი წუთისოფლის ჩარხის ტრიალს.

ისევ შენთვის უნდა ვიცოცხლო, შენთვის უნდა ვილოცო, მუდამჟამს წმინდა სანთლით ხელში ვიქნები შენს სამარესთან და შენს ოჯახთან ერთად შენი სულის შენდობას შევთხოვ უფალს.

*მერი ვრიმელიძე*

### ექიმ ვარლამ ჯულაყიძის გახსენება



ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ცნობილი ექიმი, ზემო იმერეთის რაიონებში აღიარებული მკურნალი, გამორჩეული მამულიშვილი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, შემართებული და სპეტაკი პიროვნება.

ვარლამ კონსტანტინეს ძე ჯულაყიძე დაიბადა 1928 წლის 18 ივლისს ჭიის რაიონის სოფელ ყუმურში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1948 წელს სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. 1952-1954 წლებში სწავლობდა ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. ინსტიტუტში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, იყო სტალინის სახელობის სტიპენდიანტი.

1955 წელს მუშაობა დაიწყო ლორეშის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1957-1961 წლებში მუშაობდა ხარაგაულის ტუბ. საავადმყოფოს მთავარ ექიმად და ფტიზიატრიულ დახმარებას უწევდა ხარაგაულის, ზესტაფონის და თერჯოლის რაიონების მოსახლეობას. მიიჩნეოდა ფაქიზი წვლილი შეიტანა იმერეთის რეგიონში ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

1974-1977 წლებში მუშაობდა ხარაგაულის რაიონის და რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1977 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ამავე რაიონის თერაპიული განყოფილების გამგედ და რაიონის მთავარ თერაპევტად. მინიჭებული აქვს ექიმ ფტიზიატრის და თერაპევტის უმაღლესი კატეგორია. წარდგენილი იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდებაზე, რომელსაც ვერ მოესწრო. გარდაიცვალა 1990 წლის 1 ივნისს.

რადგან დასანანია, რომ ექიმმა ვარლამ ჯულაყიძემ მარადისობაში გადაინაცვლა შემოქმედებითი საქმიანობის გაფურჩქვნის პერიოდში, როდესაც შეეძლო თავისი ხალხის საკეთილდღეოდ კიდევ ბევრი კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელება.

ღმერთის ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს ბატონი ვარლამის სპეტაკი სული და მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა. მისი კეთილი სახე დაუვიწყარი იქნება ოჯახის, ახლობლების, კოლეგების და მეგობრების ხსოვნაში.

*ოჯახი*

# შავი ზღვის თანამფლობელები



**სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ მათი ეროვნული ინტერესების მორიგების საუკეთესო გზაა ვაჭრობისა და განვითარების შავი ზღვის ბანკის შექმნა.**

ევროპული ცივილიზაციის აკვანი — დღევანდელი საბერძნეთი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სულაც არ არის ცივილიზებული ევროპის აუტსაიდერი. უკანასკნელ დრომდე ქვეყანა იძულებული იყო, შეგუებოდა იმას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკური წარმატების აღნიშვნისას გამოკვეთილად იყო ნათქვამი — საბერძნეთის გარდა.

ამ ვითარების მიზეზი თავად ბერძნები არიან. ისინი დიდი ხნის განმავლობაში მკაფიოდ აღნიშნავდნენ, რომ პირველ რიგში, ძველი ელინების შთამომავალნი არიან და მხოლოდ ამის შემდეგ — ევროპელები.

დღეს სიტუაცია კარდინალურად იცვლება. საბერძნეთი ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრი ხდება, 2001 წლის პირველი იანვრიდან კი ევროპის ზონაში შედის.

საბერძნეთს ბალკანეთში ლიდერობისა და შავი ზღვის აუზის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის პრეტენზია აქვს. რეგიონში მისი ავტორიტეტის ამაღლებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შეიქმნა ვაჭრობისა და განვითარების შავი ზღვის ბანკი და მისი შტაბბინა სალონიკში მდებარეობს.

ბერძნები ზღვის გარშემო ისე ცხოვრობენ, როგორც ბაყაყები — ჭაობის ირგვლივ — ამბობდა პლატონი. ძველი აღმოსავლური ცივილიზაციების საპირისპიროდ, რომლებიც მდინარეთა დაბლობებში ვითარდებოდნენ, ანტიკური ცივილიზაციები ზღვის ნაპირზე ყვაოდნენ. დღესაც შავი ზღვის აუზის შინაკავშირები ხელს შეუწყობს ჩამორჩენილი რეგიონის აღორძინებას. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ საბერძნეთი და აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის ქვეყნები — თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ალბანეთი. შარშან, ივნისში ბანკის შესაქმნელად პრიორიტეტულ მიმართულებებად დასახელდა ენერგეტიკა, შინარეგიონული ვაჭრობა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და ტელესაკომუნიკაციო პროექტები.

მაგრამ როგორ უნდა მოევლოს იმას, რომ ამ ბანკის წევრები განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ეროვნული ინტერესების მქონე ქვეყნებია? საბერძნეთი მტრობდა თურქეთს, რუსეთს უჭირს საერთო ენის გამონახვა უკრაინასა და საქართველოსთან, აზერბაიჯანს — სომხეთთან.

ბანკის მესვეურთა აზრით, მთავარია სხვა პრინციპი — კერძოდ, მოგება. წლეულს, აპრილის დამლევს, ათენში გამართულ კონფერენციაზე — „შავი ზღვის საქმიანი დღე“, ახალდაარსებულ ბანკს საერთაშორისო კომპანია SALOMON SMITH-ის თავმჯდომარემ რონალდ ფრიდმანმა საბანკო ბიზნესის სამყაროში ახალი მობილური ხომალდი უწოდა და დაუმატა — კარგია, რომ აქციონერთა შორის არ არის ამერიკა და ბანკს რეგიონში თავისი ინტერესებისთვის არ გამოიყენებს, მე თავად ვარ ამერიკელი და ჩემს თავს ამის ხმამაღლა თქმის ნებას ვაძლევო.

განვითარების ბანკებს მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. მათი უმთავრესი ამოცანაა ე.წ. „ზრდის წერტილებისა“ და ეკონომიკაში იმ მიმართულების მხარდაჭერა, რომელსაც შეუძლია მისი განვითარების კატალიზატორი გახდეს.

ახლად შექმნილ ბანკს, საერთაშორისო ბანკებთან შედარებით, მცირე აქტივი აქვს — 1,4 მლრდ დოლარი. თუმცა მეტი უპირატესობა გააჩნია, ვიდრე თავის უფროს ძმას — ევროპულ ბანკს (ეს უკანასკნელი 60 ქვეყანას აერთიანებს). საქმე მარტო ის არ არის, რომ იგი თავის წევრებს არანაირ პოლიტიკურ ან მაკროეკონომიკურ პირობებს არ უყენებს, იგი მათ, ინდივიდუალური შეკვეთის გათვალისწინებით, სთავაზობს ინდივიდუალურ მომსახურებას, რასაც ისინი გაერთიანებულ ევროპულ ბანკში ვერ მიიღებენ. თანაც ამას ძალიან სწრაფად, ყოველგვარი ბიუროკრატიზმის გარეშე აკეთებს.

მაგალითად, შარშან მომხდარმა მიწისძვრებმა დიდად დააზარალა თურქეთის ეკონომიკა, რომლის საფუძველს პატარა და საშუალო საწარმოები შეადგენს. შავი ზღვის ბანკმა სასწრაფოდ მიიღო საკრედიტო ხაზის გახსნის გადაწყვეტილება 6 წლის ვადით. ეს იყო შავი ზღვის ბანკის პირველი პროექტი თურქეთში.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მნიშვნელობა ძალზე დიდია, რადგან იგი ემსახურება 250 მილიონიანი მოსახლეობის მქონე რეგიონს, რომელიც ინვესტორებს, თავისი რესურსებისა და იაფი მუშახელის წყალობით, დიდ მოგებას ჰპირდება.

***იტოგი №18***

# გაიყიდა ამერიკის სიმბოლო



ნიუ-იორკის ისტორიული ღირსშესანიშნაობა და მისი ლანდშაფტის ნაწილი — როკფელერ-ცენტრი — კვლავ იყიდება.

როკფელერ-ცენტრი 12 ცათამბჯენისაგან შედგება და განლაგებულია მანჰეტენის ცენტრში. მასში მოთავსებულია ცნობილი მიუზიკლ-ჰოლი, „ქრისთის“ სააუქციონო სახლის ცენტრალური ოფისები, „რადიო-პრესის“ სააგენტო, ტელეკომპანია NBC და ბანკირ როკფელერის შტაბბინა. როკფელერ-ცენტრი ამერიკის საქმიანი ცხოვრების გულია. რამდენიმე წლის წინ იგი შეიძინა იაპონურმა კომპანია „მიცუბისი-ესტეიტმა“, რამაც ძალიან აღაშფოთა ამერიკელები. პრესა წერდა, — ამერიკის სიამაყეს იაპონელებმა სილა გააწნეს... იაპონის კომპანიები ამერიკის ბაზარში შემოიჭრნენო...

1996 წელს ამერიკელებმა „დაიბრუნეს“ როკფელერ-ცენტრი 1,2 მლრდ დოლარად. მისი ახალი მფლობელი გახდა კონგლომერატი, სახელად „როკფერსენტერ ფროფერტიზი“, მისი მთავარი აქციონერია „გოლდმან საქს გრუპი“; კონგლომერატში აგრეთვე შედიან როკფელერთა ოჯახის მეთაური დევიდ როკფელერი, ჩიკაგოელი მილიონერის — კრაუნის ოჯახი, იტალიელი მაგნატი ანიელი, ბერძენი გემთმშენებელი ფირმის მფლობელი — ნიარხოსი და კომპანია „თიშმან სპეიერ პროპერტიზი“, რომლებიც მთელ კომპლექსს მართავენ.

ექსპერტების ცნობით, ამჟამინდელმა მფლობელებმა ცენტრის შეძენის პირველივე დღიდან იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან იგი კვლავ გაიყიდებოდა.

ცენტრის მომავალი მფლობელის სახელი, ჯერჯერობით, უცნობია. არავის ეეჭვება, რომ პრეტენდენტი ბევრი იქნება. როკფელერ-ცენტრის კომპლექსის შენობა 43,5 მლნ წლიურ შემოსავალს იძლევა. დღეს კი როკფელერ-ცენტრი 2,5 მლრდ დოლარად არის შეფასებული.

***კომერსანტი №91***

# „ჰერბალაიფი“ დაობლდა

კალიფორნიაში გარდაიცვალა იმპერია „ჰერბალაიფის“ ფუძემდებელი, 44 წლის მარკ რეინოლდს ჰიუზი. კომპანიის მფლობელის ცხედარი წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდგარ მშვენიერ ვილაში იპოვეს. ეს ფაქტიც კიდევ ერთ საიდუმლოდ იქცა.

„გახდომის იმპერიის“ მეთაურმა დატოვა ქვრივი და სამი ყოფილი ცოლი, 23 მლნ დოლარიანი სახლი და დაპირებები — „დედამიწის ყველა ადამიანის საუკეთესო გასახდომი პრეპარატები“.

ჰიუზმა თავისი იმპერია 1980 წელს დააარსა. მას საფუძვლად დაედო ლამაზი ლეგენდა: მარკის დედაც ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა წონაში დასაკლები აბების ზედმეტი დოზის მიღების შედეგად. სწორედ დედის ხსოვნას მიუძღვნა მარკმა „უვნებელი და ეფექტური“ საშუალებები.

დღეს იმპერიამ 48 ქვეყანა მოიცვა. ჰიუზმა და მისმა გუნდმა ცხოვრების მთელი სისტემა შექმნეს. „ჰერბალაიფის“ საიდუმლოება ის გახლავთ, რომ დისტრიბუტორთა განსწავლული არმია საკუთარ თავზე იტარებს ექსპერიმენტებს და შედეგად, ახალ-ახალ ადეპტებს პოულობს. სამუშაოს გარდა, ჰიუზს კიდევ ორი გატაცება ჰქონდა — ქალები და სახლები. რომლებსაც დროდადრო იცვლიდა. უკანასკნელ სახლს, პროექტის თანახმად, უნდა დაეჩრდილა თეთრი სახლი (საერთო ფართობი 4050 კვმ უნდა ყოფილიყო). სამწუხაროდ, ვერ დაასრულა მშენებლობა...

***იზვესტია №93***

# პარიზისთვის ფული არ ენანებათ

სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ დიდი ბრიტანეთის საელჩოებს შორის ყველაზე დიდი დანახარჯები პარიზის საელჩოს აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ოფისებისათვის საფრანგეთის დედაქალაქი თავისი მნიშვნელობით პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრი არ არის, ბრიტანეთის საელჩო ადგილობრივ პოლიტიკოსებსა და სხვა გავლენიან პერსონებთან კონტაქტებისათვის წელიწადში 300 ათას გირვანქა სტერლინგს ხარჯავს — იმაზე მეტს, რასაც ტოკიოში, ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და მოსკოვში. კოქტეილებსა და სანთლებიან ვახშმებზე დიდძალ დანახარჯებს დიპლომატები იმით ხსნიან, რომ საფრანგეთი ის ქვეყანაა, სადაც გართობა ცხოვრებისა და საქმეების წარმართვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ბოლო ფინანსური წლის მანძილზე ბრიტანეთის საელჩომ პარიზში მხოლოდ თავის რეზიდენციაში 50 საგანგებო ღონისძიება გამართა, პლუს სადილები საფრანგეთის პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენელთათვის.

***იტოგი №19***

# კითხვა-პასუხი



***ახალგაზრდებში მკვეთრად იმატა ფილტვების დაავადებამ. ექიმები ამას სიგარეტის წევით ხსნიან. მაინტერესებს, ამ დაავადების ჩამოყალიბებას სხვა ფაქტორიც ხომ არ უწყობს ხელს?***

***მკითხველი***

ფილტვების ფუნქციის დაქვეითებაზე, რა თქმა უნდა, თავის კვალს ტოვებს სიგარეტის მოწევა, რაც ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა, განსაკუთრებით — მოზარდებში. გარდა ამისა, ახალგაზრდებისა და საერთოდ ყველას ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს ჩვენი საუკუნისთვის დამახასიათებელი მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანებული ჰაერი, რომელიც გაჯერებულია უხარისხო, ტყვიის შემცველი ბენზინითა და გაუმართავი მანქანების მიზეზით ჰაერში დაგროვილი კანცეროგენული (კიბოს გამომწვევი) ნივთიერებებით. ფილტვების ფუნქციის დაქვეითება კი აისახება მთელ ორგანიზმზე, რადგან ფილტვები სასუნთქი ფუნქციის გარდა, ახორციელებს კონტროლს კანისა და თმის მდგომარეობაზე. ფილტვების გაუწმენდაობა დროთა მანძილზე ამცირებს სქესობრივ შესაძლებლობას, იწვევს ნაადრევ სიბერეს, შიშს, საკუთარ თავში დაურწმუნებლობას და სხვ. არცთუ იშვიათად, ფილტვებზე დამღუპველად მოქმედებს დარდიც. ნაღვლიანობას შეუძლია ფილტვის ტუბერკულოზი გამოიწვიოს.

***კახა საბახტარიშვილი, მე-13 პოლიკლინიკის ტრადიციული მედიცინის კაბინეტის გამგე***

***ოცდაათამდე ოჯახი ვცხოვრობთ თბილისის მთაწმინდის რაიონში, გალის ქ. №15-ში. სახლების მფლობელებად დღეისათვის ითვლებიან ფარსად ხაფიზელ ადილე და მასმა რამაზანის ასული გეიდაროვა, რომლებიც სინამდვილეში არ ფლობენ კანონიერი საკუთრების უფლებას. მიუხედავად ამისა, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ ხსენებული პირები მეპატრონეებად ცნო. ჩვენს მოთხოვნაზე, წარმოედგინათ საბუთები, უარი გვეთქვა — საბუთები მათ შინ აქვთ და, თუ ჩვენს პასუხს არასწორად თვლით, სასამართლოს მიმართეთო, რაც გავაკეთეთ კიდეც, მაგრამ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ არასათანადო მოსარჩელეებად ჩაგვთვალა. გვაინტერესებს, თუ გამგეობას საბუთების წარდგენა არ შეუძლია, მაშინ რა შემთხვევაში ჩავითვლებით სათანადო მოსარჩელეებად?***

***მობინადრეები***

სასამართლომ რომ მოსარჩელედ გცნოთ, საჭიროა სათანადო საბუთების წარდგენა გამგეობიდან, სახლმმართველოებიდან და სხვა კომპეტენტური ორგანოებიდან, რომელთაც საბინაო-საინვენტარიზაციო მოწყობის საქმე ევალებათ. მხოლოდ ამის შემდეგაც შეიძლება ცნობილ იქნეთ მოსარჩელედ და სასამართლო თქვენს სარჩელს განიხილავს. კომპეტენტური ორგანოები, გამგეობის ჩათვლით, ვალდებულნი არიან გასცენ სათანადო საბუთები ამ საქმის შესახებ კანონიერების ფარგლებში.

***ადვოკატთა ასოციაცია***

***გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელია დღესდღეობით საქართველოში და, მათ შორის, — თბილისში?***

***პაატა კობიაშვილი***

განათლების სამინისტროს დღევანდელი მონაცემით, საქართველოში მთლიანად 1.631 საშუალო სასწავლებელია (მათ შორის, ლიცეუმიც), ხოლო თბილისში ამგვარი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება 194-ია. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, როგორც ცნობილია, ისინი ორგვარი სახისაა — სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით 24-ია, მათ შორის, თბილისში — 15. არასახელმწიფო ფასიან უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი კი საქართველოში 162-ია, თბილისში — 96.

***განათლების სამინისტრო***

***შეუძლია თუ არა უიარაღო ხალხს ნებისმიერ ადგილას თავშეყრა, რათა გამოთქვას თავისი აზრი?***

***მოქალაქეთა ჯგუფი***

ყველას (სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მომუშავე პირებს გარდა) შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას უიარაღოდ და საჯაროდ გამოთქვას თავისი აზრი. თუკი შეკრება-მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება, უნდა მოხდეს ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმება. ამასთან, ხელისუფლებას შეუძლია ამგვარი თავყრილობის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

***ადვოკატთა კოლეგია***

***ვარ 58 წლის, როგორც რეპრესირებულთა და შემდგომში რეაბილიტირებულად აღიარებულ პირთა მემკვიდრეს, შვილს, საპენსიო ასაკის შესრულებამდე დამენიშნება თუ არა რეპრესირებულთა შვილებისთვის დაგეგმილი პენსია?***

***ც. კაკაურიძე, გორი***

რეპრესირებულთა შვილებს რეაბილიტირებულის პენსია დაენიშნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან შრომისუუნარონი ე.ი. საპენსიო ასაკის (მამაკაცები 65 წლის, ქალები — 60 წლის). აქედან გამომდინარე, 2 წლით ადრე ვერ მოგეცემათ პენსია.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო***

***რა იწვევს ადამიანის კბილის ემალის სხვადასხვა არასასიამოვნო შეფერილობას? ზოგიერთის კბილს მოყავისფრო ელფერი დაჰკრავს, ზოგს — მწვანე და ა.შ.***

***თ. ნიჟარაძე***

კბილის არასასიამოვნო შეფერილობა გამოწვეულია კბილის ნადებით, რომელიც რბილი კონსისტენციის წებოვანი ნივთიერებაა და ადვილად სცილდება კბილის ზედაპირს. იმ შემთხვევაში, თუ პირის ღრუ ჰიგიენურად მოუწესრიგებელია, მოსალოდნელია კბილის ნადების გაჩენა. სწორედ კბილის ნადებს გააჩნია სხვადასხვაგვარი შეფერილობა. დაწყებული თეთრიდან, იგი შეიძლება იყოს ვარდისფერი, მწვანე, შავი და ყავისფერიც, რასაც განაპირობებს კბილში მოხვედრილ ბაქტერიათა პიგმენტი. კბილის შეფერილობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს თამბაქოს, წამლების მიღება, საჭმლის ნარჩენები და სხვადასხვა დაავადებები.

***სტომატოლოგთა დახელოვნების ინსტიტუტი***


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
26 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,980 |
| **გერმანული მარკა** | 0,915 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2,923 |
| **ევრო** | 1,790 |
| **რუსული რუბლი** | 0,070 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,031 |

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთაძე თაობათა მანძილზე
გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:
☞ბოტკინით დაავადებულებს;
☞ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
☞პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
☞ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
☞ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
☞ფრჩხილების ჩაზრუნება; ფეხების ოფლიანობა;
☞თმის ცვენა, სებორეა; ბუასილი;
☞ტროფიკული წყლული, წითელი ქარი
ეფექტი გარანტირებულია I დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები
მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.
მის: ალმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“.
იკითხეთ ლომთაძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (სახ.); 899-51-76-08

და შტამპების
ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

# „დაბრძანდით, ნუ დგახართ!“

რფ-ის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ვიზიტით ეწვია ყველა თურქმენის ბელადს — საფარმურად ნიაზოვს და, როგორც ჩანს, ძალიანაც ინანა.

ამბობენ, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვლადიმირ პუტინზე წმინდა ოქროსაგან ჩამოსხმულმა ნიაზოვის უზარმაზარმა სკულპტურამ მოახდინა, რომელიც ქვეყნის მთავარ მოედანს გადაჰყურებს და ავტომატურად ბრუნდება მზის მხარეს (დედაქალაქის სტუმრები მას „მზესუმზირას“ ეძახიან). სხვათა შორის, ცოცხალი ნიაზოვიც ერთიანად ბრწყინავდა: ორივე ხელს, თითქმის ნახევარკილოგრამიანი, კვადრატული ოქროს ბეჭედი უმშვენებდა. განსაკუთრებით გააოგნა პუტინი თურქმენბაშის უტიფრობამ. „ნიაზოვი ყველას, ვინც კი სტუმრად ეწვევა, საჯაროდ იგდებს აბუჩად, ეტყობა, ჰგონია ეს უფრო აამაღლებს თურქმენი ხალხის თვალში“, — ამოიოხრა პუტინის ერთ-ერთმა თანმხლებმა ჩინოვნიკმა. მართლაც, თურქმენბაში ყველა ოფიციალურ ღონისძიებაზე ხაზს უსვამდა პუტინის ახალგაზრდობასა და გამოუცდელობას. ბოლოს და ბოლოს, პუტინს ეს მობეზრდა და, როცა ნიაზოვმა კიდევ ერთხელ მამაშვილურად უთხრა: „დაბრძანდით, რატომ დგახართ!“ რუსეთის პრეზიდენტმა კბილებში გამოსცრა: „გმადლობთ“ და დემონსტრაციულად გააგრძელა ფეხზე დგომა. მაშინ კი, როცა პუტინს თურქმენეთის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის საპატიო მანტია გადასცეს, თურქმენბაშიმ ისევ ჭკუის სწავლება დაუწყო: „აბა, ადექით!..“ ღონისძიებას საბჭოურ-მუსულმანური სტილის სასახლეში 5-5 კაცი ესწრებოდა „ყველა ორგანიზაციიდან“, რათა მათ მეგობრებისა და თანამშრომლებისათვის სიტყვასიტყვით ეამბათ სიმართლე „ორ ბრძენ პოლიტიკოსზე“. რუსეთის პრეზიდენტს განუცხადეს, მანტია „სამართლის დარგში განსაკუთრებული მიღწევებისათვის“ დაიმსახურეო. პუტინმა პატიოსნად აღიარა, სახელდობრ სამართლის დარგში არაფერი გამიკეთებიაო და დამსწრეთ მოუბოდიშა: არ მეგონა ყველაფერი ეს საზეიმო ვითარებაში თუ ჩატარდებოდა, ამიტომაც არც მოვმზადებულვარ და მომიტევეთ, თუ რამე ისე ვერ ვთქვიო. ეს სიტყვები ნიაზოვმა პუტინის ნაკლის გულახდილ აღიარებად მიიჩნია, სტუმარი საბჭოურად ჩაკოცნა და დარბაზს მიმართა: „ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ასე რომ გამოვიდა... უბრალოდ, ღელავს... ისე გულით კარგი კაცია“. პუტინი ბრაზისაგან გამწვანდა და, როცა თურქმენბაში კვლავ საკოცნელად წაეტანა, ხელით შეუმჩნევლად დაახევინა უკან. მაყურებელს არაფერი შეუმჩნევია და სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს, რას ნიშნავდა „მქუხარე, ხანგრძლივი, ოვაციაში გადასული ტაში“.

რისთვის სჭირდებოდა პუტინს ეს ვიზიტი (ნიაზოვი, სხვა ყველაფერთან ერთად, საჯაროდ შეეკამათა პუტინს — ვის აქვს ვალი, — თურქმენეთს რუსეთისა თუ პირიქითო), რომლის შეურაცხმყოფელი შედეგი წინასწარვე ცნობილი იყო, კრემლის საგარეო პოლიტიკური სტრატეგების საიდუმლოდ დარჩება. ერთი კი ცხადია: პიროვნების კულტის „სეანსისაგან“ პუტინს ერთობ არასასიამოვნო შთაბეჭდილება დარჩა.

***კომერსანტი №90***

# ეს ბოდვა არ არის, ეს თეორიაა



ლატვიის პრეზიდენტ ვაირა ვიკე-ფრაიბერგს ესტონეთში გამგზავრების წინ ბი-ბი-სისათვის რომ ინტერვიუ არ მიეცა, მისი ვიზიტი შეუმჩნეველი დარჩებოდა, მაგრამ ინტერვიუს შემდეგ ვიზიტი მსოფლიო მნიშვნელობის სიახლეთა რანგში მოექცა. ლატვიის პრეზიდენტმა ინტერვიუში თქვა: რუსეთს შეუძლია სამხედრო ძალა გამოიყენოს და ბალტიის ქვეყნები დაიმორჩილოს, ლატვიაზე თავდასხმა ევროკავშირზე თავდასხმას ნიშნავსო.

პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში თავისი კონტროლის აღდგენით რუსეთი ცდილობს სამი ქვეყნის ურთიერთობაში განხეთქილების შეტანას. მოსკოვი აცხადებს, რომ მას უადვილდება დასავლეთთან კავშირი ბალტიის ქვეყნებზე კონტროლის დაწესებით. ვაირა ვიკე-ფრაიბერგის აზრით, ლატვია, რომელიც შუაში მდებარეობს, ვერ ასცდება რუსეთის მახვილს.

ბი-ბი-სი-ც იძულებული იყო, დაეფიქსირებინა, „რომ ლატვიის პრეზიდენტის ინტერვიუ ევროპული სახელმწიფოს მეთაურის ყველაზე მკაცრი გამოსვლაა რუსეთის მიმართ მას შემდეგ, რაც აპრილში რუსეთის უსაფრთხოების საბჭომ და პრეზიდენტმა პუტინმა მიიღეს ახალი თავდაცვითი კონცეფცია“. ტალინში ვიკე-ფრაიბერგის ნათქვამმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ესტონელ ანალიტიკოსთა აზრით, ბალტიის ქვეყნების მიმართ აღმოსავლეთის მხრიდან წამოსულ მუქარაზე წამდაუწუმ ლაპარაკი უარყოფით გავლენას ახდენს საინვესტიციო კლიმატზე. „ვინ წავა დასავლეთში რისკზე და ფულს ვინ ჩადებს ჩვენს ეკონომიკაში, დავუშვათ, რკინიგზის მშენებლობაში, თუ ჩვენ თავად არ გამოვრიცხავთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ამ რკინიგზით რუსეთის სამხედრო ეშელონები დაიძრნენ“, — ამბობენ ბალტიისპირეთში.

***ეხო პლანეტი №20***

# რეფორმები საფრანგეთის ხელისუფლებაში

იმ დროს, როდესაც კრემლის პოლიტიკოსები ამუშავებენ საფრანგეთის გამოცდილებას, კერძოდ, ქვეყნის პრეზიდენტის მანდატის ვადის 7 წლამდე გაგრძელების საკითხს, გენერალ დე გოლის სამშობლომ პრეზიდენტის მანდატის ვადის შემცირებისკენ აიღო კურსი. საფრანგეთის პოლიტპატრიარქისა და ყოფილი პრეზიდენტის, 74 წლის ჟისკარ დ'ესტენის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს „რესპუბლიკის პრეზიდენტის 5 წლის ვადით არჩევის შესახებ“, პოლიტიკოსთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. არჩევამდე ჟაკ შირაკი არ იყო წინააღმდეგი ამ პროექტისა, ერთი წლის წინათ კი განაცხადა „ხუთწლიანი ვადა შეცდომა იქნებოდაო“. დღეს კი ერიდება, არ იფიქრონ, დიდხანს უნდა ხელისუფლების სათავეში ყოფნაო და მოელაპარაკა თავის მთავარ მეტოქეს (2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში) — ლიონელ ჟოსპენს, რომ ერთობლივად წარადგინონ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების პროექტი. შირაკსა და ჟოსპენს, ეტყობა, ამ პოპულარული ნოვაციის მამამთავრობა სურთ და ცდილობენ, მაქსიმალური ქულები დაიგროვონ სახელმწიფოს მეთაურის სავარძლისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკა არ უნდა გადაიქცეს ხანგრძლივად ერთი საზოგადო მოღვაწის ან ერთი პოლიტიკური ოჯახის საკუთრებად, — მიაჩნიათ ფრანგებს. ახალი რეფორმა პოლიტიკოსების მიმართ დაკარგულ რწმენას აღადგენს.

***ნოვიე იზვესტია***

# ებრაელებო, გავეცალოთ!

„18 წლიანი ტრაგედიის დასასრული“, — ასე უწოდა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაქმა სამხრეთ ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარის გაყვანას. სინამდვილეში ჯარის გაყვანა თავქუდმოგლეჯილ გაქცევას უფრო წააგავს და ისრაელელები ამ მოვლენას ეროვნულ სირცხვილად მიიჩნევენ. გათავისუფლებულ მიწებს ლიბანელები და „ჰესბოლაჰის“ მოძრაობის მეომრები ითვისებენ. „ნაჩქარევად ჩამოვუშვით ჩვენი დროშა, ვიმღერეთ „ტიკვა“ (ისრაელის ჰიმნი), ჩავსხედით ბეტეერებში და გავეშურეთ საზღვრისაკენ“, — ყვებიან ისრაელელი მეომრები. ასეთი ნაჩქარევი გამოსვლა (შეთანხმებით, ისრაელელებს 7 ივლისს ლიბანი უნდა დაეტოვებინათ), გამოიწვია სიტუაციის მძაფრმა შეცვლამ. „ჰესბოლაჰის“ მეომრებმა ერთ დღეში შიიტთა 14 სოფელი იგდეს ხელთ. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სამი ათასამდე ქრისტიანი თავდაპირველად იცავდა თავიანთ სოფლებს, ბოლოს კი ისრაელის საზღვრებისაკენ გაეშურა. ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ევაკუირებულები“ რეგისტრაციაში გაატარა.



„ისრაელის ხელისუფლებამ სამხრეთ ლიბანელებს იგივე გაუკეთა, რაც ამერიკელებმა სამხრეთ ვიეტნამელებს, — აცხადებს ერთი ისრაელელი მესაზღვრე. არსებობს საშიშროება, რომ ჰესბოლაჰელები დახოცავენ ისრაელში მიმავალ ლიბანელებს. გაეროს გენერალურმა მდივანმა სამხრეთ ლიბანში დისლოცირებული „ცისფერჩაფხუტიანთა“ რიცხვი 4.500-დან 7.900-მდე გაზარდა. ბარაქი კარგა ხანია, ლაპარაკობდა ლიბანიდან ჯარების გაყვანის თაობაზე, მაგრამ ოპერაციის დაწყებისთანავე გაირკვა, რომ ისრაელი არ ყოფილა ამისათვის მზად. „სირცხვილის დღე“, „შარვალჩახდილნი დაგვიჭირეს“, — ასე ახასიათებს ამ ფაქტს ისრაელის გაზეთი, „ედიოტ ახრანოტი“. როგორც „ჰესბოლაჰის“ მოძრაობის ხელმძღვანელობა აცხადებს, ლიბანი სამხედრო მოქმედებების შეჩერებას არ აპირებს, მოითხოვს თავისი მეომრების ისრაელის ციხეებიდან გათავისუფლებას და ლიბანიდან ისრაელთა სრულ გაყვანას. ისრაელის პოლიტიკურ პარტიათა ლიდერების უმრავლესობა ხალხს მოუწოდებდა, ხელისუფლებას ყველამ მხარი უნდა დავუჭიროთო. პარტიის „ჩვენი სახლი ისრაელია“, მეთაურმა მოხსნა თავისი წინადადება არჩევნების ვადამდე ჩატარების შესახებ. ასე რომ, ხელისუფლებამ ტაიმ-აუტი აიღო.

***სეგოდნია №110***



# გასაცვლელი ტყვეები

„ხვალ მძევლის გათავისუფლებას დაესწრები,“ — ეს დაპირება ყველაზე დრამატული გამოდგა ჩემთვის ძიების ჯგუფის თანამშრომლებთან ერთად ჩეჩნეთში ყოფნისას (გვარების დასახელება აკრძალული მაქვს), სამი საათი ვმგზავრობთ მოზდოკიდან გუდერმესამდე, უნდა შევხვდეთ შუაკაცს, რომელიც დაკავშირებულია მათთან, ვისთანაც იმყოფება მძევალი. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, მისთვის სამხედრო ტყვე გვეწოდებინა, მაგრამ ოფიციალურად ომი არ მიმდინარეობს, ამიტომაც არც ტყვეები არსებობენ.

ჩემი ორივე თანამგზავრი სამხედროა. ერთი მათგანი 40 წლის „ავღანელი“ გენერალია, ვთქვათ, სერგეი. იგი ჩეჩნეთსაც კარგად იცნობს, ერთ სართულიან უფანჯრო შენობას მაჩვენებს — მოტაცებულები აქ ჰყავდათ ხოლმე. მასხადოვს შეუძლებელია ეს არ სცოდნოდა, აქ ერთმა ჩეჩენმა 1999 წლის ერთ დღეს 35 რუსულენოვანი ადამიანი დახვრიტა, — მეუბნება სერგეი. საჭეს მეორე სამხედრო ოფიცერი უზის, სერგეის ორი პისტოლეტი უჭირავს, თავისი და ოფიცრის. მე მიბრძანეს — თუ სროლა აგვიტეხეს, მაშინვე ჩაიცუცქე. „გათავისუფლებულ“ ჩეჩნეთში მგზავრობა სახიფათოა. გუდერმესში მთავრობის მაღალჩინოსან ჩეჩენს შევხვდით, შეზარხოშებულია, ამიტომ თავს ანგარიშს არ აძლევს, რას ლაპარაკობს ჟურნალისტ ქალთან. ომებს შორის ის რუსეთის მხარეს ეხმარებოდა ტყვეების გათავისუფლებაში, მერე თავად აიყვანეს მძევლად ჩეჩნებმა. „11 თვე ვიჯექი. რომ გამომიშვეს, არც ერთი კბილი აღარ მქონდა, წინა კბილები ბრტყელტუჩათი ამომაძრეს, ხმა რომ ამომეღო იქნებ თავი დაენებებინათ, შემრჩებოდა კბილები, მაგრამ სიამაყემ უფლება არ მომცა. ქალთან ვერ ვიტყვი, კიდევ რა მიქნეს“...

სერგეის სულაც არ უნდა მასთან საუბარი, მაგრამ ვატყობ, მთვრალ მოსაუბრეს მხოლოდ იმიტომ ალაპარაკებს, — იქნებ რაიმე დააცდენინოს რუს მძევლებზე.

რომ დამატყვევეს, ჩემი ცოლი გაგიჟდა, — აგრძელებს ჩეჩენი, მერე ჩემს თანამგზავრს ეკითხება, — ავღანეთში უარესი იყო, თუ აქ?

— აქ, — უხალისოდ პასუხობს სერგეი...

ძიების ჯგუფის მონაცემებით, ჩეჩნეთში 250-300 მძევალი მაინც უნდა იყოს. წინა ომიდან ცოცხლად დარჩენილი აღარავინ იქნება, — ამბობს სერგეი. ჩეჩნეთში დაკარგულთა ძიების ჯგუფი 1995 წელს შეიქმნა, პირველ ომში დაკარგულთაგან ჯგუფმა 1.869 ადამიანი გაათავისუფლა. ჯარისკაცების დედები ჩადიოდნენ ჩეჩნეთში, ზოგჯერ პოულობდნენ შვილებს, ხან მკვდრებს, ხან ცოცხლებს, ზოგჯერ თვითონაც მძევლები ხდებოდნენ... გროზნოში 1996 წელს შეიქმნა „პირველადი ამოცნობის ლაბორატორია“, რომელიც ცხედრებს ჩეჩნებად და სხვა ეროვნების წარმომადგენლებად ახარისხებდა. მათ ვაგონ-რეფრიჟერატორებით ამოსაცნობად როსტოვში, 124-ე ლაბორატორიაში გზავნიდნენ.

ახლა გროზნოს ლაბორატორიიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. ვაგონები საყინულედ აღარ გამოდგება, რადგან ქალაქს ელექტროობა აღარ აქვს და ისინი უკვე ეპიდემიის ბუდედ არის ქცეული, ცხედრების დამარხვას არავინ კისრულობს — ვაგონები როსტოვიდან არის ჩამოტანილი და მათ მიხედონო. ყველა ამ ცხედარს ჰყავს პატრონი, უკვე რამდენი წელია, ეძებენ ისინი შვილებს...

ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ არ წყდება ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ორი საიდუმლო ზონა არსებობს, სადაც 4-5 წლის წინ დატყვევებული ჩეჩნები ჰყავთ. რუს სამართალდამცავებს მიაჩნიათ, რომ ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ არანაირი აზრი არა აქვს...

გენერალი სერგეი მარწმუნებდა, სამხედრო მოსამსახურეებს ყოველგვარი გაცვლის გარეშე ვათავისუფლებთო, თუმცა შუაკაცი, რომელთან შესახვედრად გუდერმესში ჩავედით, პაემანზე არ მოვიდა. მოზდოკში დაბრუნებულებს ამბავი დაგვახვედრეს — გუდერმესის მახლობლად მძევალი აღმოვაჩინეთო. სერგეიმ მითხრა, — ხვალ გასათავისუფლებლად წავალთ, თუ დარჩები, თან წაგიყვანთო. აღარ დავრჩი, დაპირებისა აღარ მჯეროდა...

***მაშა გესენი***
***იტოგი №21***

# კრემლმა ევროსაბჭო ამხილა

მოსკოვში ცნობილი შეიქნა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპიკერს ლორდ რასელ-ჯონსტონს ჩეჩნეთის პრეზიდენტ ასლან მასხადოვთან ჰქონია კავშირი. კრემლისათვის სერგეი იასტრჟემბსკისგან მოწოდებული ეს ცნობა სიახლე აღმოჩნდა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა მოსკოვიდან რასელ-ჯონსტონისა და მასხადოვის საუბრის ასლი გამოითხოვა. „ფაქტზე დაჭერილმა“ ლორდმა უარყო გეგმის არსებობა ჩეჩნეთში კონტრრევოლუციური ოპერაციის შეწყვეტის მოლაპარაკებებზე იძულების შესახებ, რაშიც მას იასტრჟემბსკი დებს ბრალს. ამასთან, რასელ-ჯონსტონს არ დაუმალავს, რომ „პრეზიდენტ მასხადოვის თხოვნით, ესაუბრა მას 10 მაისს პარიზიდან, ტელეფონით. სრული უაზრობა იქნება, რომ ამას საიდუმლო მოლაპარაკებები უწოდო“. საერთოდ, ლორდი ირწმუნება, მასხადოვთან ურთიერთობა არასოდეს გამისაიდუმლოებია, ეს გოსდუმის სპიკერმა სელეზნიოვმაც იცოდაო. სხვათა შორის, სელეზნიოვმა ეს დაადასტურა კიდეც.

რისთვის დასჭირდათ პოლიშინელის საიდუმლოების (ყველასათვის ცნობილი საიდუმლო) გამოაშკარავება? ალბათ, იმიტომ, რომ სტრასბურგს ივნისის სესიის წინ აშკარად აგრძნობინონ, კრემლი თავისი პოზიციებიდან უკან დახევას არ აპირებსო. ამ მხრივ მეტად შთამბეჭდავია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის დემარში, რაც როგოზინმა ასე ახსნა: „ასამბლეის სესიას მანამ არ დავესწრებით, სანამ არ გადაისინჯება რეზოლუცია, რომელიც რუსეთის დელეგაციის უფლებებს ზღუდავს“. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ რუსეთის მხარის დემარში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოზიციის შეცვლას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ რუსეთის იზოლაციას.

***სეგოდნია №10***

# რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობა თბება

ფლორენციაში დასრულდა ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა სამიტი, რომელშიც მონაწილეობდა, აგრეთვე, ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოები. სხდომა პირველად ჩატარდა იუგოსლავიის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციის შემდეგ. ეს ნამდვილად ისტორიული შეხვედრა გახლდათ, რადგან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნატოში დაბრუნდა. (შეგახსენებთ, რომ გასული წლის 24 მარტს ნატოს წარმომადგენლები დაითხოვეს მოსკოვიდან), ეტყობა, მოსკოვსა და ბრიუსელს დაძაბული ურთიერთობის გამოსწორება სურთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ივანოვმა და გენერალ კვაშნინმა მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ რუსეთ-ნატოს ერთობლივ მუდმივი საბჭოს სხდომაში. მათ უგულებელჰყვეს სამიტის დანარჩენი მსვლელობა. ამის ერთ-ერთი ემოციური მიზეზი გახლავთ ის, რომ რუსეთს, როგორც ბირთვულ „დერჟავას“, მიაჩნია, რომ უფრო მაღალი სტატუსი უნდა ჰქონდეს. საერთოდ, როგორც ჩანს, რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომაზე დიდი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი: ნატოელები საყვედურს გამოთქვამენ „ჩეჩნების“ ფაქტორის გამო, რომელშიც როგორც ამბობენ, რუსეთი დიდი ხნით ჩაეფლო. თვით ნატოს ჯარები კი კოსოვოდან გასვლას, ჯერჯერობით, არ აპირებენ, მაგრამ რასაკვირველია, რევოლუციური მანევრირების გარეშე. ნატოელებმა რუს სტუმრებს იუგოსლავიის თავდაცვის მინისტრის სტუმრობაც გაუხსენეს. გენერალი აიდენიჩი ხომ ჰააგის ტრიბუნალმა სამხედრო დამნაშავედ ცნო.



ბოლოს ბრიუსელი მშვიდად შეხვდა პუტინის განცხადებას იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ალიანსის წევრი გახდეს. ნატოს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი და მადლენ ოლბრაითი დაელოდებიან, როდის დაიწყება რუსეთსა და ნატოს შორის თანამშრომლობის პროცესი.

***რუსული პრესიდან***

# მოკლედ

**მოსკოვში** 73 წლის ასაკში გარდაიცვალა თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი, მოსკოვის თეატრ „სოვრემენიკის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი ოლეგ ეფრემოვი.

ხანძარმა, რომელიც რამდენიმე დღე მძვინვარებდა, **ნიუ-მექსიკოს შტატში**, 400 სახლი შეიწირა, მათ შორის შენობა, სადაც იმყოფება ბირთვული გამოკვლევის ლაბორატორია — ამერიკული ატომური ბომბის სამშობლო.

ცნობილი გახდა, რომ **სირიის** მთავრობის მეთაურმა მაჰმუდ ზაუბიმ, რომელსაც კორუფციაში ადანაშაულებდნენ, სირცხვილს ვერ გაუძლო და საპატიმროში თავი მოიკლა. არსებობს ვერსია, რომ სირიის პრეზიდენტმა ასადმა ამ გზით მოიშორა თავისი ვაჟის პოტენციური პოლიტიკური კონკურენტი.

**ზიმბაბვეს** მთავრობამ კანონგარეშე გამოაცხადა თავისი ქვეყნის 86 ათასი მცხოვრები, რომლებთაც ბრიტანეთის პასპორტი აქვთ, მათ უახლოეს დროში უნდა დატოვონ ეს აფრიკული სახელმწიფო.

# ნეანდერტალელის საიდუმლო



გერმანელმა არქეოლოგებმა — იურგენ ტისენმა და როლფ შმიტცმა ნეანდერტალელის — მსოფლიოს უცნობილესი ჩონჩხის, კიდევ რამდენიმე ძვალი აღმოაჩინეს დიუსელდორფის ახლოს, ნეანდერის ველზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც 150 წლის წინ ნაპოვნი იქნა პირველყოფილი ადამიანის მსგავსი არსების 16 ფრაგმენტი. ცნობილია, რომ ადამიანის ჩონჩხი 200 ძვლისაგან შედგება. მეცნიერები დარწმუნებული იყვნენ, რომ ნეანდერტალელის დანარჩენ ნაშთებს მიწა მალავდა.

იურგენ ტისენმა და როლფ შმიტცმა, თხუთმეტწლიანი ძალისხმევის შედეგად, მიაგნეს დამშრალი მდინარის კალაპოტს, გამოქვაბულებს და უამრავ სამარხს. მათ აღმოაჩინეს 150 წლის წინ ნაპოვნი ნეანდერტალელის კიდევ ორი ძვალი. გათხრები გრძელდება და ამ აღმოჩენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოდგმისთვის, რათა გავაცნობიეროთ ჩვენი ისტორია და გავიგოთ, ვინა ვართ, საიდან მოვდივართ.

**ისმის კითხვა, — ვინ იყვნენ და როგორ ცხოვრობდნენ ნეანდერტალელები?**

მათ ჰქონდათ თმით დაფარული, დაკუნთული, ჩაფსკვნილი, ოდნავ მოხრილი სხეული, დაქანებული შუბლი, გრძელი კეფა, თავის ქალას კოლოფში მოთავსებული იყო მოზრდილი ტვინი.

ნეანდერტალელი 200.000 წელზე ბევრად მეტი ხნის წინ გამოჩნდა. იგი ევროპაში აფრიკიდან გადმოსახლებული Homo evectus-ისაგან გამრავლდა და აქაური გამყინვარების პერიოდისთვის შეგუების უნარით იყო დაჯილდოებული. კომპაქტური სხეული სითბოს ნაკლებად გასცემდა და ფართო, გრძელი ცხვირი მშრალ, ცივ ჰაერს იმ დონემდე ატენიანებდა, რომ მას ფილტვები არ დაეზიანებინა. მკვეთრად წინ წამოწეული ყბა და მაგარი კბილები მარტო ჭამისთვის კი არ სჭირდებოდა, მესამე ხელადაც იყენებდა. კბილებით მყარად ეჭირა ტყავი ან ჯოხი, რომელსაც იმწუთას ამუშავებდა.

ნეანდარტალელები მთელ შუა ევროპაში და უზბეკეთიდან ერაყამდე სახლობდნენ. ამას ადასტურებს ამ ტერიტორიებზე დღემდე აღმოჩენილი 300 ინდივიდის ძვლები. მკაცრ ზამთარს ადრეული ხანის დედამიწის ბინადარნი ატარებდნენ გამოქვაბულებში, ზაფხულში კი ტყავის კარვებში ცხოვრობდნენ. ისინი ნადირობდნენ ირმებზე, ველურ ცხენებზე, მარტორქებზე, დათვებზე, მამონტებზე. ნანადირევს ხის წამახული დანებით ჭრიდნენ, ძვლებისგან სამომხმარებლო საგნებს აკეთებდნენ.

ისინი იმარაგებდნენ სანოვაგეს. უვლიდნენ ავადმყოფებს, შეძლებისდაგვარად ქმნიდნენ მუსიკას, უკრავდნენ ძვლისაგან ნაკეთებ სტვირებზე. არსებობდა მიცვალებულის კულტი და დასაფლავების ცერემონიალი. არ არის ცნობილი, მეტყველებდნენ ისინი თუ არა. დავაა ატეხილი იმის თაობაზეც, იყვნენ თუ არა ნეანდერტალელები კანიბალები.

ამ ადამიანისმაგვარი სახეობის კვალი 30.000 წლის წინ დაიკარგა. რატომ გაქრა ნეანდერტალელი დედამიწიდან? მისი ადგილი თანამედროვე Homo sapiens-მა დაიკავა? ამის თაობაზე მეცნიერები დიდი ხანია, კამათობენ. არსებობს აზრი, რომ ნეანდერტალელები და Homo sapiens-ები დედამიწაზე ათეულ ათასობით წლის განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. მათ შორის გაუთავებელი ომის შედეგად ნეანდერტალელები ამოწყდნენ, თუ ისინი სხვა არსებათა ნადავლად იქცნენ? Homo sapiens-ს ჩონჩხი და კუნთები უფრო დახვეწილი ჰქონდა და, ამდენად, მოძრაობისას ნაკლებ ენერგიას ხარჯავდა. იგი შვილებზე უკეთ ზრუნავდა. ამის გამო ბავშვების სიკვდილიანობა ნაკლები იყო.

ეტყობა, Homo sapiens-ის გამრავლებამ ნეანდერტალელის გადაშენება გამოიწვია...

*შტერნი №18*

# ისინი სტუმრობის ღიროსაც ჭირვეულობენ

მოსკოვის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო **„გრანდ-მარიოტი“** მხოლოდ მსოფლიოს ცნობილ ადამიანებს მასპინძლობს. ერთ თვეში რუსეთის დედაქალაქს ბილ კლინტონი ესტუმრება. „მარიოტის“ საპრეზიდენტო აპარტემენტები 136 კვმ-ია, კაბინეტით და სასტუმრო დარბაზით, საწოლი ოთახებითა და სამზარეულოთი, აბაზანა-ჯაკუზებით, ტელეფონითა და საშხაპეებით... თუ მოისურვებს, გამათბობელ ჩუსტებსაც მიართმევენ აშშ-ის პრეზიდენტს. სტუმრებს უთუოდ მოეწონებათ კაკლის ხისგან დამზადებული ავეჯი და მარმარილოს ჭაღი. მთელი ეს სიამოვნება დღე-ღამეში 1.750 დოლარი ღირს.

ამ სამყოფელში გათვალისწინებულია სტუმრის ნებისმიერი ჭირვეულობა. სხვათა შორის, როგორც სასტუმროს თანამშრომლები აცხადებენ, მადლენ ოლბრაითი საკმაოდ თავშეკავებულად იქცევა ხოლმე, არც ალბერტ გორი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ბარაკი არღვევდნენ სიმშვიდეს, ერთადერთი — პაპარაცებისაგან თავდაცვას ითხოვდნენ. სტუმართა მრავალნაირი მოთხოვნა კომპიუტერში შეაქვთ. ეს გახლავთ საყვარელი სურნელი თუ ყვავილები, ბალიშების რაოდენობა, ანტიალერგიული საბანი თუ ვარდის ფურცლების ქვეშაგები.



**„რედისონ-სლავიანსკის“** საპრეზიდენტო აპარტამენტებში ვარდისფერი და მწვანე ფერები თვალს ამშვიდებს. აქ ნომრების ფართობი შედარებით მცირეა და, შესაბამისად, ფასიც ნაკლებია — 1.200 დოლარი დღე-ღამეში. ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ სასტუმროში ცხოვრებით ნაომი ქემფბელი, რომელიც თავის ბოიფრენდთან ერთად ეწვია მოსკოვს. ერთი დეტალიც: ნაომის სამყოფელი აავსო თაყვანისმცემლების მიერ გამოგზავნილმა თაიგულებმა, მათ შორის გამოირჩეოდა რუსეთის პრეზიდენტობის ექს-კანდიდატის უმარ ჯაბრაილოვის შავი ვარდები.

პოდიუმის შავკანიან დედოფალს ერთი ახირება დასჩემდა — შუაღამისას შავ ხიზილალას ითხოვდა...

სასტუმრო **„ბალჩუგ-კემპინსკიში“** (საიდანაც კარგად ჩანს კრემლი და წითელი მოედანი) ცხოვრება 1.900 დოლარი ღირს. აქ ფართო სასტუმრო დარბაზი და დიდი საწოლებია (2X2). ამ საწოლზე ნებივრობდნენ სინდი კროუფორდი, ჰელმუტ კოლი, მაიკლ ჯექსონი, დაიანა როსი... რასაკვირველია, სხვადასხვა დროს... აქ, ჯექსონის თხოვნით, საგანგებო ხის 3 მეტრიანი სცენა მოეწყო სარეპეტიციოდ.

მიკ ჯაგერს ყოველთვის თან ახლავს თავისი მზარეული. სამზარეულოდ გვერდით ნომერი გამოიყენებოდა.

ლუჩანო პავაროტის არსად გასვლა არ სურდა. კერძებს თვითონ იმზადებდა. ცნობილი ტენორი ორ აბაზანიან აპარტამენტში მოათავსეს, სადაც ერთი აბაზანა სამზარეულოდ გადააკეთეს (ესეც ხომ ჭირვეულობაა!).

ზოგიერთ სტუმარს სურს დროებით ბინა „მუზეუმში“ დაიდოს. ამისათვის შესანიშნავია **„მეტროპოლი“** და **„ნაციონალი“**. ორივე სასტუმრო XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურული ძეგლია, ისინი უამრავი ანტიკვარული და ოქროს ნივთებით, ფერწერული შედევრებითაა მორთული. ზოგიერთი ისეთი ძვირადღირებულია, რომ მიახლოებისას სიგნალიზაცია ირთვება ხოლმე.

„ნაციონალში“ მაიკლ ჯექსონს XVIII საუკუნის ლამპა მოუვიდა თვალში და მისი შეძენა მოინდომა. როკის მეფეს ვერაფრით შეაგნებინეს, რომ აქ არაფერი იყიდება, რომ ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნის.

„ნაციონალის“ 2.000 დოლარიან აპარტამენტებში ცხოვრობდნენ ჟაკ შირაკი, ხულიო იგლესიასი (200 მხლებლითურთ), ელტონ ჯონი (250 მომსახურე პერსონალით), პიერ კარდენი, სოფი ლორენი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ცნობილ პიროვნებებს საჩუქრებს უძღვნიან ხოლმე. ჟაკ-შირაკს, მაგალითად, მისი საყვარელი ბორდოსფერი ვარდებით მორთული საფირმო ტორტი მიართვეს.

სერგეი ესენინმა სწორედ „ნაციონალში“ აუხსნა სიყვარული აისედორა დუნკანს, აქ გაიცნო მსტისლავ როსტროპოვიჩმა გალინა ვიშნევსკაია.

1907 წელს ლენინი „ნაციონალის“ 107-ე ნომერში ცხოვრობდა და „მეტროპოლში“ მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდა.

ივნისში კლინტონი ესტუმრება მოსკოვს და ამერიკის პრესცენტრი სწორედ „ნაციონალში“ მოთავსდება.

კლინტონი მართლაც პომპეზურად ჩამოდის — თან 2 ათასი კაცი ჩამოყვება.

*პრავდა №85*

# ქალი სიყვარულისთვის ყველაფერს გაიღებს


გაი რიტჩი და მადონა

რას არ გაიგონებთ საქვეყნოდ ცნობილ ქალბატონებზე. მათ ხომ ბევრი უცნაურობაც სჭირთ და მოკვდავთა გვარადაც ნაკლებად იქცევიან. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ვარსკვლავი შინ, დიასახლისის როლში, რომელიც მორჩილად აკეთებს ნებისმიერ საოჯახო საქმეს? მაგრამ ხომ გაგიგონიათ, სიყვარულო, ძალსა შენსაო...

ლონდონის ჩელსის უბნის მცხოვრებნი გაკვირვებულნი შესცქერიან პოპ-ვარსკვლავ **მადონას,** რომელიც ყოველ დილით, უთენია რეცხავს ავტომანქანას. ეს დამოუკიდებელი, მოურჯულებელი, კაცებზე „მონადირე“ ქალი სახელოებაკაპიწებული ასე გულმოდგინედ განა თავისას, საყვარლის მანქანას აპრიალებს! ძვირფასი ადამიანის მომსახურება ვარსკვლავისთვის უკვე ჩვეულ საქმიანობად იქცა. იგი მას სიამოვნებით ურეცხავს საცვლებს და უმზადებს საყვარელ კერძებს. ამ დროს მისი სათაყვანებელი გაი რიტჩი წერს სცენარს, რომელშიც, რასაკვირელია, მთავარი როლი მადონასთვის არის განკუთვნილი. სარწმუნო წყაროების თანახმად, გაი და ლუიზა (მადონას ნამდვილი სახელია) ივნისში აპირებენ ჯვრის დაწერას. „დარწმუნებული ვარ, გაისთვის ცხოვრების კარგი თანამგზავრი ვიქნები. ბევრი გადავიტანე და ბევრი რამის ახლებურად შეფასება ვისწავლე“, — ამბობს მადონა.

**ვანესა პარადი** პაწია ლილი-როზის გაჩენის შემდეგ პარიზიდან თავისი შვილის მამასთან, ჯონი დეპთან გადასახლდა ლოს-ანჯელესში. ვანესა დიდი სიყვარულით ემსახურება საყვარელ ადამიანს. სიამოვნებისაგან ვდნები, როცა ჯონს აბაზანას ვუმზადებ, ბუტერბროდებს ვუკეთებ ან პერანგებს ვუუთოვებ. არაფერი შეედრება ამ გრძნობასო, — ამბობს მსახიობი.

მიუხედავად ამისა, მომღერალს რჩება დრო ახალი სიმღერების ჩასაწერად ინგლისურ ენაზე. იგი ამერიკაშიც აპირებს თავისი ბიზნესის წამოწყებას. ჯონი დეპი კი ჰოლივუდს ტოვებს და ევროპაში სურს სამუდამოდ გადასახლება. გასაგებიცაა, რატომ.

მსოფლიოს ულამაზესმა ქალმა, თოფმოდელმა **ლინდა ევანგელისტამ** თავისებურად „მოიწყო“ ცხოვრება. თავდავიწყებით შეუყვარდა ფრანგი ფეხბურთელი ფაბიენ ბარტეზი და ამ მელოტის გამო დატოვა ულამაზესი გარეგნობის მქონე მეუღლე — კარლ მაკლაჰლენი და მოდელის ბიზნესზე ხელის აღებასაც აპირებს, სადაც ზღაპრულ ჰონორარებს იღებდა. რით მოხიბლა ფაბიენმა პოდიუმის ქალღმერთი, ყველასთვის საიდუმლოებას წარმოადგენს. ასეა თუ ისე, ეს ჭირვეული ევანგელისტა მორჩილ კრავად გადაიქცა. ქალმა დატოვა სამშობლო, მეგობრები, მშობლები და ფაბიენთან ერთად პარიზის ბინაში განმარტოვდა. მოთმინებით ელოდება საყვარელი ადამიანის შინ დაბრუნებას, ფაბიენი კარს შემოაღებს თუ არა, უმალ თავისი ნახელავი ეგზოტიკური კერძებით უშლის სუფრას. ფაბიენს თავბრუს ახვევს კერძების სურნელი და მომხიბვლელი ცოლის საშინაო ხალათით (სწორედ ხალათით!) ხილვა...

ლინდა რეცხავს ჭურჭელს, დადის მაღაზიებში, იმატებს წონაში (რაც ადრე დაუშვებელი იყო) და ბედნიერია...

ვინ დაიჯერებს, რომ „ჭკუის კოლოფი“ **უაინონა რაიდერი** ერთ ბედნიერ დღეს დაიწყებდა მაღაზიებში სიარულს და ეგზოტიკური რეცეპტების ძებნაში დაკარგავდა დროს. მისი სამზარეულო აივსო აზიური, ტაიტური, ჩინური თუ ავსტრალიური რეცეპტების წიგნებით... და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მისი საქმრო, მეთ დეიმონი არაჩვეულებრივი კერძების დიდი მცოდნე და დიდი მოყვარულიცაა. უაინონა ხან ბაყაყის თათებს და ხან პილპილიან კრევეტებს მიართმევს ხოლმე. გაუგებარია, როდის სწავლობს სცენარის ტექსტს ან როგორ ასწრებს თავის მოვლას...

ცნობილი კინომსახიობი **როზინ საიტი** ყველაფერს გაიღებს თავისი საყვარელი ქმრის, შონ პენისთვის. მისთვის წინდების, პერანგების და საცვლების შეძენა ქალის საყვარელ საქმიანობად იქცა. იგი სიამოვნებით ურეცხავს და უუთოებს შონს ტანსაცმელს. რასაკვირველია, შემიძლია შინამოსამსახურეებს დავავალო, მაგრამ უცნობმა ქალმა ჩემი ქმრის საცვლებს ხელი რომ ახლოს, ეჭვიანობისგან შევიშლები... უმჯობესია, დავკარგო ამისთვის ერთი საათი. შონის ტანსაცმლის მოვლა მხოლოდ სიამოვნებას მანიჭებსო, — აცხადებს უსაზღვროდ შეყვარებული რობინი.

*მკ ბულვარი №20*

# შტირლიცი ხაზზე აღარ გამოვიდა...

შტანდარტენფიურერი შტირლიცი დიდი ხანია, საოცარი ცხოვრებით ცხოვრობს. ის რეალურ პირად იქცა. ამბობენ, იულიან სემიონოვის ფანტაზიით შექმნილი ფილმის თაყვანისმცემელთა შორის იყო ლეონიდ ბრეჟნევიც. ერთ-ერთი ჩვენების შემდეგ მას უკითხავს — შტირლიცს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ხომ მივანიჭეთო?


ვილი ლემანი

არსებობდა თუ არა სინამდვილეში ადამიანი, რომელმაც შეძლო, ჩასწვდომოდა მესამე რაიხის საიდუმლოს და ჰქონდა თუ არა მას ურთიერთობა ისეთ ცნობილ ნაცისტებთან, როგორებიც იყვნენ ბორმანი, კალტენბრუნერი, მიულერი?

ყველაფერი 1929 წლის სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო. მოსკოვში მოვიდა შეტყობინება, რომ ბერლინში ადგილობრივი რეზიდენტურა დაუკავშირდა ერთ ადამიანს, რომელსაც მნიშვნელოვანი ცნობების მოპოვება შეეძლო. მისი პირობითი გვარი იყო ბრაიტენბახი, წოდება ა/201. სინამდვილეში ის გახლდათ ვილი ლემანი.

ლემანმა სამხედრო-საზღვაო ფლოტში დაიწყო სამსახური. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღმოჩნდა ჰენრიხ მიულერის უწყებაში ფრიად პასუხსაგებ პოსტზე. 1939 წელს იგი დანიშნეს IV განყოფილების (გესტაპო) უფროსად, მიანიჭეს SS-ის ჰაუფტშტურმფიურერის წოდება.

მოსკოვში განუწყვეტლივ მოდიოდა ლემანის ცნობები გერმანიის სამხედრო მრეწველობის, გერმანული სამხედრო მანქანის შესახებ...

რამ აიძულა ვილი ლემანი, შეძლებული ოჯახის შვილი, სამსახური შეეთავაზებინა საბჭოთა დაზვერვისათვის? როგორც ჩანს, მას სძულდა ნაციზმი და სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი.

უკანასკნელი ცნობა ლემანისაგან 1941 წლის 19 ივნისს მიიღო მოსკოვმა — 22 ივნისს, დილის 3 საათზე, გერმანია იწყებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.


ვიაჩესლავ ტიხონოვი

სამწუხაროდ, ეს იყო მართლაც უკანასკნელი შეტყობინება. ომის დაწყების შემდეგ გერმანელების ზურგში შეგზავნეს საგანგებო აგენტი. მეკავშირე მიულერის ხალხმა ჩაიგდო ხელთ. მას აღმოაჩნდა ლემანის ტელეფონი.

ლემანის მეუღლის ცნობით, 1942 წლის დეკემბერში დილით ადრე ვილი სამსახურში გამოიძახეს, იქიდან ის აღარ დაბრუნებულა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ლემანი გესტაპოს სარდაფში დახვრიტეს.

*ოჩნაია სტავკა №5*

# ასე ფიქრობს ბესონი



„პარი მატჩში“ გამოქვეყნდა ტრადიციული ინტერვიუ კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარესთან. ამჟამად ეს საპატიო მისია ლუკ ბესონს ხვდა.

**— პრესასთან მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არ გაქვთ...**

— არ მიყვარს ინტერვიუები. როცა თანამოსაუბრეს ვიცნობ, ურთიერთობა უფრო მიადვილდება. რა ვქნა, მირჩევნია, უპირველესად ჩემი საქმე ვაკეთო კარგად და გამოვიჩინო თავი. ჟურნალისტებთან ბაასი მსახიობებს უკეთესად გამოსდით.

**—კრიტიკოსებთანაც კამათობთ ხოლმე?**

— არა. გადასაღებ მოედანზე სულ საკუთარ თავს ვუკირკიტებ, ეს კი განვითარებაში მეხმარება. კრიტიკას სულაც არ ვუყურებ ალმაცერად. მაგრამ სულ ძაგება რა ამბავია! ხანდახან ერთი-ორი თბილი სიტყვაც არ უნდა დაინანონ. ბევრი კრიტიკას თავის გამოსაჩენად იწყებს. ფილმის საქებრად ათიოდ სტრიქონს თუ გაიმეტებენ, სალანძღავად კი 6 გვერდს გააშანშალებენ ხოლმე. ფილმი სულ ორ საათს გრძელდება და ღირს კი, რომ კრიტიკოსმა ამდენი ენერგია დახარჯოს?

**— თქვენი კინემატოგრაფიული გემოვნება ჰგავს თქვენს ფილმებს?**

— სრულებითაც არა. ვიცი, როცა ფრანგმა პროდიუსერებმა შეიტყვეს, ჟიურის თავმჯდომარე კანში მე უნდა ვყოფილიყავი, ფესტივალში მონაწილეობაზე უარი თქვეს — დაფრთხნენ. ამაზე ნამდვილად მეცინება. მათ მხოლოდ საკუთარი თავისა ეშინიათ. რისი უნდა გეშინოდეს, თუ ფილმი გულწრფელია, კარგად გაკეთებული?.. მაგრამ ბევრი სურათი ყალბია და ვითომ ინტელექტუალური. ამიტომ რეჟისორები კარგად მოიქცნენ, რომ არ ჩამოვიდნენ. მე არანაირად არ ვასხვავებ პოპულარულსა და ინტელექტუალურს. ჩემი საყვარელი ფილმი კვლავ „ჯუნგლების წიგნია“, რაც ჩემი ნამუშევრებისგან ძალზე დაშორებულია...

**— ჟიურის თავმჯდომარედ რატომ აგირჩიეს, აღიარების ნიშნად?**

— არა მგონია. უბრალოდ, 2000 წელს ახალგაზრდა რეჟისორის თავმჯდომარეობა მოისურვეს, თორემ ჩემი წინამორბედების კოპოლას, კოკტოს, სკორსეზესა თუ ბერტოლუჩისგან ძალიან შორსა ვარ... სად ისინი და სად — მე!..

**— თქვენი პირველი ფესტივალი თუ გახსოვთ?**

— 18 წლის ვიყავი. ჯარში ვმსახურობდი. ჩემმა პოლკოვნიკმა იცოდა, რომ კინო მიზიდავდა და ერთკვირიანი შვებულება მომცა. კანში მატარებლით ჩავედი. უფასო ბილეთი მქონდა, მაგრამ მხოლოდ სამხედრო ფორმა უნდა მცმოდა. კანში ჩავედი თუ არა, სადგურის წინ, კაფეში, ფორმა გავიხადე და შემნახველ საკანში ჩავაბარე. გავძვერ-გამოვძვერი და რამდენიმე ფილმის ნახვა მოვახერხე. მოჯადოებული ვიყავი. ფესტივალში მონაწილეობა პირველად 1985 წელს მივიღე.

**— „ვირუსი“ როდის შეგეყარათ?**

— ჩემი აზრების გამოსახატავად კინო ავირჩიე, რადგან სხვა არაფერი ვიცოდი. კინო ხელოვნების ათჭიდია. ცოტ-ცოტა ყველაფრის ცოდნას მოითხოვს. თავდაპირველად, გადაღებებზე ყუთებს დავათრევდი და ვაკვირდებოდი, რა ხდებოდა. იმხანად სულ კინოში დავდიოდი, განურჩევლად ვუყურებდი კარგ და ცუდ ფილმებს, რადგან ცუდი ფილმი გასწავლის სუსტ მხარეებს, ცუდ თამაშს, ყალბ რიტმს.

რეჟისორისთვის კადრის შერჩევის გრძნობა იგივეა, რაც ტემბრი მომღერლისთვის. პავაროტის და სტინგს ხომ ვერ შეადარებ ერთმანეთს, მაგრამ ტემბრს აფასებენ სიძლიერის, ემოციურობის გამო. განა საოცარი არ არის, რა შედეგს იძლევა ხმის, ტექსტისა და მუსიკის ერთიანობა? ასევეა რეჟისურაშიც. სწორედ კადრია ცხოვრებისა და კიდევ სხვა რამეების მისეული ხედვის მანერა.

**— როგორ წერთ სცენარებს?**

— კაბინეტში განვმარტოვდები ხოლმე. მერე ვინმესთან ვამოწმებ. თუ რაიმე ძალიან მომწონს, მაგრამ სხვას გულგრილს ტოვებს, ე.ი. თავიდან უნდა დავწერო. როცა დარბაზში ვიღაც სწორედ იმ ადგილზე იცინის, რაზეც შენ იცინოდი 2-3 წლის წინ, სიხარული გეუფლება.

**— თაყვანისმცემლებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ფილმის ჩვენებისას მიყვარს მაყურებელთან საუბრის გაბმა, მაგრამ საშინლად არ მომწონს, როცა ქუჩაში ან რესტორანში მიწყებენ ლაპარაკს. წარმოიდგინეთ, 3-4 კაცი გიახლოვდება და მხარზე ხელს გიტყაპუნებს...

**— რა კრიტერიუმით არჩევთ მსახიობებს?**

— სანახევროდ მაინც უნდა ჰგავდნენ პერსონაჟებს. დანარჩენს მათი თამაში შეავსებს. დეპარდიეს ვერაფრით დავინახავ ნაპოლეონის როლში. ფიზიკური მსგავსებაც ხომ მნიშვნელოვანია. ასევე 25 წელზე უფროსი მსახიობები ჟანა დ,არკს ვერ ითამაშებენ.

**— ჟან-ლუკ გოდარი ამბობდა, რომ აუცილებელია რეჟისორისა და მსახიობი ქალის კავშირი. ამით ამართლებდა იმ ფაქტს, რომ ხშირად ჩაუვარდებოდა ხოლმე გულში „საკუთარი“ მსახიობები. თქვენ რას იტყვით?**

— გადასაღები მოედანი სიყვარულს ხელს უწყობს. მართლაც გრძნობათა ისეთი ძლიერი გაცვლა-გამოცვლა ხდება, რომ ყველაფერი შესაძლებელია. ეს ხშირია, მაგრამ არა — აუცილებელი. მეც შემიყვარდა ჟან რენო „ცისფერ უფსკრულსა“ და „ლეონში“ (იცინის).

**— ტელევიზიაში მუშაობა ხომ არ მოგინდომებიათ?**

— „ნიკიტა“ შემიკვეთეს, მაგრამ ძალზე მდარე საერიალი გამოვიდა. ფილმი ჯერ დიდ ეკრანზე უნდა გამოჩნდეს. პროფილის შეცვლას ჯერ არ ვფიქრობ.

***პარი მატჩი №26/60***

# ოქროს რტო აღმოსავლური ჰანგის თანხლებით

კანის 53-ე ფესტივალი აღმოსავლეთის კინოს სრული გამარჯვებით დასრულდა — პრიზების უმეტესობა აზიის ქვეყნებს ერგოთ. ფესტივალიც აღმოსავლური მუსიკის თანხლებით დაიხურა. ის ფაქტიც, რომ პრესაში გამოთქმული კრიტიკის მიუხედავად, ოქროს პალმის რტო ლარს ფონ ტრიერს ხვდა წილად მუსიკალური ფილმისათვის „მოცეკვავე ქალი სიბნელეში“, იმის დამადასტურებელია, რომ ფესტივალს ნამდვილად აღმოსავლური აქცენტი ჰქონდა.

წლევანდელი ფესტივალი იმითაც გამოირჩეოდა, რომ მასზე წარდგენილი ფილმები მასობრივი მაყურებლისთვის იყო განკუთვნილი. კანის ახლანდელმა კინოდათვალიერებამ წინ წამოსწია ახალი კინემატოგრაფი და დემონსტრაციულად აუარა გვერდი ევროპასა და ამერიკას. სხვათა შორის, ამერიკელებმა რამდენიმე საკმაოდ კარგი ფილმი წარმოადგინეს, მაგრამ ჟიურის ისინი არაფრით აღუნიშნავს. პრიზები არც ფრანგებს ხვდათ წილად. ფორმალურად, პ. ლუნგინის სურათს „ქორწილი“ ფრანგულ ფილმად მიიჩნევენ, მაგრამ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მასში რუსული სჭარბობს.

კანის ფესტივალის ფინალი ძალზე ნერვიული გამოდგა. ზოგიერთები ამას იმით ხსნიან, რომ წინა წლებთან შედარებით საკონკურსო ფილმებში სრულებით არ იყო სექსი. მეორე დამახასიათებელი ნიშანი, რომელმაც ფინალში პროსტრაციამდე მიიყვანა მაყურებლებიც და ჟურნალისტებიც, გახლდათ გრძელი, აკადემიური ან ავანგარდული სამსაათიანი ფილმების სიუხვე.

ერთ-ერთი მათგანი იაპონური „ევრიკა“ 4 საათსაც კი გაგრძელდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმაში, რომ ჰუმანიზმისათვის ფიპრესისა და ეკუმენური ჟიურის პრიზი მიეღო. ფესტივალის ჟიურიმ ლუკ ბესონის თავმჯდომარეობით, სპეციალური პრიზით დააჯილდოვა ჩინეთის წარმომადგენელი ძიან ვენი, სამხედრო დრამისთვის „ეშმაკისეული კარიბჭესთან“; საუკეთესო რეჟისურისთვის პრიზი დაიმსახურა ტაივანელმა ჩინელმა, ეპოსისათვის „ერთი და ორნი“. დაუჯილდოებელი არც ირანელები დარჩენილან. ოთარ იოსელიანმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ჟიურის „ოქროს კამერა“, კანის ისტორიაში პირველად გაყო პრიზი და რეჟისორდებიუტანტებს ჰასან იეკტაპანახს და ბაჰმან ჟობადის არგუნა, მათ სურათები კონკურსგარეშე უჩვენეს.



***წინა პლანზე: ბიორკი, კატრინ დენევი, ბენტ ფროგე, ლარს ფონ ტრიერი***

კონკურსის ფინალში დიდი ამბები ატყდა ლარს ფონ ტრიერის გარშემო. მისი მთავარი მეტოქე თითქოს ლივ ულმანი უნდა ყოფილიყო ფილმით „მოღალატე“, რომელიც თავად ბერგმანის სცენარითაა გადაღებული. როგორც ცნობილი გახდა, ულმანმა ვერაფერი მიიღო.

ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი მიიღო ისლანდიელმა მომღერალმა ბიორკმა ფილმში „სიბნელეში მოცეკვავე ქალი“. ამავე სურათში ერთ-ერთ როლს ასახიერებს კატრინ დენევიც. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი მიანიჭეს ტონი ლენგ ჩუი-ვაის ფილმში „სიყვარულის სურვილი“.

***ფრანგული პრესის მიხედვით***

# ბრავო, ბრიუს!



ბრიუს უილისმა დემი მურთან გაშორების უმალ თვალი დაადგა 33 წლის ესპანელ მარია ბრავოს. „კერკეტმა კაკალმა“, ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, იპოვა თავისი ერთადერთი საუნჯე. ასე რომ არ იყოს, არც სახლს შეარჩევდა, სადაც ესპანელ ლამაზმანთან ერთად აპირებს ცხოვრებას.

უილისი მარიას პირველად რესტორან „პლანეტა ჰოლივუდის“ გახსნაზე შეხვდა 1998 წლის ნოემბერში. ბრავო მაშინ ერთ-ერთი სააგენტოს ფოტომოდელი იყო. ეტყობა, პირველი ნახვისთანავე მოუვიდათ თვალში ერთმანეთი. ბრიუსმა კურორტ კოსტა დელ სოლში სახლი დაიქირავა. თუ ის და მარია ერთმანეთს შეეხმატკბილებიან, უილისი ამ სახლსა და მამულს 3,5 მილიონ დოლარად იყიდის. როგორც ამბობენ, ასეთი გადაწყვეტილება იმის მაჩვენებელია, რომ ბრიუსს მართლა სულითა და გულით უყვარს მშვენიერი ფოტომოდელი. მარია დაიბადა ესპანეთში. მამამისი ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო ციხეში სამჯერ იჯდა. 24 წლისა ცოლად გაჰყვა შვეულმფრენის პილოტს ჯონ პიერ გონიოს. 1998 წელს ცოლ-ქმარი დაშორდა. ბრავო ისევ ესპანეთში დაბრუნდა, სადაც ფოტომოდელად დაიწყო მუშაობა, შედეგ კი იმ სააგენტოში გადავიდა, რომელიც მაგარი ბიჭებისთვის საღამოებს აწყობდა.

უილისი და ბრავო ესპანეთის სანაპიროზე მდებარე სახლში გადასასვლელად ემზადებიან, თუმცა, როგორც ამბობენ, ბრიუსი ცოტა ფეხს ითრევს, რადგანაც ესპანეთი მას სამ შვილსა და ყოფილ მეუღლესთან ძალიან დააშორებს.

ჯერჯერობით, გაუგებარია, უილისი თავის ორ სანუკვარ ოცნებას ერთმანეთს როგორ შეუთავსებს: დარჩეს შვილების გვერდით და იცხოვროს მარია ბრავოსთან ერთად. ბრიუსის მეგობრები იფიცებიან, რომ უილისს ასე არავინ ჰყვარებია. დემი მური, ჯერჯერობით, დუმს და არაფერს ამბობს ყოფილი ქმრის გატაცების გამო.

***შტერნი №20***

# ანდრეა დელ ბოკას „ბერმუდის სამკუთხედი“



***ადრეა დელ ბოკა და გუსტავო ბერმუდესი***

***მაყურებელი დიდ ინტერესს იჩენს ტელესერიალის „შავი მარგალიტის“ მიმართ. მოკლედ მოგითხრობთ მთავარი როლის შემსრულებლებზე.***

## სამუშაო თუ ქორწილი?

სერიალების სამყარო ააფორიაქა გუსტავო ბერმუდესის გადაწყვეტილებამ, დაბრუნებოდა გადასაღებ მოედანს. ორწლიანი შესვენების შემდეგ მსახიობმა მოინდომა ტელენოველებში თამაში, მაგრამ ერთი პირობით — მისი პარტნიორი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ანდრეა დელ ბოკა. ახლა პროდიუსერები ცდილობენ ანდრეატას დაყოლიებას. მან განაცხადა, — სერიალი ჩემთვის უკვე გასული ეტაპიაო. ანდრეამ ნიუ-იორკში სარეჟისორო კურსები დაამთავრა და ბუენოს-აირესში ფილმების გადაღებას აპირებს. სულ რამდენიმე დღის წინ კი მსახიობმა განაცხადა, — ვთხოვდებიო, მაგრამ საქმროს ვინაობა არ გაუმხელია — „ცხოვრებაში იმდენი წინააღმდეგობა შემხვდა, რომ პანიკურად მეშინია დათარსვისა“— თავს იმართლებს მსახიობი. სიტუაცია მეტად პიკანტურია. თაფლობის თვე და კინოგადაღება — ნამდვილად შეუთავსებელია, მით უმეტეს, რომ ანდრეამ მწარე გაკვეთილი უკვე იწვნია: რამდენიმე წლის წინ იგი ცოლად უნდა გაჰყოლოდა ამერიკელ მულტიმილიონერ ჯეფრი საქსს. იმ ხანებში მიდიოდა გაცხოველებული გადაღება ფილმისა „ჩემი, მხოლოდ ჩემი“. ანდრეა ძლივს ახერხებდა ერთი-ორი დღით შტატებში, საქმროსთან გაფრენას. ამ სიტუაციამ ამერიკელ მილიონერს, რომელიც არ იყო ჩვეული, რომ მას რაღაც სამუშაოსთან იყოფოდნენ, სიყვარული გაუნელა. გულმოკლული ანდრეა ორი წელი ახლოსაც აღარ გაკარებია ტელესტუდიას, რომელმაც მისი ბედნიერება დაამსხვრია. მაგრამ რას იზამ, წარსულს ვეღარ დაიბრუნებს ადამიანი და ანდრეამაც, რომელსაც ოთხი წლის ასაკიდან ილებენ სერიალებში, მოინელა საქმროს ღალატი. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა, რომ სერიალების გარეშე თავს ნაპირზე ამოგდებულ თევზად გრძნობს. ამიტომ, შეიძლება ახალი როლი მისთვის ბედნიერება იყოს, მაგრამ დათანხმდება კი ბერმუდესთან კვლავ პარტნიორობას?

## გუსტავო ბერმუდესი — უმადური მატრაკვეცა

მათ ერთად ითამაშეს სერიალებში „სელესტა“, „ანტონელა“, „სელესტა, მხოლოდ სელესტა“. თუმცა ბერმუდესს ადრეც უთამაშია 5 სერიალში, მაგრამ წარმატება მას ანდრეა დელ ბოკასთან ნათამაშებმა როლებმა მოუტანა. ანდრეამ თავად შეარჩია პარტნიორი და მამამისმა, რეჟისორმა ნიკოლას დელ ბოკამ საყვარელ შვილს უარი არ უთხრა.

ჰამბურგერების ყოფილი გამყიდველი, ღატაკი ოჯახის შვილი გუსტავო, რომელიც ვარსკვლავად დელ ბოკას ოჯახმა აქცია, თითქოს სამუდამოდ მათი მადლიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოულოდნელად უარი განაცხადა ამ ოჯახური კლანის მიერ ჩაფიქრებულ მორიგ სერიალში თამაშზე, უფრო მეტიც, თავიდან რომ აეცდინა „გარჩევები“, ბერმუდესი ცოლთან ერთად ევროპაში სამოგზაუროდ გაემგზავრა. არავინ იცოდა, რა მოხდა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, ბერმუდესის ცოლმა ახადა საიდუმლოებას ფარდა — ის თურმე საშინლად ეჭვიანობდა ანდრეაზე და გაყრის მუქარით აიძულა ქმარი, უარი ეთქვა ფილმზე და ანდრეა დელ ბოკას ახლოსაც არ გაკარებოდა. „დიდხანს მეგონა, რომ ჩემს ქმარს ანდრეას მიმართ არავითარი გრძნობა არ გააჩნდა, ის შეყვარებულს მხოლოდ თამაშობდა. მაგრამ ერთ დღეს მივხვდი, რომ კიდევ ერთი ერთობლივი ფილმი და — მე მარტოხელა დედა ვიქნებოდი“, — გამოტყდა მერსედეს ბერმუდესი. კონკრეტულად რას გულისხმობდა იგი, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია — ბერმუდესი ცოლის გავლენის ქვეშ მოექცა და დელ ბოკას ოჯახს გაეცალა.

როგორც აღმოჩნდა, გუსტავომ ცოლს საქმით დაუმტკიცა სიყვარული და ერთგულება — შემოდგომაზე მათ მეორე შვილი შეეძინებათ.

## ბედის ირონია

ჭკვიან, ნიჭიერ, მდიდარ და სახელგანთქმულ ანდრეა დელ ბოკას სიყვარულში ბედი არ სწყალობს. უკვე 35 წლისაა და ჯერაც არ გათხოვილა, თუმცა ბოიფრენდების ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა.

ანდრეამ აღიარა, რომ 16 წლის ასაკში მისი პირველი მიჯნური იყო მსახიობი ლუისხოსე როდრიგესი, მაგრამ ამ სიყვარულის ნაპერწკალი ისე ჩაქრა, რომ მწველ ცეცხლად არ გადაქცეულა.

17 წლისას შეუყვარდა მომღერალი სელვესტრე. ნორჩმა ლედი-ვამპირმა მომღერალი ფეხმძიმე და ორშვილიან ცოლს წაართვა. ისინი ოთხი წელი ერთად იყვნენ, მაგრამ როცა სელვესტრემ კანონიერ ქორწინებასა და ბავშვის გაჩენაზე ჩამოუგდო სიტყვა, ანდრეამ იგი სასწრაფოდ მიატოვა. მას ვერც კი წარმოუდგენია ოჯახში ჩაკეტვა. შემდეგ პროდიუსერ რაულ ტორესთან ჰქონდა ურთიერთობა და ა.შ. მაგრამ ვარსკვლავის აღიარებით, ნამდვილად მხოლოდ ჯეფრი საქსი უყვარდა. თუმცა როგორც ამბობენ, მისი მილიონები უფრო მოსდიოდა თვალში.

## გაბრიელ კორადო — აუღებელი ციხესიმაგრე

ნუთუ, ანდრეას მართლაც არავინ ჰყვარებია? ამაში ნამდვილად შეგეპარებათ ეჭვი, მით უმეტეს, ანდრეას დას, ანაბელს, საუკეთესო კოსტიუმერს და სცენარისტის მეუღლეს, წამოსცდა: „ანდრეა ძალიან განიცდიდა ბერმუდესთან შემოქმედებით განხეთქილებას, მაგრამ სულ სხვა გრძნობა აკავშირებდა მეორე პარტნიორთან, ლურჯთვალა, მომხიბლავ გაბრიელ კორადოსთან, რომელიც მისი პარტნიორია ფილმში „შავი მარგალიტი“. კრიტიკაც და პუბლიკაც ამჩნევდა, რომ მსახიობები სინამდვილეშიც არ იყვნენ ერთმანეთის მიმართ გულგრილნი. თავად ანდრეას ყველაზე საყვარელი როლი პერლაა, ფილმში „შავი მარგალიტი“.

რას ფიქრობს გაბრიელ კორადო? არგენტინული ტელესერიალების ვარსკვლავის პარტნიორები არგენტინის ყველაზე სახელგანთქმული და ლამაზი ქალები იყვნენ. კორადომ გააცნობიერა, რომ ქალი ბევრია, ოჯახი კი ერთი და ცხოვრების სტილის შეცვლას არავის გულისთვის არ აპირებს. მას და მის ცოლს — კონსტანცას სამი შვილი ჰყავთ. კორადოს არაერთგზის უთქვამს — ძალზე ეჭვიანი ვარ და ვერ ავიტანდი, ეკრანზე სხვა მამაკაცთან მოალერსე ჩემ ცოლსო. მისი მეუღლე მარჯვე ბიზნესმენია!

ანდრეა დელ ბოკამ მშვენივრად იცის, რომ გაბრიელი მისი რჩეული არასოდეს გახდება და დაწყლულებულ გულს მასთან ერთად სერიალში თამაშით იოხებს.

ანდრეამ საშინლად განიცადა, როცა კორადომ უარი თქვა „მარგალიტი-2“-ში თამაშზე, რის გამოც ფილმი აღარ გადაიღეს. სამაგიეროდ, სიამოვნებით დათანხმდა ნორჩი ლამაზმანის, ფლორენცია რაგის პარტნიორობაზე ახალ ფილმში. ანდრეა ამ ამბავმა ისე გაანერვიულა, რომ ძალიან გახდა და კარგა დიდხანს ვერ დააღწია თავი დეპრესიას.

რამდენიმე ხნით ნიუ-იორკში სასწავლებლად ყოფნამ დაამშვიდა. იქნებ დაიწყოს კიდეც სერიალებში თამაში და საბოლოოდ გადაიყაროს გულიდან ნაღველი, რადგან გათხოვება გადაწყვიტა.

***ექსპრეს-გაზეთა №19***

## მე ვჭამ — მაშასადამე, ვაზროვნებ



დღემდე არავინ უკავშირებდა ერთმანეთს საკვების მიღებასა და გონებრივ განვითარებას. ფრანგმა ფილოსოფოსებმა ასეთი დაკავშირება რეალურად მიიჩნიეს. ლეონ ვისზნიამ და მისმა ფილოსოფიურმა საზოგადოებამ ფილომედმა, რომელიც 500 ფილოსოფოსს აერთიანებს მარსელში, საინტერესო ტესტირება ჩაატარეს. მათ რამდენიმე ათეული ადამიანი გამოიკვლიეს, ისინი ორ ჯგუფად დაყვეს. ორივე ჯგუფს ერთი და იგივე წიგნი მისცეს წასაკითხად. ერთი ჯგუფი „მშიერი" კითხულობდა, მეორე კი ნოყიერი სადილის შემდეგ. წიგნის წაკითხვის დამთავრებისას ორივე ჯგუფის წევრებს სთხოვეს, მოეთხროთ წაკითხულის შინაარსი. დანაყრებულმა ჯგუფმა უკეთესად გადმოსცა წაკითხული. „მშივრებს" კი ბევრი ძირითადი მომენტი გამორჩათ. როგორც ლეონ ვისზნია აცხადებს — ტესტირებამ კიდევ ერთ პოსტულატს დაუდო სათავე — „კარგად რომ იაზროვნო, კარგად უნდა იკვებო".

***ნიუზუიქ, 15 მაისი***


**ხალხური მედიცინა**

* „ნერვის ანთება";
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა"
* სახსრების დაავადებები.

**მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან!!!**

მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, ცოტნე დადიანის 87, კაბ. №11
☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97



**მიხეილ სუმბაძის განთქმული ნატურალური სამკურნალო საშუალება უტყუარი და სტაბილური შედეგით**

ღრძილების ელექსირი
მკურნალი სუმბაძე ®
მწვანე აფთიაქი „ციცანა"
იმკურნალეთ საუკეთესოთი

მცენარეული ნაყენი პირის ღრუს და სასუნთქი სისტემის დაავადების სამკურნალოდ (ნებ. №FT-0104)

◆ღრძილების ანთება ◆პარადონტოზი ◆გინგივიტი ◆პიორეა ◆სტომატიტი ◆ჩირქოვანი გლანდები ◆ბრონქების გაწმენდა ნახველისა და ნიკოტინის დანალექებისაგან ◆სურდოს,გრიპისა და ხველების დროს.
◆წამალი მოთავსებულია 0,5 და 0,33 ლ. მინის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 141 (9-18სთ.)
ილ. ჭავჭავაძის 54 (10-17სთ.) კვირის გარდა
ტელ: 877-41-86-16; 69-18-38 (საღამოს)



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

**ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე**

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



**SGS** – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
**SGS** – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
**SGS** – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
**SGS** – განკურნების მაქსიმალური გარანტია
**SGS** – აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"),
მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



**ექიმების, ბიოსამედიცინო დარგის მკვლევარების და მედიკოს სტუდენტების საყურადღებოდ**

საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

**ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრი**

***გთავაზობთ:***

- საინფორმაციო ძიებას ინტერნეტში, **Medline/OVID**-სა და **MDConsult**-ში - 3500 ჟურნალის თეზისები, 60 ჟურნალის - სრულტექსტური სტატიები!
- სტატიების 48 სთ-ში მიღებას აშშ უნივერსიტეტებიდან ელექტრონული პროგრამა "**Ariel**"-ის მეშვეობით;
- ინტერნეტში და **Medline**-ში მუშაობას ყველაზე დაბალი ფასებით (1სთ – 0,75 ლ);
- სამედიცინო თეზისებისა და სტატიების განთავსებას ინტერნეტში;
- მულტიმედიური (CD-ROM) სამედიცინო პროგრამებით სარგებლობას;
- 130-მდე უახლეს სახელმძღვანელოს და კაპლანის ტესტებს (ინგლისურ ენაზე);
- ინფორმაციებს კონგრესების, კონფერენციების, სიმპოზიუმების შესახებ;
- ორკვირეულ ქართულ-ინგლისურ „ინტერნეტის სამედიცინო დაიჯესტს";
- ელექტრონული ფოსტით (E-mail) სარგებლობას;
- სწრაფად შემსწავლელ კომპიუტერულ კლასებს სათანადო სერთიფიკატების გაცემით;
- ინტერნეტში სარეკლამო ფურცლების დამზადებას და **უფასოდ** განთავსებას ცენტრის ვებ-სერვერზე და საქართველოს ჯანდაცვის მონაცემთა ბაზაში;
- მომსახურების მოხერხებულ სააბონენტო სისტემას.

***ინტერნეტში და მედლაინში მუშაობის ყველაზე დაბალი ფასები!!!***

მომხმარებელთა მიღება: 12-16.30 სთ; კომპიუტერული კლასები: 16.30-18 და 18-19.30 სთ (წინასწარი ჩაწერა).

**მისამართი: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ.№51, II სართული**
**ტელ. 94-13-88, 94-13-86. ფაქსი: 94 13 91.**
***ელ-ფოსტა: nilc@nilc.org.ge ან hp@nilc.org.ge***
***http://www.nilc.org.ge***

MDConsult OVID — United States National Library of Medicine — Ariel


**შიდსის შესახებ**

# ცისფერი პლანეტის განუკურნებელი სენი შიდსი

**საუკუნის ყველაზე ვერაგ, უკურნებელ სენად წოდებული დაავადება — შიდსზე ბევრი მასალა წამიკითხავს. მაგრამ მთლიანი შთაბეჭდილება არ შემექმნა. გთხოვთ, შეძლებისდაგვარად და კვალიფიციურად ერთ სტატიაში გვითხრათ სათქმელი.**

***ლ.ზ. (ჩემსავით ალბათ ბევრს აინტერესებს)***

## ისტორიული ცნობები...

შიდსის ვირუსი 17 წლის წინ აღმოაჩინა ერთ-ერთმა პროფესორმა. ვირუსმა თავიდანვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. თუმცაღა, მაშინ საზოგადოებამ ახალი აღმოჩენა არაფრად ჩააგდო, იმედოვნებდა, დაავადება მხოლოდ მანკიერი ცხოვრების წესის მიმდევართა (ჰომოსექსუალისტები, მეძავები, ნარკომანები) ხვედრი იქნებოდა.

მაგრამ ამაოდ! სულ მალე მომაკვდინებელი სენის დიაგნოზი ამერიკის ერთ-ერთ ცნობილ სენატორს დაუდასტურდა. აი, სწორედ მაშინ გააცნობიერა კაცობრიობამ, რომ პლანეტას ახალი საშიშროება დაემუქრა, რომელიც მილიონობით ადამიანს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდა.

დღეს მსოფლიო მასშტაბით, 47 მლნ ადამიანია დასნებოვნებული, მათ შორის 3,5 მლ. ბავშვი. მსხვერპლთა რიცხვმა 16 მლნ-ს მიაღწია.

ჩვენში... შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში რეგისტრირებულია ინფიცირების 124 შემთხვევა, მათგან 22 გარდაიცვალა. იმ ვარაუდით, რომ 1 ინფიცირებულს დაახლოებით 16-18 ადამიანის დასნებოვნება შეუძლია, საქართველოში ინფიცირებულთა და დაავადებულთა რიცხვი სავარაუდოდ 2.000-მდეა.

## გადაცემის გზები...

შიდსი ინფექციური პათოლოგიაა. დაავადებით ყოველ წუთში 5 ადამიანი ინფიცირდება. დაინფიცირების აუცილებელი პირობა ვირუსის სისხლში მოხვედრაა.

გახსოვდეთ, ვირუსი გადაეცემა:

— შიდსის ვირუსით ინფიცირებულთან — სქესობრივი კონტაქტით;

— ინფიცირებული სისხლის ან მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილის გადასხმის, ორგანოთა გადანერგვის დროს;

— არასტერილური შპრიცის, ნემსის და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით.

— ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე მუცლადყოფნის პერიოდში, მშობიარობის და ძუძუთი კვების დროს.

ვირუსი არ გადაეცემა:

— ჰაერ-წვეთოვანი გზით და ნერწყვით. ამიტომ არ არის საშიში ინფიცირებულთან საუბარი. დაავადება არ გადადის დახველებით, დაცემინებით და კოცნით.

— საყოფაცხოვრებო და სოციალური კონტაქტით. არ არის საშიში დაავადებულის მიერ გამოყენებული ჭურჭელი, თეთრეული და ა.შ.

— შიდსი არ გადადის მწერებისა და ცხოველების საშუალებით.

სისხლში შეჭრილი ვირუსი პირველ რიგში ორგანიზმის დამცველ ე.წ. იმუნურ სისტემას აზიანებს. შედეგად ადამიანი პრაქტიკულად დაუცველი რჩება და ის შესაძლოა „ბანალური" ინფექციის (მაგ. გრიპის) მსხვერპლიც კი გახდეს.

მნიშვნელოვანია ტერმინების ინფიცირებულის და დაავადებულის განსხვავება. ინფიცირება ორგანიზმში ვირუსის მოხვედრის შედეგია.



დაავადება კი ვირუსის „საქმიანობის" გამოვლინება. პათოლოგიის სხვადასხვა ჩივილთა მანიფესტირებაა. ინფიცირებიდან დაავადებამდე (შიდსამდე) შუალედი 3-8 წლით შემოიფარგლება. დაავადების განვითარების შემდეგ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალზე ინდივიდუალურია.

გაფრთხილდით! ინფექცია ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე გადამდებია. ინფიცირებული ადამიანი ჯანმრთელად გამოიყურება, შესაძლოა, არც კი ეჭვობდეს დაავადების შესახებ და ამით საფრთხეს უქმნიდეს ახლობელ ადამიანებს. ინფიცირებიდან დაავადების სტადიაში გადასვლის ხელშემწყობი ფაქტორებია: თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, გენეტიკური განწყობა, თანდართული დაავადებები და ა.შ.

საინტერესოა! ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად და ადვილად ინფიცირდებიან, რაც მათი სასქესო ორგანოების აგებულების თავისებურებით აიხსნება.

ჰომოსექსუალისტები ათჯერ უფრო ხშირად ინფიცირდებიან: რადგან სწორი ნაწლავის გარსი თხელია და ამიტომაც, უფრო ადვილად ტრავმირებადი.

## ნიშნები, სიმპტომები...

დაავადების კლინიკა ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ ყველაზე ხშირად მას შემდეგი ახასიათებს:

— ლიმფური ჯირკვლების გადიდება;

— ტემპერატურის ხანგრძლივი და უმიზეზო მატება;

— წონაში უეცარი დაკლება 10%-ით და მეტი;

— გახანგრძლივებული ფილტვების ანთება, რომელიც მკურნალობას ძნელად ემორჩილება;

— ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამით.

— ხანგრძლივი ფაღარათი;

— ძლიერი სისუსტე;

## ინფიცირების დადგენა...

დიაგნოზის დასმა სპეციფიკური ლაბორატორიული გამოკვლევების გარეშე შეუძლებელია. ის დიაგნოსტიკა ყველაზე ხშირად სისხლში ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოვლინებით ხერხდება. ანტისხეულები ორგანიზმში ვირუსის შეჭრიდან მხოლოდ 6-8 კვირის შემდეგ ჩნდება, ამიტომაც გამოკვლევა შესაძლო ინფიცირებიდან სულ ცოტა, თვენახევრის შემდეგ უნდა ჩატარდეს.

## ეშმაკისეული კოქტეილი...

ბევრჯერ გავრცელდა ცნობა ვირუსის საწინააღმდეგო საოცარი ვაქცინის შექმნის შესახებ. მაგრამ ამაოდ! დღეს მსოფლიო მედიცინა რადიკალურ სამკურნალო საშუალებას არ ფლობს!

გამოკვლევები იმითაც რთულდება, რომ შეუძლებელია ცხოველების ექსპერიმენტულ მოდელად გამოყენება, როგორც ეს ყველა სხვა შემთხვევაშია მიღებული. ამიტომაც, ახალი პრეპარატის გამოყენება, მხოლოდ პაციენტებზე ხერხდება, რაღა თქმა უნდა, მათივე ნებართვით.

ბოლო ხანებში შექმნილი პრეპარატები შიდსის ფატალური მომაკვდინებელი დაავადებიდან ქრონიკულ, მართვად დაავადებად გარდაქმნას ახერხებს. ასეთი პრეპარატი სულ 12-ია, რომლთაგან კონკრეტულ შემთხვევაში 3 უნდა აირჩეს. ამ ტრიადას ეშმაკისეულ კოქტეილს უწოდებენ. მკურნალობა ძალზე დიდ თანხებს უკავშირდება (1 წელი 20-25 ათასი დოლარი).

***მაია მუხიგული***

# სიწყნარეს პანიკა გვირჩევნია

ბოლო ხანს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში და კერძოდ აჭარაში შიდსით დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად იზრდება. სამწუხაროდ, ოფიციალური მონაცემები რეალური მდგომარეობის ზუსტ სურათს ვერ გვაძლევს და შესაძლოა ჭორების შედეგად გამოწვეული პანიკაც საფუძველმოკლებულად არ ჩაითვალოს. გავრცელებული ხმების თანახმად, ბათუმში მცხოვრები (ჯერჯერობით, მისი ვინაობა დაუდგენელია) მოქალაქე, რომელიც შიდსით იყო დაავადებული, განზრახ ამყარებდა სქესობრივ კონტაქტს ქალებთან, ეწეოდა ნარკოტიკების მოხმარებას ინტრავენური გზით, ე.წ. „ზიარი" ჭურჭლიდან, ასნებოვნებდა იმ ადამიანებს, რომელბიც მასთან ერთად „კაიფობდნენ" და ბოლოს ბოროტი განზრახვის ასრულების ორიგინალური ხერხიც მოიგონა, ძმადნაფიცრობის რიტუალს ასრულებდა გაჭრილი თითითა და სისხლის ცხებით თითქმის თავის ყველა მეგობართან. როგორც ჭორი იუწყება, ეს ამბავი შიდსიანი „ტერორისტის" სიკვდილის შემდეგ გახმაურდა. დაავადებულ პირს სიცოცხლის ბოლო წუთებში ეს ამბავი არა მონანიების, არამედ უბრალოდ ფაქტის დაფიქსირების მიზნით მისი ერთ-ერთი ახლობლისთვის მოუყოლია. შესაძლოა, ეს მართლაც ჭორი ანდა ვინმეს ბოროტი ხუმრობა იყოს, ხალხში უამრავი ვერსია ვრცელდება. მიუხედავად სამართალდამცავი ორგანოების მხრიდანაც სიმართლის დადგენის მცდელობისა (თუმცა, ისინი ამ თემაზე საუბარს ერიდებიან) საფუძვლიანი ინფორმაცია არ მოიპოვება. ამ აჟიოტაჟის ფონზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის თანამშრომლებს.

— უმჯობესია პანიკა იყოს, ვიდრე მოდუნდეს მოსახლეობის ყურადღება. პანიკა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში გვეხმარება. მეთოდისტური საქმიანობის შედეგად შიდსის საწინააღმდეგო აქციების ჩატარების და ტელევიზიით სპეციალური გადაცემების შემდეგ ჩვენთან უამრავი ხალხი მოდის, განსაკუთრებით ახალგაზრდები, შიდსზე ანალიზის გასაკეთებლად. ბევრს აქ მოსვლამდე გაუთვითცნობიერებელი შიში აქვს. პასუხის მიღების ეშინია. არადა, დროული ინფორმირების შემთხვევაში მათი ჯანმრთელობის კორეგირებაც უფრო იოლი იქნება და მათი ახლობლების სიცოცხლესაც ნაკლებად დაემუქრება საფთხე.

***— უკანასკნელ ხანებში განსაკუთრბულ პანიკას იწვევს სტომატოლოგიური და გინეკოლოგიური ხელსაწყოებით დასნებოვნების საშიშროება. გარდა ამისა, საეჭვო გახდა სისხლის გადასხმის უსაფთხოებაც. რამდენად საფუძვლიანია ამგვარი შიში?***

— სტომატოლოგიური და გინეკოლოგიური ხელსაწყოებით დაინფიცირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შიდსიან პაციენტთან მათი გამოყენების შემდეგ არ მოხდება სტერილიზაცია. რაც შეეხება სისხლით დაინფიცირებას, ჩვენ გვყავს პაციენტი, რომელიც საზღვარგარეთ ოპერაციის გაკეთების დროს სისხლის გადასხმით დაინფიცირდა. ასეთი შემთხვევის ალბათობა მსოფლიო მასშტაბით არსებობს. თუმცა, ჩვენთან ფინანსური უსახსრობის მიუხედავად, სისხლის უსაფრთხოების პროგრამა საკმაოდ კარგად სრულდება. შიდსით დაავადების დასადგენი ერთადერთი გზაც სწორედ სისხლის ლაბორატორიული ანალიზია. შიდსზე გამოკვლევა ფასიანი გახდა და 12 ლარი ღირს. ბევრს ამის გადახდაც უჭირს. ისე იმ ხალხისა გვიკვირს, ნარკოტიკისთვის რომ მთელ საბადებელს გაყიდის და ჯანმრთელობისთვის 12 ლარი ენანება.

***— ბევრი პაციენტი გყავთ ნარკომანი?***

— ოფიციალურად რეგისტრირებულია 82 ინფიცირებული ნარკომანი. გამორიცხული არ არის დაავადებულმა ნარკომანმა, რომელიც წამლის გაკეთების სურვილით უამრავ დანაშაულს ჩადის, „კაიფის" მომენტის ხელიდან არ გაშვების მიზნით უახლოესი მეგობარიც არ დაინდოს და უამრავი ადამიანი გააუბედუროს. ერთი შიდსიანის უკან 20 პოტენციური ინფიცირებული შეიძლება მოვიაზროთ.

***— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ შიდსიანი ავადმყოფი შეგნებულად ასნებოვნებდა ადამიანებს?***

— ყოფილა ერთი გახმაურებული ფაქტი, როცა ინფიცირებული პირი გაფრთხილების გარეშე ამყარებდა სქესობრივ კონტაქტს მეძავებთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს დაავადება საკმაოდ ხშირია ჰომოსექსუალისტებში. ერთ-ერთმა მათგანმა შიდსით 70 კაცი დაასნებოვნა. მათ უკან კიდევ რამდენი დგას. უნდა ვიფიქროთ დაავადების აღმოფხვრაზე ოჯახის სიწმინდის დაცვით. შემთხვევითი სქესობრივი კავშირებისაგან თავშეკავებით უნდა ავირჩიოთ ცხოვრების ჯანსაღი წესი. სამწუხაროდ, ყველა ადამიანს, როგორც პოტენციურ ინფიცირებულს, ისე უნდა შევხედოთ და საკუთარი შეგნების ამაღლებით ვიბრძოლოთ გადარჩენისათვის.

***ეკა ლომიძე***

## — ქართველობა ხელის ცეცებით დავუწყებთ ერთმანეთს ძებნას...

მერაბი ასე ამბობდა...
მერაბი ასე იქცეოდა...
მერაბს ასე სჯეროდა...

ასე იხსენებენ კაცს, რომელიც ვაჟკაცობის, მეგობრობისა და გულითადობის ეტალონი იყო.

უცნაური დამთხვევაა: საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაიბადა საქართველოს ეროვნული გმირი — მერაბ კოსტავა. თითქოს ამ დღემ განსაზღვრა მისი შემდგომი მოწამებრივი გზა. მის ირგვლივ ყოველთვის მრავლად იყვნენ მეგობრები; მათ შორის იყო მერაბის მეზობელი და თანაკლასელი ზურაბ შაუთიძე. ბატონ ზურაბს მუდამ ჰქონდა სათქმელი და გასახსენებელი, მაგრამ იგი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, რადგან დღესაც ღრმად სწამს, დიდ სიყვარულსა და მეგობრობას ბევრი ლაპარაკი არ შეშვენის.

**ზურაბ შაუთიძე**: მე და მერაბი ერთ ეზოში ვცხოვრობდით, მე-7 ვაჟთა სკოლაშიც ერთად წავედით, მაგრამ ოლიკო დეიდამ მესამე კლასიდან სკოლაში გადაიყვანა. თუმცა მერაბმა პირველი წინააღმდეგობა სწორედ მაშინ გაუწია დედას და უთხრა: თუ ზურიკოც ჩემთან ერთად არ იქნება, ისე არ გადავალ ახალ სკოლაშიო. ასე გადავედით საშუალო სკოლაში, სადაც დაგვხვდნენ ზვიად გამსახურდია, გელა ჩარკვიანი, ვოვა სიხარულიძე, გურამ რცხილაძე და ბევრი დღეს უკვე ცნობილი პიროვნება. სკოლაში შატალოზეც ხშირად ვყოფილვართ, ვცელქობდით, ზოგჯერ რაღაცას ვაფუჭებდით (შემთხვევით მინას ჩავამტვრევდით ან მერხს გავტეხდით), ამ დროს ყოველთვის გელა ჩარკვიანი იღებდა თავის თავზე დანაშაულს, რადგან იგი მაშინდელი ცეკა-ს მდივნის შვილი იყო და ვიცოდით, მას მკაცრად არ დასჯიდნენ.

**— ბატონო ზურაბ, ამბობენ მერაბ კოსტავა მოსწავლეობიდანვე დისიდენტი იყოო. რას იტყვით, როდიდან გაემიჯნა საბჭოთა წყობას?**

— თვითონ მერაბს ხშირად უთქვამს, რომ ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახს, სადაც ხშირად სტუმრობდა ხოლმე. თუმცა ისიც ნათქვამია: „კვიცი გვარზე ხტისო“. მამამისიც და ბიძაც (გრიშა კოსტავა) პოლიტიკური სარჩულით იყვნენ გადასახლებულები. 1956 წელს მერაბი (მასთან ერთად ზვიადი, ჯონდო მეტრეველი, გურამ რცხილაძე და ვოვა სიხარულიძე) დააპატიმრეს. 4 თვის შემდეგ გაათავისუფლეს. სწორედ იმ პერიოდში დაბრუნდნენ გადასახლებიდან მერაბის მამა და ბიძა. ოჯახმა დიდი წვეულება გამართა. თამადად ბატონი აკაკი კვანტალიანი იყო. იგი კოსტავებს ასე ეხუმრებოდა: კაგებეს უნდა ვთხოვო, რომ ერთი იზოლირებული ოთახი გამოგიყოთ და იქ გამყოფოთ სამივე. ცალ-ცალკე ყოფნას ხომ ერთად ყოფნა გირჩევნიათო.

**— ვიცი, რომ მერაბს ხშირად ნახულობდით ციმბირში...**

— სადაც კი ყოფილა მერაბი, სულერთია ეს ციხე იყო თუ გადასახლება, ყველგან ვნახულობდი. დეიდა ოლიკოსაც მივყვებოდი შვილთან „შეხვედრებზე“. მერაბს ათი წელი აქვს მოხდილი ციმბირის საპატიმროებში. იგი 1977 წლის 7 აპრილს დააპატიმრეს და 1987 წლის 27 აპრილს გათავისუფლდა. ერთხელ, როცა ტაიშეტის (ციმბირი) რაიონის სოფელ კვიტოკში ჩავედი



მის მოსანახულებლად (ჩემთან ერთად ოლიკო დეიდაც იყო), შევამჩნიე, რომ მერაბს ფეხები ძლიერ დასიებოდა. გულზე შემომეყარა, მაგრამ დედამისის თანდასწრებით არაფერი ვკითხე. მერე, როცა მარტონი დავრჩით, გამოვკითხე ამის მიზეზი. თურმე, მერაბთან პატიმრად ყოფილა 80 წლის კაცი — ომის წლებში დაპატიმრებული, ვინმე ელიზბარაშვილი. მას ასაკის გამო, შეწყალება ეკუთვნოდა, მაგრამ არაფრით არ აძლევდნენ. მერაბს მის დასაცავად ხმა ამოუღია, რის გამოც 21 დღით კარცერში ჩაუსვამთ. იქ ბეტონის „საწოლი“ ყოფილა ყოველგვარი ლეიბისა და საბნის გარეშე. მასზე დაწოლა სიკვდილს ნიშნავდა. თავი რომ გადაერჩინა, მერაბი მთელი 7 დღე და ღამე მდგარა ფეხზე და შიმშილობა გამოუცხადებია. სწორედ, ამიტომ დაუსივდა ფეხები. მერვე დღეს შეუგდეს ორი „ადეალა“, მერაბმა მიზანს მაინც მიაღწია. ელიზბარაშვილი გაათავისუფლეს. დიდი ხნის მერე, როცა მერაბიც დაბრუნდა გადასახლებიდან, მეორე დღესვე მოინდომა მისი ნახვა. უზომოდ განიცადა, როცა იგი გარდაცვლილი დახვდა.. საერთოდ მერაბი ძალიან გულმოწყალე და მგრძნობიარე იყო.

**— თავის პირად გრძნობებზე თუ უთქვამს რამე?**

— მერაბი გარეგნობითაც და შინაგანადაც ძალიან მიმზიდველი იყო, კარგად უკრავდა, მღეროდა, მჭერმეტყველებდა, ამიტომაც ქალთა საზოგადოებაში მუდამ ცენტრში იყო. ნამდვილი გრძნობით მას თავისი მეუღლე რუსუდან ბერიძე უყვარდა. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და ეს მათი პირადი საკითხია, რომელშიც ცხვირის ჩაყოფის უფლება არავის აქვს. მეგობრულ ურთიერთობას მერაბი და რუსუდანი გაშორების მერეც ინარჩუნებდნენ, თუმცა ვატყობდი, მერაბი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა ცალ-ცალკე ყოფნას. რაც შეეხება მეორე ქალს — ლალი გიორგაძეს, რომელთანაც მერაბს თამარი ჰყავდა, იგი მისი ცოლი არასოდეს ყოფილა. ისინი ახლა (დედა-შვილი) ამერიკაში ცხოვრობენ. ბევრისგან გამიგონია, რომ თამარ ჩხეიძე იყო მისი მესამე ცოლიო. თავად მერაბისაგან მომისმენია, რომ „არანაირი“ ურთიერთობა არა მაქვს ამ ქალთან, გარდა პოლიტიკურისაო. მერაბს ტყუილი არასოდეს უთქვამს.

**— რას მეტყვით მერაბის ცხოვრების ბოლო დღეებზე?**

— ბოლო პერიოდში წერის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ სულ დანანებით აღნიშნავდა, რომ ამისთვის არც დრო ჰქონდა, არც ადგილი. მე შევთავაზე ჩემი აგარაკი ასურეთში: წამოვიღებ სასმელ-საჭმელს, თან დაისვენე, თან წერე რამდენიც გინდა, იქ არავინ არ შეგაწუხებს-მეთქი. დამეთანხმა. ერთხელაც, გავემზადეთ და ის-ის იყო ეზოდან მანქანით უნდა გავსულიყავით, რომ ოლიკო დეიდამ დაუძახა, ტელეფონთან გთხოვენო. შინ მობრუნებულმა მომიბოდიშა: თამრიკომ დამირეკა, სასწრაფოდ ქუთაისში უნდა წავიდეთო. იქიდან რომ ჩამოვალ, „ჩავჯდები“ შენს აგარაკზეო. ათი წუთით ადრე რომ გამოვსულიყავით, ის საბედისწერო ზარი ასცდებოდა, მაგრამ ბედისწერაც გამორჩეულ ადამიანებს სულ არ ინდობს.

**— მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, რა „როლს“ შეასრულებდა იგი დღეს?**

— მერაბის ნატვრა იყო საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. თავისუფალ საქართველოში კი მისი სურვილი ამით იფარგლებოდა: საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმთან ახლოს ვიყიდი ნაკვეთს, ავაშენებ პატარა სახლს და სოფლის სკოლაში ვასწავლი ბავშვებსო.

**— ნუთუ იმ არეულობის დროსაც იგივე სურვილი ექნებოდა?**

— რა თქმა უნდა, არა! გაცილებით ადრე მერაბმა თქვა: თუ არ გავერთიანდებით, განგება ისეთ რამეს მოგვიწყობს, რომ ქართველობა ხელის ცეცებით დავუწყებთ ერთმანეთს ძებნასო. გამართლდა მისი სიტყვები. დღეს საქართველო გათითოკაცებულია, მაგრამ მაინც მჯერა, მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ერის გახლეჩა არ მოხდებოდა. მერაბს ისეთი ღირსეული თვისებები ჰქონდა, რომ მისი მომდურავი არავინ იყო, მოშურნე ალბათ ჰყავდა, მაგრამ იმდენად ვაჟკაცური და მართალი პიროვნება გახლდათ, რომ მტერი ნამდვილად არ ჰყოლია.

**— დაბოლოს, მოკლედ — ვინ იყო მერაბ კოსტავა?**

— მერაბ კოსტავა ერის ღირსეული შვილი იყო, კაცი-ლეგენდა, რომელმაც სამშობლოს შესწირა თავისი ოჯახი, კარიერა და სიცოცხლე. მას ერთი დღეც არ დაუღამებია საქართველოზე ფიქრის გარეშე. ზვიადი სიყრმის მეგობარს ასე ახასიათებდა: „ლექსი მისი საქართველოს გოლიათი ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს. ენა ძარღვიანი — ძველ ქართულს ნაზიარები. პოეტური ნეოლოგიზმები თამამი, რითმათა სამყარო უჩვეულო, რიტმი ძლიერი და დაძაბული, როგორც მისი სახის კუნთები. ო, ამ მრისხანე გამოხედვის ქვეშ რა ჩვილი გული იმალებოდა, რა თანაგრძნობა მოყვასისადმი, ყოველი დევნილისადმი და ჩაგრულისადმი“.

შავლეგოს სახელით დამკვიდრდა საქართველოს მატიანეში.

***მარინა ბაბუნაშვილი***

## — მოღალატე უნდა იყო, ეს ქვეყანა რომ დატოვო

„კვირის პალიტრის“ დღევანდელი რესპონდენტი ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება, სცნობოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი — ნოე ჟორდანია. მამია ბერიშვილი საქართველოში ლევილიდან (საფრანგეთიდან) დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩამოვიდა. იგი ნოე რამიშვილის დისშვილი გახლავთ და თავისი ცხოვრების ტრაგიზმზე თავადვე გვესაუბრება. ჭაღარა, კეთილშობილური გამომეტყველების, მშვიდად მოუბარი ბატონი მამია ერთი შეხედვით არც ჰგავს ამდენ ქარცეცხლგამოვლილს. მონოლოგში მას ხანდახან თუ აუკანკალდება ხმა და თვალთან ცრემლი გაუბრწყინდება.

### ოჯახი და ბავშვობა

14 წლის ვიყავი, ჩეკამ რომ დამაპატიმრა. 19 თვე გავატარე საპყრობილეში. ჩემი ძმა — ბიკენტი არალეგალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა და მიტინგებსაც აწყობდა. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლის შემდეგ ოჯახის ყველა წევრი დაგვაპატიმრეს. 12 დედმამიშვილიდან მე ნაბოლარა ვიყავი. როცა დაგვაპატიმრეს, პოლიტიკური განყოფილების უფროსი ჩეკაში ქობულოვი იყო. იმან დამკითხა. დაკითხვისას სასტიკად მცემეს, ხერხემალში დაჭედილი ჩექმებით მირტყამდნენ. ნეკნები ჩამიმტვრიეს და ტკივილები დღესაც მახსენებს თავს. იქიდან გამოსულმა სკოლა ექსტერნად დავამთავრე და უფაში წავედი, მედიცინას დავეუფლე. 1934 წელი იყო. 4 წლის შემდეგ თბილისში დავბრუნდი — დედას ხათრი ვერ გავუტეხე: სულ მეხვეწებოდა — მენატრები და აქ იყავიო.

ჩვენი გვარი ძალზე ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა. ოჯახის 56 წევრი რეპრესიებს შეეწირა. 22-ის საფლავი არ ვიცით. დედაჩემი — მართა რამიშვილი 82 წლისა იყო, რომ გადაასახლეს: 1949 წელს ბათუმში არალეგალური ორგანიზაცია შეიქმნა. დამსმენები ყოველთვის იყვნენ... ბევრს იჭერდნენ და ხვრეტდნენ. ნოე ჟორდანიამ საფრანგეთიდან გამომიშვა და დამაბარა, ამდენი ხალხის შეწირვას, სჯობს, მოძრაობა შეაჩერონო. თურქეთიდან არალეგალურად გადმოვედი ბათუმში. ვიღაცამ დამასმინა, და დედაჩემიც ამიტომ დაიჭირეს. გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. არც მისი საფლავი ვიცი. ასევე დაიჭირეს ჩემი დაც, რომელიც ჩეკისტმა რუხაძემ ხელით დაახრჩო. (მერე რუხაძე და ქობულოვიც დახვრიტეს). მამაჩემმა — პირველი გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, წამლისთვის ფარმაცევტს მიაკითხა. იმანაც მისცა წამალი, რომელშიც ვერცხლისწყალი იყო გარეული. ამ მალამომ ცოცხლად დაალპო კაცი. მოწამლეს.

სამი სახლი გვქონდა თბილისში. ერთი, პლეხანოვზე — მამაჩემს ოქროს ფულით ჰქონდა ნაყიდი. მერე ბოლშევიკები მოვიდნენ და ყველაფერი წაგვართვეს. ახლა რომ ზოოპარკის წინ მარმარილოს ლომები დგას, ჩვენი სახლის წინ იდგა. ორი სახლი გვქონდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდ სურებში. საძოვარზე ჩვენი საქონელიც გვყავდა. ბავშვობაში მეჯოგეებმა სულგუნის გაკეთება მასწავლეს. საფრანგეთში რომ ვიყავი, ეს ცოდნა გამოვიყენე და თავს ამით ვირჩენდი.

### შეხვედრები ნოე ჟორდანიასთან

„როცა ომი დაიწყო, ჯარში არ წამიყვანეს — არასანდო ოჯახის შვილიაო. მერე, როცა ძალიან დასჭირდათ ჯარისკაცები, მეც გამიწვიეს. ჩამსვეს გემში და პირდაპირ სევასტოპოლში წავედი დესანტად. იქ ტყვედ ჩავვარდი, ებრაელების საკონცეტრაციო ბანაკში მოვხვდი, სადაც ებრაელებს ცოცხლად წვავდნენ.

ებრაელების ბანაკში 6 თვე დავყავი. შემდეგ პოლიტიკურებთან გადამიყვანეს — ორანიენბურგში, ბერლინიდან 32კმ-ია. იქ ჩემთან ერთად ისხდნენ სტალინისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის შვილები. ჩემი აქ ყოფნა გაუგია ნოე ჟორდანიას პარიზში. მან დაავალა მიშა კედიას, რომ ვენახე და მასთან ჩავეყვანე (კედიას კარგი ურთიერთობა ჰქონდა გერმანიასთან და მისი რეკომენდაციით გამათავისუფლეს). საფრანგეთში ჩავედი 1943 წლის 31 მაისს. 26 წლის ვიყავი, როცა ნოე ჟორდანიას პირველად შევხვდი. რატომღაც მასზე კარგი შთაბეჭდილება დავტოვე. მისი მარჯვენა ხელი გავხდი. მე ჩამაბარა პირადი არქივიც — შენ კარგად მოუვლიო.

ბიძაჩემი ნოე რამიშვილი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. პარიზში ძალიან გამიჭირდა. სხვა ქართველებსაც უჭირდათ. ამიტომ, იძულებული ვიყავი, შენობები დამესუფთავებინა, ნაგრევებისგან ქუჩები გამეწმინდა. 1945 წელს მოხალისედ ჩავეწერე ფრანგულ ჯარში, იმავდროულად, მუშაობა დავიწყე საფრანგეთში ინდოეთის საელჩოს „ემბასატორად“— თავზე ინდური ქუდი მეხურა და სტუმრების მიღება-გაცილება, ელჩისთვის მათი ვინაობის მოხსენება მევალებოდა. აქედან სამუშაოდ გადავედი ლევილის ფარმაცევტულ ლაბორატორიაში. 27 წელი ვიმუშავე იქ და რამდენიმე ახალი პრეპარატიც გამოვიგონე. მე რომ იმ წამლების პატენტი ამეღო, მილიონერი გავხდებოდი, მაგრამ სად მქონდა საშუალება?! ლაბორატორია მადამ ლაროშ ნავაროს საკუთრება იყო, მე მისი დაქირავებული ვიყავი და ის შოულობდა ფულს. ჰო, მართლა, ზემოთ მეჯოგეებისგან მიღებული ცოდნა ვახსენე: პარიზის ერთი მერძევისაგან ყოველდღე 2 ბიდონ რძეს ვყიდულობდი და სულგუნს ვაკეთებდი. ძალიან კარგი გამომდიოდა, გიჟდებოდნენ ჩემი კლიენტები. მერე სულგუნი რომ შევწვი და გავასინჯე, სულ გადაირივნენ

### როგორი იყო ნოე ჟორდანია?!

ძალიან შორსმჭვრეტელი კაცი იყო ნოე. რუსეთ-იაპონიის ომი რომ იყო, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი იაპონიას უჭერდა მხარს. ნოეს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატები ნეიტრალურ პოზიციაზე დაეყენებინა. ნოეს სწამდა, რომ ბოლშევიკები აუცილებლად დაემხობოდნენ. ძალიან სიტყვაძუნწი კაცი იყო. 1953 წელს ლევილში ბოლო, არალეგალური ლიტერატურა მივიღეთ საქართველოდან. ერთი თურქი გიდი ასრულებდა ამ ფუნქციას. მახსოვს, ამ ლიტერატურას ნოე ლევილის ბაღში გაიტანდა და იქ კითხულობდა.

ფიზიკურად ხმელი, ჭაღარა კაცი იყო. წელგამართული და მხრებგაშლილი დადიოდა. ყოველთვის თან ჰქონდა მოვერცხლილი ხელჯოხი. ფილტვების ანთებას რომ არ ემსხვერპლა, სხვა სასიკვდილო არა სჭირდა რა. იყო ძალიან მოკრძალებული გურმანი. უყვარდა მჭადი, ღომი, ხმელი ყველი და პრასი. ერთი დარიგება უყვარდა ძალიან: სულ მეუბნებოდა, ტოლთან ტოლი იყავი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარაო. არც ძალიან თავმდაბლობა გარგებს და ამპარტავნობა ხომ სულ დაგღუპავსო.

ძალიან კარგი ადამიანი იყო მისი ცოლი, რომელიც ნოეზე მოგონებებს წერდა. სამწუხაროდ, ეს მოგონებანი ყოვლად გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. ასევე დაიკარგა ნოეს ქუდი და პიჯაკი. ეს კიდევ არაფერი: დაიკარგა პირველი ქართული სახელმწიფოს ბეჭედიც, რომელიც ნოეს სახლში ინახებოდა. იქ ბევრი ხალხი დადიოდა, ზოგი ადგილობრივი, ზოგი — ჩამოსული; რა ვიცი, რომელმა წაიღო?! რაც შეეხება ხელჯოხს, ის ნოემ სიკვდილის წინ მე დამიტოვა. ასევე, ვინახავ კონსტანტინე კანდელაკის, აკაკი ჩხენკელის და ევგენი გეგეჭკორის ხელჯოხებს. ნოეს სიკვდილის შემდეგ მისი პირადი არქივი — 200კგ-ის ხელნაწერები, ნივთები და ა.შ. საქართველოს გადავეცი.

### ლევილი — პატარა საქართველო

„იგი სოციალ-დემოკრატებმა საქართველოდან წამოღებული ფულით იყიდეს. მისი ნასყიდობის ფურცელს ხელი მოაწერეს რამიშვილმა, ჟორდანიამ, ჩხენკელმა, გეგეჭკორმა, კანდელაკმა და კიდევ ორმა წარმომადგენელმა. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ შვიდივენი ვალდებულნი არიან, თითოეულმა საქართველოს გადაუხადოს 150 ათასი ფრანკი. ეს ფურცელი ახლა არქივში ინახება, მაგრამ გავიდა დრო... საფრანგეთის ხელმძღვანელობამ შეიძლება ლევილის რეკვიზიცია მოახდინოს და ბინები ჩამოგვართვას.



მამია ბერიშვილი

იქნებ მოინახოს გზა, რომ ლევილი — შვიდჰექტარიანი, პატარა საქართველო, ისევ ქართველებს დარჩეთ. ახლა იქ ცხოვრობენ დათაშვილები, გორდელაძეები, ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის შვილები, შვილიშვილები, მიშა წერეთლის ქვრივი და სხვები.

### პირადი ცხოვრება

მყავდა დიდებული, ბრწყინვალე მეუღლე, კრისტიან ლეკრერი-ბერიშვილი. ძალიან მიყვარდა. 1992 წელს სიმსივნით გარდამეცვალა. მყავს ერთი შვილი — ტიერი, რომელიც სარეკლამო-სამხატვრო სტუდიის ხელმძღვანელია. ტიერს ჰყავს ორი შვილი. სამწუხაროდ, ტიერმა ქართული არ იცის, არ გვეცალა მისთვის. სხვათა შორის, ტიერი პარიზში არ დაბადებულა, სტამბულში დაიბადა. იმ დროს საქართველოში ვაპირებდი გადასვლას და თურქეთში ვიმყოფებოდი.

პენსიაში რომ გავედით, მე და კრისტიანი ხშირად სამოგზაუროდ დავდიოდით. შემოვიარეთ იტალია, პორტუგალია, მაგრამ კრისტიანს საქართველო განსაკუთრებულად უყვარდა. ერთხელ, ძმის ორმოცზე ჩამოვედი და კრისტიანი ჩოხატაურში წავიყვანე. სურებისკენ რომ მიდიხარ, ჯერ გაშლილი მდელოა, აქეთ სუფსა მოჩხრიალებს, მერე გორები იწყება. უყურა კრისტიანმა იმ მთებს და მითხრა, მოღალატე უნდა იყო, რომ ეს ქვეყანა დატოვოო. ძმის დასაფლავება ვახსენე და ერთ ამბავსაც მოგიყვებით: მაშინ ჩამოსვლა გუმბარიძისთვის უნდა შემეთანხმებინა. არ მომცეს ნება და მეც ვერ დავესწარი ძმის დასაფლავებას. გადის რამდენიმე დღე და გუმბარიძისგან ორმოცზე დასასწრებად თანხმობა მივიღე. სიხარულით ვტიროდი...

შევარდნაძემ საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება რომ მომცა, ქალაქ თბილისის მერს — შოშიტაიშვილს დაავალა ჩემი ბინით უზრუნველყოფა. შოშიტაიშვილიც შემპირდა, ნაკვეთიც მომიზომეს. მერე ის გაათავისუფლეს მერობიდან, შევარდნაძეს კი დანაპირები ალბათ აღარც ახსოვს.

ახლა ერთი ოცნება მაქვს — როგორმე საქართველოში გადმოვსახლდე. მინდა, აქ გადმოვასვენო ჩემი მეუღლეც. ოღონდ სასაფლაოზე დაკრძალვა არ მინდა: ჩემთვის და კრისტიანისთვის პატარა გორას ავარჩევ. ისეთ მწვანეს და ხასხასას, სურებში ყოფნისას რომ მოეწონა. სასაფლაოზე ერთი ჭადრის ხეს დავრგავ — სულ ესაა...“.

### როგორ მოკლეს ლავრენტი ბერია?!

ამას პირველად ვამბობ ახლა: ხრუშჩოვის მმართველობის დროს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — პერო მოსკოვში ჩავიდა. ევგენი გეეგჭკორი ძალიან დაახლოებული იყო პეროსთან. ყველას გვაინტერესებდა, როგორ მოკლეს ბერია. მასზე ათასი ხმა დადიოდა. პერო შეპირდა გეგეჭკორს, რომ ჰკითხავდა ხრუშჩოვს ბერიას შესახებ. უკითხავს კიდეც — მართლა დახვრიტეთო. ხრუშჩოვს გასცინებია და უთქვამს: კი არ დავხვრიტეთ, მე, მიქოიანმა და ჟუკოვმა სავარძელში დავახრჩვეთო. ჯერ ბერია გერმანიაში გავიტყუეთ, ვითომ რაღაც დავალება მივეცით. ამასობაში ჩვენ აქ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ მოგვეშორებინა.

### რაზე ვწუხვარ?!

ძალიან მაწუხებს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. ხალხი საზღვარგარეთ გარბის თურმე. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი რომ მშობლიურ ქვეყანაში არ ცხოვრობს, ის ქვეყანა დიდხანს ფეხზე ვერ წამოდგება. სტალინი ხელისგულისოდენა პურს გვაძლევდა და ისიც ტალახივით შავი იყო, მაგრამ ყანას ვთოხნიდით და თავი გაგვქონდა.

ამდენი წელია, დამოუკიდებლები ვართ, მდგომარეობა კი არა და არ იძვრის ადგილიდან. აქ დაბრუნება უზომოდ მინდა, მაგრამ არ მინდა, ამდენ გაჭირვებულ ხალხს ვუყურო. მე საქართველოდან სიკვდილის შიშს გავექეცი და ახლა მაინც აქ ვბრუნდები, რათა სიკვდილს შევეგებო, თორემ ეკონომიკური გაჭირვება როგორ შემაშინებდა?! თანაც, სისხლი სიბერეში სხვანაირად ჰყივის.

***ქეთი ბერეკაშვილი***




*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.
თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

# თბილისის „დინამო“ შსს თუ შპს?!

წელს, 25 აპრილს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის დაარსებიდან 75 წელი შესრულდა.

საიუბილეო თარიღი არავის, მათ შორის, არც პრესას და არც ფეხბურთის ფედერაციას არ გახსენებია, ყოველ შემთხვევაში საგანგებოდ არავის აღუნიშნავს.

ჩვენთან საუბარში საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, შოთა გორგოძემ სინანულით აღნიშნა ეს ამბავი, მაგრამ იქვე დასძინა, — ვინც საქართველოს უპირველესი გუნდისა და საერთოდ, ჩვენი ფეხბურთის პრობლემებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ საიუბილეოდ და სატაშფანდუროდ ნამდვილად არა გვაქვს საქმეო.

ბატონი შოთა გორგოძე, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა, პირადად კურირებდა თბილისის „დინამოს“ და მასთან საუბრის მიზეზიც ეს გახდა. ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რა ხდებოდა მაშინდელი ქართული ფეხბურთის „სამზარეულოში“.

**შოთა გორგოძე:** რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ საკვირველი სულაც არ არის — ვიღას ახსოვს „დინამო“, ყველა თავის ჯიბეზე ფიქრობს. დღევანდელი ქართული ფეხბურთი არაკომპეტენტური, არაავტორიტეტული, სახელგატეხილი კრიმინალების ხელშია, ვის უნდა გახსენებოდა „დინამოს“ იუბილე — ამათ?! მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ: „დინამოს“ ვერავინ მოუვლის, გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროსი, რომელიც გუნდის ერთადერთი კანონიერი მფლობელი იყო და რომელსაც კანონის უხეში დარღვევით წაართვეს იგი.

გული მეწვება, როდესაც 70-80-იანი წლების გუნდს ვიხსენებ და იმას ვადარებ, რაც დღეს გვაქვს სახეზე. არა მარტო ფეხბურთი, „დინამოს“ საბჭო ოფიციალურად შედიოდა შსს-ს შემადგენლობაში, მინისტრი თვითონ თავმჯდომარეობდა ამ საბჭოს და მისი ერთ-ერთი მოადგილე პირადად კურირებდა სპორტის ყველა სახეობას, მას ასევე ვუწოდებდით ხოლმე — „მინისტრის მოადგილე „დინამოს“ ხაზით“ და უნდა ვთქვა, რომ ამ სფეროს მეტი თუ არა, ნაკლები ყურადღება არ ექცეოდა, ვიდრე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

მაშინ ფეხბურთელთა ხელფასისა და პრემიების პრობლემა არ გვქონდა — „დინამოს“ საბჭოს დაფინანსება შსს-ს ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული. მაგრამ უდიდეს როლს ასრულებდნენ მეცენატები, — როგორც კერძო პირები, ასევე ორგანიზაციები. მაგალითად, ვაჭრობის სამინისტრო, ისე, რომ არავის დაუვალებია, ყოველთვის ამარაგებდა გუნდს დეფიციტური საქონლით — ტანსაცმელი იქნებოდა ეს თუ ავეჯი, რათა ფეხბურთელებს თამაშის გარდა სხვა საფიქრალი არ ჰქონოდათ. ასევე ხდებოდა ავტომანქანებზეც, თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც „დინამოს“ ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ფეხბურთელებზე გააფორმა მანქანა და მერე „ლევად“ გაყიდა. გავუგეთ და ყურიც მაგრად ავუწიეთ, მაგრამ არ დავიჭირეთ — ისევ და ისევ ხალხის თვალში გუნდის ავტორიტეტს გავუფრთხილდით. გარდა ამისა, იყვნენ ცალკეული პიროვნებები — მეღვინეები, „ტრიკოტაჟნიკები“, სხვებიც — ახლა რომ ბიზნესმენებს ვუწოდებთ და მაშინ რომ საქმოსნებს ვეძახდით. ეს ხალხი მხოლოდ საკუთარი სურვილით, „დინამოსადმი“ სიყვარულიდან და თავისი ფინანსური ძლიერებიდან გამომდინარე, ეხმარებოდა გუნდს, თუმცა არც ერთ მათგანს სამაგიერო შეღავათი არ მოუთხოვია.

მახსოვს, იყო ასეთი კაცი — გრიშა ნემსაძე. რამდენიმე საქსოვი საამქრო ჰქონდა, მოკლედ — ბიზნესმენი იყო და ფულიც არ აკლდა. ამ კაცმა პირადად მოაგვარა სლავა მეტრეველის მოსკოვის „ტორპედოდან“ ჩვენთან გადმოყვანის საქმე. ვისიმე დადგენილებით და მითითებით ხომ ვერ წავართმევდით რუსებს ფეხბურთელს, ეს კაცი კი ჩავიდა მოსკოვში, მოქრთამა ვინც საჭირო იყო და მალე სლავა უკვე „დინამოში“ თამაშობდა.

მე 70-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ედუარდ შევარდნაძე მინისტრად დაინიშნა, როგორც მინისტრის მოადგილეს, სწორედ „დინამოს“ კურირება დამევალა. უნდა აღვნიშნო შევარდნაძის განსაკუთრებული ყურადღება ფეხბურთისა და ფეხბურთელებისადმი. შემდეგაც, როდესაც ის უკვე საქართველოს ხელმძღვანელი გახდა, მე კი შინაგან საქმეთა მინისტრი, ეს ყურადღება არ განელებულა.

მახსოვს, 1981 წელს, დელეგაციის ხელმძღვანელი ვიყავი, როდესაც „ვესტ ჰემთან“ მეოთხედფინალურ მატჩზე მივფრინავდით ლონდონში. მოსკოვში მოგვიხდა ერთი ღამის გათევა. სასტუმრო „სპორტში“ ვცხოვრობდით. დილის 9 საათზე აეროპორტში უნდა ვყოფილიყავით. ბატონი ედუარდიც მოსკოვში იყო — სკკპ პლენუმი თუ კონფერენცია ტარდებოდა. სასტუმრო „მოსკვაში“ ცხოვრობდა ხოლმე იქ ყოფნისას. დამირეკა დილის 7 საათზე. მთელი საათი მესაუბრა, სინანული გამოთქვა, რომ ბიჭებს პირადად ვერ ხვდებოდა, ყველას ამბავი ცალ-ცალკე გამომკითხა და მითხრა, — ხომ იცით საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავია და ბიჭებს ვთხოვ, ძალა არ დაიშურონ, რომ ამ თარიღს თასის აღება მივუძღვნათ, ჩვენი მხრიდან კი გულს არავის დავწყვეტთო. თასიც ავიღეთ და ფეხბურთელებმაც და მწვრთნელებმაც ყველა დაპირებული ჯილდო მიიღეს.


ვაჟა ჟვანია

ეს არის სწორედ ის სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომელიც აუცილებელია სპორტის განვითარებისათვის — ესენი ახლაღა მიხვდნენ ამას, მაგრამ ვითომ „სუპერგუნდის“ შექმნისათვის სახელმწიფოსაგან გამოტყუებული შეღავათებით ნაშოვნი მილიონებიც ჯიბეში ჩაიდეს და კატასტროფის წინაშე დააყენეს ქართული ფეხბურთი. დაგვიანებულიც კია, მაგრამ იქნებ რამე ეშველოს — ისევ შსს-მ, მისი სახით კი სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის ხელში თბილისის „დინამო“. პოლიციის შესახებ კანონის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქონება პრივატიზაციას არ ექვემდებარება, „დინამო“ კი სწორედ მისი საკუთრება იყო და ამიტომ ისევ მას უნდა დაუბრუნდეს — ჩვენი სამინისტროს ხელმძღვანელობა, პირადად მინისტრი კახა თარგამაძე, მისი მოადგილე ჯიმი მიქელაძე, გურამ ქარქაშაძე, რომლის დეპარტამენტიც უშუალოდ იძიებს „დინამოს“ საქმეს, დაინტერესებულნი არიან გუნდის კანონიერი პატრონისთვის დაბრუნებით. ერთსაც ვიტყვი, „დინამოს“ პრივატიზება რომ ისეთ ფეხბურთელებს გაეკეთებინათ, როგორებიც ყიფიანი, მაჩაიძე, კოტრიკაძე, ხურცილავა, ძოძუაშვილი და სხვები იყვნენ, ვიცი, რომ საქმეც გაკეთდებოდა, მაგრამ გუნდი ხელში ჩაიგდეს მედროვეებმა და კრიმინალებმა. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს — „დინამოს“ სხვა პატრონი არ უნდა ჰყავდეს და ჩვენ შევძლებთ, რომ ფეხბურთი ისევ საერთო სახალხო საქმედ ვაქციოთ. ეს რომ ასე იყო, იმითაც დასტურდება, რომ ჩვენი სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით — როდესაც „დინამო“ იგებდა, იმ დღეებში დანაშაული საგრძნობლად მცირდებოდა.

თბილისის „დინამოს“ დღევანდელ მდგომარეობაზე გვესაუბრება კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვაჟა ჟვანია:

— დღეს ჩვენი გუნდი საშინელ მდგომარეობაშია და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის მისი ყოფილი და ამჟამად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასა და მისი თანამოსაქმეების პირადი დანაშაული. დარწმუნებული იყავით, მე რომ გუნდში არ დავბრუნებულიყავი და 55 ათასი დოლარი არ მომეტანა, რომელმაც „დინამოს“ პრეზიდენტის, მერაბ რატიანის ნაშოვნ ფულთან ერთად ფეხბურთელების ხელფასისა და სხვა ხარჯების გასტუმრების საშუალება მოგვცა, დღეს „დინამო“ აღარ იარსებებდა.

მე „დინამოს“ ტრადიციებზე ვარ გაზრდილი, აქაურობა ჩემს სახლად მიმაჩნია და მიყვარს. ჟორდანიას კი არავინ და არაფერი უყვარს ერთი რამის გარდა. დღეს აცხადებს, რომ არ ცნობს „დინამოს“ რეგისტრაციას და არც მის ხელმძღვანელობას. თითქოს თვითონ არ იყო გუშინ ამ გუნდის პრეზიდენტი — ეგეც ჩემი ბრალია, სადღაც ისლანდიაში ქალების გუნდს ავარჯიშებდა, ჩამოვიყვანე, ყველას ვთხოვე და ჩემი ხათრით პრეზიდენტად აირჩიეს, გამზადებულ სუფრას მიუჯდა, მაგრამ ძალიან დიდი მადა აღმოაჩნდა. დღეს სახელმწიფო კანცელარიაში ვიყავი, სპეციალური კომისიაა შექმნილი, რომელიც „დინამოს“ საქმეს არკვევს, შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტიც მუშაობს — დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გაირკვევა და პასუხიც მოეთხოვება. ახლავე ვაფრთხილებ ყველას, გამომძიებელ ორგანოებს ვგულისხმობ: ნუ ეცდებიან დანაშაული მაგათ „მოსაწველად“ გამოიყენონ, მე აღარ გავჩუმდები და მივაღწევ იმას, რომ ჩვენი ფეხბურთი გათავისუფლდეს ჟორდანიასა და მისი კლანისაგან. ჩემი ოპტიმიზმი შეიძლება გაოცებდეთ, მაგრამ სიმართლე ჩემი მთავარი იარაღია. გარდა ამისა, ჩვენ, თბილისის „დინამოს“, უკვე გვყავს ძლიერი მფარველი, არა „კრიშა“, როგორც მაგათ, არამედ ოფიციალური ლობი, რომელიც უკვე ორშაბათიდან ყველასათვის ცნობილი იქნება. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი ცდილობს „დინამო“ ისევ თავის საკუთრებაში დაიბრუნოს, მაგრამ არ გამოუვა — ჩვენც გამოგვიჩნდა „პატრონი“.

დღეს ჟორდანიას დაახლოებით 7 მლნ დოლარს ვედავებით. ეს ის ფულია, რომელიც ფეხბურთელების ტრანსფერებიდან შემოვიდა და მან ჯიბეში ჩაიდო. ე.წ. სუპერკლუბის შესაქმნელად ნაშოვნ ფულზე აღარაფერს ვამბობ. იცით თუ არა, რომ „ფრაიბურგში“ წასული სამი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერიდან „დინამოს“ ცენტიც არ მიუღია?! ჟორდანიამ კონტრაქტში გუნდის ანგარიშის მაგივრად საკუთარი საბანკო ანგარიში ჩაწერა და ხუთი მილიონი დოლარი მიითვისა. მერე ამბობდა, სუპერგუნდისთვის მჭირდებოდაო — ეგ სუპერგუნდს ვერ შექმნის, რადგან ფეხებზე ჰკიდია ქართული ფეხბურთი. სუპერგუნდის შექმნას ლობანოვსკისნაირი ხალხი უნდა — მცოდნე და პატიოსანი. ყველა ტრანსფერის ფული თვითონ ჩაიჯიბა და ახლა ჩვენ გვიშლის ფეხბურთელების გაყიდვას — ფიფა-უეფას წესებს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს კანონმდებლობითაც, ფედერაციას, ანუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, უფლება არა აქვს „დინამოს“, ანუ შპს-ს კომერციულ საქმიანობაში ჩარევისა. არა მარტო ჩვენ, ოსებიც „გადააგდო“ — იქ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები ვითომ გამოისყიდა და ოფიციალურად „დინამოდან“ გავიდნენ ტრანსფერზე, არც „ალანიასთვის“ მიუცია ფული, გაგიჟებულია ის ხალხი.

სად წავიდა თანხა, რომელიც საგადასახადო შეღავათების საშუალებით მიიღო გუნდმა?! სად და, მაგისი ოჯახის ბიუჯეტში.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ფედერაციას ტრანსფერის შეჩერება შეუძლია, ფეხბურთელის დისკვალიფიკაციაა და გამოიყენა კიდეც — თუ გახსოვთ, ხელოვნურად დაბლოკა კიკნაძის, ანჩაბაძისა და აშვეთიას ტრანსფერები. აშვეთიას უკანა რიცხვით გაუფორმა დისკვალიფიკაცია, მაგრამ ვიჩივლე და მივაღწიე ჩემსას. აწი სულ ასე იქნება — აღარაფერს შევარჩენ, რადგან გუნდის გადასარჩენად სხვა გზა არ არსებობს. ახლა ორ ფეხბურთელს ვუშვებთ ისრაელში და იმ ფულით მაგის აღებულ ტბს-ბანკის ვალს გადავიხდით, მაგრამ ამაშიც ყველანაირად ხელს გვიშლის.

„მრეტების“ საქმე ყველამ იცით. ისინი მართლები არიან — „დინამოსგან“ ფული ერგებათ, მაგრამ ეს ჟორდანიას გადასახდელია პირადად — ამას წინათ „ჩელსიდან“ მოსული რატი ალექსიძის სატრანსფერო 200 ათასიც მაგან აიღო და „მრეტებს“ მივეციო, განაცხადა. შეგიძლიათ იკითხოთ, მართლა მისცა თუ არა (როგორც „მრეტების“ თანაპრეზიდენტმა, აკა ქავთარაძემ გვითხრა, ჟორდანიას მათთვის არაფერი გადაუხდია. რედ.). ეგ არის შსს-სთან შეკრული კლანი და ეს უკვე გამომჟღავნდა. კახა თარგამაძე მე რომ მეომება, ურჩევნია მაგათი ჩაოხრებული საქმე გამოიძიოს. როცა ისლანდიიდან ჩამოვიყვანე, აქ დავსვი და ფული აკეთა, მაშინ არ ვიყავი ცუდი და ახლა გველის წიწილს მეძახიან, იმიტომ, რომ არ ვჩუმდები. რომელიმე ბრალდებას, რომელიმე ჩემს ინტერვიუს გასცეს პასუხი, თავს დავდებ, რომ ახლაც არაფერს იტყვის (ჩვენ დავუკავშირდით სფფ-ს პრეს-ცენტრის უფროსს მამუკა კვარაცხელიას, რომელმაც გვითხრა, რომ მერაბ ჟორდანია, ჟვანიას გამოხდომებს კომენტარს არ უკეთებს. რედ.)

ვინც საქართველოს წლევანდელ პირველობას ადევნა თვალყური, ყველა დამეთანხმება, რომ „დინამო“ „დაწვეს“ ფედერაციაზე დამოკიდებულმა მსაჯებმა. ჟორდანიამ ეს სპეციალურად გააკეთა, სათქმელი რომ ჰქონდეს, — აი, მე რომ გუნდის პრეზიდენტი ვიყავი, ყოველთვის ჩემპიონები ვხდებოდით, ესენი კი სამეულშიც ვერ გადიანო. მოკლედ რომ ვთქვა, მე ბრალს ვდებ მერაბ ჟორდანიას თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, „დინამოს“ კუთვნილი შვიდი მილიონი დოლარის მითვისებაში, გამომძალველობასა და რეკეტში და „სუპერკლუბის“ ბლეფური იდეით სახელმწიფოს მოტყუებაში.

მე, ვაჟა ჟვანიას მიყვარს „დინამო“ და მანამ არ მოვისვენებ, სანამ საქართველოს საუკეთესო გუნდი ჟორდანიას მაფიისგან არ გათავისუფლდება.

***ზვიად გურული***

# რეალური „რეალ“-ობა

## რეალი — ვალენსია 3:0


ვისენტე დელ ბოსკე ჰაერში აზურთავეს

ზღაპრული სანახაობა გახლდათ ჩემპიონთა ლიგის ფინალი, დაწყებული გახსნის ცერემონიიდან, თასით დაჯილდოებით დამთავრებული.

ძნელია ათწლეულების მანძილზე გამარჯვებებს ნაჩვევი გუნდის დამარცხება, თანაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში. როგორ ცუდ ფორმაშიც არ უნდა იყოს „რეალი“ და პირიქით — ვარსკვლავებს წყვეტდეს „ვალენსია“, ისტორია თავისას მოითხოვს. „რეალმა“ უდიდესი გამოცდილების, მდიდარი ისტორიისა და ვარსკვლავების სიმრავლის ხარჯზე მოუგო „ვალენსიას“ და მერვედ ასტუმრა ესპანეთის დედაქალაქს ევროპის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე სანუკვარი ჯილდო.

თავად 24 მაისის მატჩიც სანახაობრივი გამოდგა. ბევრად უფრო ლამაზი, ვიდრე ფინალურ მატჩებს სჩვევია. 3:0 — ალბათ თავად მადრიდელებიც არ მოელოდნენ ასეთ შედეგს. ცხადია, „ვალენსია“ ცუდი გუნდი არ გახლავთ — უბრალოდ იმ დღეს „რეალმა“ ითამაშა შეუდარებლად — მეკარე კასილიასიდან დაწყებული, ანელკათი და რაულით დამთავრებული. ფინალში მეფურად მოთამაშე „სამეფო“ კლუბს მადრიდელებმა მეფური დახვედრა მოუწყვეს. საპატიო ესკორტით გარშემორტყმულ კლუბის ავტობუსს და მის სახურავზე მოზეიმე პარიზული მატჩის გმირებს მთელი მადრიდი მიაცილებდა.

# მოსალოდნელი ტრანსფერები

ინგლისურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომლის თანახმადაც „ჩელსის“ რომის „ლაციოს“ ჩილელი ფორვარდის მარსელო სალასის შეძენა სურს. ლონდონელები 25 მილიონი დოლარის გადახდასაც არ ერიდებიან. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, ბრიტანეთის მასშტაბით სარეკორდო შეიქნება.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ პრესსამსახურმა დაადასტურა, რომ კლუბს „ვალენსიას“ მეკარის — კანისარესის გადაბირება სურს. მოლაპარაკება უახლოეს დღეებში დაიწყება. ინგლისის ჩემპიონს „ბარსელონას“ პორტუგალიელ ნახევარმცველზე ლუიშ ფიგუზეც დაუდგამს თვალი. ტურინის „იუვენტუსს“ კი გადაუწყვეტია 27 წლის პორტუგალიელი „ბარსას“ თავად ზინედინ ზიდანში გაუცვალოს.

ესპანეთის „ბეტისის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა დენილსონმა, რომელიც ორი წლის წინ იმ დროისათვის სარეკორდო თანხად 35.000.000 დოლარად შეიძინა კლუბმა, განაცხადა, რომ არანაირი სურვილი არა აქვს, მომავალი სეზონი ესპანეთის მეორე დივიზიონში გაატაროს. დენილსონს რამდენიმე იტალიური და ფრანგული კლუბი ეპატიჟება.

გერმანული ფეხბურთის ვეტერანი ენდი მიოლერი მომავალი სეზონიდან „ბორუსიაზე“ ბევრად ნაკლებტიტულოვანი კლუბის — გელზეკირხენის „შალკეს“ ღირსებას დაიცავს.

მიუნხენის „ბაიერნთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი შვეიცარიის ნაკრების ლიდერმა ჩირიაკო სფორცამ. ამ ნახევარმცველმა უკანასკნელი სეზონი ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნში“ გაატარა.

ჯერ კიდევ უცნობია, რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას „ბარსელონადან“ დათხოვილი მწვრთნელი, ჰოლანდიელი ლუი ვან გაალი. ყველაზე რეალური დორტმუნდის „ბორუსიას“ კანდიდატურაა. ამ კლუბს ან ვან გაალი ჩაიბარებს, ან გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მათიას ზამერი.

# მათეუსი გააცილეს

26 მაისს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე დიდი ფეხბურთიდან გააცილეს გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ლოთარ მათეუსი. გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში მიუნხენის „ბაიერნს“ გერმანიის ნაკრები დაუპირისპირდა. მატჩი ფრედ დასრულდა 1:1. სტადიონზე შეკრებილი 50.000 გულშემატკივარი მთელი ორი ტაიმის მანძილზე თავიანთი კერპის სახელს გაიძახოდა. ტაბლოზე კი ერთადერთი სიტყვა ეწერა —„გმადლობთ“. ლოთარ მათეუსი თავად „დიდმა არგენტინელმა“ დიეგო მარადონამ დააფასა — ჰავანის სამკურნალო ცენტრიდან მიუნხენს ეწვია და მთელი პირველი ტაიმი ითამაშა. მეორეში იგი იუბილარმა შეცვალა. „დაუვიწყარი საღამო იყო, გმადლობთ!“ — ეს მათეუსის სიტყვებია.

# „ლოკომოტივი“ საქართველოს თასის მფლობელია


ლოკომოტივი — ტორპედო 0:0 (პენ. 4:2).

მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ „ტორპედო“ რკინიგზელებზე ძლიერი გუნდია, რასაც ქუთაისელთა ჩემპიონობაც მოწმობს, თასის მოგებას რატომღაც ბევრი „ლოკომოტივს“ უწინასწარმეტყველებდა. თბილისელებმა თასი მართლაც მოიპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ არც ძირითადსა და არც დამატებულ დროში გოლი არ გასულა, ეს შეხვედრა დაძაბულობითა და დრამატულობით ალბათ მაინც საუკეთესო გახლდათ წლევანდელ სეზონში, მონდომება არც ერთი გუნდის ფეხბურთელებს არ დაუკლიათ და „ლოკომოტივის“ გამარჯვებამ რკინიგზელებს დიდი სიხარული მოუტანა. რევაზ ძოძუაშვილი კი ალბათ საერთოდ არ გვინახავს ასეთ ხასიათზე, ბავშვივით გახარებული ულოცავდა გამარჯვებას თავის ბიჭებს.

შეიძლება ითქვას, რომ „ლოკომოტივმა“ ღირსეულად მოიგო. 120-მა წუთმა რომ არ გამოავლინა მოგებული, პენალტების სერიის დრო დადგა. რკინიგზელებმა ოთხივე პენალტი უნაკლოდ დაარტყეს. მათმა მეკარემ, ლომაიამ კი ორი საკმაოდ რთული დარტყმა მოიგერია და საკუთარ გუნდს ეროვნული თასი მოუპოვა. მაშ ასე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ორმა მთავარმა მწვრთნელმა ქართული ფეხბურთის ორი უმნიშვნელოვანესი ჯილდო გაინაწილა — ყიფიანმა ჩემპიონის ოქროს მედლები მოიგო, ძოძუაშვილმა — ეროვნული თასი. თასი თასად, მაგრამ თუ 30 მაისს „ლოკომოტივმა“ „გორდასთან“ წააგო, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მეორე ლიგაში აღმოჩნდეს. აბა მაშინ გვექნება თავი კიტრად მოსატანი — „მეორე ლიგის გუნდებით გავდივართ უეფას თასზეო“.

***მოამზადა მათე კბილაძემ***

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლf5

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს ორ სვლაში.



# ჩახედე მეგობარს თვალებში...



—მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ხშირად გამოხედვაში ჩანს ადამიანის ხასიათი და გრძნობები. ტყუილად ხომ არ ამბობენ, — თვალები არ ტყუიანო. თვალებში აირეკლება ადამიანის ჯანმრთელობა და მისი სულიერი მდგომარეობაც. ასე რომ, შეგიძლიათ ჩახედოთ ახლობელს თვალებში და შეიტყოთ მის შესახებ ყველაფერი.

**მწვანე თვალები** — ეს სინაზის ფერია. ასეთი ფერის თვალები არ შეიძლება ჰქონდეს ორგულ ადამიანს. საერთოდ, მწვანეთვალებიან ადამიანებს ყოველთვის აკლიათ სიყვარული და ნამდვილ წრფელ გრძნობას განუსაზღვრელი ერთგულებით პასუხობენ.

**ცისფერი თვალები** — მატყუარაა. მისი პატრონი არც მეოცნებეა და არც გულუბრყვილო. როგორც წესი, ცისფერთვალებიანები არიან მიზანდასახულნი, მტკიცე ხასიათისა და პატივმოყვარენი.

**შავი თვალები** — ვნებიანობის მაჩვენებელია. ასეთ ადამიანებს თუ სიყვარულის ცეცხლი წაეკიდათ, ვერაფერი შეაჩერებთ.

**ნაცრისფერი თვალები** — ცნობისმოყვარეებს აქვთ. მათ უმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე ცხოვრებაში.

რაც შეეხება თაფლისფერ თვალებს, აქ მნიშვნელოვანია შეფერილობა. **ღია თაფლისფერთვალებიანი** ადამიანები პრაგმატულები და წინდახედულები არიან.

**მუქ თაფლისფერთვალებიანებს** კი მგრძნობიარე ტემპერამენტი ახასიათებთ. მათ ყოველთვის იციან, რა უნდათ და როგორ მიაღწიონ სანადელს, მაგრამ ზედმეტად ფიცხი და ფეთქებადი ხასიათი აქვთ.

***კომსომოლსკაია პრავდა №70***

# დედამიწას შეჭმას უპირებენ?



ამერიკელმა ასტრონომებმა კოსმოსში აღმოაჩინეს უცნობი შავი ობიექტი, რომელიც დაღუპვით ემუქრება მზის სისტემას. ეს უცნაური ობიექტი მოძრაობს საჰაერო სივრცეში და გზად ვარსკვლავებს ყლაპავს. თანაც ყველა ციურ სხეულს კი არ ეტანება, არამედ საგანგებოდ ნადირობს კოსმოსურ მანათობლებზე. თავდაპირველად, მეცნიერებს ეგონათ, რომ ეს იყო შავი ხვრელი, — ჩამქრალი ვარსკვლავი, რომლის გარშემო წარმოქმნილი უძლიერესი გრავიტაციული ველი იწოვს გარშემომყოფ ობიექტებს და ანადგურებს მათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ის" მოძრაობს.

თანამგზავრმა, რომელმაც კოსმოსური მონსტრი აღმოაჩინა, დედამიწას სხვა დეტალებიც გადასცა: მტაცებელი მთლიანად კი არ ყლაპავს ვარსკვლავებს, არამედ ლუკმა-ლუკმად მიირთმევს მათ. გაუმაძღარი მონსტრი სინათლის სხივის სისწრაფით უახლოვდება მზეს. თუ ის სიჩქარეს არ მოუმატებს, 10.000 წლის შემდეგ დედამიწის გვერდით აღმოჩნდება. არიზონის ობსერვატორიის პროფესორი კარლ ჯევოლინი აღნიშნავს, რომ მეცნიერებმა არაფერი იციან არც ამ ობიექტზე და არც მის შესაძლებლობებზე. არ არის გამორიცხული, რომ ახლომახლო ვარსკვლავების „შესანსვლის" შემდეგ მან ნახტომი გააკეთოს და მოულოდნელად ჩვენ გვერდით აღმოჩნდეს.

***ნლო №15***

# ამ ფენომენს ვერ ხსნიან

რამდენიმე დღის წინ ტოკიოს ერთ-ერთი სუპერმარკეტის წინ თავმოყრილი ხალხი გაოცებული მისჩერებოდა 54 წლის ბუდისტ ბერს ტაკიმო შიაიმას, რომელიც ჩამჯდარიყო უზარმაზარ მოთუხთუხე ქვაბში და იქ მყოფთ ანეკდოტებითართობდა. ბერი ცნობისმოყვარეთ ცხელ-ცხელი კრევეტებითაც უმასპინძლდებოდა. კრევეტები, რომელთაც ბერს ქვაბში უყრიდნენ, წამში წითლდებოდა, ტაკიმოს კი არაფერი უშავდებოდა. მდუღარე წყალი ყოველთვის ცივიაო, — არწმუნებდა იგი ხალხს. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, მაყურებელთაგან არავის მოუნდომებია ბერის მოჩუხჩუხე ქვაბში ჩაჯდომა; ასე რომ, შიაიმას 16 საათი მარტოს მოუხდა ბანაობა.

ცნობილმა იაპონელმა ფიზიოლოგმა აკირო ნაკამურამ ამ უნიკალურ შემთხვევასთან დაკავშირებით განაცხადა: მედიცინის ყველანაირი მაჩვენებლის მიხედვით ბერი რამდენიმე წამში უნდა მოხარშულიყო, მაგრამ მდუღარე წყალში მის კანს ფერიც კი არ უცვლია. მეცნიერება ჯერჯერობით, ვერ ხსნის ამ ფენომენს.

***უიქლ უორლდ ნიუზი №19***

# ტესტი — როგორი მეხსიერება გაქვთ?

გთავაზობთ ე.წ. ციფრობრივი მეხსიერების ტესტს, რომელიც ხანმოკლე ცნობის მეხსიერებას, მის მოცულობას და სიზუსტეს იკვლევს. ცდის პირს 20 წამის განმავლობაში მიეცემა ცხრილი №1, სადაც მოცემულია 12 ორნიშნა რიცხვი. 20 წამის შემდეგ, ცდის პირმა უნდა დაწეროს ან სიტყვიერად წარმოთქვას ის ციფრები, რომელიც დაიმახსოვრა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | 91 | 47 | 39 |
| 65 | 83 | 19 | 51 |
| 23 | 94 | 71 | 87 |

ხანმოკლე მეხსიერების შეფასება ხდება სწორად დამახსოვრებული რიცხვების რაოდენობის მიხედვით. თუ ზრდასრულმა ადამიანმა 7 ან მეტი ციფრი დაიმახსოვრა, ეს ნორმის ფარგლებში ეტევა. თორმეტივე დამახსოვრებული რიცხვი ჰიპერმეხსიერებაზე ანუ ფოტოგრაფიულ მეხსიერებაზე მიუთითებს. თუ ცდის პირმა 7 რიცხვზე ნაკლები გაიხსენა, ეს მეხსიერების შესუსტებასა და ყურადღების გაფანტულობაზე მიუთითებს. რაც ნაკლებია დამახსოვრებულ რიცხვთა რაოდენობა, მით დაბალია მეხსიერების კოეფიციენტი. ასეთ შემთხვევაში, ურიგო არ იქნებოდა ე.წ. მეხსიერების გასავითარებელი სპეციალური ვარჯიშები ან სპეციალისტთან ვიზიტი.

## ხატობრივი მეხსიერების ტესტი

ეს მეთოდი გამოიყენება პროფესიული შერჩევის დროს. 20 წამის განმავლობაში ცდის პირს მიეწოდება ცხრილი სპეციალური ხატობრივი გამოსახულებებით. ამის შემდეგ იგი ვალდებულია ჩაწეროს, დახატოს ან სიტყვიერად გაიხსენოს (როგორც მისთვის მოსახერხებელია) ხატობრივი გამოსახულებების მაქსიმალური რაოდენობა.




ნორმალურ ხატობრივ მეხსიერებად ითვლება 6 ან მეტი დამახსოვრებული „ხატი". შეცდომით დამახსოვრებული „ხატი" ყურადღების გაფანტულობაზეც მეტყველებს. პროფესიული თვალსაზრისით, მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, თუ უმეტესად რა საგნებს იმახსოვრებს ადამიანი. თუ ცდის პირი უშეცდომოდ იხსენებს თოფს, ნაჯახს და ქიმიურ ფორმულას, ეს მის ფარულ აგრესიულობაზე მიუთითებს.

გეომეტრიული ფიგურების დამახსოვრება უკეთ ეხერხებათ პრაქტიკულ, გაწონასწორებულ, გონიერ და თავშეკავებულ პიროვნებებს.

**პეპელა, სოკო ან ნაძვი** — რომანტიკულ, მეოცნებე, ჭირვეულ და ნოსტალგიისკენ მიდრეკილ მოზრდილებს ახსენდებათ.

**მანქანა, სახლი, საათი** — ავანგარდულ, მიზანსწრაფულ, ამბიციურსა და ანგარიშიან პიროვნებებს.

თუ ცდის პირი საერთოდ ვერ იხსენებს ვერც ერთ საგნობრივ ხატს, ეს მიუთითებს ხანმოკლე ხატოვანი მეხსიერების მნიშვნელოვან დაქვეითებასა და ფსიქიკური აქტივობის ტემპის დაქვეითებაზე.

# ბედი ბათურის ხმალისა

ბათურის ხმალი, რომელზედაც ვაჟა-ფშაველამ ბალადა შეთხზა, ნამდვილად არსებობდა. ეთნოგრაფიულ წერილში, „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები", 1888 წელს ვაჟა წერდა:

„სისხლის აღება ჩვეულებათ ჰქონდათ ფშავლებს, მაგრამ შესაძლო იყო შერიგებაც, თუ მკვლელი „სახვეწრით" მივიდოდა მოკლულის ნათესავთან და „თავსისხლს" ზღავდა. თუ შერიგება მოხდებოდა, თავსისხლის საფასურის ნაცვლად, მოკლულის ნათესავნი გამოარჩევდნენ იმ ნივთს, რომელიც კი მოეწონებოდათ. დამნაშავეს უარის თქმა არ შეეძლო. ამ ჩვეულებას „ალმანია", „ყისტი" ჰქვიან. ალმანიიდან იყო გათავისუფლებული ზოგი სახელოვანი იარაღი. ამგვარი იარაღი ბევრი იყო ფშავში და ერთი დღესაც არის, რომელსაც ბათურის ხმალი ჰქვიან.



უადგილო არ იქნება ცოტა რამ ამ ხმალზე და მის პატრონზე ვთქვათ, რასაც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს: ფშავს შემოსევია ლეკის ჯარი. ფშავლები შეყრილან და თავს დასხმიან მტერს სოფელ ბაჩალში. ივრის ჭალა ლეკებსა და ფშავლებს ომით გაუვლიათ ბაჩლიდან-არხლამდე. ლეკები დამარცხებულან და გაბნეულან. მხედრებს დაუწყიათ საუბარი იმაზედ, თუ ვინ რამდენი ლეკი მოკლა. გმირ ბათურს უთქვამს, — მე მოვკალი ცხრამეტი ლეკიო. ისინი იმით იცნობა, რომ ერთი შემოკრულის მეტი არა სჭირს და ყველას ჯვარედინად თოფი ადევსო. დაუთვლიათ ფშავლებს და ბათურის მოკლული მართლაც ცხრამეტი აღმოჩენილა. ამიტომ მისი ხმალი განთავისუფლებულია ალმანიიდან. დალოცვილია. ბათურის საგვარეულოდან არავის შეუძლიან იმისი წართმევა არა რომელსამე მიზეზით. ხევისბერისაგან „თასია დაღვრილი" ნიშნად იმის შეჩვენებისა და წყევლისა, ვინც ამ ხმალს ვალში, ან ალმანიაში წაართმევს ბათურის გვარეულობას".

ზეპირგადმოცემით, ბათურს ასე მოუპოვებია ეს ხმალი... ყიზილბაშებს შებმია ლაშქართან ერთად. თათრის ხანი მოუკლავს და იარაღი აურთმევია. მუზარადი ხატისთვის შეუწირავს (ფშავლებმა იგი სანთლით ამოგოზეს და „კაი ყმის" შესანდობარს ამით სვამდნენ. ხმალი კი თავისთვის დაუტოვებია. ქარქაში იყო ერთიანი ვერცხლის, ტარიც მთლიანი ვერცხლით იყო ნაჭედი — გველისთავს ძეწკვი ეჭირა პირში. ალბათ, ამიტომ ბათურთ ხმალს გველისპირულსაც ეძახდნენ. ბათურის საგმირო საქმეებზე ხალხი მითებსა და ლეგენდებს თხზავდა, მისი ხმალი კი გვარში ტრიალებდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იგი მუდამ ღირსეულის ტანს ამშვენებდა. ასე მოატანა ბათურის ხმალმა XX საუკუნემდე. მთის მოსახლეობაში კი ჯერ ისევ ცოცხლობდა „კაი ყმის" კულტი.

ერთი ასეთი „კაი ყმა" მოსე ობგაიძეც იყო. დიდძალი ცხვრისა და სიმდიდრის პატრონი. ცხვარი ზამთარში შირაქის საძოვრებზე დაუდიოდა და მილეთის ხალხი იცნობდა. მოსე მუდამ რჩეულ ბედაურზე იჯდა. ცხენს ისეთი უნაგირი ედგა, რომ ფარა ცხვარს არ დაიშურებდა კაცი. იმ უნაგირით ცხენსაც ცნობდნენ და პატრონსაც. მოსე შავგვრემანი ყოფილა. თათარი „ყონაღები" „ყარა მოსეს" ეძახდნენ. მაშინ ერთმანეთში ფარების დატაცება ჩვეულებად ჰქონდათ. თათრები ყარა მოსეს ამას ვერ უბედავდნენ. გაგონილი ჰქონდათ, რა დღეში ჩააგდო თათრებში განთქმული ყაჩაღი სარდალა...

დიდხანს უტრიალა მოსეს ბინასა და იალაღს სარდალამ. ვერაფერი რომ ვერ მოიხელთა, ხერხი იხმარა. მოლას ტანსაცმელი ჩაიცვა, ვირზე შეჯდა, ერთი კაი მსროლელი და მოჯირითე ახალგაზრდა ძონძებში გამოაწყო და თან გაიყოლა. მიდის სარდალა ღიღინ-ღიღინით ყარა მოსეს იალაღზე, ბიჭი ფეხით მისდევს. რემა უნდა გარეკონ. მოსე შორიდან უთვალთვალებს. მიუხვდა „მოლას" ეშმაკობას. ვირი მიზანში ამოიღო. მხედარი ძირს დასცა, მიეჭრა ცხენით. ვიდრე წამოდგებოდა, მათრახით ააჭრელა, ბიჭს ქამანდი მოსდო. ორივე ბინაზე მირეკა. „მოლა" გაპარსა. ბიჭს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი წააცალა, თითო პანღური უთავაზა და ორივე ნიფხავ-პერანგიანი გაუშვა. ერთხელ მოსე შუაფხოში ავიდა. ბათურთ საგვარტომოში ბათურის ხმალს მიაგნო. იმხანად მთაში ძველი ტრადიციები ისე არ მძლავრობდა, ალბათ ამიტომაც ბათურის ხმალსაც შეელივნენ — თორმეტი ძროხა დაუფასეს... თვალი არ დაუხამხამებია. საფასური გადაიხადა და ბათურის ხმალი ვერცხლის ქამარზე მოირგო. სანახავად ღირდა სახელოვან იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცი. გამოხდა ხანი. დამკვიდრდა ახალი წყობა. ყარა მოსეც ცოცხალი აღარ იყო. ბათურის ხმალი მაინც დიდხანს ეკიდა მისი სახლის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას სოფელ მაგრანეთში. შთამომავლებმა ის ჯერ მოხატულ ფარდაგზე გადაიტანეს, მერე სკივრში შეინახეს. ბოლოს ძველი ნივთები სულ გამოყარეს სახლიდან. ბათურის ხმალი უქმად გდებისაგან ჩაყანგდა. თავისით შემოეხსნა ვერცხლი. ქარქაშიდან ხანდახან სანახავადღა თუ ამოიღებდნენ, „გველისპირულის" შიში და რიდი მაინც ჰქონდათ. ფხას ვერ უსინჯავდნენ. ქალები ინტერესისათვის წიწილას წააჭრიდნენ ხოლმე ფრჩხილს, მაშინვე კვდებოდა, რასაც ვერაფრით ხსნიდნენ და შიშით ბავშვებს ახლოს არ აკარებდნენ.

...დაფხავებული ბათურის ხმალი ყარა მოსეს შვილთაშვილებმა სხვენში იპოვეს „საყოვე ღერძში" გარჭობილი. ღამით სათევზაოდ გაპარულები ძლივს დაათრევდნენ და ისინიც ბათურობას ჩემულობდნენ. ხმალი ნაწილ-ნაწილ დაიშალა და ძველი დიდებისაგან აღარაფერი შემორჩა...

***ეთერ თარიმანი***

# ხმა არსაიდან

პირველი საგანგაშო სიგნალი სამხრეთ ამერიკიდან მოვიდა: სხვადასხვა გარემოში მცხოვრებ ადამიანებს ესმოდათ ერთი და იგივე ფრაზა: „ნუ გააჩენთ შვილებს, ომი იქნება!" ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები აშინებდა ორსულებს, გასათხოვრებს, დედებს და ჯანიან მამაკაცებსაც. ამას ყურადღება მიაქცია ერთმა სან-სებასტიანელმა ექიმმა. მისი სამი პაციენტი ქალი უჩიოდა ჰალუცინაციებს. სამივეს ესმოდათ ერთი და იგივე ფრაზა: „ნუ გააჩენთ შვილებს, ომი იქნება!" ექიმმა თავდაპირველად ეს შემთხვევა მასობრივ ფსიქოზად მიიჩნია და თავისი აზრი სამეცნიერო კონფერენციაზე კოლეგებს გაუზიარა. სიტყვის თქმა ვერ დაამთავრა, რომ მასთან მიიჭრა ათობით ექიმი — თურმე მათი პაციენტებიც უჩიოდნენ მსგავს მოვლენებს. კონფერენციის მონაწილე ექიმებმა დაადასტურეს, რომ ეს პრობლემა, პერუს გარდა, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც არსებობდა. გადაწყვიტეს, ამის თაობაზე პრესაში კრინტი არ დაეძრათ, რათა ხალხი არ დაეფრთხოთ. ამგვარივე ჰალუცინაციები დაფიქსირდა აშშ-სა და კანადაში. ხმები ესმით იმ ასაკის ადამიანებს, რომელთაც შვილის გაჩენა შეუძლიათ. არ დაფიქსირებულა ჩივილი მოხუცებისა და ბავშვებისაგან. ჯერჯერობით, ვერ ხსნიან მასობრივი ჰალუცინაციების მიზეზს. განკურნება ამ სენისაგან წამლით ან სეანსებით ჯერ ვერ მოხერხდა.

ხმა წყდება, როგორც კი ქალი აბორტს გაიკეთებს. ისინი, ვისაც ხმები ესმით, ამ ფაქტს სხვადასხვაგვარად აღწერენ: ზოგს მოხუცის ხმა ესმის, ზოგს ბავშვისა. ძირითადად ამბობენ — ხმა მოდის ზურგიდან და როგორც კი მიბრუნდებიან — ქრება. მას არ ახლავს არც მუსიკა, არც ჩურჩული, არც ტანსაცმლის შრიალი — თითქოს არსაიდან მოდის.

„ხმები" ადრე, შუა საუკუნეებში ხალხს აფრთხილებდა შავი ჭირის ეპიდემიის დროს — ნუ გააჩენთ! იქნება ჭირიო. ნეტა რისთვის გვამზადებს ამ ჯერზე ხმა იდუმალი?

***მეგაპოლის-ექსპრესი №16***

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი
ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის" შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69



რკინის კარების, ჭალუზების დამზადება, საკეტების შეცვლა შეღავათიან ფასად.
ტელ: 69-26-50 ნოდარი

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.



# ვარსკვლავები თავისებურად იცმევიან

ამერიკის კინოაკადემიის პრიზის გადაცემის ცერემონიაზე კინოვარსკვლავები თავიანთი ექსტრავაგანტური სამოსით მართლაც რომ კაშკაშებენ. მაგრამ ამ კაბებით მხოლოდ ერთხელ თუ შეიმოსებიან. თუმცა, საზოგადოებას ჰოლივუდის მოდა უფრო აინტერესებს, ვიდრე ცნობილ კუტიურეთა ესკიზები.

კინემატოგრაფიული ოლიმპოს ქალღმერთები ცდილობენ, ყველაზე მოდურნი იყვნენ. ყოველწლიურად ლოს-ანჯელესში, ბრაიმ აუდიტორიუმში, „ოსკარის“ გადაცემის ცერემონია კინოსა და მოდის დღესასწაულიცაა. მსოფლიოს ლამაზმანებს ასევე ცნობილი ფოტოგრაფები უღებენ სურათებს. ისინი, სასურველი კადრის გადასაღებად, არად დაგიდევენ ქათქათა პერანგებს და ძვირფას ფრაკებს — ხან ძირს გაერთხმებიან და ხან ჭაღზე ეკიდებიან.

წელს ჰოლივუდის ქალღმერთებმა უარყვეს მადამ შანელის შავი პატარა კაბა (ძალზე მოსაწყენიაო) და დღესასწაულზე ცისარტყელას ფერებით მორთულები და აგრესიულად სექსუალურნი გამოცხადდნენ.

მოდის უდიდესი ოსტატები აკრიტიკებენ ამერიკელთა გემოვნებას, თუმცა კი ოცნებობენ, თავიანთი „ნაწარმოებით“ შემოსონ ჰოლივუდელები, რაც 15-დან 50 ათას დოლარამდე ღირს. რასაკვირველია, ამაში არ შედის ვარცხნილობის, აქსესუარების და სამკაულის ღირებულება. ცალკე მაკიაჟი და მანიკიური შეიძლება 2 ათასი დოლარიც დაუჯდეთ.

ისიც არის გათვალისწინებული, რომ რაც უფრო სახელგანთქმულია ვარსკვლავი, მით უფრო იაფია მისი მორთვა-მოკაზმვა, თვით მათი კაბა უკვე მოდის რეკლამაა.

ლაგერფილდი, გალიანო, ვალენტინო თუ არმანი არაფერს იშურებენ კინოვარსკვლავთა მოსაზიდად, მათ მოსყიდვასაც კი ცდილობენ. დაჯილდოების ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე მსახიობებს ლამაზად შეფუთულ ძვირფას სამკაულებს და უფასო ბილეთებსაც კი უგზავნიან კაბების მოსარგებად პარიზსა და მილანში ჩასასვლელად.

მსოფლიოში ცნობილ მოდების სახლში შემოსვას ზოგიერთი ჰოლივუდელი ლამაზმანი მოულოდნელ ეფექტს ამჯობინებს. მაგალითად, ცნობილია შერონ სთოუნის ექსპერიმენტი. სცენაზე გასვლის წინ მსახიობმა სარკეში ჩაიხედა და თავზარი დაეცა...

— ბებერ დედაკაცს ვგავდი... უცებ ჩემმა მეგობარმა სტილისტმა აიღო მაკრატელი და ერთ წამში შემიცვალა გარეგნობა, — იხსენებს შერონი.

საერთოდ, მას უყვარს საზოგადოების გაკვირვება. შარშანდელ ცერემონიაზე აბრეშუმის ქვედა კაბასა და მეუღლის თეთრ პერანგში გამოწყობილი მოვიდა (ამ სამოსში გამოწყობილი შერონის ფოტოსურათმა მსოფლიოს პრესა მოიარა).

ასეთ ექსპერიმენტებს ყოველთვის არ მოაქვს წარმატება. როდესაც მომღერალ სელინ დიონს მობეზრდა დეკოლტირებული კაბები, საზოგადოებას დიორის თეთრ სმოკინგში წარუდგა. რაც მთავარია, სმოკინგი პირიქით ეცვა — წინა მხარე უკან ჰქონდა შეკრული! ენამწარე ჟურნალისტებმა, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ დატოვეს ეს მოვლენა და მომღერალი მანეკენსა და საკიდს შუა რაღაცას მიამსგავსეს.

იმ მანდილოსნებისთვის, რომლებსაც გემოვნება ღალატობდათ, ოსკარის ცერემონიამდე კინოხელოვნების აკადემიის ფოიეში სამოსის კოლექციათა დემონსტრაცია ტარდება.

ისიც აღსანიშნავია, რომ არც ერთ თავმოყვარე ვარსკვლავს „სხვისი რჩევა“ არ მიუღია, მაგრამ ახალბედა და ნაკლებად ცნობილი მსახიობები, რომლებსაც ხელი ვერ მიუწვდებათ, ვთქვათ, ვერსაჩეზე, ფასონებს იმახსოვრებენ და მერე იკერავენ და ხშირად ძვირადღირებულ სამოსიან ვარსკვლავებზე უფრო მომხიბვლელად გამოიყურებიან.

ჰოლივუდის ცის ზოგიერთი ბინადარი, ფრიად აოცებს საზოგადოებას. მაგალითად, შერი აკადემიკოსებს სრულიად შიშველი, გამჭვირვალე კაბით წარუდგა. წელს მას კონსერვატიული შავი კაბა ეცვა და დაიფიცა, მეორედ ამას აღარ გავაკეთებო.

ოსკარის ცერემონიაზე მადონა ყოველთვის საშინლად არის ჩაცმული. ხან ჭუჭყიანი ჰიპის სამოსით გამოცხადდება ხოლმე, ხან „ალა ბეტ დევისის“ კოსტიუმით ასაკოვანი ქალბატონივით გამოიყურება.

ოსკაროსანთა აღლუმზე რაიმე სამოსის ასლის გადაღებას ვერავინ გაბედავს, მაგრამ მაღალი ოლიმპოდან რაღაც მაინც ერგებათ მიწიერთ. ზოგმა კინოვარსკვლავთა კვალად ზურგი გაიშიშვლა და კაბა ტანზე შემოიტმასნა, ბრილიანტებითაც კი მოირთო კაბა. მაგალითად, დრიუ ბერიმორმა წამოიწყო და მთელმა ჰოლივუდმა აიტაცა თმის მარგალიტებით მორთვა.

პირველად „ოსკარის“ ცერემონიაზე გამოჩნდნენ მხრებზე მოხვეული სხვადასხვანაირი თავშლებით მორთული ვარსკვლავები, რომლებსაც ოსტატურად ჩამოიგდებენ და იშიშვლებენ „ძვირადღირებულ“ მხრებსა და მკერდს.

*ეხო პლანეტი №18*



# „ათი ყველაზე საშიში დამნაშავის“ სია — 50 წლისაა

გფბ-ში იუბილე აღნიშნეს: 50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აშშ-ში „ათ ყველაზე საშიშ დამნაშავეთა“ პირველი სია გაჩნდა. ამ ერთი შეხედვით არცთუ მნიშვნელოვან მოვლენას, გფბ განიხილავს, როგორც ბიუროს მიერ დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კამპანიის დასაწყისს.

1950 წლიდან „ყველაზე საშიშ“ დამნაშავეთა სიაში 458 ადამიანი შევიდა. გფბ კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მათგან 429 დაპატიმრებული იქნა აშშ-სა თუ საზღვარგარეთ, ამასთან 137 დამნაშავის დაპატიმრება მოხდა მოქალაქეთა დახმარების შედეგად. სხვათა შორის, ინფორმაციისათვის, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს დამნაშავის დაპატიმრება, განსაღვრულია 50 ათასი დოლარი.

სიის შექმნის ეგზომ ეფექტური იდეა შემთხვევით დაიბადა. 1949 წლის მიწურულს საერთაშორისო ახალი ამბების რეპორტიორმა თხოვნით მიმართა გფბ-ს, გადაეცათ მისთვის სტატიის მოსამზადებლად ყველაზე საშიშ დამნაშავეთა სია. გამოქვეყნებულმა მასალამ იმგვარად დიდი გამოხმაურება პოვა საზოგადოებაში, რომ ბიუროს მაშინდელმა დირექტორმა ედგარ გუვერმა გადაწყვიტა, შემოეღო სპეციალური პროგრამა „ათი ყველაზე საშიში დამნაშავე“.

გფბ-ს ახლანდელი დირექტორის მოადგილემ ტომას პიკარდმა, რომელმაც საიუბილეო ექსპოზიცია მოაწყო ბიუროს შტაბბინაში, გამოაქვეყნა სიის შევსების ისტორიული თავისებურებები. როგორც პიკარდმა აღნიშნა, 50-იან წლებში სიაში ძირითადად შედიოდნენ ბანკების მძარცველები, მანქანების გამტაცებლები. შემდეგმა ათწლეულმა, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური კატაკლიზმებით აღინიშნა, სია სახელმწიფო საკუთრების განადგურებაში ბრალდებულებით საბოტაჟისა და ადამიანთა გატაცებაში დამნაშავე პირებით შეავსო.

1970-იან წლებში სიაში სჭარბობდა ორგანიზებული დამნაშავეობის წარმომადგენლები და ტერორისტები. ახლა „ათ ყველაზე საშიშთა“ რიცხვში შედიან საერთაშორისო ტერორისტები, მსხვილი ნარკოსაქმოსნები და მაფიოზები, აგრეთვე პირები, რომელთა ძალადობრივმა ქმედებებმა აბორტების აკრძალვის საქმეში გამოიწვია ექიმთა დაღუპვა. თუმცა ბოროტმოქმედები სიაში არ არიან წარმოდგენილნი რაიმე რიგითობის დაცვით. აშშ-სა და რიგ ქვეყნებში ნომერ პირველ დამნაშავედ მიჩნეულია საუდელი მილიონერი უსამა ბენ ლადენი, რომელსაც ბრალად ედება საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერა.

*ნოვოსტი რაზვედკი
ი კონტრრაზვედკი №9-10*

# ყველაზე აბსურდული კატასტროფა

საზღვაოსნო ისტორიაში ყველაზე აბსურდულ კატასტროფად იახტა „ანაბელას“ დაღუპვა მიიჩნევა.

1934 წელს ჰერცოგმა დევონშირელმა თავისი მემკვიდრისათვის იახტა „ანაბელა“ ააგო. „ნათლობის“ დროს ტრადიციული შამპანურის ბოთლი არაფრით არ დაიმსხვრა იახტის ქიმზე. მესამე წარუმატებელი ცდის შემდეგ გაცოფებულმა ჰერცოგმა დევონშირელმა ცოლს ხელიდან ბოთლი წაჰგლიჯა და ისე მიანარცხა გემს, რომ კორპუსი დაზიანდა, საბმელს მოსწყდა და დამსწრეთა თვალწინ ჩაიძირა. მომხდარით თავზარდაცემული მემკვიდრე აღარასოდეს ასულა აღარც ერთი გემის გემბანზე. მოგვიანებით, იგი პალეონტოლოგი გახდა.

*ვოტ ტაკ №20*



# მოდელიერი კოლექციას შეელია

მონაკოში, „ქრისთის“ აუქციონზე, 21,7 მლნ დოლარად გაიყიდა სახელგანთქმული მოდელიერის კარლ ლაგერფელდის ავეჯისა და XV საუკუნის ინტერიერის საგნების კოლექცია.

აუქციონზე 320 ნივთისაგან ამონაგები თანხა სიდიდით მეორეა ამ ქვეყნის ისტორიაში. ყველაზე ძვირადღირებული ლოტი გამოდგა ლუდოვიკო XV-ის ვაზა, რომელიც მილიონ დოლარზე მეტად გაიყიდა.

ამ კოლექციას ლაგერფელდი 20 წელზე მეტხანს აგროვებდა და იგი მსოფლიოში კერძო კოლექციათაგან საუკეთესოდ მიაჩნდათ. მოდელიერი კოლექციას მას შემდეგ შეელია, როცა ის სახლები გაყიდა, რომელშიც იგი ჰქონდა განლაგებული. შემდეგ აუქციონზე, 23 მაისს, წარმოადგინეს XV საუკუნის 50 ფერწერული ტილო, მათ შორის, ფრაგონარისა და ბუშეს ნახატები.

*იტოგი №19*



**თარაზულად**: 7. რომანი, ნოველა; 8. იშვიათი, ანტიკვარი; 9. მილიმეტრი, ტონა; 10. პრემია, ნემო; 11. გნოლი, ხოხობი; 16. პალმა, ეკალი; 18. ჰეროინი, ოპიუმი; 19. ლიბანი, დამასკო; 20. ფრონტი, მშვიდობა; 21. ვაჭარი, თურქეთი; 22. ბალეტი, „დაისი“; 25. მერკური, გრიპი; 27. ამერიკა, აბორიგენი; 30. ციხე, ორმო; 33. კვიცი, აქლემი; 34. მერსედესი, ამერიკა; 35. გელოვანი, ლადო; 36. ფონეტიკა, მორფოლოგია.

**შვეულად**: 1. შლაპა, ესპანეთი; 2. ბელორუსია, ზავი; 3. მონასტერი, ბერი; 4. კახეთი, „ვარციხე“; 5. იმერეთი, ბასკეთი; 6. ლევან სანიკიძე, პონტო; 12. ბიზე, მერიმე; 13. ტატო, არსაკიძე; 14. სომხეთი, ებრაელი; 15. დედამიწა, წრე; 17. ფისო, ლეკვი; 23. სიგარა, „კენტი“; 24. მატლი, აბრეშუმი; 26. „ბაუნტი“, „ტვიქსი“; 28. ორგანიზმი, სულთმობრძავი; 29. რომი, კოლუმბია; 31. ლილო, ქათამი; 32. ფოთი, ყირიმი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7. ფიტომალი; 8. ნიაღვარი; 10. პაპი; 11. ბავარია; 12. ორბი; 17. ორმო; 18. კომპოტი; 19. რემა; 20. ოდისეა; 21. კასკა; 25. ამინ; 26. ვიკონტი; 27. ნერუ; 28. ფსოუ; 30. არტიკლი; 33. ვეტო; 34. ლიანდაგი; 35. კორტეჟი.

**შვეულად**: 1. წიწამური; 2. კოხი; 3. ელია; 4. ვირი; 5. ავტო; 6. პრობლემა; 9. კანაპე; 13. ჯორდანი; 14. კომედია; 15. ეტიკეტი; 16. დრაკონი; 22. ამნისტია; 23. ფორდი; 24. ერმიტაჟი; 29. ურნა; 31. რიგა; 32. ლეკი; 33. ვატი.

# მონა ქალები



დაახლოებით 50 ათასი ქალი და ბავშვი მიჰყავთ მოტყუებით აზიიდან, ლათინური ამერიკიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მათ აიძულებენ, იმუშაონ მეძავეებად, შავ მუშებად და მოსამსახურეებად.

ეს მონაცემები შეტანილია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოხსენებაში, რომელიც იქცა მოცემული პრობლემის პირველ, ყოვლისმომცველ სამთავრობო შეფასებად.

დოკუმენტის თანახმად, „ცოცხალი საქონლის“ ძირითადი წყაროა ტაილანდი, ვიეტნამი, ჩინეთი, მექსიკა, რუსეთი და ჩეხეთი. იმ სახელმწიფოთა სია კი, საიდანაც იზრდება მსხვერპლთა ნაკადი, მოიცავს ფილიპინებს, კორეას, მალაიზიას, ლატვიას, უნგრეთს, პოლონეთს, ბრაზილიას და ჰონდურასს. შეფასების თანახმად, სულ 700 ათასიდან 2 მილიონამდე ქალი და ბავშვი მთელი მსოფლიოდან ყოველწლიურად იქცევა ამგვარი არალეგალური ვაჭრობის მსხვერპლად.

მოხსენება აღწერს შემთხვევებს, როცა უცხოელი ქალები, რომლებმაც მოინდომეს რეკლამის თანახმად ემუშავათ აშშ-ში ძიძებად, გამყიდველებად ან ოფიციანტებად, ჩასვლისას აღმოაჩინეს, რომ დაპირებული სამსახური არ არსებობს.

ნაცვლად ამისა, ისინი იქცნენ ტყვეებად, მათ ზედამხედველობის ქვეშ ამყოფებდნენ და აიძულებდნენ, ემუშავათ მეძავეებად ან სხვა არასასურველ სამუშაოზე.

ზოგიერთი მათგანი მაშინვე მიჰყიდეს საროსკიპოთა მფლობელებს.

ცენტრალურ სადაზვერო სამმართველოში მომზადებული მოხსენება, სახელწოდებით „საზღვარგარეთიდან აშშ-ში ქალების შემოყვანა: მონობის თანამედროვე გამოვლინება“, ხატავს საიდუმლო ვაჭრობის ფართო სურათებს და მასთან ბრძოლის სირთულეებს, რომელსაც სახელმწიფო აწყდება.

დოკუმენტი ჯერ კიდევ ნოემბერში მომზადდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გასაიდუმლოებული არ არის, საჯაროდ მაინც არ გამოუტანიათ.

*ნოვოსტი მირა №9-14*



# ახალი საოცრება

უახლოეს მომავალში ინდოეთის ჩრდილოეთით მსოფლიოს ახალი საოცრება მოევლინება. ამჯერად ბუდისტებს სურთ თავიანთი ღმერთებისადმი სიყვარულის დემონსტრირება და გადაწყვიტეს, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ქანდაკება დადგან.

ბრინჯაოს ბუდა ცნობილ თავისუფლების ქანდაკებასა და ეგვიპტურ პირამიდებზე მაღალი იქნება — 152,4 მ და ჩრდილო ინდოეთში, ბუდიზმის ერთ-ერთ ცენტრში ბოდჰ გაიაში აღიმართება.

ახალ ბუდას უკვე უწოდებენ „პირველ ნაბიჯს ახალ ათასწლეულში“. მშენებლობა წინ სწრაფი ტემპით მიიწევს — ყოველდღიურად ქანდაკებას სიმაღლეში 30 სმ ემატება.

*ვოტ ტაკ №19*

## №21 (190) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 610 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 221-მა ქალმა და 383-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი „უ“ გიშლით ყველაზე მეტად ხელს სრულფასოვან ცხოვრებაში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა 80-სათვის ყველაზე ხელის შემშლელი ფაქტორი უფულობაა. მკითხველთა მხოლოდ 1-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **7,54** საშუალო ქულით „უფულობა“ პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე „უმუშევრობაა“, საშუალო ქულაა 6,06. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური (0,83) ქულა სწორედ „უმუშევრობას“ ხვდა წილად. როგორც ჩანს, მკითხველთა უმრავლესობას უფულობიდან გამომდინარე უმუშევრობა უშლის ხელს სრულფასოვან ცხოვრებაში. რესპონდენტთა აზრით, უიღბლობაც ერთ-ერთი ყველაზე ხელის შემშლელი ფაქტორია, მკითხველთა 7 ასახელებს მას წარუმატებლობის მთავარ მიზეზად. 5,14 საშუალო ქულით „უიღბლობა“ მესამე ადგილზეა. როგორც ჩანს, ჩვენს მკითხველებს არანაკლებ სტანჯავთ უუფლებობაც, მაგრამ არა ისე, როგორც უფულობა, რადგან საშოვარზე გადაგებულ ადამიანს, რომლისთვისაც „კუჭის პრობლემა“ ერთ-ერთ მთავარ საფიქრალად ქცეულა, ბუნებრივია, უფლებების დეფიციტი იმ ხარისხით ვერ შეაწუხებს, როგორც უფულობა, ანდაც უმუშევრობა.

ჩვენი მკითხველები ყველაზე ნაკლებად უწიგნურობას უჩივიან, განსაკუთრებით მკითხველთა ის 69, რომელთაც მინიმალური — 1 ქულა მიაკუთვნეს უწიგნურობას.

აღსანიშნავია, რომ განსხვავება არც სქესობრივი და არც ასაკობრივი ჯგუფების პასუხებში არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს სრულფასოვან ცხოვრებაში უიმედობაზე მეტად უალტერნატივობა უფრო უშლით ხელს.

ხელის შემშლელ ფაქტორთა „რეიტინგი“ ასე გამოიყურება, ვისურვებიდით, რომ „უყოლობა-უქონლობის სახელები“ არასოდეს ყოფილიყოს ადამიანთა ცხოვრების ხელის შემშლელი.




საპრიზოს ზუსტად 6 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 26 წლის სიღნაღელი **კობა თამაზაშვილი,** 32 წლის **გულნარა სალუქვაძე,** 45 წლის **ნანა ბადრიშვილი,** 35 წლის **კახა ივანიშვილი,** 62 წლის **თეიმურაზ შაქარაშვილი** და 60 წლის **სოსო შელია** (ხუთივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 30 მაისს, 17 საათზე.

## №22 (191) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№22 (191) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 31 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 1 ივნისის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №22 (191) —
**რეკლამა**

**რა სახის რეკლამას აქცევთ ყველაზე მეტად ყურადღებას** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 — და ა.შ. 1-მდე.

**№22(191) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | რეკლამა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | რეკლამა ტრანსპორტში | |
| 2 | რეკლამა რადიოში | |
| 3 | სარეკლამო დაფები ქუჩაში | |
| 4 | აქციები, ღონისძიებების სპონსორობა | |
| 5 | ტელერეკლამა | |
| 6 | რეკლამა პრესაში | |
| 7 | კატალოგები, ბუკლეტები | |
| 8 | რეკლამა მაღაზიაში | |

**დამატებითი კითხვა**

**სწორად მიგაჩნიათ თუ არა პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკა?**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 527-მა რესპონდენტმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ახლად დამტკიცებული მინისტრი მიგაჩნიათ თავისი პოსტისათვის ყველაზე შესაფერისად?“**

მკითხველთა 26-მა განაცხადა, რომ არც ერთი ახლად დამტკიცებული მინისტრი არ შეეფერება თავის პოსტს; 3-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

**მკითხველთა უმრავლესობის მიერ დასახელებული, პოსტისათვის შესაფერისი მინისტრების პირველი ათეული ასე გამოიყურება:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. გია არსენიშვილი | 16,9% | 6-7. დავით თევზაძე | 2,3% |
| 2. მიხეილ მაჭავარიანი | 15,6% | 6-7. კახა თარგამაძე | 2,3% |
| 3. სესილი გოგიბერიძე | 13,7% | 8-9. ზურაბ ნოღაიდელი | 1,3% |
| 4. ვახტანგ ქუთათელაძე | 7,0% | 8-9. ვანო ჩხარტიშვილი | 1,3% |
| 5. ირაკლი მენაღარიშვილი | 6,8% | 10. ალექსანდრე კარტოზია | 1,1% |

აღსანიშნავია, რომ მამაკაცებთან პირველ ადგილზე მაჭავარიანია, მეორეზე — არსენიშვილი და მესამეზე — გოგიბერიძე; ქალებთან კი პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. გია არსენიშვილი, 2. სესილი გოგიბერიძე, 3. მიხეილ მაჭავარიანი.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ანზორ ბალუაშვილი

**ბ.გ.** — ამბროსიჩ, მეგრელებზე ახალი ანეკდოტი მოგიყვე?
**ე.შ.** — კი.
**ბ.გ.** — პარლამენტმა, გულუა პირველი მოსმენით დაამტკიცა.

***ირაკლი ქანტურია, თბილისი***

**ბ.გ.** — სამი რამე მთავარია ამ ქვეყანაზე: მინისტრობა, მაყუთი და შევარდნაძე.
**ე.შ.** — მესამეზე თუ არ გაამახვილე ყურადღება ჩემო ბაკურ, პირველმა ორმა მოგჭამა ჭირი.

***სალომე შემოქმედი***

**ბ.გ.** — ბატონო ედუარდ ფრთებიც ამოგსვლიათ!
**ე.შ.** — მერე გიკვირს მაგი?
**ბ.გ.** — არა, წმინდანი რომ იყავით კი ვიცოდი, მაგრამ ანგელოზიც თუ იყავით, ეგ ნამდვილად არ ვიცოდი.
**ე.შ.** — რომ არ იცი არაფერი, იმიტომ ჭირს შენი მინისტრად გაყვანა.

***რ. შალამბერიძე, თბილისი***

**ბ.გ.** — ...შემდეგ, ამბროსიჩ, უცხოური სესხების და ჩვენი გლეხების შეჯვარებით მივიღე ახალი ჰიბრიდი, რომელსაც გადაჰკრავს დოლარის სასიამოვნო სუნი და ხახვივით იფცქვნება.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — ჩემო ბაკურ, ყველაზე „კორუმპირებული“ შავიშვილი თვითონ მოგვშორდა, მასმედიას თითს ვუქნევ, თქვენ ისევ მინისტრებად წარგადგინეთ და ეს პატარა საქართველო ჯერაც ვერ შეჭამეთ?!
**ბ.გ.** — გვაცალეთ რა ამბროსიჩ, კიდევ სამი წელი.

***თამაზ დუნდუა, თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე, ბაკურ გულუა

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 168 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ბ.გ.** — ბატონო ედუარდ! თქვენც გჯერათ, რომ სოიის ქურდი ვარ?
**ე.შ.** არა, ჩემო ბაკურ, მაგაზე ნუ იღელვებ, ჟვანიასთან არცთუ მომგებიანი გარიგება მქონდა. ნოღაიდელზე ერთი ერთზე გაგცვალე.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

**ბ.გ.** — ამბროსიჩ! 3 „ლიმონს“ გაძლევ და კიდევ ერთხელ დამამტკიცე მინისტრად.
**ე.შ.** — ანგელოზის ფრთებს თუ ხედავ ჩემს ზურგზე?
**ბ.გ.** — დიახ!
**ე.შ.** — დიახ და წადი ახლა, ცოდვა არ ჩამადენინო ამ ანგელოზ კაცს! (მარცხენა ხელით იღებს პისტოლეტს).

***გ.ბ. „გურჯაანელი“***

**ე.შ.** — მაგ ფასად ბაზრის დირექტორის მოადგილედ გაგიშვებ თუ გინდა!

***გელა ბერაძე, ქუთაისი***

**ბ.გ.** — ხელის გულზე კვერცხს ვუწვავდი ამ მოქალაქეთა კავშირს და რას გადამეკიდა ვერ გავიგე!
**ე.შ.** — ცოტა სოიის ზეთიც დაგესხა მაგ ხელის გულზე და ისე შეგეწვა, შენც დაისვენებდი და მაგენიც.

***ელენე და ივიკო რუხაძეები***

**ბ.გ.** — გეხვეწები, გევედრები,
ყოვლისშემძლე ბაბუ,
გადარეკე პარლამენტში,
არ დამადონ ტაბუ.

***ჯონი შალიკაშვილი, ბაბუშარა***

**ე.შ.** — ამდენი ფული რაში გაფლანგე კაცო?
**ბ.გ.** — სამი „ლიმონი“ რა ფულია ბატონო, სხვებს ოქროს ზოდები აქვთ.
**ე.შ.** — მე თვეში 10 ლარიც მყოფნის.
**ბ.გ.** — ყველა თქვენნაირი ფრთიანი ანგელოზი ხომ ვერ იქნება ამბროსიჩ?!

***მევლუდ თევდორაშვილი, რუსთავი***

**ე.შ.** — ისმენს ბაკურის დითირამბებს და ფიქრობს: „ახლა ამან რომ იცოდეს მარცხენაში მაყუჩიანი ნაგანი რომ მიჭირავს, წესით უნდა გამომართვას და...“

***ბადრი-თბილისი***

**ბ.გ.** (მღერის) — ბორჯომი, ბორჯომი,
ეს ნამდვილი ბორჯომი...
ბანი ედუარდ!
*(რეკლამიდან)*

***ზ. ხუციშვილი, თბილისი***

## მადონა ვერ იცნეს ორეულებს შორის



ლონდონის კლუბ „კაბარეში“, წელიწადში რამდენჯერმე, მთელი მსოფლიოდან იკრიბებიან ცნობილი პიროვნებების ორეულები. მადონა, რომელიც კლუბს ინკოგნიტოდ ეწვია, ვერ მალავდა აღტაცებას, — „მერილინ მონროსთან საოცარი მსგავსებით ხუთმა გოგონამ გამაოგნა, მომხიბლა 8 ლუი დე ფიუნესმა, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, არ ველოდი ერთბაშად 20 მადონასთან შეხვედრას. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ როცა ჩემს ორეულებში გავერიე, ერთ-ერთმა მაშინვე „გადამიწურა იმედი“: „ეს გოგო, რა თქმა უნდა, ოდნავ კი ჰგავს მადონას, მაგრამ პირველი პრიზის იმედი ნამდვილად არ უნდა ჰქონდესო!..“



**პატარა ზოზომ დედიკოს სალებავებს მიაგნო...**

***

ცოლი — ქმარს:

— სამზარეულოში კოღოა, მოკალი, რა!

ქმარი გავიდა და სამზარეულოდან ისმის ქვაბების ხმაური, ჭიქების მსხვრევის ხმა... ცოტა ხანში გამოდის, სახეზე ხვითქი გადასდის.

— მოკალი?

— მოვკალი, არ მოვკალი, არ ვიცი, მაგრამ მაგრად ვუჟუჟე, დიდხანს ვეღარ გაატანს.



**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

**6/VI — 20-22 სთ**
**9/VI — 20-23 სთ**

**2/VI მთვარის I მეოთხედი**

## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი;* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(22) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

**სიტყვა და საქმე**

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)***

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№22 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 1 ივნისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.






***

ექიმი ეუბნება პაციენტის ქმარს:

— თქვენს მეუღლეს კვირაში ერთხელ მაინც... მოკლედ, ერთხელ კვირაში სექსია საჭირო...

ქმარი შედის ცოლთან.

— რაო, ექიმმა... — მოუთმენლად იკითხა ავადმყოფმა...

— რა, რაო?.. მოკვდება მალეო...



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.